

# ბიზნესი და კანონმდებლობა

№2 მაისი 2013

სამეცნიერო,

ანალიტიკურ-პრაქტიკული შურონალი

რეფერირებადია 2008 წლიდან

**WWW.B-K.GE**

შურონალი ხელმძღვანელობს თავის-სუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა ყოველთვის არ ემთხვეოდეს ავტორისას. უმეორსული სტატიების უინაარსზე და მონაცემთა სინჯუსტუმე პასუხისმგებელია ავტორი.

**ნაქაქიის მისაწაიი:**

თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. 36  
ტელ: 292-14-61, 599 56-14-57, 599 34-64-27  
ვებ გვერდი: [www.b-k.ge](http://www.b-k.ge)  
e-mail: [info@iverioni.com.ge](mailto:info@iverioni.com.ge), [gfaafm@gmail.com](mailto:gfaafm@gmail.com)

საბანკო რეკვიზიტები:

სააქციო საზოგადოება „საქართველოს ბანკი“;

ბანკის კოდი: BAGAGE22;

ა/ა GE30BG0000000850902700; ს/კ 404956455.

## მამომსაქვანი:

**საქართველოს აუდიტორთა, ზალანტანთა და უინანსურ მენაქანთა უქვანიასია, სანიწონიწაქიო-ანალიტიქანი სააქვანსო „ივანიწონი“**

## სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე:

ზახი ნაქყებია

## მთავარი რედაქტორი:

იუიი ჰანასქუა, ექონომიქუი მეცნ. აქად. დოქტორი, ჰიქმდესორი

## სამეცნიერო რედაქტორი:

ნიქოლოზ ბაქაშვილი, ექონომიქუი მეცნ. დოქტორი, ჰიქმდესორი

## რედაქტორი:

ეკა ქიშქედაძე

## პასუხისმგებელი რედაქტორი:

იღონა ადამია

## ტექნიქური რედაქტორი:

ლევან ბოქტორიშვილი

## სამეცნიერო საბჭო:

ექონომიქუი მეცნიქებათა დოქტორები, ჰიქმდესორები: იანა მასნია, ნოღაი ქიტანანა, ალბაქა მანაშვილი, ვანაქა ჯოლანაშვილი, დანაქა ქოქინაქი, ნაქო ხანაშვილი, ნანა შონია, დავით ჯალანონია, თამაქი სომაქიანი, ჯოქა აბანაქა, დინა დინაქა, ნიქოლოზ ჩინანაქა, თამაზ ნაქბახიანი, დანიან თანანაქა, ბიქოქი ლავთაქა, დავით ქიქობაშვილი, სანიქო ფაქანაქაქა, დამნა ჰანასქანი.

საქაქთველოს მეცნიქებათა აქადემიის ნექი-ქოქესპოდენტი ავთანდილ სინანაქა.

სამაქიტისა და პოლიტიქის მეცნიქებათა დოქტორი ჯამან ბანოქიქა.

იუქიდილ მეცნიქებათა დოქტორი, ჰიქმდესორი ბანიამ ნაქყებია,

სამაქიტის დოქტორი, ბიქონესის ადმინისტრიქიების დოქტორი, ჰიქმდესორი ბიქოქი ქინანაქა

პედაგოგიქის მეცნიქებათა დოქტორი, ჰიქმდესორი დამაქა თანანაქიქა.

ბანიანქე ზიბანქი (ბექინის უნივერსიტეტის ჰიქმდესორი),

იოქან ფიქანი (ბონის უნივერსიტეტის ჰიქმდესორი),

ანიან ბაბოქანი (ქექენის საბ. უნივერსიტეტის ჰიქმდესორი),

ანი დანიქიქანი (ბაქოს საბ. უნივერსიტეტის ჰიქმდესორი).

## ქონსულტანტანი:

თამაზ იაშვილი, ანზოქი მესხიშვილი, იქინქე ლღონტი

## შინაარსი

<b>ანალიზიკა</b> <b>იაზა მესხია</b> <b>არშემდგარი პოლიტიკური კოპაბიტაციის ეკონომიკური გამონვევები</b>	4
<b>ეკონომიკური პოლიტიკა</b> <b>ნოდარ ჭითანავა</b> საქართველოს ეკონომიკის განვითარების ტენდენციები და პერსპექტივები	19
<b>გადასახადები და დაბეჭვა</b> <b>სულიკო ფუტყარაძე</b> ცვლილებები საგადასახადო კოდექსში ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა	32
<b>ფულად-საქრედიტო პოლიტიკა</b> <b>ლია ელიავა</b> დეფლაცია საქართველოში: სად ვეძებთ დამნაშავე?!	36
<b>აღრისხვა და აუდიტი</b> <b>ნიკო ბაკაშვილი</b> კანონი დახვეწას და ქვედინებებისგან გაათავისუფლებას საჭიროებს!	41
<b>საბარეო პოლიტიკა</b> <b>დემნა კვარაცხელია</b> შესაძლებელია თუ არა ტარიფების უფრო მეტად შემცირება	45
<b>აუდიტი</b> <b>ქეთევან ღუღუშაური</b> როგორ სრულეყოთ კომერციული ბანკის აუდიტი	53
<b>რეგიონული პოლიტიკა</b> <b>ნუკრი მინანაშვილი</b> რეგიონალიზმი და თვითმმართველობა	56
<b>რეგიონული პოლიტიკა</b> <b>ბორის ჭიჭინაძე</b> როგორი უნდა გავხადოთ ადგილობრივი თვითმმართველობები	59
<b>კრიზისის თერაპია</b> <b>ანა ჩხეილაშვილი</b> როგორ ავიცილოთ სანარმოს გაკოტრება	62
<b>Конах Виктория Константиновна</b> <b>ИНТЕРНЕТ-СМИ: ПОДХОДЫ И ПРИНЦИПЫ РЕГУЛИРОВАНИЯ ДЕЯТЕЛЬНОСТИ В МЕЖДУНАРОДНЫХ И ВНУТРИГОСУДАРСТВЕННЫХ НОРМАТИВНО-ПРАВОВЫХ АКТАХ</b>	67

**სასურსათო ბაზარი**

**რეგულაციები, შორეინა სუბუნი**

სასურსათო საბითუმო ბაზარი სურსათის წარმოებასა და მომხმარებელამდე წინნაწევის ჯაჭვში მონაწილეთა ინტერესების რეალიზაციის მექანიზმი 73

**განათლება**

**ასმათი უაფუბია**

კომუნიკაცია და მისი მნიშვნელობა სასწავლო პროცესში 77

**აღრისხვა-ანგარიშგება**

**ნატო გეგმარევილი**

ანგარიშგება ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ 82

**ღაზღევა**

**ნატო კაკაშვილი**

სამოგზაურო დაზღვევის ფინანსური მდგრადობის მაჩვენებლები 84

**თვალსაზრისი**

**კობა ბიჭნაძე**

გაყიდეთ, გაყიდეთ, გაყიდეთ, გაყიდეთ რამე! 87

**მარკეტინგული სტრატეგია**

არომატული მარკეტინგი 90

# არშემდგარი პოლიტიკური კოჰაბიტაციის ეკონომიკური გამოწვევები

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე საქართველოში პოლიტიკური პროცესები წინააღმდეგობრივად ვითარდება და ქვეყანა მუდმივ ტურბულენტურ მდგომარეობაში იმყოფება.

ხელისუფლების როგორც რევოლუციური, ასევე “ვარდისფრად” ცვლა, საზოგადოებას ყოფდა ორ მწვავედ დაპირისპირებულ ნაწილად, რაც თავის მხრივ ამუხრუჭებდა დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობას.

საქართველოს უახლოეს ისტორიაში (2012 წლის ოქტომბერი) პირველად განხორციელდა ხელისუფლების მშვიდობიანი შეცვლა, თუმცა ქვეყნის კონსტიტუციაში არადემოკრატიული „ჩანაწერების“ გამო შეიქმნა წინააღმდეგობრივი სიტუაცია და ჩამოყალიბდა ორხელისუფლიანობა. შეიძლება ითქვას, რომ შეიქმნა ანომალური ვითარება, ქვეყნის პრეზიდენტმა შეინარჩუნა რა უმაღლესი თანამდებობა, უარი თქვა ხალხის წინაშე მისი ვალდებულებების შესრულებაზე და ოპოზიციაში ჩაუდგა სახელმწიფოს და საზოგადოების უდიდეს ნაწილს. განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების მქონე პრეზიდენტისა და პრემიერ მინისტრის, აგრეთვე შესაბამისი პოლიტიკური პარტიების თანაარსებობას (კოჰაბიტაციას) სერიოზული პრობლემები შეექმნა. ფაქტობრივად ქვეყანაში შეიქმნა შემდეგი მდგომარეობა: გამარჯვებული კოალიციის („ქართული ოცნება“) ხელში აღმოჩნდა აღმასრულებელი ხელისუფლება, მათ შორის, ძალოვანი სახელმწიფო სტრუქტურების ნაწილი, ხოლო დამარცხებული პარტიის („ნაციონალური მოძრაობა“) კონტროლქვეშ დარჩა სასამართლო სისტემა, უშიშროების საბჭო, სახელმწიფო აუდიტის სამსახური, ეროვნული ბანკი, ადგილობრივი თვითმმართველობები (რწმუნებულ-გუბერნატორების ინსტიტუტი), მარეგულირებელი სტრუქტურები, მასმედიის (განსაკუთრებით ელექტრონული) დიდი ნაწილი და ა.შ.



**იაშა (იაკობ) მესხია**  
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,  
ივ. ჯავახიშვილის  
სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის სრული პროფესორი,  
საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა  
აკადემიის ვიცე პრეზიდენტი

## პოლიტიკური ბრძოლა წესების გარეშე

ქვეყნის პარლამენტის ფორმირება მოხდა ისეთი-ნაირად, რომ არც ერთი მხარე არ ფლობს კონსტიტუციურ უმრავლესობას. იმ გარემოებაში, რომ მოქმედი კონსტიტუციის თანახმად, ქვეყნის პრეზიდენტს უფლება ჰქონდა დაეთხოვა პარლამენტი და მთავრობა, ხოლო, ეს უკანასკნელი დაეკომპლექტებინა პარლამენტის ნებართვის გარეშე, მეტისმეტად დაძაბა ვითარება. ფაქტობრივად გამარჯვებულ და დამარცხებულ მხარეებს შორის დაიწყო უკომპრომისი ბრძოლა. მართალია მხარეთა შეთანხმების შედეგად შეტანილ იქნა სათანადო ცვლილება კონსტიტუციაში და პრეზიდენტის ხსენებული უფლებები შეიზღუდა, მაგრამ ამ გარემოებას არ მოყოლია რაიმე კომპრომისი არცერთი მხრიდან. დაპირისპირებამ მხარეებს შორის კიდევ უფრო აგრესიული ხასიათი მიიღო.

ჰპარლამენტის წინასაარჩევნო კამპანია მმართველი პარტიის მხრიდან ოპოზიციაზე იმდენად უსამართლო ზენოლით გამოირჩეოდა, რომ, მოსალოდნელი იყო დაპირისპირების გამწვავება გამარჯვებულ და დამარცხებულ პოლიტიკურ პარტიებს შორის, თუმცა, არა იმ სიძლიერით, როგორც ფაქტობრივად გამოვლინდა. საერთაშორისო თანამეგობრობის აქტიურმა ჩარევამ ქვეყანას ააცილა მორიგი რევოლუციური ცვლილება.

მმართველ პარტიას, რომელიც ხელისუფლებასთან იყო გაიგივებული ეყო გონიერება არ მიემართა მისთვის ჩვეული ძალისმიერი მეთოდების გამოყენებისთვის. მთელი მსოფლიო ცხადად ხედავდა, რომ წინასაარჩევნო პერიოდში მოქმედი ხელისუფლება ყოველგვარ კანონიერ და უკანონო მეთოდებს იყენებდა მთავარი ოპოზიციური კოალიციის წინააღმდეგ, რამაც ხელისუფლების მიმართ საზოგადოებრივი პროტესტი კიდევ უფრო გაზარდა. გამომდინარე აქედან, მოსალოდნელი იყო, რომ ოპოზიცია, რომელმაც არჩევნებში დიდი უპირატესობით გაიმარჯვა, მოახდენდა სამართლებრივ რეაგირებას წინა ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობის პირების დანაშაულებრივ ქმედებებზე. ეს უკანასკნელი იყო საზოგადოების უმრავლესობის დაკვეთა. სწორედ სამართლიანობის აღდგენის დაპირება იყო ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი, რომელმაც გამარჯვებამდე მიიყვანა ოპოზიციური კოალიცია. თუმცა ამ დაპირების პრაქტიკული შესრულება დიდ წინააღმდეგობებს წააწყდა სხვადასხვა ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო, რომელთა შორის უნდა აღინიშნოს შემდეგი:

- ქვეყნის პრეზიდენტმა გააკეთა უპრეცედენტო სვლა, თავი გამოაცხადა ოპოზიციონერად და სათავეში ჩაუდგა უმცირესობაში მყოფ “ნაციონალურ მოძრაობას”, რითაც პარტიულ ინტერესები ანაცვალა სახელმწიფო ინტერესებს, რამაც სერიოზულად გა-

აღრმავა დაპირისპირება ხელისუფლების ცალკეულ შტოებს შორის. ჯპრეზიდენტის გადანყვეტილება ნიშნავს რომ იგი ოპოზიციაში ჩაუდგა საკუთარ ხალხს, მის უმრავლესობას, რომლებმაც ხმა არ მისცეს მმართველი პარტიის მიერ გატარებულ პოლიტიკას. უმრავლესობის მიმართ ჯპრეზიდენტისა და მისი მხარდამჭერების ქმედებამ მიიღო აშკარა შურისძიების ხასიათი.

• ახალი ხელისუფლება შეუდგა რა საზოგადოების პრიორიტეტული დაკვეთის შესრულებას ანუ სამართლიანობის აღდგენას, ოპოზიციის მხრიდან ნააწყდა მკვეთრ წინააღმდეგობას. სამართლიანობის აღდგენის მიმართულებით ყოველი გადანყვეტილება პრეზიდენტის ჯგუფის მიერ აღიქმება მათ მიმართ პოლიტიკურ ანგარიშსწორებად და მიკერძოებულ ქმედებად. ამის გასამყარებლად მათ მიერ გამოიყენებულ იქნა მათთან წლების განმავლობაში დაახლოებული და მეგობრულად განწყობილი ევროპული პოლიტიკური პარტიები, ცალკეულ სახელმწიფოთა მაღალჩინოსნები, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, აგრეთვე მრავალრიცხოვანი დაქირავებული ლობისტური ჯგუფები და ადგილობრივი მასმედიის საკმაოდ დიდი და ძლიერი ნაწილი. მმართველ ხელისუფლებას ამ დროისთვის არ ჰქონდა და მოკლე დროში ვერც ექნებოდა საქმიანი კავშირები საერთაშორისო თანამეგობრობასთან, რის გამოც ამ მხრივ პრიორიტეტულ მდგომარეობაში აღმოჩნდა ოპოზიცია. უფრო მეტიც, ახალი ხელისუფლების მიერ ყოველი სამართლიანობის აღდგენის მიმართულებით მიღებული გადანყვეტილება ოპოზიციის მიერ ინათლებოდა ანტიევროპულ, ანტიდემოკრატიულ ქმედებად და მტრულად განწყობილი რუსეთის დაკვეთის შესრულების მცდელობად. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის პარლამენტის მიერ ოპოზიციასთან კონსენსუსით მიღებულ იქნა რეზოლუცია ევროპული კურსის უცვლელობის შესახებ<sup>1</sup>, ოპოზიციამ ქვეყნის შიგნით და გარეთაც კიდევ უფრო გააძლიერა “შავი პიარი” თითქოსდა მმართველი ხელისუფლების ანტიევროპული, ანტინატოური ზრახვების შესახებ.

• მდგომარეობა გაართულა იმანაც, რომ მოსახლეობის დიდმა ნაწილმა, რომლებიც წლების განმავლობაში სასოწარკვეთილი იყო წინა ხელისუფლების რეჟიმით, იგემა რა დემოკრატიისა და სიტყვის თავისუფლების სიო, დაკარგა თმენის უნარი და ხელისუფლებისგან მოითხოვა სამართლიანობის დაუყოვნებლივ აღდგენა. ეს უკანასკნელი კი საჭიროებდა გარკვეულ დროს, კვალიფიციურ და უკომპრომისო ინტელექტუალურ რესურსს, რისი დეფიციტი აშკარად იკვეთებოდა სამართალდამცავ სტრუქტურებში. შეიქმნა პარადოქსული სიტუაცია, ერთი მხრივ, მმართველი ხელისუფლება წარსულში ჩადენილი დანაშაულობებისთვის პასუხისმგებლობას აკისრებდა ყოფილი ხელისუფლების სხვადასხვა სტრუქტურების

წარმომადგენლებს, ხოლო, მეორე მხრივ, ოპოზიციის გავლენის ქვეშ მყოფი სასამართლო სტრუქტურები, რომლებიც წინა ხელისუფლების დროს უამრავ არასამართლიან გადანყვეტილებებს იღებდნენ, კვლავაც მიკერძოებულად და შერჩევით განაგრძობენ საქმიანობას. ამ გარემოებამ იმდენად გაათამამა ოპოზიცია, რომ დანაშაულში ეჭვმიტანილი ყოფილი და მოქმედი მაღალჩინოსნები უგულვებელყოფდნენ სამართალდამცავთა კანონიერ მოთხოვნებს და დაკითხვებზეც კი არ ცხადდებოდნენ. ასეთმა ვითარებამ და ამ კუთხით დე-ფაქტო ხელისუფლების სუსტმა, მეტისმეტად ფრთხილმა და გაუბედავმა მიდგომამ ნეგატიურად იმოქმედა მათ რეიტინგზე. დღეისათვის სამართლიანობის აღდგენის მიმართულებით შეინიშნება ხელისუფლების უკანდახევა, რაც ჩვენი აზრით, ტაქტიკური სვლაა და მოსალოდნელია, რომ უახლოეს დროში მუშაობა გააქტიურდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ხელისუფლებას საზოგადოების წინაშე თავის მართლება მოუწევს, რაც მისადმი ნდობის ხარისხს უთუოდ დაბლა დასწევს.

• ახალმა ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო აღმასრულებელი ხელისუფლების მთლიანად მაღალკვალიფიციური და გამოცდილი კადრებით დაკომპლექტება, რაც გახდა გარკვეული შეცდომების დაშვების, ნაჩქარევი ან დაგვიანებული გადანყვეტილებების მიღების საფუძველი. მდგომარეობას ართულებს ის გარემოება, რომ წინა ხელისუფლების ნებისმიერი თანამდებობის პირის შეცვლას ოპოზიცია პოლიტიკურ დევნად მიიჩნევს. არადა, მათი მმართველობის პირობებში სახელმწიფო სამსახურში ძირითადად პარტიული ერთგულების და ნეპოტიზმის პრინციპით ხდებოდა დასაქმება. წინა ხელისუფლებამ სახელმწიფო მოხელეებს ერთგულების საფასურად შეუქმნა შრომისა და ანაზღაურების არნახული პირობები. მაღალ თანამდებობებზე დასაქმებულები ყოველთვის ურად ხელფასთან ერთად 3-4 ჯერ მეტ პრემიას იღებდნენ, აგრეთვე უზრუნველყოფილი იყვნენ სხვადასხვა პრივილეგიებით, მათ შორის მაკონტროლებელი სტრუქტურების მხრიდან ხელშეუხლებლობით. ახალი ხელისუფლება მოერიდა რა ვითარების გამწვავებას, ზოგიერთი გამონაკლისების (მაღალი თანამდებობების) გარდა, უცვლელად დატოვა სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმებული წინა ხელისუფლების მიერ განებივრებული და მათ მიმართ ერთგულება შენარჩუნებული მოხელეები, რამაც მნიშვნელოვნად დაამუხრუჭა ახალი ხელისუფლების მიერ მიღებული გადანყვეტილებების პრაქტიკაში გატარება. ეს განსაკუთრებით შეეხო სასამართლო სისტემას, სამხარეო რწმუნებულებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუციებს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მოქმედ ხელისუფლებას კვალიფიციური და გამოცდილი კადრების დიდი არჩევანი არ ჰქონდა მათი დეფიციტის გამო. ამასთან, მათ უმაღლეს სახელისუფლებო სტრუქტურებში ძირითადად დაასაქმეს მასმედიით ანგაჟირებული ხმამაღლა მოლაპარაკე ცნობადი სახეები, რომელთა ნაწილს არ აღმოაჩნდა სახელმწიფო სტრუქტურების ეფექტიანად მართვის სათანადო უნარ-ჩვევები. მოსალოდნელია, რომ საპ-

1 საქართველოს პარლამენტის რეზოლუცია საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ, 2013 წ. 21 მარტი, [http://www.parliament.ge/index.php?option=com\\_content&view=article&id=3136%3Aresolution&catid=54%3Astatements-appeals-and-resolutions&Itemid=88&lang=ge](http://www.parliament.ge/index.php?option=com_content&view=article&id=3136%3Aresolution&catid=54%3Astatements-appeals-and-resolutions&Itemid=88&lang=ge)

რეზიდენტო არჩევნების შემდეგ გარკვეული ცვლილებები მოხდება მთავრობის საკადრო პოლიტიკაში.

ქვეყანაში ფაქტობრივად შეიქმნა ორხელი-სუფლებიანობა. ოპოზიციის კონტროლქვეშ დარჩენილმა საკმაოდ მრავალრიცხოვანმა და გავლენიანმა სტრუქტურებმა ღიად დაიწყეს უკომპრომისო ბრძოლა უმრავლესობის კონტროლქვეშ არსებული სახელმწიფო სტრუქტურების წინააღმდეგ. თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ ოპოზიციის მიზანია არა სახელმწიფოებრივი ინტერესებისათვის ზრუნვა, არამედ ხელისუფლებაში მომავალ გეგმიურ არჩევნებამდე დაბრუნება. მათი მხრიდან ამის სურვილი იმდენად ძლიერი იყო, რომ არჩევნების შემდგომ პირველივე თვეებში გაკეთდა განცხადება ხელისუფლებაში ვადამდელი დაბრუნების შესახებ.<sup>1</sup> შექმნილმა პოლიტიკურმა დაპირისპირებამ გარკვეული ნეგატიური გავლენა მოახდინა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე.

### პირველი ეკონომიკური გამოწვევები

ახალ ხელისუფლებას მემკვიდრეობით გადმოეცა მრავალი რთულად გადასაწყვეტი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ხასიათის პრობლემა. განსაკუთრებით დიდი სირთულეები დაგროვდა ეკონომიკაში, რომელიც წინა ხელისუფლების პოლიტიკის მძევალი იყო. ყოველივე ეს მოითხოვდა შესაბამის კვლევას, ანალიზს, შეფასებას და პრობლემების გადაწყვეტის მიმართულებით ღონისძიებთა კომპლექსის შემუშავებას. საჭირო იყო აგრეთვე სათანადოდ გამართული სამართლებრივი ბაზის შემუშავება, ახალი კანონების მიღება ან მოქმედ კანონმდებლობაში, რომელიც წინა ხელისუფლებას საკუთარ იდეოლოგიაზე ჰქონდა მორგებული, საჭირო ცვლილებების შეტანა. ყოველივე ეს მოითხოვდა დროს, ენერჯიას და სიფრთხილეს, რათა არ გამეორებულყო წინა ხელისუფლების შეცდომები. აცნობიერებდა რა დროის ფაქტორის მნიშვნელობას, ყოფილი ხელისუფლების ჩასაფრებული ნაწილი მაქსიმალურ ძალისხმევას მიმართავდა, რათა ფიქრისა და ანალიზის საშუალება არ მიეცა მმართველი ხელისუფლებისთვის და ამით ხელი შეეშალა მათი საქმიანობისთვის. ამ კუთხით ოპოზიციისთვის ყველაზე ხელსაყრელი სფერო იყო ეკონომიკა. მათი მხრიდან სწორედ ამ მიმართულებით იქნა პირველი შეტევები განხორციელებული. ორხელისუფლებიანობამ ხელსაყრელი ნიადაგი შექმნა საზოგადოების ერთი, ჯერ კიდევ გაურკვეველობაში მყოფი ნაწილის შეცდომაში შეყვანისათვის.

ორხელისუფლიანობის პირველი ნეგატიური გამოვლინება იყო მასიური გაფიცვების უსასრული ტალღა, რაც მიუხედავად იმისა, რომ ახალ მმართველ ხელისუფლებას დემოკრატიის თანმდევ და გაძლიერების პოზიტიურ ფორმად მიაჩნდა, ჩვენი აზრით, არანაირად არ იყო ეკონომიკისთვის მისაღები მოვლენა. ნებისმიერი სახის გაფიცვა ბიზნეს-სექტორში და საჯარო სამსა-

ხურში სერიოზულ ნეგატიურ გავლენას ახდენს ქვეყნის საერთაშორისო იმიჯზე და აფრთხობს შიდა და გარე ინვესტორებს, უარყოფითად მოქმედებს ეკონომიკის განვითარებაზე.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ გაფიცვების ორგანიზატორებად ძირითადად გამოდიოდნენ დასაქმებულები, რომლებიც წლების განმავლობაში დუმდნენ იმ პოლიტიკურ, სამართლებრივ, ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემებზე, რომლებსაც ისინი ახლა ახალი ხელისუფლების წინაშე აყენებდნენ. **ამან ერთგვარი შანტაჟისა და საბოტაჟის გონივრული ეჭვიც კი გააჩინა ახალი ხელისუფლებისა და საზოგადოების გარკვეულ ნაწილში.** გაფიცვები და შიმშილობის აქციები მიმდინარეობდა ერთდროულად ან მონაცვლეობით: მაღაროებლების ტყიბულსა და ჭიათურაში, მეტალურგების ქუთაისში, მძღოლების თბილისსა და ქუთაისში, რკინიგზელების თბილისსა და სამტრედიისში, მოვაჭრეების ქუთაისსა და ზუგდიდში, მუშების ფოთის პორტში და სხვაგან. ამას თან ახლდა ლტოლვილების მასობრივი გამოსვლები და შენობებში უნებართვოდ შეჭრები ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში, სტუდენტების ერთი ნაწილის მხარდაჭერა გაფიცულებისადმი, რეგულარული არეულობები ციხეებში, უმუშევართა და უმწეოთა საპროტესტო აქციები და სხვა სახის სოციალური ხასიათის აქტივობები.

მასობრივი გაფიცვების გამომწვევი მიზეზებისა და ფაქტორების იურიდიული ასპექტების გამოუძიებლობა არ იძლევა აკადემიური დასკვნების გაკეთების საშუალებას, ამიტომაც, ამ მოვლენების შეფასებაში მხოლოდ ჰიპოთეზური ხასიათის შემდეგ ვარაუდებზე უნდა შევჩერდეთ:

- **პირველი ვარაუდი.** საზოგადოებას წინა ხელისუფლების დროს დამკვიდრებული შიში გაუქრა, გაჩნდა დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობის რწმენა, რამაც სტიმული მისცა წლების განმავლობაში დაგროვილი უსამართლობის მყისიერად, გარემო ვითარებაზე ანგარიშგაუნეველად სააშკარაოზე გამოტანას. ამასთან, გაფიცულთა მხრიდან მოთხოვნებისა და ულტიმატუმების უმეტესი ნაწილი სამართლიანი იყო, იმსახურებდა საზოგადოებისა და ხელისუფლების მხრიდან ყურადღებას, მაგრამ მათი ნაწილი იმპულსურ, გაუაზრებელ და ზოგჯერ შანტაჟისა და საბოტაჟის ნიშნებს შეიცავდა. გაფიცვების ორგანიზაცია სოციალური მოთხოვნების იდეოლოგიით, ისეთ ვითარებაში, როდესაც ახლადარჩეულ მთავრობას მართვის ბერკეტები ჯერ კიდევ სრულად არ ჰქონდა ხელში აღებული, ყოველგვარ დასაბუთებულობას და მიზანს იყო მოკლებული. საყურადღებოა, რომ გაფიცულთა მოთხოვნები და ოპოზიციის განცხადებები თითქმის ანალოგიური შინაარსის იყო.

- **მეორე ვარაუდი.** არაა გამორიცხული, რომ გაფიცვების ორგანიზაციას საფუძვლად ედო უკვე ოპოზიციის მყოფი-წინა ხელისუფლების მხარდაჭერთა ნაქებება, რომლის მიზანი იყო ახალი ხელისუფლების საქმიანობისადმი ხელის შეშლა და მოსახლეობის უკმაყოფილობის გაზრდა, ხოლო შემდეგ მისი გაპიარება საერთაშორისო დონეზე, რაც თავის მხრივ იქნებოდა ხელსაყრელი იდეოლოგიური წინაპირობა ოპოზიციის ხელისუფლებაში ვადამდელი არჩევნებით დაბრუნების-

1 მერაბიშვილი ი. არ გვაქვს იმის ფუფუნება, რომ ამ ხელისუფლების პრობლემებში დაველოდოთ 4 წელს, <http://www.interpressnews.ge/ge/politika/237004-vano-merabishvili-ar-gvaqvs-imis-fufuneba-rom-am-khelisuflebis-pirobebshi-davelodoth-4-tsels.html>

თვის. ამგვარი ვარაუდის საფუძველს იძლევა ის გარემოება, რომ გაფიცულების უმრავლესობა იყო ის დასაქმებულები, რომლებიც წინა ხელისუფლებას უსიტყვოდ ემორჩილებოდნენ. ბიზნესის ტოპ-მენეჯმენტი და საჯარო სამსახურის მაღალი თანამდებობები ნაციონალური მოძრაობის ნევრებით იყო დაკომპლექტებული. უფრო მეტიც, მსხვილი ბიზნესი მთლიანად შეზრდილი იყო მმართველ პოლიტიკურ პარტიასთან, რომელსაც მთელი 9 წლის მანძილზე მონოპოლიური მდგომარეობა ეკავა და გარშემორტყმული იყო მცირერიცხოვანი სატელიტური პარტიებით, რომლებიც მოსახლეობის დასაბნევადად უსუსურ პოლიტიკურ სპექტაკლებს დგამდნენ თავიანთი “ოპოზიციონერობის” დასამტკიცებლად. არ არის გამორიცხული, ახალი ოპოზიცია ვარაუდობდა, რომ მოქმედი მთავრობა, რომელსაც არ ჰქონდა საკმარისი გამოცდილება, გაფიცულებს ისეთივე უხემი მეთოდებით დაარბევდა, როგორც მათ გამოიყენეს 2011 წელს ქუთაისის მეტალურგიული ქარხანა „ჰერკულესის“ გაფიცულთა მიმართ და ამით მიაღწევდნენ ახალი მთავრობის მიმართ უკმაყოფილო მოსახლეობის რაოდენობის ზრდას. უსასრულო გაფიცვები, რომელიც ბოლომდე დღესაც არაა შეწყვეტილი და მისი ახალ-ახალი კერები მოულოდნელად იფეთქებს ხოლმე, სერიოზული ზიანს აყენებს როგორც ეკონომიკას, ასევე ქვეყნის საერთაშორისო იმიჯს.

ასეა თუ ისე, გაფიცვები, შიმშილობები და სხვა სოციალური ხასიათის აქციები ოპოზიციის ნისქვილზე ასხამს წყალს, რადგან, ერთი მხრივ, საერთაშორისო საზოგადოებას (რომელიც ვერ ფლობს ქვეყანაში მიმდინარე პროცესების რეალურ სურათს) ექმნება არასწორი შთაბეჭდილება, რომ თითქოსდა ახალი ხელისუფლების მიმართ უკმაყოფილოთა რაოდენობა იზრდება. მეორე მხრივ, მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში მართლაც გაჩნდა იმედგაცრუება იმაზე, რომ ახალი ხელისუფლება ვერ უზრუნველყოფს საზოგადოებრივ წესრიგს და მის დასამყარებლად არა აქვს უნარი გაატაროს კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გაფიცვების ორგანიზებასთან დაკავშირებით ახალ მთავრობას გადაწყვეტილი ჰქონდა „შრომითი ურთიერთობებისა და სოციალური დიალოგის საკითხთა“ კომისიის შექმნა, თუმცა მისი ფორმირების შესახებ ინფორმაცია საჯაროდ არ გახმაურებულა, რაც მიაწინებს იმაზე, რომ ამ მიმართულებით ძალისხმევა შესუსტდა, ან საერთოდ შეწყდა.

არჩევნების პირველივე დღეებიდანვე ეკონომიკურ აქტივობაზე ნეგატიური გავლენა იქონია არა მხოლოდ გაფიცვებისა და შიმშილობების მომრავლებამ, არამედ ოპოზიციის “გამწევი ძალის” მხრიდან დაუსაბუთებელი და ცრუ განცხადებებებმა, რომელთა მიზანი იყო ნებისმიერ ფასად ხელისუფლების ჩაძირვა და სასწრაფო წესით მათი ჩანაცვლება. ამის მკაფიო მაგალითებია შემდეგი:

✓ **ახლადარჩეული პარლამენტის პირველსავე სხდომაზე, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული მთავრობა, უმცირესობის მხრიდან სრულიად არაადეკვატური, პოპულისტური განცხადებები გამარჯვებული კოალიციის მიერ წინასაარჩევნო დაპირებების შეუსრულებლობის შესახებ;**

✓ **უცხოეთის მრავალ ქვეყანაში ჯერ კიდევ პრეზიდენტის გავლენის ქვეშ მყოფი საქართველოს დიპლომატიური კორპუსის მიერ ახალი ხელისუფლების საქმიანობის ნეგატიურად წარმოჩენა;**

✓ **საქართველოს პრეზიდენტის მიერ ელჩების კანონიერი ჩანაცვლების შესახებ გადაწყვეტილების დიდი ხნით გაჭიანურება;**

✓ **პარლამენტის უმცირესობის წარმომადგენლებისა და თავად პრეზიდენტის მიერ ახალი ხელისუფლების იმიჯის შელახვის მცდელობა საერთაშორისო ფორუმებზე და შეხვედრებზე;**

✓ **“ნაციონალურ მოძრაობასთან” დაახლოებული ზოგიერთი ევროპული პოლიტიკური პარტიისა და დაქირავებული ლობისტური ჯგუფების მიერ ნეგატიური შეფასებებისა და ინფორმაციების გავრცელება ახალი ხელისუფლების საქმიანობის შესახებ. ეს უკანასკნელი შეიძლება შეფასდეს ქვეყნის საშინაო საქმეებში უხემ ჩარევად და საერთაშორისო სამართალდარღვევად;**

✓ **„ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერის სრულიად დაუსაბუთებელი განცხადება ქვეყანაში შექმნილი საბიუჯეტო კრიზისის დაწყების შესახებ;**

✓ **სახელმწიფო ინტერესებზე მაღლა პარტიულის დაყენების თვალსაჩინო მაგალითი იყო ქვეყნის პრეზიდენტის მიერ საზოგადოებისთვის ცრუ ინფორმაციის მიწოდება ქართული ბანკების რუსულ კომპანიებზე გასხვიების შესახებ, რაც საკმაოდ ოპერატიულად და გონივრულად უარყვეს შესაბამისმა ბანკებმა და საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, რამაც ქვეყნის საბანკო სისტემა გადაარჩინა მოსალოდნელ დესტაბილიზაციას. ჩვენი აზრით, ხელისუფლების პირველი პირის მიერ საბანკო სისტემის ჩართვა პოლიტიკურ ბრძოლაში იყო უდიდესი შეცდომა და ანტისახელმწიფო ქმედება. საბანკო სექტორი, როგორც ეკონომიკის სისხლძარღვი და მთავარი არტერია ყველაზე ფაქიზი და მგრძობიარე სფეროა. მისი საქმიანობის შესახებ ნებისმიერი სახის არაზუსტი ნეგატიური ინფორმაციის ტირაჟირება აჩერებს ახალი საბანკო პროდუქტების ათვისებას, აფერხებს სავაჭრო ოპერაციებს, ინვესტაციას და საქონლის დეფიციტს ბაზარზე.**

✓ **საქართველოს პრეზიდენტის მიერ ჩასაფრებულის პოზიციიდან ცრუ ინფორმაციის გავრცელება ახალი ხელისუფლების მიერ ინფრასტრუქტურული პროექტების შეჩერების შესახებ, რაც ჩვენი აზრით, ასევე სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ მიმართული ქმედებაა და ითვალისწინებს უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მოზიდვის შეფერხებას.**

✓ **უმცირესობის მხრიდან პარლამენტში ეკონომიკური ამნისტიის გამოცხადების შესახებ კანონის მიღების პედალირება, რაც ითვალისწინებს, ერთი მხრივ, წინა ხელისუფლებასთან დანაშაულებრივი გზით შეკრული მსხვილი ბიზნეს-სტრუქტურების საგადასახადო ვალდებულებებისა და კანონდარღვევებისგან პასუხისმგებლობის მოხსნას, ხოლო, მეორე მხრივ, საბიუჯეტო შემოსავლების შემცირებას, რომელიც შექმნიდა ქვეყანაში კრიზისულ სიტუაციას.**

რა თქმა უნდა, წინასაარჩევნო და პოსტსაარჩევნო პერიოდებში შექმნილმა მწვავე პოლიტიკურმა პროცე-

სებმა, აგრეთვე, მასიურმა გაფიცვებმა და სოციალურმა აქტივობებმა, მნიშვნელოვანი ნეგატიური გავლენა იქონია ქვეყნის ეკონომიკაზე, მათ შორის, განსაკუთრებით ფოთის პორტის პარალიზებამ, რომელიც ვაკეპასიისა და ცენტრალური აზიის სტრატეგიული სატრანსპორტო დამაკავშირებელი პუნქტია. ასევე დიდი ეკონომიკური საფრთხის შემცველი იყო რკინიგზელთა გაფიცვა. თუმცა, იგი მოკლევადიანი აღმოჩნდა, რამაც ქვეყნის ეკონომიკა იხსნა გრძელვადიანი ფინანსური დანაკარგებისა და პარტნიორი ქვეყნების მიერ ტვირთბრუნვის ვექტორის შეცვლისაგან.

**წინასაარჩევნო და პოსტსაარჩევნო პერიოდების ეკონომიკა: შუალედებითი ანალიზი**

პოლიტიკური დაპირისპირებებისა და არშემდგარი კოჰაბიტაციის პირობებში საქართველოს ეკონომიკაში მიმდინარე პროცესები განსაკუთრებული ყურადღების ობიექტი გახდა საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ. ქვეყანაში შექმნილ ეკონომიკურ მდგომარეობას და ახალი ხელისფლების მიერ გატარებულ სარეფორმო ნაბიჯებს სიღრმისეულად სწავლობენ, ანალიზებენ და აფასებენ საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკური

ორგანიზაციები, აგრეთვე, ქართველი სწავლული ეკონომისტები, იურისტები, არასამთავრობო ორგანიზაციები და პოლიტიკოსები<sup>1</sup>. მოსაზრებები, შეფასებები და პროგნოზები არაერთგვაროვანი და სწრაფად ცვალებადია და ეს ლოგიკურიცაა, რადგან ჯერ ერთი, საანალიზო პერიოდი ძალიან მოკლეა და არ იძლევა მკაფიო კანონზომიერებებისა და ტენდენციების გამოვლენის საშუალებას. მეორე მხრივ, პოლიტიკური სიტუაციების სწრაფი ცვლადობისა და არასტაბილურობის გამო შეუძლებელია უახლოეს პერიოდში მოსალოდნელი ეკონომიკური განვითარების ტრექტორიის რაოდენობრივი მახასიათებლების მაღალი საიმედოობით დაპროგნოზება. ამას დაემატა ისიც, რომ საანალიზო პერიოდი დაემთხვა ეკონომიკისათვის სპეციფიკურობით დამახასიათებელი ნელინადის დროს (არჩევნები, ზამთარი), რის გამოც გაძნელებულია შედარებით ზუსტი პროგნოზების გაკეთება. აქედან გამომდინარე, ჩვენი აზრით, ასეთ ტურბულენტურ ვითარებაში გაკეთებული ნებისმიერი რაოდენობრივი კვლევა და მონიტორინგი არ შეიძლება ჩაითვალოს საიმედოდ დროის მოკლე მონაკვეთშიც კი. მიხედვად ამისა, წინასაარჩევნო და პოსტსაარჩევნო პერიოდის ეკონომიკური მდგომარეობის შედარებითი ანალიზი იძლევა ზოგიერთი დასკვნის გაკეთების საშუალებას. საქართველოში წინასაარჩევნო პერიოდი დაემთხვა ევროპაში მიმდინარე მწვავე ფინანსურ კრიზისს,

1 **პაპავა ვლ.** მთავრობას ერთიანი, გააზრებული ხედვა ჯერ არ წარმოუდგენია, <http://ghn.ge/news-86773.html>; დუმილით და თავის მოტყუებით დემოკრატიას ვერ ავაშენებთ, <http://pirweli.com.ge/index.php?menuid=16&id=30787>  
**სილაგაძე ა.** მთავრობის კურსი ეკონომიკური ზრდის საპროგნოზო მარეგულირებლის გადაჭარბების საფუძველს იძლევა, <http://medianews.ge/ge/mtavrobiskursiekonomikurizdissaprognozomachvenebelisdacharbebissafudzvelsidzlevaavtandilsilagadze/32680>;  
**ჭითანავა ნ.** საქართველოს აგრარული მეურნეობის განვითარების ახალი სტრატეგია, ჟ., "ბიზნესი და კანონმდებლობა", 2013, №1.  
**ჯიბუტი მ.რა** გავლენას ახდენს კოჰაბიტაცია ეკონომიკაზე? გაზ., "ალია" 2013, №32;  
**მეჭავჭავაძე ი.ე.** საქართველოს საბანკო სექტორი თავის ფუნქციებს ჯეროვნად ვერ ასრულებს, **B**"ბანკები და ფინანსები", 2012, №312.  
**იაკობიძე დ.** ყოფილმა ხელისუფლებამ ქვეყნის ისტორიულ წარსულს ხაზი გადაუსვა და ... შექმნა სიღარიბე, <http://geworld.ge/View.php?ArtId=4651&Title=yofilma+xelisuflebam+qveynis+istoriul+warsuls+xazi+gadausva+da...+Seqmna+siRaribe&lang=ge>  
**არჩვაძე ი.** ეკონომიკა იყო პოლიტიკის მძევალი, "ბანკები და ფინანსები", 2013, №318.  
**კაკულია მ.** ქართული საბანკო სექტორი ნაკლებად კონკურენტულია, "ბანკები და ფინანსები", 2012, №311.  
**პავლიაშვილი ს.** სახელმწიფომ უნდა დაინყოს საბჭოთა ანაბრების ნელ-ნელა დაბრუნება, [http://www.for.ge/view.php?for\\_id=22421&cat=1](http://www.for.ge/view.php?for_id=22421&cat=1)  
**გიორხელიძე დ.** ახლა კონკრეტული ამოცანების დასახვის დრო მოვიდა, <http://timer.ge/5763-demur-giorkhelidze-isethi-strategia-unda-shemushavdes-skhva-mthavrobam-ukethesis-gaketheba-veghar-shedzlos.html#>  
**ხუზაშვილი გ.** ახალმა ხელისუფლებამ წილგებში ჩაჯდომამდე უარი თქვა, <http://geworld.ge/ViewGE.php?G=1713&lang=ge>  
**მჭედლიძე კ.** საქართველოს ეკონომიკაში დაღმასვლა აღინიშნება, <http://www.radiotavisupleba.ge/content/georgian-economy/24890933.html>  
**ჯგერაია ე.** ექსპორტის ზრდის თვალსაზრისით იანვრის თვეში ბოლო 12 თვის განმავლობაში საუკეთესო შედეგი დაფიქსირდა, <http://medianews.ge/ge/eqsportisrzdistsazrisitianvrivshibolo12tslisanmavlobashisauketesoshedegidafiqsirda-emzardjgerenia/33307>; რეცესიის პროცესი აშკარაა, გაზ., "ბანკები და ფინანსები", 2013, №322.  
**შემელიძე პ.** ნამგებია, უფასო პროექტები უნდა შეჩერდეს, <http://www.netgazeti.ge/GE/105/business/16714/>; პოლიტიკური ჯგუფი, რომელიც შეძლებს იუროკრატისაგან თავისუფალი ეკონომიკის შექმნას არ არსებობს, [http://www.for.ge/view.php?for\\_id=21099&cat=1](http://www.for.ge/view.php?for_id=21099&cat=1);  
**კოლუაშვილი პ.** არ გავყიდოთ მიწა, [http://mediatori.ge/index.php?option=com\\_content&view=article&id=372:2013-01-28-17-16-34&catid=24:2011-03-28-17-38-33&Itemid=31](http://mediatori.ge/index.php?option=com_content&view=article&id=372:2013-01-28-17-16-34&catid=24:2011-03-28-17-38-33&Itemid=31)  
**ცისკარიშვილი ს.** არ იქნება სამართალი, არ იქნება მშვიდობა, <http://www.ambebi.ge/samartali/71441-soso-ciskarishvili-qar-iqnebasamarthali-ar-iqneba-mshvidobaq.html>;  
**ბერიძე თ.** საქართველოს მთლიანი საგარეო ვალი კრიტიკულ ზღვართან ახლოსაა, [http://www.for.ge/view.php?for\\_id=9418&cat=1](http://www.for.ge/view.php?for_id=9418&cat=1)  
**ბერიძე ვ.** საპროტესტო აქციები ეკონომიკას აზიანებს.... <http://www.newsline.ge/?p=30377>;  
**მურღულია თ.** საქართველოში ეკონომიკური პოლიტიკა ამ ცნების თანამედროვე და ნორმალური გაგებით არ არსებობს, <http://interpressnews.ge:8080/ge/ekonomika/12327-theimuraz-murghulia-saqarthveloshi-ekonomkuri-politika-am-cnebis-thanamedrove-danormaluri-gagebith-ar-arsebobs.html?ar=A>  
**ლეჭინაძე ი.** იქცევა თუ არა "კოჰაბიტაციის ნელი" "ინვესტიციების წლად", "ბანკები და ფინანსები", 2013, №319.  
**კალანდაძე ლ.** ნაციონალურმა მოძრაობამ რაც დათესა, იმას ვიმკით ეხლა, <http://pirweli.com.ge/?menuid=16&id=30106>.



**ანალიტიკა**

რომელიც გამოიწვია საერთო ვალუტის „ევროს“ არასტაბილურობამ და ევროკავშირში შემაჯავლი ზოგიერთი ქვეყნის საბიუჯეტო დეფიციტმა. ამ პერიოდში კრიზისი განსაკუთრებით გამძაფრდა საბერძნეთში, ესპანეთში, იტალიაში, პორტუგალიაში და სხვა ქვეყნებში, რომლებიც საქართველოსთან საკმაოდ მრავალფეროვანი სავაჭრო ურთიერთობებით გამოირჩევიან. სწორედ ეს გარემოება იყო ერთ-ერთი მთავარი საფუძველი იმისა, რომ საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები 2012 წლისათვის საქართველოს ეკონომიკის მიმართ თავშეკავებულ ოპტიმიზმს აფიქსირებდნენ და 5 პროცენტთან ეკონომიკურ ზრდას წინასწარმეტყველებდნენ, ხოლო საქართველოს წინა მთავრობა თავისი ჩვეული პიარ-ოსტატობით ხელოვნურად გაბერილ 7 პროცენტთან ზრდას გეგმავდა.

წინასწარჩვენო და პოსტსაარჩევნო თვეებში საქართველოს ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების შედარებითი ანალიზის შედეგები შემდეგნაირად გამოიყურება:

✓ **მთლიანი შიგა პროდუქტი.** უკანასკნელ წლებში მთლიანი შიგა პროდუქტის მოცულობას ამკარად გამოკვეთილი ზრდის ტენდენცია ჰქონდა, გამონაკლისი იყო 2008 (2,3 %) და 2009 (-3,8 %) წლები<sup>1</sup>, რაც განპი-

<sup>1</sup> აქ და შემდგომში მოყვანილი ციფრები საქართველო სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალურად გამოქვეყნებული ინფორმაციაა.

რობებული იყო გლობალური ეკონომიკური კრიზისით და რუსეთ-საქართველოს მოკლევადიანი ომის შედეგებით. 2012 წელს ეკონომიკური ზრდის ტემპმა იკლო და წინასწარი მონაცემებით შეადგინა 6,1 პროცენტი, მაშინ როდესაც, 2007 წელს ზრდა 12,3 პროცენტს შეადგენდა. საპარლამენტო არჩევნების წლის (2012 წ.) პირველ კვარტალში მშპ-ის ზრდამ 6,7 % შეადგინა, მეორე კვარტალში — 8,2%, მესამე კვარტალიდან ზრდის ტემპის შემცირების ტენდენცია დაფიქსირდა (7,5 %), ხოლო მეოთხე კვარტალში — 2,5%.

როგორც №1 ცხრილიდან ჩანს, არჩევნების (ოქტომბრის) წინა ოთხ თვეში მშპ-ის ზრდამ საშუალოდ შეადგინა 7,5%, ხოლო პოსტსაარჩევნო ოთხ თვეში საშუალოდ — 2,4%. ამრიგად, არჩევნების შემდგომ პერიოდში მთლიანი შიგა პროდუქტის მოცულობის შემცირებას ამკარად გამოკვეთილი სახე გააჩნია, თუმცა მის ტენდენციად ჩამოყალიბებაზე საუბარი ჯერჯერობით ნაადრევია. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ადრე ჩამოყალიბებული ზრდის ტემპების შემცირებასთან და არა კრიზისის დადგომასთან, როგორც ამას აცხადებს ოპოზიციური პოლიტიკური პარტია. **შეიძლება ითქვას, რომ სახეზეა ეკონომიკური აქტივობის მოდუნება, მაგრამ არა კრიზისი, რადგან მისთვის დამახასიათებელი არც ერთი კომპონენტი ფაქტიურად არ გამოვლენილა.** თანაც გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ არჩევნების შემდგომ და აგრეთვე ზამთრის თვეებში თითქმის ყო-

**ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების დინამიკასაქართველოს პარლამენტის არჩევნებამდე და არჩევნების შემდგომ (კოჰაბიტაციის) პერიოდში\***

თვეები	მშპ % წინა წლის შესაბამის პერიოდთან	სამომხმარებლო ფასების ინდექსი		საქონლის საგარეო ვაჭრობა (მლნ აშშ დოლარი)		ახლად რეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობა
		წინა წლის თვესთან	წინა თვესთან	ექსპორტი	იმპორტი	
ივნისი (2012)	8,9	99,8	99,1	179,3	628,5	3667
ივლისი (2012)	8,3	100,6	99,1	211,5	684,8	3287
აგვისტო (2012)	6,2	99,6	101,1	200,2	687,7	2836
სექტემბერი (2012)	6,8	99,9	100,8	218,2	727,8	2716
ოქტომბერი (2012)	5,0	100,1	100,0	216,9	711,7	3105
ნოემბერი (2012)	3,0	99,5	100,1	193,7	637,7	3444
დეკემბერი (2012)	-0,8	98,6	99,7	98,5	668,6	3258
იანვარი (2013)	2,3	98,7	100,3	196,3	468,4	3418
თებერვალი (2013)	2,3	97,9	99,7	162,1	504,7	3964

თვეები	დღგ-ს გადამხდელ საწარმოთა ბრუნვის ზრდა წინა წლის შესაბამის პერიოდთან (%)	სახელმწიფო ბიუჯეტი		საბანკო სფეროს მთლიანი გამოშვება (მლნ ლარი)	
		ხარჯები	შემოსავლები	კომერციული ბანკები	ეროვნული ბანკი
ივნისი (2012)	21,4	471,6	508,8	71,0	5,7
ივლისი (2012)	16,5	651,3	611,56	65,1	6,0
აგვისტო (2012)	10,9	598,7	625,3	57,5	9,5
სექტემბერი (2012)	15,6	606,0	638,2	66,2	5,5
ოქტომბერი (2012)	6,0	596,7	565,9	63,9	6,1
ნოემბერი (2012)	3,7	434,4	586,0	58,7	8,8
დეკემბერი (2012)	-4,3	714,2	767,0	73,3	13,8
იანვარი (2013)	3,5	480,6	509,6	62,6	6,5
თებერვალი (2013)	0,6	439,7	408,1	59,2	4,9

\*. ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე

ველთვის ფიქსირდება მშპ-ის ზრდის ტემპების შემცირება. მეორე მხრივ, პოსტსაარჩევნო პერიოდში შექმნილმა ნეგატიურმა პოლიტიკურმა სიტუაციამ მთლიანი შიგა პროდუქტის ზრდაზე გარკვეულწილად უარყოფითი გავლენა იქონია.

✓ **საგარეო ვაჭრობა.** 2004-2012 წლებში საქართველოს საგარეო ვაჭრობა ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა. 2012 წელს საქონლით სავაჭრო ბრუნვამ 10 მლრდ აშშ დოლარს გადააჭარბა, მათ შორის, ექსპორტმა შეადგინა 2,4 მლრდ, ხოლო იმპორტმა 7,8 მლრდ აშშ დოლარი, მაშინ როდესაც 2004 წელს ეს მაჩვენებლები შესაბამისად შეადგენდა 2,4; 0,6 და 1,8 მლრდ აშშ დოლარს. №1 ცხრილში მოყვანილია არჩევნებამდე და არჩევნების შემდგომ პერიოდში საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლები, რომელთა შედარებიდან ჩანს, რომ ექსპორტის დინამიკას არ ჰქონდა მკაფიოდ გამოკვეთილი ტენდენცია. როგორც არჩევნების წინა თვეებში (ივნისი, აგვისტო), ასევე არჩევნების შემდგომ (დეკემბერი, თებერვალი) ფიქსირდებოდა მისი კლება. შედარებით სტაბილურად იზრდებოდა იმპორტი არჩევნების წინა პერიოდში, ხოლო არჩევნების შემდგომ იგი ხასიათდებოდა კლებით (გამონაკლისია დეკემბერი და თებერვალი).

საყურადღებოა ის გარემოება, რომ 2013 წლის იანვარ-მარტში საგარეო ვაჭრობის ბრუნვის წინა წელთან შედარებით შემცირების პირობებში ექსპორტის 17 პროცენტის იანვარ-მარტში ზრდა დაფიქსირდა და უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა საგარეო ბრუნვის 46 პროცენტი შეადგინა. 2013 წლის პირველ კვარტალში საქონლით საგარეო ვაჭრობამ 2144 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 5 პროცენტით ნაკლებია. ექსპორტმა შეადგინა 565 მლნ აშშ დოლარი (5 პროცენტით მეტი), ხოლო იმპორტმა - 1579 მლნ აშშ დოლარი (8 პროცენტით ნაკლები). უარყოფითმა ბალანსმა 2013 წლის იანვარ-მარტში შეადგინა 1013 მლნ აშშ დოლარი, რაც სავაჭრო ბრუნვის 46 პროცენტია. ექსპორტის წილმა საგარეო ვაჭრობაში 29,5 პროცენტი შეადგინა. მნიშვნელოვან პოზიტიურ მოვლენად უნდა შეფასდეს პირველად 2013 წლის იანვარ-მარტში ქვეყნის სავაჭრო ბალანსის დეფიციტის გაუმჯობესება. აღსანიშნავია ისიც, რომ ექსპორტის სტრუქტურაში შემცირებულია ჯართის წილი და ქვეყნიდან უმეტესად გაიტანება ადგილზე წარმოებული პროდუქცია. მართალია, იმპორტის მოცულობა შემცირდა, მაგრამ მას ჯერჯერობით არ გამოუწვევია ბაზარზე საქონლის დეფიციტი და ფასების ზრდა. ჯერჯერობით ექსპორტის ზრდის ტენდენციად ჩამოყალიბებაზე საუბარი ნაადრევია, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობის დარეგულირების პროცესი დაწყებულია, იგეგმება რუსეთის ბაზარზე ქართული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ექსპორტი, მიმდინარეობს მუშაობა ევროკავშირთან სავაჭრო ხელშეკრულების გაფორმებაზე, ქართველი ბიზნესმენები ნელ-ნელა შედიან საერთაშორისო ბაზრებში, შეიძლება დავაპროგნოზოთ, რომ უახლოეს მომავალში ექსპორტ-იმპორტის სალდო თუ არ გათანაბრდება, ერთმანეთს მაინც საკმაოდ დაუახლოვდება, რაც ეროვნული ეკონომიკის აღორძინების მნიშვნელოვანი სტიმულატორი იქნება. ამის რეალური რეზერვები ქვეყანას გააჩნია და არა მხოლოდ სოფლის

მეურნეობის წარმოების მოცულობის, არამედ გადაამუშავებული მრეწველობის დარგების (აზოტი, ფეროშენადნობი და სხვა) გაზრდის გზით.

✓ **სამომხმარებლო ფასები.** სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით 2010-2011 წლებში ინფლაციის საშუალო მაჩვენებელი საშუალოდ 8 პროცენტს შეადგენდა. 2012 წელს აშკარად გამოიკვეთა საქონელსა და მომსახურებაზე ფასების შემცირების (დეფლაციის) ტენდენცია, რომელიც შენარჩუნებულ იქნა როგორც წინასაარჩევნო, ასევე არჩევნების შემდგომ პერიოდში (ცხრილი 1). ჩვენი აზრით, დეფლაციის გამომწვევ მთავარ მიზეზებს შორის უნდა დასახელდეს შემდეგი: **მოსახლეობას არ გააჩნია საკმარისი ფული მოხმარების საგნების შესაძენად, რამაც დაარღვია მიწოდება-მოთხოვნის ბალანსი და გამოიწვია ბაზარზე საქონლის გაიაფება; ქვეყანაში შექმნილმა არასტაბილურმა პოლიტიკურმა ვითარებამ გაზარდა მოსახლეობის შიში იმაზე, რომ შესაძლებელია ეკონომიკური მდგომარეობის კიდევ უფრო გაუარესება, შემოსავლების შემცირება, და შესაბამისად, გაიზარდა სახსრების დაზოგვა მომავლისთვის; ახალი ხელისუფლების მიერ ბიზნესის გათავისუფლებამ სახელმწიფო ზეწოლისგან (მენარმე არ აძლევს შემოსავლის ნაწილს ჩინოვნიკს) შესაძლებელი გახადა ფასების შემცირება წარმოებულ და იმპორტირებულ პროდუქციაზე; გაიზარდა საბანკო კრედიტის მომხმარებლის ეკონომიკური განათლების დონე, რის შედეგადაც ფიქსირდება სესხის აღებისადმი ფრთხილი დამოკიდებულება, რაც გამოწვეულია გაცხადებულ საბანკო პროცენტსა და ფაქტობრივად დასაფარავ პროცენტს შორის საკმაოდ დიდი სხვაობით.**

მოკლევადიან პერიოდში დეფლაცია პოზიტიური მოვლენაა და იგი ხელს უწყობს მოსახლეობის დონის ამაღლებას, მაგრამ ეკონომიკური განვითარების კუთხით მისი ტენდენციის ხანგრძლივად შენარჩუნება ნეგატიური მოვლენაა. ფასების ვარდნა იწვევს ბიზნეს აქტივობის შემცირებას, შესაბამისად, შემოსავლების (ფულის) შემცირებას, რაც თავის მხრივ, კიდევ უფრო ამცირებს ფასებს.<sup>1</sup> უფრო მეტიც, გრძელვადიანი დეფლაცია ამცირებს საბიუჯეტო შემოსავლებს. მსოფლიო პრაქტიკამ დაადასტურა, რომ ჯანსაღი ეკონომიკის პირობებში ზომიერი (4-5 პროცენტიანი) ინფლაცია ასტიმულირებს ეკონომიკურ განვითარებას. გრძელვადიან პერიოდში მთავარია არა ფასების მუდმივი შემცირება, არამედ მათი სტაბილურობის უზრუნველყოფა, რაც ქვეყნის ეროვნული ბანკის ძირითადი ამოცანაა. მართალია, ეროვნული ბანკი უკანასკნელ პერიოდში თანდათანობით ამცირებს საბაზისო განაკვეთს, თუმცა საბანკო სექტორში მნიშვნელოვან გამოცოცხლებას მაინც არა აქვს ადგილი, რაც, ჩვენი აზრით, ასევე პოლიტიკური არასტაბილურობითაა განპირობებული.

✓ **ბიზნეს რეგისტრი და ბიზნეს სექტორის საქმიანობა.** არჩევნებამდე და პოსტსაარჩევნო პერიოდში თვეების მიხედვით იცვლებოდა ახლად დარეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობა. არჩევნებამდე ბოლო

1 ელიავა ლ. დეფლაცია საქართველოში: სად ვექვებით დამნაშავე, უ., "ბიზნესი და კანონმდებლობა", 2013, №1, <http://b-ke.gov.ge/templates/Jordan/pdf/BK2013-1.pdf#page=18&zoom=auto,0,842>

ხუთ თვეში საშუალოთვიურად რეგისტრირდებოდა 3398 საწარმო, ხოლო არჩევნების შემდგომ ანალოგიურად 3437 საწარმო. შეიძლება ითქვას, რომ საწარმოთა დარეგისტრირების კუთხით არჩევნების შემდგომ უკეთესი გარემო შეიქმნა. ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად საწარმოთა დარეგისტრირების მხრივ მდგომარეობის გაუმჯობესებისა, მათი შემდგომი საქმიანობის გაგრძელების კუთხით მდგომარეობა არც ისე სახარბიელოა. ამაზე მიუთითებს ის გარემოება, რომ „საქსტატის“ მონაცემებით, 2013 წლის 1 იანვრისთვის სულ ქვეყანაში დარეგისტრირებული 395144 საწარმოდან ამავე პერიოდისთვის ფაქტობრივად მოშუშავე საწარმოთა რიცხვმა შეადგინა 58915 ერთეული (14,9%). როგორც ჩანს, დარეგისტრირებულ საწარმოთა მხოლოდ 15 პროცენტი აგრძელებს ბიზნეს საქმიანობას, რაც, ჩვენი აზრით, მიუთითებს იმაზე, რომ ბიზნესის დაწყების პროცედურა საკმაოდ გამარტივებულია, თუმცა მათი საქმიანობის განვითარებისთვის შესაბამისი ხელსაყრელი ბიზნეს-გარემო არაა შექმნილი ქვეყანაში.

**მოკლედ ბიზნეს სექტორის საქმიანობაზე.** საანალიზო პერიოდში (2012 წლის III და IV კვარტალი) საქართველოს ბიზნეს სექტორში ბრუნვამ (დარიცხულმა შემოსავლებმა საქონლისა და მომსახურების გაყიდვებიდან) შესაბამისად შეადგინა 10870,6 და 10969,8 მლნ ლარი, ანუ ამ პერიოდში აშკარა ზრდას ჰქონდა ადგილი. თუმცა საპირისპირო ტენდენცია გამოიკვეთა პროდუქციის გამოშვებაში. კერძოდ, იგი ამავე წლის III კვარტალის 5898,5 მლნ ლარიდან IV კვარტალში შემცირდა 5844,9 მლნ ლარამდე. გამომდინარე აქედან უხეშად რომ ვთქვათ, საპარლამენტო არჩევნების წინა და შემდგომ კვარტალებში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურმა დაპირისპირებამ ნეგატიური გავლენა იქონია ბიზნეს სექტორში პროდუქციის გამოშვებაზე, მაგრამ უარყოფითი ზემოქმედება არ მოუხდენია ბრუნვაზე. ასეთი წინააღმდეგობრივი ვითარება შეიძლება აიხსნას იმით, რომ პროდუქციის ბრუნვის (გაყიდვის) შესახებ გარიგებები იდება დიდი ხნით ადრე და ნაკლებად არის დაკავშირებული საანალიზო პერიოდის მეორე ნახევარში გამოშვების მოცულობასთან.

ბიზნეს სექტორის საქმიანობის შედარებითი შეფასებისათვის შეიძლება დასაქმების მაჩვენებლის მოშველიებაც. საყურადღებოა, რომ 2012 წლის განმავლობაში ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა. კერძოდ, I და II კვარტალში იგი შესაბამისად შეადგენდა 470,0 და 503,1 ათას კაცს, ხოლო, III და IV კვარტალში - 516,6 და 527,6 ათას კაცს. ანალოგიურ მდგომარეობას ჰქონდა ადგილი ბიზნეს სექტორში დაქირავებულთა რაოდენობის მხრივაც. 2012 წლის I და II კვარტალში დაქირავებულთა რაოდენობა შესაბამისად შეადგენდა 445,6 და 483,7 ათას კაცს, ხოლო, საპარლამენტო არჩევნების წინა და შემდგომ კვარტალში შესაბამისად 498,1 და 510,9 ათას კაცს. აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ პოლიტიკურ დაპირისპირებას ყოფილ და ახალ ხელისუფლებას შორის ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა და დაქირავებულთა ზრდის ტენდენციაზე უარყოფითი გავლენა არ მოუხდენია, პირიქით, არჩევნების წინა და შემდგომ პერიოდებში აღნიშნული მაჩვენებელი ზრდის

ტენდენციით ხასიათდებოდა.

✓ **დღგ-ს გადამხდელ საწარმოთა ბრუნვა.** წინასწარჩევნო და პოსტსაარჩევნო თვეებში დღგ-ს ბრუნვა წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავებულია. არჩევნების შემდგომ პერიოდში მისი სიდიდე არსებითად შემცირებულია. პოსტსაარჩევნო პერიოდში მთლიანი შიგა პროდუქტის მოცულობის შემცირება წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ბუნებრივია მნიშვნელოვნად განპირობებულია დღგ-ს ბრუნვის მოცულობის შემცირებით, რაც დადასტურებულია ოფიციალური სტატისტიკით. თუმცა უნდა ითქვას, რომ აღნიშნულ მაჩვენებელს, გარდა 2012 წლის დეკემბრის თვისა, არჩევნების შემდგომ თვეებში წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან ზრდის ტენდენცია ჰქონდა. ფაქტობრივად, დღგ-ს ბრუნვა შუალედური მაჩვენებელია, რომელსაც „საქსტატი“ იყენებს ეკონომიკური ზრდის წინასწარი მაჩვენებლის გასაანგარიშებლად. თქმა იმისა, რომ დღგ-ს ბრუნვის მაჩვენებლის წინა წლების შედარებისას კლების ტენდენცია მიანიშნებს ეკონომიკურ ან საბიუჯეტო კრიზისზე, ყოვლად გაუმართლებელია. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „საქსტატი“ აღნიშნული მაჩვენებლის კორექტირებას ახდენს მთელი წლის განმავლობაში, რის გამოც თვიური მაჩვენებელი არ შეიძლება მიჩნეულ იქნას დაზუსტებულ ციფრად. მაგ., 2013 წლის თებერვალში დღგ-ს გადამხდელ საწარმოთა ბრუნვის 0,6 პროცენტიანი ზრდა წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით არის წინასწარი საორიენტაციო ციფრი, რომელიც „საქსტატის“ მიერ დაზუსტდება და, როგორც წესი, მნიშვნელოვნად გაიზრდება.

✓ **სახელმწიფო ბიუჯეტი.** როგორც არჩევნების წინა, ასევე მის შემდგომ თვეებში სახელმწიფო ბიუჯეტში პროგნოზით გათვალისწინებულ შემოსავლების კლებას არ ჰქონია ადგილი. უფრო მეტიც, 2013 წლის პირველი კვარტალის ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებმა შეადგინა 1,6 მლრდ ლარი, რითაც 63,5 მლნ ლარით გადააჭარბა 2012 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს, ხოლო შემოსავლების გადამეტებამ ხარჯებზე (პროფიციტი) - 168 მლნ ლარით. 2013 წლის პირველი კვარტალის ბოლოს სახელმწიფო ხაზინის ანგარიშზე აკუმულირებული იყო 1,1 მილიარდი ლარი, რაც სრულ გარანტიას იძლევა დროულად შესრულდეს ბიუჯეტში განერილი ხარჯების დაფინანსება.<sup>1</sup> საბიუჯეტო შემოსავლების პროგნოზული მაჩვენებლების შესრულებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ქვეყანაში ბიზნეს გარემო არაა გაუარესებული და არსებობს მისი გაუმჯობესების ყველა ნიშანი, თუ, რა თქმა უნდა, არ დამძიმდება პოლიტიკური დაპირისპირება ძველ და ახალ ხელისუფლებას შორის. აქ ერთ გარემოებას უნდა გაეცვას ხაზი. საქმე მდგომარეობს იმაში, რომ მთლიანი შიგა პროდუქტის მოცულობის შემცირების პირობებში საბიუჯეტო შემოსავლების ჩვევით გათვალისწინებული პარამეტრების შესრულება გარკვეული ეჭვის საფუძ-

1 **ხადური ნ.** საქართველოს ეკონომიკაში არავითარი პრობლემა და კრიზისის წინაპირობა არ არსებობს, <http://www.pirweli.com.ge/?menuid=8&id=24514>; **ონოფრიშვილი დ.** საბიუჯეტო კრიზისის სწორედ ამნისტია გამოიწვევს, <http://www.ghn.ge/news-81943.html>

ველს იძლევა. ამის ახსნა, ჩვენი აზრით, შემდეგნაირად შეიძლება. წინა ხელისუფლების დროს მათთან დაახლოებული ბიზნესი გათავისუფლდა რა წილებისაგან, მათ დაიწყეს გადასახადების კეთილსინდისიერად გადახდა სახელმწიფო ხაზინაში.

✓ **საბანკო სფეროს მთლიანი გამოშვება.** საბანკო სფეროში წარმოებული პროდუქტებისა და მომსახურების ერთობლიობა (მთლიანი გამოშვება) არჩევნების შემდგომ პერიოდში ისეთივე ცვალებადი დინამიკით ხასიათდება, როგორც წინასაარჩევნო თვეებში როგორც კომერციულ ბანკების, ასევე ეროვნული ბანკის ქრილში. უფრო მეტიც, 2012 წლის დეკემბერში ამ მაჩვენებელმა მნიშვნელოვნად გადააჭარბა არჩევნებამდელი პერიოდის პიკურ მაჩვენებელს. ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ქვეყნის მონეტარულ სექტორში მდგომარეობა სტაბილურია და ჯერჯერობით არ არსებობს მისი გაუარესების არანაირი საფუძველი.

✓ **პირდაპირი უცხოური ინვესტიციები.** ცნობილია, რომ ეკონომიკურად სუსტი ქვეყნებისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას. საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 2004-2004 წლებში წლიურად ნახევარ მილიარდ აშშ დოლარს არ აღემატებოდა. 2006 წელს საკმაოდ სწრაფად გაიზარდა და შეადგინა 1,2 მლრდ აშშ დოლარი, ხოლო 2007 წელს პიკს მიაღწია და 2,1 მლრდ აშშ დოლარს გაუტოლდა. შემდგომ წლებში დაიწყო კლება და მხოლოდ 2011 წელს მილიარდს მცირედით გადააჭარბა. 2012 წელს კვლავ დაიწყო კლება და წინასწარი მონაცემებით, 865,2 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ უკანასკნელ წლებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობის დინამიკას არ ჰქონდა მკვეთრად გამოხატული ზრდის ტენდენცია და იგი წლიდან წლამდე ხასიათდებოდა ზრდისა და კლების მონაცვლეობით ანუ ტურბულენტური ხასიათის იყო.

რაც შეეხება 2012 საარჩევნო წელს, აქ მდგომარეობა შემდეგნაირად გამოიყურებოდა. მესამე კვარტალში (არჩევნებამდე) საქართველოში შემოსულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციამ შეადგინა 195,4 მლნ აშშ დოლარი, რაც თითქმის 2-ჯერ ჩამორჩება 2011 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს (317,0 აშშ დოლარი). ამავე წლის მეოთხე კვარტალში (არჩევნების შემდგომ) მან შეადგინა 181,1 მლნ აშშ დოლარი, რაც ასევე დაახლოებით 2-ჯერ ნაკლებია წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან (342,6 მლნ აშშ დოლარი). გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან შეიძლება ვთქვათ, რომ უცხოური ინვესტიციების კლების ტენდენცია ჩამოყალიბდა საპარლამენტო არჩევნებამდე, ხოლო არჩევნების შემდგომ ეს ტენდენცია შენარჩუნდა უფრო გაღრმავებული სახით.

ინვესტიციურ გარემოზე და უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მოზიდვაზე მოქმედი ნეგატიური ფაქტორები საქართველოში არშემდგარი პოლიტიკური კოჰაბიტაციის პირობებში მრავალფეროვანია, რომელთა შორის უნდა აღინიშნოს შემდეგი:

✓ **ცრუ ინფორმაციის გავრცელება.** სახელმწიფო ინტერესების საზიანოდ ვიწრო პარტიული ინტერესებიდან გამომდინარე, ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმების შესახებ ცრუ, დაუზუსტებელი ინფორ-

მაციის გავრცელება აფრთხობს როგორც შიდა, ასევე უცხოურ ინვესტორებს. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ინვესტიციები ადვილად მიედინება აღმავალი ეკონომიკისკენ. ეს უკანასკნელი კარგად ჰქონდა გაცნობიერებული წინა ხელისუფლებას და არ იშურებდა ფინანსებს, ხშირ შემთხვევაში ცრუ პოზიტიურ ინფორმაციასაც იყენებდა, რათა წარმატებულად წარმოეჩინა საქართველოს ეკონომიკა საერთაშორისო სივრცეში. თუმცა, ოპოზიციაში აღმოჩენისთანავე, არსებითად შეცვალა ტაქტიკა და პოლიტიკური დივიდენდების მოპოვების მიზნით დაიწყო ცრუ ნეგატიური ინფორმაციის გავრცელება. პოლიტიკური რეიტინგის მოპოვების მიზნით სახელმწიფო ინტერესების შენიღვა, ჩვენი აზრით, ღალატის ტოლფასია. 2013 წლის იანვარში ნაციონალური მოძრაობის საგანგებო განცხადება საბიუჯეტო კრიზისის დაწყების შესახებ<sup>1</sup>, რომელიც არანაირად რად არ იყო არგუმენტირებული და არ შეესაბამებოდა რეალურ სურათს, მიზნად ისახავდა საზოგადოებაში პანიკის შექმნას, აგრეთვე მიმართული იყო იქითკენ, რომ საერთაშორისო თანამეგობრობისა და უცხოელი ინვესტორებისთვის მიეცათ სიგნალი უმრავლესობით მოსული ახალი ხელისუფლების მხრიდან განხორციელებული სახელმწიფო მენეჯმენტის არაეფექტიანობის შესახებ. ქვეყნის ინტერესების საზიანოდ ხელისუფლებაში ტრიუმფალური დაბრუნებისათვის ნებისმიერი მეთოდის გამოყენება დაუშვებელი და საზიანოა.

✓ **კრიმინოგენური ვითარება.** ინვესტიციური აქტივობა ბევრად არის დამოკიდებული ქვეყანაში არსებულ სამართლებრივ ნესრიგზე. ამ მხრივ, წინა ხელისუფლებამ უზრუნველყო საკმაოდ ხელსაყრელი გარემოს ჩამოყალიბება, მინიმუმამდე დაიყვანა კრიმინალური ქმედებები (ქურდობა, ყაჩაღობა და ა.შ.), რაც ხელს უწყობდა ამ კუთხით ჯანსაღი ბიზნეს-გარემოს ფორმირებას. თუმცა ქვეყანაში მოსახლეობის უმრავლესობის აზრით წინა ხელისუფლება ფართოდ იყენებდა შერჩევით სამართალს, რის გამოც ძალიან ბევრი პატიმარი უსამართლოდ იხდიდა სასჯელს. ამ გარემოებამ დღის ნესრიგში დააყენა ფართო ამნისტიციის, ათასობით პატიმრის გათავისუფლების საკითხი. **დამარცხებული პოლიტიკური პარტიის ლიდერებმა ისარგებლეს რა ამ ამ სიტუაციით, არწმუნებდნენ საერთაშორისო საზოგადოებას და, მათ შორის, უცხოელ ინვესტორებსაც, რომ ათასობით პატიმრის გათავისუფლება სერიოზულ საფრთხეს შეუქმნიდა როგორც საზოგადოებას, ასევე ბიზნესს. ამ გარემოებამ მნიშვნელოვნად შეაყვანა შიდა და გარე ინვესტიციები, გადაიყვანა ისინი გრძელვადიანი მოლოდინის რეჟიმში.** ფაქტობრივად ამნისტიციას არ გამოუწვევია კრიმინოგენული მდგომარეობის გართულება, თუმცა, იმის გამო, რომ ოპოზიცია მიზანმიმართულად აპელირებს ბიზნეს-გარემოს გაუარესებაზე, გარე ინვესტორების გარკვეული ნაწილის მხრიდან გადანყვეტილებების მიღებამ მაინც გადაინია დროში. ფულს, ინვესტიციას უყვარს სიწყნარე და სიმშვიდე. ცნობილია, რომ თავისუფალი კაპიტალი ბიზნესის ფრთხილი და მშიშარა კომპონენტია. იგი, თუ თოფი გავარდა ან ჯანყი დაიწყო, სხვა მხარეს მიდის,

1 **ვანო მერაბიშვილი.** ქვეყანაში საბიუჯეტო კრიზისის პროგნოზირება, <http://www.netgazeti.ge/GE/105/News/16219/>

უფრო მეტიც, ასეთ ქვეყანაში შემოსული კაპიტალი ინყებს უფრო მყუდრო ადგილის ძებნას და ბაზირდება სტაბილურ რეგიონში.

✓ **პოლიტიკური სტაბილურობა.** შიდა და გარე პირდაპირი ინვესტიციების მოზიდვაზე ნეგატიურ გავლენას ახდენს ქვეყანაში შექმნილი არასტაბილური პოლიტიკური მდგომარეობა, რაც საერთაშორისო პრაქტიკით არის დადასტურებული. ქართველ მკვლევართა და ექსპერტთა ერთი ნაწილის აზრით, უცხოური ინვესტიციების შემოღინებაზე ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური არასტაბილურობა ვერ მოახდენს გავლენას<sup>1</sup>, რის არგუმენტად მოყავთ ზოგიერთი განვითარებული ქვეყნის მაგალითი. ვერ დავეთანხმებით ამგვარ მოსაზრებას იმ მოტივით, რომ, განვითარებული ქვეყნის ეკონომიკა, სადაც მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს საბაზრო ურთიერთობებს, არაშედარებადია ჯერ კიდევ ფეხაუმიდგარ საქართველოს ეკონომიკასთან. მცირე ზომის ქვეყნებში ნებისმიერი პოლიტიკური და სოციალური დისბალანსი პირდაპირ აისახება როგორც უცხოელი, ასევე ადგილობრივი ინვესტორების ქცევაზე და საინვესტიციო რისკებზე. დასაშვებია, რომ მოკლევადიანმა არასტაბილურობამ მართლაც არ მოახდინოს სერიოზული გავლენა ეკონომიკურ ქცევაზე, მაგრამ როდესაც იგი მუდმივ და განუზღვრელ ხასიათს ღებულობს, როგორც ამას ადგილი აქვს თანამედროვე ეტაპზე საქართველოში, იზრდება რისკ-ფაქტორები და, შესაბამისად, ინვესტიციურ აქტივობაზე მისი გავლენის ხარისხი მნიშვნელოვნად იზრდება. ინვესტორი და მით უმეტეს უცხოელი, კაპიტალდაბანდებებზე გადაწყვეტილებას ემოციებით არ ღებულობს, მისთვის მთავარია სტაბილური გარემო.

✓ **საკუთრების დაცულობა.** ქონებრივი უფლებების დაცულობის ხარისხი ინვესტიციური რისკის ერთ-ერთი ყველაზე მთავარი ინდიკატორია. საქართველოში სახელისუფლებო ცვლილებების შემდგომ საზოგადოებისათვის ცნობილი გახდა წინა ხელისუფლების მიერ ქონების ძალადობრივი გზით ჩამორთმევის მასიური ფაქტების შესახებ. ახალი ხელისუფლებისათვის ამ პრობლემის დარეგულირება ერთ-ერთი უმწვავესი პრობლემა გახდა<sup>2</sup>. ნაციონალური ხელისუფლება მაქსიმალურად ამარტივებდა ბიზნესის დაწყების პროცედურებს, რაც ერთგვარად ასტიმულირებდა უცხოური ინვესტიციების მოზიდვას. საერთაშორისო ინვესტორები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ბიზნესის კეთების სიმარტივის კუთხით ქვეყნისათვის მინიჭებულ რეიტინგს. ამ უკანასკნელით საქართველო უკანასკნელ წლებში მსოფლიო ქვეყნების პირველ ათეულში ფიგურირებდა. თუმცა ბიზნესის დაწყება ერთია, ხოლო მისი განვითარება სხვა და უფრო რთული საკითხია. როგორც ჩანს, სარეიტინგო სამსახურებს არ ჰქონდათ რეალური ინფორმაცია ბიზნესის ქვეყნის შიდა სამზარეულოს შესახებ, სადაც საყოველთაო ხასიათი ჰქონდა ქონებისა და

წილების უკანონო ჩამორთმევას და ხელისუფლებასთან დაახლოებულ პირებზე გადაფორმებას. ახალმა ხელისუფლებამ საამქარაოზე გამოიტანა წინა ხელისუფლების მიერ ბიზნესის სახელმწიფოს მხრიდან დაყარალების უამრავი ფაქტი. ყოველივე ამან გაზარდა ინვესტიციური რისკის ალბათობა და გაზარდა სიტუაციის დარეგულირების მოლოდინის დროითი ლაგა. **მანამ, სანამ არ მოწესრიგდება ქონებრივი დავები, სასამართლოს ან არბიტრაჟის მეშვეობით არ დაუბრუნდება აქტივები ფაქტობრივ მესაკუთრებს, უცხოელი ინვესტორები სიფრთხილით მოეკიდებიან ინვესტირებას საქართველოში.** ამ პრობლემის დასაძლევად საჭიროა შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება, რომლითაც მოხდება ქონებრივი უფლებების გარანტიების უზრუნველყოფა.

**რომელი წინასაარჩევო ეკონომიკური დაპირებები შეასრულა და ვერ შეასრულა ხელისუფლებამ?**

მსოფლიო საარჩევო პრაქტიკაში მიღებულია, რომ არჩევნებს იგებს ის პოლიტიკური გაერთიანება, რომელიც საზოგადოებაზე გასცემს ყველაზე პრიორიტეტულ და მოთხოვნად პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ დაპირებებს და დააჯერებს ამომრჩეველს მათი შესრულების შესაძლებლობებში. თუმცა, როგორც წესი, დაპირებები ყოველთვის აჭარბებს შესაძლებლობებს, ამიტომაც ისტორიაში ნაკლებად თუ მოიძებნება სახელმწიფო, რომლის მოსახლეობა კმაყოფილი იყოს თავისი სახელმწიფო მოხელეების საქმიანობით. არც საქართველო ამ მხრივ გამოხატავს. დღემდე არჩევნებში გამარჯვებულ პოლიტიკურ პარტიებს “მრგვალ მაგიდას”, “მოქალაქეთა კავშირს”, “ნაციონალურ მოძრაობას” თავისი საარჩევო დაპირებების უდიდესი ნაწილი ვერ, ან არ შეუსრულებია. მაგალითად, შეიძლება დასახელდეს “ნაციონალური მოძრაობის” ისეთი შეუსრულებელი ეკონომიკური და სოციალური ხასიათის დაპირებები, როგორც იყო: **უმუშევრობის პრობლემის მოგვარება; საქართველო სიღარიბის გარეშე; ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა; პენსია 100 აშშ დოლარის მოცულობით; საქართველოს გადაქცევა მსოფლიო ფინანსურ ცენტრად და სხვა.**

ძალიან დიდი სარისკო საქმეა არჩევნებში გამარჯვებული კოალიცია “ქართული ოცნების” ხელისუფლების მიერ მოკლე დროში განხორციელებული ეკონომიკური რეფორმების შედეგების შეფასება, თუმცა იგი აუცილებელია, რათა დროულად და ობიექტურად იქნას გამოვლენილი მისი ძლიერი და სუსტი მხარეები და დაისახოს არსებული გამოწვევების დაძლევის კონკრეტული გზები.

მიუხედავად ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური და სოციალური დაძაბულობისა, ქვეყნის ახალმა პარლამენტმა და მთავრობამ მისი საქმიანობის პირველ 6 თვეში წინასაარჩევო პროგრამის საკმაოდ დიდი ნაწილი შეასრულა. კერძოდ:

✓ **ელექტროენერჯის ტარიფი შემცირდა 21-27%-ით, სანავის ფასი — 10%-ით, ფარმაცევტულ**

1 **თვალჭრელიძე ს., სილაგაძე ა., შემელიძე პ.** ინვესტორებს გაფიცვა და საპროტესტო გამოსვლა არ დააფრთხობს, [http://www.resonancedaily.com/index.php?id\\_rub=3&id\\_artc=12937](http://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=3&id_artc=12937)

2 **კვირიკაშვილი გ.** პრივატიზაციის შედეგების გადახედვა და უკვე გაფორმებული ხელშეკრულებების გადასინჯვა აღარ იგეგმება, <http://ghn.ge/news-86844.html>

ნაწარმზე ფასი — 30-70%-ით, პურზე-5-10%-ით, შაქარზე-15-20%-ით.

✓ 2013 წლის პირველი აპრილიდან პენსია გახდა 125 ლარი, ხოლო 1 სექტემბრიდან — 150 ლარამდე გაიზარდა.

✓ პირველი ივლისიდან გაორმაგდება სოციალურად დაუცველი მოსახლეობის (57 ათას ქულამდე) ფულადი დახმარება.

✓ ყველა კატეგორიის მოქალაქე უზრუნველყოფილ იქნა საბაზისო სადაზღვევო პაკეტით.

✓ ბიზნესი გათავისუფლდა სახელმწიფო და პარტიული ზენოლისგან.

✓ შემოღებულ იქნა დაუბეგრავი მინიმუმი. წლიურად 6 ათასამდე შემოსავლების მქონე პირები არ დაიბეგრებიან საშემოსავლო გადასახადით.

✓ მიღებულ იქნა გამჭვირვალე და უსაფრთხო ბიუჯეტი. მნიშვნელოვნად შემცირდა ჯარიმების მოცულობა, კეთილსინდისიერი გადახდელის ჯარიმებისგან გათავისუფლების უფლება საგადასახადო სამსახურთან (დავის განმხილველი კომისია) ერთად სასამართლოსაც მიეცა, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების გადავადების ერთწლიანი ვადა 3 წლამდე გაიზარდა, გაუქმდა კერძო საგადასახადო ინსპექტირების ინსტიტუტი, რაც ხშირად უსამართლო დაჯარიმებას იწვევდა.

✓ დაიწყო სახელმწიფო საგარეო ვალის შემცირება. 2013 წელს იგი 200 მლნ აშშ დოლარით შემცირდება. მომავალში მთავრობა საგარეო ვალს მხოლოდ ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის აიღებს;

✓ დაიწყო საბანკო კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთების შემცირების პროცესი;

✓ გაიზარდა საჯარო სკოლის მასწავლებელთა შრომის ანაზღაურება, სკოლის მოსწავლეებისთვის სახელმძღვანელოები უფასო გახდა;

✓ ამოქმედდა ჯანმთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა. ჯანდაცვას, როგორც პრიორიტეტულ მიმართულებას წინა წელთან შედარებით 76%-ით გაეზარდა ბიუჯეტი.

✓ დაიწყო მოლაპარაკებები ახალი ინვესტიციების მოსაზიდად მეტალურგიაში (205 მლნ ლარი) და ფოთის პორტის ახალი ქარხნის მშენებლობისთვის აზერბაიჯანიდან (სავარაუდოდ 1 მლრ აშშ დოლარის მოცულობით).

✓ წარმატებით მიმდინარეობს რუსეთის ფედერაციასთან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით ვაჭრობის დარეგულირების პროცესი.

✓ სოფლის მეურნეობის დარგი წინა პლანზე იქნა წამოწეული და მისი ბიუჯეტი გაიზარდა 60%-ით, შეიქმნა 1 მილიარდიანი ფონდი. 2013 წლის თებერვალში ამუშავდა მცირემინიან ფერმერთა ხელშეწყობის პროგრამა, რომელიც სოფლის მეურნეობის ფონდიდან დაფინანსდება.

✓ მასშტაბური სამუშაოები მიმდინარეობს სოფლის მეურნეობის განვითარების მიმართულებით. დაახლოებით 640 ათასამდე მიწის მესაკუთრეს დაურიგდა ბარათები (ვაუჩერები) სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესასრულებლად (მიწის მოხვნა, გაფხვიერება, ინვენტარისა და ნედლეულის შექმნა და

სხვა). ევროკავშირმა სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტის ფარგლებში საქართველოს გამოუყო 40 მლნ ევრო. დაიწყო მილიონზე მეტ მსხვილფეხა საქონლის ვაქცინაცია, კერძო სექტორის პირუტყვის აღწერა, ამუშავდება მცენარეთა მავნებლობისგან დაცვის პროგრამა. იმის გამო, რომ მიწების 70%-მდე არ იყო რეგისტრირებული, განხორციელდა მიწის მესაკუთრეთა აღწერა, შეიქმნა საინფორმაციო ბაზა. მომზადდა 900-მდე ტრაქტორისტ-მემენქანე, გამოიყო თანხა 350 მძიმე სასოფლო-სამეურნეო მექანიზაციის ტექნიკის, 1700 მოტობლოკისა და ამდენივე მისაბმელის შესაძენად. დაიწყო სოფლად საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების შექმნა. ასეთი სამსახურები უკვე შექმნილია 54 მუნიციპალიტეტში, სადაც დასაქმდა 250 სპეციალისტი. 2013 წელს ირიგაციისა და დრენაჟის რეაბილიტაციისთვის გამოიყო 54 მლნ ლარით მეტი თანხა (2011 წელს 10 მლნ იყო). მიმდინარეობს არხების რეაბილიტაცია მარნეულში, გარდაბანში, მცხეთაში, საგარეჯოში, ქარელში, კასპში. დაიწყო სარწყავი არხების განმენდის სამუშაოები სხვადასხვა რეგიონებში<sup>1</sup>.

✓ ამოქმედდა შეღავათიანი აგროკრედიტების პროგრამა. დაიწყო სამკომპონენტო კრედიტების გაცემა. პირველი კომპონენტი გამოიწვევს მცირე ფერმერებისთვის და გულისხმობს სასაქონლო განვადებას 5 ათას ლარამდე. იგი 6 თვემდე უპროცენტოა, ხოლო შემდეგ ყოველ მომდევნო თვეში 3 პროცენტია. მეორე კომპონენტი გულისხმობს 8 პროცენტო კრედიტს 5-დან 10 ათას ლარამდე 2 წლის ვადით საშუალო და მსხვილი ფერმერებისთვის. მესამე კომპონენტის ფარგლებში სასოფლო-სამეურნეო საწარმოებზე გაიცემა 1 მილიონამდე 3 პროცენტო კრედიტი 7 წლის ვადით. სხვაობა საბაზრო საკრედიტო პროცენტსა და შეღავათიან პროცენტებს შორის დაიფარება სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდიდან. დღეისათვის შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტში მონაწილეობას ლეზულობს 11 კომერციული ბანკი და 2 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია.<sup>2</sup>

✓ ეკონომიკის აღორძინება-განვითარების მიზნით მთავრობის ინიციატივით დაიწყო საინვესტიციო ფონდების შექმნის პროცესი. დიდი ამოცანები დაეკისრა წინა ხელისუფლების მიერ 2011 წელს ჩამოყალიბებულ საპარტნიორო ფონდის სამართალმემკვიდრეს-სუვერენულ ფონდს, რომელმაც უნდა მოიზიდოს 2 მილიარდი აშშ დოლარის მოცულობის ინვესტიცია და განახორციელოს სტრატეგიული პროექტები. მის მართვაში გათვალისწინებულია მსოფლიოში ცნობილი საინვესტიციო ბანკი IP Morgan-ის ჩართვა. ჭფონდის შემოსავლების წყარო იქნება როგორც უცხოეთიდან მიღებული ინვესტიციები, ასევე სახელმწიფო კომპანიების (რკინიგზა, ნავთობისა და გაზის კოორპორაცია და სხვა) დივიდენდები და ინვეს-

1 კირვალიძე დ. პირველად ისტორიაში სოფლის მეურნეობა სახელმწიფო პრიორიტეტია, <http://www.ambebi.ge/sazogadoeba/70751-dasvith-kirsvaslisdze-qpirsveslad-isstosrisasshi-soflis-mesurnesosba-saskhelsmtsifos-prisosristestisaq.html>

2 შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი, <http://moa.gov.ge/?p=2617>

ტიციები. ჭფონდი ინვესტიციებს განახორციელებს ენერჯეტიკაში, აგრობიზნესში, ინფრასტრუქტურაში და სანარმოთა მშენებლობაში.<sup>1</sup>

✓ გათვალისწინებულია აგრეთვე მცირე ზომის ინვესტიციური ფონდის შექმნა, რომელიც მიმართული იქნება ახალგაზრდული პროექტებისა და კრეატიული ბიზნესის ნახალისებისკენ. ჩგარდა ამისა შეიქმნება კერძო საინვესტიციო ფონდი, რომელიც უცხოეთიდან შემოსულ ინვესტიციებს გაუნეწვს თანდაფინანსებას.

✓ დაიწყო ახალი და გრძელდება ადრე დაწყებული ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება. 2013 წელს ინფრასტრუქტურულ პროექტებზე დაიხარჯება 935 მლნ ლარი ანუ 235 მლნ ლარით მეტი ვიდრე 2012 წელს დაიხარჯა. ამასთან გრძელდება ყველა ადრე დაწყებული მცირე, საშუალო და მსხვილი პროექტი და დაიწყო ახალი პროექტებიც. უარი ეთქვა მხოლოდ ქ. ლაზიკის მშენებლობის პროექტს, მისი საპროექტო და ფინანსური უზრუნველყოფის არარსებობის გამო. მიმდინარე წელს დასრულდება 250 კმ საავტომობილო გზის, 30 ხიდის, და 3 გვირაბის რეაბილიტაცია, გაგრძელდება რუის-აგარის საავტომობილო გზის, აგარა-გომის შემოვლითი გზის, ზესტაფონი-ქუთაისის მონაკვეთის, ქუთაისის შემოვლითი გზის, ქობულეთის შემოვლითი გზის, დაიწყება სამტრედია-გრიგოლეთის გზის და სხვა გზების მშენებლობა-რეაბილიტაცია. წყალმომარგების სისტემის სარეალიზაციო-სამშენებლო სამუშაოები დაწყებულია 25 ქალაქში. იძულებით გადაადგილებულ პირთათვის შენობების ასაშენებლად დაიხარჯება 55 მლნ ლარი.<sup>2</sup> აღსანიშნავია, რომ რეგიონული ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება 2013 წლის პირველ კვარტალში უფრო სწრაფი ტემპით მიმდინარეობს 2012 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. კერძოდ, ინფრასტრუქტურულ მშენებლობებზე განეული ხარჯების საკასო შესრულებამ 2013 წლის პირველ კვარტალში შეადგინა 87,2 მლნ ლარი, მაშინ, როდესაც 2012 წლის ამავე პერიოდში იგი 55,3 მლნ ლარს შეადგენდა ანუ ზრდამ შედგინა 36 პროცენტი.<sup>3</sup>

✓ არსებითად შეიცვალა რეგიონებში განსახორციელებელი ფონდიდან პროექტების დაფინანსების პროცედურა. რეგიონებიდან და მუნიციპალიტეტებიდან სათანადო კრიტერიუმებით წარმოდგენილი პროექტები განიხილება და შეირჩევა სამთავრობო კომისიის მიერ და არა ერთპიროვნულად, როგორც ამას ადრე ჰქონდა ადგილი. ფონდიდან მიღებული თანხის მიზნობრივ ხარჯვაზე დაწესებულია მკაცრი მონიტორინგი. თითოეული პროექტის შემსრულებე-

ლი ფირმა შეირჩევა ობიექტური ტენდერის მეშვეობით და არა ერთ პირთან მოლაპარაკებით, როგორც ამას ადგილი ჰქონდა წინა პერიოდში, რაც კორუფციის მაღალ რისკს შეიცავდა. ასევე დაგეგმილია მშენებლობის ტექნოლოგიური ვადების დაცვა, რაც გამორიცხავს უხარისხო მშენებლობებს და იერიშობანას პოლიტიკური ქულების ჩანერის მიზნით.

✓ შეიქმნა დემოგრაფიული აღორძინების ფონდი, რომლის მიზანია ქვეყანაში შექმნილი მძიმე დემოგრაფიული ვითარების დარეგულირება და უპირველეს ყოვლისა, შობადობის გაზრდა. ამ მიზნით გათვალისწინებულია ყოველ მესამე შვილზე ყოველთვიური დაფინანსების პროგრამის ამოქმედება.

✓ აქტიური მუშაობაა დაწყებული ადგილობრივი თვითმმართველობების პოლიტიკური, ეკონომიკური და ინსტიტუციონალური მოწყობის ახალი რეფორმისტული სტრატეგიისა და შესაბამისი სამოქმედო პროგრამის ფორმირებისა და იმპლემენტაციის მიმართულებით;

✓ საყურადღებოა, რომ ხელისუფლებამ აქტიური მუშაობა დაიწყო ქვეყნის შიდა სახელმწიფო ვალად აღიარებული ძველი საბჭოთა ანაბრების მოსახლეობისთვის დაბრუნების საკითხზე, რასაც არ ითაღისწინებდა მმართველი ხელისუფლების არც წინასაარჩევნო დაპირება და არც სამთავრობო პროგრამა.

ახალი ხელისუფლების მიერ განხორციელებული ეკონომიკური რეფორმების ზემოქანთავლილი არასრული ნუსხა შეიძლება ერთი შეხედვით წინასაარჩევნო დაპირებების უმნიშვნელო ნაწილად მოგვეჩვენოს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ქვეყანაში შექმნილ პოლიტიკურ დაპირისპირებას და წინა ხელისუფლების მხრიდან წესების გარეშე ბრძოლას არა სახელმწიფო ინტერესებიდან, არამედ სკამების დასაბრუნებლად, შეიძლება ითქვას, რომ ახალმა ხელისუფლებამ ამ მოკლე დროში საკმაოდ გაბედული ნაბიჯები გადადგა. ის რაც გაკეთდა არის არა წუთიერი ეკონომიკურ ეფექტის მომცემი, არამედ მიმართულია გრძელვადიან პერიოდში სტაბილური და მდგრადი ეკონომიკური განვითარებისკენ. ამავე დროს ძნელია მიღებული გადაწყვეტილებების ეფექტიანობის წინასწარ განსაზღვრა, რადგან ამისათვის საჭიროა მათი პრაქტიკული იმპლემენტაციის შედეგების დროში გამოცდა. არ არის გამორიცხული, რომ დაშვებულია გარკვეული შეცდომები, რომლებმაც შეიძლება თავი იჩინონ უახლოეს ან შორეულ მომავალში.

ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს წინასაარჩევნო დაპირებებისა და სამთავრობო პროგრამის საკმაოდ დიდი ჩამონათვალი, რომლებიც ჯერჯერობით რეაგირების გარეშეა და ხელისუფლების (ამ შემთხვევაში პარლამენტისა და მთავრობის) მომავალ სამოქმედო გეგმაში რჩება. წინასწარ უნდა შევნიშნოთ, რომ დედამიწაზე არ არსებობს სახელმწიფო, სადაც ხელისუფლების სათავეში მოსულ პოლიტიკურ პარტიას პირნათლად შეესრულებინოს ამომრჩევლებისთვის მიცემული შეპირებები. ეს უკანასკნელი განპირობებულია სხვადასხვა ობიექტური და სუბიექტური ფაქტორებით და პირობებით. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ნებისმიერი პოლიტიკური პარტია წინასაარჩევნო მართონში ცდილობს ამომრჩევლების ისეთნაირი დაპირებებით და-

1 კოვზანაძე ი. სუვერენული ფონდის საინვესტიციო პორტფელი ეკონომიკის თითქმის ყველა მნიშვნელოვან მიმართულებას მოიცავს, "ბანკები და ფინანსები", 2013, №319.

2 ნარმანია დ. არც ერთი პროექტი არ შეჩერებულა, <http://www.kvirispalitra.ge/economic/16536-davith-narmania-arcerthi-proeqti-ar-shecherebula.html>

3 ნარმანია დ. შარშანდელ შედეგებს ყველა პარამეტრებით გადავაჭარბეთ, გაზ., "რეზონანსი", 2013, 24 აპრილი, №107 (7394).

მუხტვას, რომელთა ნაწილი არ არის უზრუნველყოფილი არანაირი რესურსული შესაძლებლობებით, მაგრამ იგი მიზნის მიღწევის ძლიერ ინსტრუმენტს წარმოადგენს. ასეა ეს ყველა ქვეყანაში და, რა თქმა უნდა, საქართველოშიც. ამიტომაც, ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისგან, რომ კოალიცია “ქართული ოცნება” დათქმულ დროში სრულად შეძლებს ყველა იმ დაპირების შესრულებას, რომელიც მან გასცა ამომრჩევლებზე. მეორე მხრივ, ცხოვრება წინ მიდის, პოლიტიკური და ეკონომიკური მოვლენები სწრაფად იცვლება, თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში წარმოიშობა ახალი უფრო მნიშვნელოვანი პრობლემები და გამოწვევები, რის გამოც ადრე პრიორიტეტულად მიჩნეული საკითხები უკანა პლანზე გადაინეწვს ხოლმე.

**მეორე მნიშვნელოვანი გარემოება**, რომელსაც უთუოდ უნდა გაეჩინოს ანგარიში, არის დროის ფაქტორი. ქვეყნის წინაშე დაგროვილი მრავალრიცხოვანი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პრობლემების ერთბაშად, ერთი “ხელის მოსმით” გადაჭრა მოკლე დროში შეუძლებელია არა თუ ისეთი ღარიბი და დემოკრატიულად განუვითარებელი ქვეყნისთვის როგორც საქართველოა, არამედ ინდუსტრიულად მაღალგანვითარებული ქვეყნებისთვისაც კი. ეკონომიკა თავისი ბუნებით ინერციულ-გენეტიკური ბუნებისაა და მას არ ახასიათებს ნახტომისებრი განვითარება. რომ არსებობდეს მყისიერად, მოკლე დროში ყველა პრობლემის გადაჭრის შემძლე “სტრატეგია”. “პროგრამა”, “სამუშაო გეგმა” (“ჯადოსნური ჯოხი”), მაშინ მსოფლიოში არ იქნებოდა ომები, კრიზისები და კაცობრიობა უპრობლემოდ იცხოვრებდა. გამომდინარე აქედან, როდესაც ფასდება მთავრობის მიერ განეული ძალისხმევა ეკონომიკის განვითარების კუთხით, უთუოდ უნდა იქნას გათვალისწინებული იმ დროის ხანგრძლივობა, რომლის განმავლობაში შესაძლებელი იქნებოდა ამა თუ იმ პრობლემის პრაქტიკულად გადაჭრა.

**მესამე ფაქტორი**, რომელიც ასევე უნდა იქნას გათვალისწინებული პოსტსაარჩევნო პერიოდში ხელისუფლების ეკონომიკური საქმიანობის შეფასებისას, არის ის თავისებურებები, რომელიც თან ახლავს სახელისუფლებო ბერკეტების გადაცემის პროცესს. განვითარებულ ქვეყნებში იგი არაა მტკიცენი, რადგან არსებობს ამის დიდი ტრადიცია და გამოცდილება. საქართველოში კი სახელისუფლებო ბერკეტების დათმობა აღიქმება ტრადიციულად, რადგან ამას თან ახლავს იმ კანონიერი და უკანონო პრივილეგიების დაკარგვა, რომლითაც სარგებლობდა ესა თუ ის ხელისუფლება. დღევანდელ საქართველოს პირობებში ამას ემატება ისიც, რომ ახალმა ხელისუფლებამ დღის შუქზე გამოიტანა ის ეკონომიკური და სხვა სახის დანაშაულობანი, რომელიც ჩაიდინა წინა ხელისუფლებამ. აქედან ბუნებრივია, რომ ყოფილი ხელისუფლების მხრიდან წინა პლანზე წამოიწია თვითგადარჩენის ინსტიტუტმა და მისმა ყველაზე ანგაჟირებულმა ნაწილმა თავდაცვის იარაღად მიიჩნია შეტევის სტრატეგია. ასეთ ვითარებაში სრულყოფილი რეფორმების განხორციელება ეკონომიკის ყველა სფეროში პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. მოკლედ რომ ვთქვათ, ერთი ხელიდან მეორე ხელში ძალაუფლების გადაცემის პროცესი, ანუ

გარდამავალი პერიოდი ეკონომიკურ განვითარებაზე ნეგატიურად აისახა.

მიუხედავად ზემოაღნიშნული ობიექტური ფაქტორებისა, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ იმ სუბიექტურ ასპექტებს, როლებმაც განაპირობეს ზოგიერთ მნიშვნელოვან წინასაარჩევნო დაპირებებზე ხელისუფლების სუსტი ან დაგვიანებული ძალისხმევა. საზოგადოებას უკვე გაუჩნდა სამართლიანი კითხვები ეკონომიკის მთელ რიგ აქტუალურ საკითხებზე, რომლის განხორციელებას ელოდა კოალიცია “ქართული ოცნებას” მხრიდან. ამ კუთხით საზოგადოებრივ ინტერესს ინვესტს საკითხთა ფართო წრე, რომელთა შორის განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს შემდეგი:

✓ **არ გადადგმულა ნაბიჯები ბიზნესის ხელოვნური მონოპოლიისგან გასათავისუფლებლად, რაც ხელს უშლის თავისუფალი მენარმეობის განვითარებას. დროულად ვერ მოხერხდა 2012 წლის დეკემბერში შექმნილი კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ფუნქციების კანონით დარეგულირება, მისთვის ბაზრის მონიტორინგის ფუნქციის მინიჭება. მსხვილი ბიზნესი კვლავაც წარმოდგენილია მონოპოლიური, კარტელური გაერთიანებების სახით, რომლებიც თავიანთ პირობებს კარნახობენ ბაზარს და ფართო მოხმარების საქონელსა და მომსახურებაზე აწესებენ გაზრდილ მაღალ ფასებს. განსაკუთრებით ეს ეხება ნავთობპროდუქტების, მინერალური წყლების და მომპოვებელი მრეწველობის ბიზნესს;**

✓ **არ გატარებულა სათანადო ღონისძიებები საკუთრების დაცვის, წარსულში ამ სფეროში ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებების სამართლებრივი შეფასების, აგრეთვე მომავალში საკუთრებისა და ბიზნეს-გარიგებების დაცულობის, მათი ხელშეუხლებლობის უზრუნველყოფის მიმართულებით. დაგვიანდა მუშაობა საკუთრებაში არსებული ქონების ინვეტარიზაციისა და საკუთრების (განსაკუთრებით მიწის) ეროვნული უსაფრთხოების დაცვის კუთხით (უნდა აღინიშნოს, რომ დაიწყო მიწის უცხოელებზე გაყიდვის პრობლემის დარეგულირების პროცესი);**

✓ **ერთ-ერთ ყველაზე მტკიცენი საკითხად რჩება დასაქმების პრობლემა. ამ მხრივ შენარჩუნებულია სტაგნაციური მდგომარეობა. ეს განპირობებულია იმით, რომ ობიექტური მიზეზების გამო დროში გაიწვია სახელმწიფო და რეგიონული პროგრამების კორექტირება, შესაბამისი ტენდერების გამოცხადება. ეს პროცესი უკვე დამთავრებულია და უახლოეს მომავალში მოსალოდნელია დასაქმების მნიშვნელოვნად ზრდა;**

✓ **არ გააქტიურებულა მუშაობა შიდა ინვესტორების წახალისების მიმართულებით, მათზე არ გავრცელებულა ის უპირატესობები, რაც მინიჭებული აქვთ უცხოურ ინვესტორებს;**

✓ **არ დაწყებულა საქმიანობა საპენსიო დაზღვევისა და დეპოზიტების დაზღვევის საკანონმდებლო საკითხებზე;**

✓ **სუსტია ძალისხმევა ევროკავშირისა და აშშ-თან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაფორმების მიმართულებით;**

✓ **არასაკმარისად მიდის მუშაობა შრომის ბაზ-**



რის რეგულირების, უმუშევრობის დონის შემცირების, დაუსაქმებელთა აღრიცხვის საინფორმაციო ბანკის შექმნის საკითხებზე;

✓ არ გააქტიურებულა საქმიანობა მიწების პასპორტიზაციის, მიწათსარგებლობის მარეგულირებელი ნორმების შემუშავებისა და კოოპერაციით ხელშეწყობის საკითხებზე;

✓ არ დაზუსტებულა აქციზური საქონლის ნომენკლატურა, ფუფუნების საქონლზე არ დანესებული დაბეგვრის ახალი მექანიზმი;

✓ არ განხორციელებულა უხარისხო საქონლისა და დემპინგური ფასებისგან ადგილობრივი ბაზრის დაცვის ღონისძიებები და ა.შ. და ა. შ.

ამ ჩამონათვალის გაგრძელებას არა აქვს მიზნობრივი დატვირთვა, რადგან ნებისმიერი კვალიფიციური სპეციალისტისთვის (განსაკუთრებით პოლიტიკოსისა და ეკონომისტისთვის) ცხადია, რომ წინასწარჩვენო დაპირებების შესრულება ერთაშად შეუძლებელია. ოპოზიციის მხრიდან კი გამუდმებული პედალირება იმის შესახებ, რომ მთავრობა დანაპირებს არ ასრულებს, კიდევ უფრო აღრმავებს საზოგადოების დიდი ნაწილის აზრს მათი არაკონსტრუქციული ოპონირებისა და არადექვატური ქცევის შესახებ.

**და მაინც, ეკონომიკური კრიზისი  
თუ ეკონომიკური შენელება?**

ამ ორი კატეგორიის კლასიკური შინაარსის გაგებას დიდი მნიშვნელობა აქვს იქიდან გამომდინარე, რომ გაცეს კვალიფიციური პასუხი დღევანდელი ოპოზიციის მიერ არჩევნების პორველი დღეებიდანვე აკვიატებულ რიტორიკას ქვეყანაში საბიუჯეტო კრიზისის და ზოგადად ეკონომიკური კრიზისის დაწყების შესახებ. ეკონომიკური მეცნიერებაში საკმაოდ მკაფიოდ არის განმარტებული კატეგორიები **“ეკონომიკური კრიზისი”, “რეცესია”, “დეპრესია”, “სტაგნაცია”, “შენელება”, “ვარდნა”** და ა. შ. განასხვავებენ აგრეთვე კრიზისის სახეებს სხვადასხვა კრიტერიუმებით (ფინანსური კრიზისი, საბანკო კრიზისი, სავალუტო კრიზისი, ინვესტიციური კრიზისი და ა. შ.).

**ეკონომიკური კრიზისი**, როგორც ნეგატიური მოვლენა განისაზღვრება არა ერთი რომელიმე მაჩვენებლით, არამედ მაჩვენებელთა სისტემით. კონკრეტულად ეკონომიკურ კრიზისი ნიშნავს ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებას, რაც ვლინდება წარმოების მოცულობის შემცირებაში, ეკონომიკური კავშირების რღვევაში, ვალების სისტემატურ დაგროვებაში და მისი დაფარვის შეუძლებლობაში, საქონლისა და მომსახურების წარმოებასა და მოთხოვნას შორის წონასწორობის რღვევაში, მათ დეფიციტსა და ქარბნარმოებაში, საწარმოთა გაკოტრებაში, ფულად-საკრედიტო და სავალუტო ურთიერთობათა არამდგრადობაში, უმუშევრობის ზრდაში და საბოლოო ანგარიშში მოსახლეობის ცხოვრების დონის შემცირებაში. აღსანიშნავია, რომ ოქსფორდის ეკონომიკური ლექსიკონის მიხედვით, კრიზისი და ვარდნა გაიგივებულია ერთმანეთთან და ნიშნავს ეკონომიკური აქტივობის არანორმალური დაბალი დონისა და უმუშევ-

რობის არანორმალურად მაღალი დონის გრძელვადიან პერიოდში შენარჩუნებას<sup>1</sup>.

ეკონომიკაში ნეგატიური პროცესების ამსახველი კატეგორიათა რიცხვს განეკუთვნება აგრეთვე **“სტაგნაცია”**, რომელიც ძირითადად გამოიყენება მაკროეკონომიკური პროცესების შეფასებაში. იგი ნიშნავს წარმოების მოცულობის შედარებით ზომიერ, არაკრიტიკულ ვარდნას, ან ეკონომიკური ზრდის ტემპების შენელებას. წარმოების ვარდნა ხასიათდება მთლიანი შიგა პროდუქტის ნულოვანი ზრდით (სტაგნაცია) ან მისი ვარდნით დროის გარკვეულ პერიოდში (მინიმუმ ნახევარი წლის განმავლობაში). რეცესიის დროს ადგილი აქვს ინდექსების ვარდნას ბირჟებზე. მისთვის დამახასიათებელია აგრეთვე ციკლური კრიზისების ნიშნები, როგორცაა მაგალითად, უმუშევრობის დონის ზრდა.

ეკონომიკაში ნეგატიური მდგომარეობის ამსახველი კატეგორიაა აგრეთვე **“სტაგნაცია”**, რომელიც ნიშნავს უძრაობას, გაჩერებას წარმოებაში, ვაჭრობაში და სხვა ეკონომიკურ საქმიანობაში. სტაგნაციის დროს გამოკვეთილად არა აქვს ადგილი არც ეკონომიკურ ზრდას და არც ვარდნას. იგი ხასიათდება წარმოებისა და ვაჭრობის ხანგრძლივი დროით მოდუნებით. მას თან ახლავს უმუშევართა რაოდენობის ზრდა, ხელფასებისა და ცხოვრების დონის შემცირება. მოკლედ რომ ვთქვათ, სტაგნაციის დროს ეკონომიკის ზრდა ნულოვანია, ხოლო მისი სტრუქტურა უცვლელია.

აღსანიშნავია, რომ ყველა ზემოხსენებული კატეგორიის გამოვლენას უნდა ჰქონდეს კანონზომიერების ხასიათი და იგი უნდა მოიცავდეს დროის გარკვეულ მონაკვეთს, მინიმუმ ნახევარ წელს მაინც.

ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების კიდევ ერთი საყურადღებო კატეგორიაა **“ეკონომიკური შენელება”**, რომელიც თავისი შინაარსით განსხვავდება ზემოხსენებული კატეგორიებისაგან. იგი გულისხმობს რეტროსპექტივაში ჩამოყალიბებული ეკონომიკური ზრდის ტემპების შემცირებას, ანუ ეკონომიკური აქტივობის შენელებას, მოდუნებას. განსხვავებით რეცესიისგან, რომლის დროსაც აშკარად გამოკვეთილ ტენდენციას ღებულობს ეკონომიკური ზრდის ტემპების შემცირება, შენელების დროს ეკონომიკური ზრდის შემცირებას ტენდენციის სახე არ გააჩნია, რადგან დროის მოცემულ მონაკვეთში შემცირებას ცვლის ზრდა, და პირიქით, **ანუ შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკა იმყოფება ტურბულენტურ (სწრაფად ცვალებად) მდგომარეობაში**. პოსტსაარჩევნო პერიოდში, რომლის ტრენდი კანონზომიერების გამოსავლენად ძალიან მოკლეა, სწორედ ასეთი ეკონომიკური სიტუაცია იკვეთება.

პოსტსაარჩევნო პერიოდის ეკონომიკური მდგომარეობის ზემოთ მოყვანილი ოფიციალური სტატისტიკის ანალიზიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ **დღევანდელ პირობებში საქმე გვაქვს არა ეკონომიკურ კრიზისთან, ან რეცესიასთან და სტაგნაციასთან, არამედ ეკონომიკურ შენელებასთან**. მომენტალურ ეკონომიკურ ვარდნას ადგილი ჰქონდა მხოლოდ წინა წლის დეკემბერში და ისიც 2011 წლის მთლიანი შიგა პროდუქტის მოცულობასთან მიმართებაში. რაც

<sup>1</sup> БлэкДж. Экономика: Тольковый словарь: Англо-русский.- М.:ИНФРА-М, Издательство «Весь Мир», 2000. с.674.

შეეხება პოსტსაარჩევნო პერიოდში მაკროეკონომიკური ინდიკატორების დინამიკას, მათი მრუდი არ ჩამოსულა ნულს ქვემოთ და მეტ-ნაკლებად იცვლებიან თვეების მიხედვით, რაც მიგვანიშნებს ეკონომიკური აქტივობის შენელებაზე, მოდუნებაზე. ამავე დროს არ შეიძლება ამ მოვლენისადმი ზედაპირული და მსუბუქი მიდგომა, რად-

გან ეკონომიკური შენელების პროცესის გრძელვადიან პერიოდში განვლვამ და კანონზომიერების ჩამოყალიბებამ შეიძლება ეკონომიკა გადაიყვანოს შემდგომ უფრო მტკივნეულ რეჟიმში, როგორცაა რეცესია, სტაგნაცია და კრიზისი.

**დასკვნა**

საქართველოში ხელისუფლების გადაბარების პროცესი მტკივნეულად მიმდინარეობს. თითქმის 10-წლიანი გამოცდილების მქონე მმართველმა პარტიამ, რომელიც არჩევნების შედეგად უმცირესობაში აღმოჩნდა, ვერ უზრუნველყო სახელმწიფო ინტერესების წინა პლანზე დაყენება და არაკეთილსინდისიერი გზებით ცდილობდა და ცდილობს მოქმედი ხელისუფლების საქმიანობის დისკრედიტაციას. მეორე მხრივ, ახალ ხელისუფლებას არ აღმოაჩნდა საკმარისი სისწრაფე და გამბედაობა, გამოიჩინა ზედმეტი სიფრთხილე, რამაც გარკვეული ნეგატიური ფონი შექმნა ეკონომიკასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

შეიძლება ითქვას, რომ პოლიტიკური კოჰაბიტაციის პროცესი არ შედგა. დაპირისპირებამ წინა და ახალ ხელისუფლებას შორის კიდევ უფრო მწვავე ხასიათი მიიღო და პოლიტიკურ ჩიხში შევიდა. პრეზიდენტის არჩევნებამდე (ოქტომბერი) ოპტიმისტური პროგნოზების გაკეთების საფუძველი არ არსებობს. ზოგადად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეკონომიკაზე პოლიტიკური დაპირისპირების ნეგატიური გავლენა კვლავაც ძალაში დარჩება. ჩვენი აზრით, შეიძლება საუბარი ეკონომიკური განვითარების ორი ჰიპოთეზურ სცენარზე. პირველი სცენარით დასაშვებია, რომ უახლოეს მომავალში საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით კიდევ უფრო გამწვავდეს სახელისუფლებო და საზოგადოებრივი დაპირისპირება, რაც თავის მხრივ გაახანგრძლივებს უცხოური ინვესტიციების მოლოდინის რეჟიმში ყოფნას, შეამცირებს ბიზნეს აქტივობას და, შესაბამისად, გამოიწვევს ეკონომიკური ვარდნის გაღრმავებას. ამგვარი ჰიპოთეზის (დაშვება-ვარაუდის) პრაქტიკული რეალიზაცია იძლევა პასიური ანუ ინერციული ეკონომიკური პროგნოზის გაკეთების საშუალებას. ეს ნიშნავს, რომ უახლოეს მომავალში თანდათანობით გაღრმავდება მთლიანი შიგა პროდუქტის მოცულობის ზრდის შენელება, რაც თავის მხრივ ნეგატიურ გავლენას იქონიებს სხვა მაკროეკონომიკური ინდიკატორებზე. აღნიშნული სცენარით განვითარება ყველაზე ძლიერ დააზარალებს სახელმწიფო ბიუჯეტს და გამომდინარე აქედან შექმნის უარყოფით ეფექტებს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. ასეთ პესიმიტურ პროგნოზს დღევანდელი გადასახედიდან თეორიულად აქვს არსებობის უფლება, თუმცა მისი ხდომილების ალბათობა დამოკიდებულია იმაზე თუ როგორ განვითარდება ქვეყანაში პოლიტიკური პროცესები. ამ უკანასკნელის აკადემიური პროგნოზირება დღევანდელი გადასახედიდან შეუძლებელია.

მეორე სცენარი აქტიური ხასიათისაა და დაფუძნებულია გარკვეულ დაშვებებზე. კერძოდ, თუ უახლოეს მომავალში შედგება პოლიტიკური კოჰაბიტაცია და ორხელისუფლიანობა შეიცვლება მონოხელისუფლებით და, შესაბამისად, ქვეყანაში შეიქმნება უცხოური ინვესტიციების მოზიდვისთვის მშვიდი და ხელსაყრელი გარემო, გაიზრდება უცხოური ინვესტიციების ნაკადი, რაც შექმნის ხელსაყრელ პირობებს ეკონომიკური ზრდისა და დასაქმების დონის ამაღლებისთვის, მაშინ მიმდინარე ნელს დაიწყება ეკონომიკური გააქტიურება და შესაძლებელი გახდება ეკონომიკური ზრდის მიახლოება დაგეგმილ მაჩვენებლებთან. ამ სცენარის ხდომილების ალბათობა ასევე დაბალია, რადგან, როგორც ჩანს, ოპოზიციის მხრიდან მთელი ძალისხმევა ორიენტირებულია თვითგადარჩენისკენ, რომლის მიღწევის საშუალებად მათი მხრიდან მიჩნეულია ახალი ხელისუფლების საქმიანობისთვის მაქსიმალურად ხელის შეშლა, რაც უთუოდ ნეგატიურ გავლენას მოახდენს ეკონომიკის ნორმალურ განვითარებაზე.

რამდენადაც ორივე სცენარით ეკონომიკურ განვითარებას თითქმის თანაბრად ალბათური ხასიათი გააჩნია, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მიმდინარე ნელს სერიოზულ წინსვლას არ ექნება ადგილი. არ არის გამორიცხული, ეკონომიკის ზოგიერთ სფეროებში სტაგნაციის, ან რეცესიის პროცესის დადგომა. მას შემდეგ, რაც პრეზიდენტის არჩევნებით დამთავრდება (?) ძველ და ახალ ხელისუფლებას შორის მწვავე დაპირისპირების პროცესი, შეიქმნება შედარებით ხელსაყრელი გარემო ეკონომიკის სტაბილიზაციისა და განვითარების დაჩქარებისთვის. თუმცა, ეკონომიკის ინერციული ბუნებიდან გამომდინარე მის სწრაფ, მყისიერ აღმავლობას არ უნდა ველოდოთ. ყველაზე ოპტიმალური ვარიანტით ეკონომიკური წინსვლა მოსალოდნელია მომავალი წლის მეორე ნახევრიდან!

№2 მაისი 2013

# საქართველოს ეკონომიკის განვითარების ტენდენციები და პერსპექტივები



**ნოდარ ჭითაშვილი**  
ეკონომიკურ მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი,  
სოფლის მეურნეობის  
მეცნიერებათა აკადემიის  
აკადემიკოსი

*XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს საბჭოთა სოციალისტური ეკონომიკური სისტემის საფუძვლების თვისებრივად შეცვლას ობიექტურ და სუბიექტურ, გარე (ეგ ზოგენურ) და შიდა (ენდოგენურ) ფაქტორთა ერთობლიობა განაპირობებდა.*

## სოციალისტური ეკონომიკის საბაზრო პრინციპებზე გადასვლის წინაპირობები

როგორც აღრიხედელმა რეფორმებმა, ასევე „პერესტროიკამაც“ სასურველი შედეგი ვერ მოიტანა. მცდელობა, რომ „უფრო მეტი სოციალიზმი“ ფაზაში ქვეყანა გადასულიყო, კრახით დამთავრდა. „პერესტროიკით“ დაწყებული პროცესი მიზანმიმართულად განვითარდა. სახელმწიფოსა და მმართველი პარტიის ლიდერი ბოლომდე მალავდა იმას, რომ მის მიერ შემოთავაზებული გარდაქმნების მიზანი არსებული პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური სისტემის შეცვლა და არა მისი სრულყოფა იყო. რა თქმა უნდა, სოციალისტური ეკონომიკის საფუძვლებს რადიკალური, მაგრამ ყოველმხრივ გააზრებული, მსოფლიო ეკონომიკის განვითარების თავისებურებათა და თანამედროვე ტენდენციების გათვალისწინებით, თვისებრივად ახალ კონცეპტუალურ და მეთოდოლოგიურ საფუძვლზე გარდაქმნა სჭირდებოდა.

საბჭოთა ხელმძღვანელობამ ვერ შეძლო სწორად, დროის მოთხოვნების ადეკვატურად განესაზღვრა სახელმწიფოსა და ეკონომიკის გარდაქმნების სტრატეგია და მისი განხორციელების მექანიზმი. თუმცა, მას ექსტრემალურ პირობებში თვისებრივი გარდაქმნების ისტორიული გამოცდილება ხელისგულზე ედო. მხედველობაში გვაქვს „კლასიკური კაპიტალიზმის ტრანსფორმაცია“, რომელიც განხორციელდა XX საუკუნის 30-იან წლებში „დიდი დეპრესიის“ პერიოდში და აისახა აშშ პრეზიდენტის რუზველტის „ახალ კურსში“. მისი მთავარი აზრი ის იყო, რომ კლასიკურმა კაპიტალიზმმა თავისი გადარჩენისა და შემდგომ სრულყოფისათვის (სტრატეგიის მიზანი) არსებული კაპიტალისტური სისტემის ფუძემდებლურ პრინციპებში („უხილავი ხელი“, მოგების მაქსიმიზაცია) არსებითი ცვლილებები შეიტანა. „უხილავი ხელი“

(საბაზრო თვითრეგულირების მექანიზმი) ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების მექანიზმებთან დაანყვილა, ხოლო „მოგების მაქსიმიზაციის“ პრინციპი, ნაწილობრივ მაინც, სამართლიანობის საფუძველზე შემოსავლების განაწილების მექანიზმთან „თანაარსებობისთვის“ „აიძულა“ (კომპრომისის, როგორც ასეთის, ყველაზე რადიკალური ფორმა, მაგრამ აუცილებელი თვითგადარჩენისთვის). ე.ი. კლასიკურმა კაპიტალიზმმა განვითარების (სრულყოფის) თვისებრივად ახალი მექანიზმი შექმნა, რომელმაც ქვეყანა უმოკლეს ვადაში (3-4 წელიწადში) კრიზისიდან გამოიყვანა და მსოფლიოს უძლიერეს სახელმწიფოდ აქცია.

საბჭოთა იდეოლოგიას შეუმჩნეველი დარჩა კაპიტალისტურ სისტემაში საკუთრებით ურთიერთობებში მიმდინარე ევოლუციური ცვლილებებიც, რის შედეგადაც განვითარებულ ქვეყნებში ფართოდ დამკვიდრდა საკუთრებისა და მეურნეობრიობის ფორმების პლურალიზმი (ნიშანდობლივია, რომ კერძო საკუთრებაზე დამკვიდრებული ეკონომიკური სისტემა ევოლუციური გზით განვითარების გარკვეულ ეტაპზე გარდაიქმნა შერეულ სისტემად. ამით კაპიტალიზმმა მანევრირების დიდი უნარი გამოავლინა). ყურადღების გარეშე დარჩა მცირე და საშუალო მენარმეობის მსხვილ კორპორაციებთან თანამშრომლობის, კოოპერატივების და სხვადასხვა ტიპის გაერთიანებების ფუნქციონირების ეფექტიანი სისტემა, წარმოების ფაქტორების, სოციალური პასუხისმგებლობის, ეკონომიკისა და სახელმწიფოს ურთიერთდამოკიდებულების სრულყოფის მექანიზმების მნიშვნელობა.

სათანადო შეფასება არ მიეცა შერეული ეკონომიკის ფორმირების ისეთ საბჭოთა გამოცდილებას, როგორიც იყო „ნეპი“. იგი როგორც კომპრომისული მოვლენა, ფაქტობრივად კლასიკური კაპიტალისტური ეკონომიკის განვითარების ალტერნატივად ჩამოყალიბდა და მოკლე პერიოდში სიცოცხლისუნარიანობა დაამტკიცა. ღრმა მეცნიერული ანალიზის გარეშე დარჩა გერმანული სოციალური მეურნეობის, სკანდინავიური „სოცია-

ლიზმის“, იაპონიის, საფრანგეთის, სამხრეთ კორეის და სხვა ქვეყნების გამოცდილება რეგულირებადი საბაზრო ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირების პრინციპების გამოყენების შესახებ. ჩინეთში მიმდინარე გარდაქმნები ჩაითვალა ჩინეთის ხელმძღვანელობის ახირებად და კოსმეტიკური გარდაქმნების მორიგ ავანტიურად. ეს მაშინ, როცა ჩინეთის ექსპერიმენტი ეყრდნობოდა მკაცრ მეცნიერულ ლოგიკას, 4 მთავარ პრინციპს: საკუთრების და მეურნეობრიობის ფორმების პლურალიზმს, რეგულირების საბაზრო და სახელმწიფოებრივი მექანიზმების შეხამებას, სტრატეგიულ დაგეგმვას და მართვას, ღია ეკონომიკის ფუნქციონირებას.

საბჭოთა კომუნისტურმა იდეოლოგიამ დროსთან ადაპტირების უნარი და ორიენტირები დაკარგა. განსხვავებული შეხედულებანი და მოქალაქეობრივი პოზიციები, საზოგადოების წინაშე მდგარი ამოცანების ალტერნატიული ხასიათი (როგორც ბუნებრივი წესრიგის პირობა) და საკუთრებისა და მეურნეობრიობის ფორმების მრავალფეროვნების (როგორც რეალობის) ეფექტიანობა ვერ გაიცნობიერა. იგი საკუთარ დროში ჩარჩა. საბჭოთა ეკონომიკა, რომელიც „მობილიზაციური ეკონომიკის“ ფუძემდებლურ პრინციპებს ეყრდნობოდა და თავის დროზე პოზიტიური როლი შეასრულა, გლობალიზაციის პრესინგს ვერ გაუმკლავდა და მისი სიცოცხლისუნარიანობის რეალური საფრთხე შეიქმნა.

ასეთ ვითარებაში (გაურკვევლობისა და მერყეობის სიტუაციაში) საბჭოთა საზოგადოებაში ცალმხრივად ყალიბდებოდა აზრი იმის შესახებ, რომ მხოლოდ საბაზრო პრინციპების დამკვიდრება გამოიყვანდა ქვეყანას კრიზისიდან. უზრუნველყოფდა ეკონომიკის ეფექტიანობას. ბევრს იმედი ჰქონდა, რომ ბაზარი იყო „ღვთაებრივი ძალა“ (განმსაზღვრელი იყო დასავლეთის პროპაგანდის ზეგავლენა), რომელიც ეკონომიკურ და სოციალურ რესურსებს (პოტენციალს) სრულად მოიყვანდა მოძრაობაში, შექმნიდა დაბალანსებულ ეკონომიკას. ასეთ პირობებში იმძლავრა საბაზრო ეკონომიკაზე დაუყოვნებლივ გადასვლის სურვილმა, ისე, რომ გააზრებულიც არ იყო თავად პროცესის ფორმა და, მით უმეტეს, მისი შინაარსი, გარემო-პირობები, ფაქტორთა ურთიერთგანპირობებულობის ხასიათი.

ასეთი რთული, თანაც უპრეცედენტო (სოციალისტური ეკონომიკიდან საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა) ამოცანების შესრულებას უპირველეს ყოვლისა დრო, გარდამავალი პერიოდი, შიდა და გარე ფაქტორების შეჯერებით, მეცნიერულად გააზრებული პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკურ-ეკოლოგიური განვითარების (მდგრადი განვითარების) სტრატეგია სჭირდებოდა.

საქართველოსთვის საბაზრო ურთიერთობებზე (შესაბამისად ახალ დემოკრატიულ სახელმწიფოზე) გარდამავალი პერიოდი უნდა ყოფილიყო არსებული და მომავალი პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ სისტემების შორის გადებელი „ხიდი“, რომელიც ეროვნული ბურჟუების სიმტკიცით შეძლებდა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესებით (თუნდაც ეიფორიით გამოწვეული) მოძრაობაში მოყვანილი სხვადასხვა მენტალიტეტის, გამოცდილების, პოტენციალის, ტრადიციების, კულტურულ ფასეულობათა მქონე საზოგადოებრივი ძალების (ჯგუფების) გადაყვანას სრულიად ახალ გა-

რემოში. ასეთი ურთულესი, სპონტანურად დასმული ამოცანების შესრულებისათვის, საზოგადოება მზად არ აღმოჩნდა. არც ფორმირებად, მაგრამ ამბიციურ პოლიტიკურ ძალებს ჰქონდათ რეალური წარმოდგენა, როგორ უნდა განვითარებულიყო ქვეყანა (როგორც შემდგომ გაირკვა, ბევრს ეს პრობლემა არც აწუხებდა).

### ეკონომიკის ტრანსფორმაციის სამი მიმართულება

სპონტანურად დაჩქარებულმა სიტუაციამ (საბჭოთა სისტემის კრიზისის დამანგრეველ ფაზაში გადასვლამ) საქართველო ორი საგანგებო და ისტორიული პროცესის ერთდროულად დანყების აუცილებლობის წინაშე დააყენა, პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვების შანსი დღითიდღე იზრდებოდა. ამასთან, ისიც ცხადი იყო, რომ საჭირო იყო საბაზრო ურთიერთობებზე ეკონომიკის გადაყვანა. ამ პერიოდში ქვეყნის განვითარების სამი ერთმანეთისგან განსხვავებული მიდგომა (პოზიცია) ჩამოყალიბდა. სამივეს მომხრეები და მონინალმდებელებიც არ აკლდა.

**პირველი მიდგომა.** საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობამ ქვეყანას შესთავაზა მოდელი (რა თქმა უნდა იმპერიული), რომელიც „პერესტროიკის“ ფილოსოფიას ეყრდნობოდა და გულისხმობდა საბჭოთა იმპერიის (დემოკრატიული გარდაქმნების შემდეგ) საზღვრებში სოციალისტური ეკონომიკის კლასიკურ საბაზრო პრინციპებზე (ე.ი. ნმინდა კაპიტალიზმზე, ანუ XX საუკუნის დასაწყისის კლასიკური კაპიტალიზმის მოდელზე გადაყვანას, რომელიც ადამ სმიტის „უხილავი ხელის“ პრინციპით ფუნქციონირებდა).

**მეორე მიდგომა** არაოფიციალური (არაფორმალური) საზოგადოებრივი ძალების პოზიციას გამოხატავდა და გულისხმობდა სახელმწიფოს დამოუკიდებლობას, საბჭოთა იმპერიის საზღვრებიდან გამოსვლას და ეროვნული ეკონომიკის იმავე პრინციპებით გარდაქმნას, რასაც ითვალისწინებდა „პერესტროიკის“ იდეოლოგია (სახელმწიფო საკუთრების მასობრივი პრივატიზაცია, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების ლიკვიდაცია და სხვ.) როგორც ჩანს, პირველი და მეორე მიდგომა ეკონომიკის განვითარების ორიენტაციის თვალსაზრისით, იდენტური აღმოჩნდა და გულისხმობდა კლასიკური კაპიტალიზმის ტრადიციულ მოდელზე გადასვლას.

როგორც შემდგომ გაირკვა, ეს იდენტურობა ეყრდნობოდა დასავლეთის დემოკრატიული ფასეულობების გაგებას, რამაც მოგვიანებით „შოკური თერაპიის“ დოქტრინის სახით ეროვნული ეკონომიკის ტრანსფორმაციის განმსაზღვრელი ფაქტორის როლი შეასრულა.

**მესამე მიდგომა** გამოხატავდა საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების პოზიციებს და ფაქტობრივად, წარმოადგენდა მის პოლიტიკურ და ეკონომიკურ პლატფორმას. იგი ორივე შემთხვევისთვის (როგორც კონფედერაციულ საფუძველზე გარდაქმნილი საბჭოთა სახელმწიფოს ფუნქციონირების (პროექტი არსებობდა), ასევე საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის პირობებში ითვალისწინებდა ეროვნული ეკონომიკის თანმიმდევრულად და ეტაპობრივად გარდაქმნას შერეულ, მრავალწყობიან (მრავალსუბიექტიან) ეკონომიკურ

ეკონომიკური პოლიტიკა

სისტემად.<sup>1</sup> მასში წარმმართველი როლი (სისტემაშემქმნელი ფაქტორი) უნდა შეესრულებინა სახელმწიფოს, შესაბამისი სამართლებრივი, მატერიალური და ორგანიზაციული საფუძვლების შექმნით. აქვე აღვნიშნავთ, რომ შემოთავაზებული პლატფორმის რეალიზაციისათვის საქართველოს მთავრობა არაორდინარული პოლიტიკური, სამართლებრივი და ეკონომიკური ღონისძიებების განხორციელებით თანმიმდევრულად ამზადებდა შესაბამის (ხელსაყრელ) პოლიტიკურ და ორგანიზაციულ საფუძველს. ამაში მკითხველი დარწმუნდება ქვემოთ მოტანილი მასალების (წყაროების) ანალიზით.

„1990 წლის მარტში საქართველოს უმაღლესმა საბჭომ (ხაზგასმით: საბჭოთა ორგანომ) გადადგა უპრეკედენტო ნაბიჯი: 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოში წითელი არმიის შემოსვლას მისცა აგრესიის კვალიფიკაცია, საქართველო აღიარა ოკუპირებულ და ანექსირებულ ქვეყანად და გააუქმა პრაქტიკულად ყველა ძირითადი საკანონმდებლო აქტი, რომელიც 1921 წლის თებერვლის შემდეგ იყო მიღებული, მათ შორის 1921 წლის მაისის სამოკავშირეო ხელშეკრულება. ამის შემდეგ იურიდიულად საქართველო საბჭოთა კავშირის ფარგლებს გარეთ აღმოჩნდა. ეს უნიკალური გადაწყვეტილება იმას ნიშნავდა, რომ საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებამ თავისი წვლილი შეიტანა დამოუკიდებლობის აღდგენის საქმეში. ამაზე ისიც მიუთითებს, რომ ამ აქციას წინ უსწრებდა ხელისუფლების თანმიმდევრული ნაბიჯების მთელი სერია: საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში შეტანილ იქნა შესწორებები, რის შედეგად ერთ-ერთი მუხლი განმარტავდა, რომ საქართველოს სსრ არის სუვერენული სახელმწიფო, რომელსაც აქვს საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან გასვლის წმიდათანმიდა უფლება, ხოლო ამ უფლების ნებისმიერი შეზღუდვა ცენტრის მხრიდან ნიშნავს ქვეყნის ავტონომიურად გასვლას საბჭოთა კავშირიდან. იგივე შესწორებები აღიარებდნენ საქართველოს კანონების უზენაესობას საკავშირო კანონების წინაშე.

რა კვალიფიკაცია შეიძლება მიეცეს მთელ ამ ისტორიას? მხოლოდ ერთი: საბჭოთა საქართველოს ქართველობა – ერთიანად – ეროვნული სუვერენიტეტის მატარებელი ძალა იყო (უსამართლობა და დანაშაული იქნება, თუ ვინმე სერიოზულად ფიქრობს ამ ნიშნით მის დიფერენცირებას). ის ისეთივე ძალა იყო, როგორც მისი წინამორბედები, და შესაფერის დროს უცდიდა, რათა სუვერენობის ისტორიულად ჩამოყალიბებული უნივერსალური თვისება აემოქმედებინა.<sup>2</sup>

ცნობილი მეცნიერისა და დიპლომატის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტალურად არგუმენტირებულ მოსაზრებებს არა მხოლოდ ვიზიარებ და მხარს ვუჭერ, არამედ ვადასტურებ, როგორც აღნიშნული გადაწყვეტილებების მიღების უშუალო მონაწილე. აღნიშნული გადაწყვეტილებით საქართველოს საბჭოთა ხელი-

1 ვრცლად ნ. ჭითანავა. „პოლიტიკურად, ეკონომიკურად ძლიერი საქართველოსთვის“ გაზეთი „კომუნისტი“ 1990, 28 ივლისი. ნ. ჭითანავა. „ამოცანა ურთულესი, პასუხისმგებლობა – საგანგებო“, გაზეთი „კომუნისტი“, 1990 წ. 5 ოქტომბერი. ნ. ჭითანავა, გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, თბ. 1997.

2 აპოლონ სილაგაძე. ქართული იდეა. გამომცემლობა „უნივერსალი“. თბილისი. 2010. გვ. 56-57.

სუფლებამ ფაქტობრივად მოამზადა ქვეყნის სრული სუვერენიტეტის თანამედროვე სამართლებრივი სტანდარტებით აღდგენა-გაფორმების პოლიტიკური და იურიდიული საფუძველი.

1990 წელს საბჭოთა საქართველოს უმაღლესმა საბჭომ განიხილა მინისტრთა საბჭოს მიერ ინიცირებული კანონ-პროექტი (შედგა პირველი მოსმენა) საქართველოს ეკონომიკური სუვერენიტეტის შესახებ.

გარდა ამისა, მთავრობამ განახორციელა რიგი ღონისძიებები, კერძოდ, საწარმოო კოოპერატივების განვითარების, გლეხობისთვის მიწის დამატებითი ფართობების გამოყოფის, საიჯარო ურთიერთობების განვითარების, მთის ზონაში (ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით) გლეხური (ფერმერული) მეურნეობების შექმნის შესახებ. მნიშვნელოვნად გაიზარდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე შესასყიდი სახელმწიფო ფასები (მაგალითად, 1990 წელს ყურძნის სახელმწიფო შესასყიდი ფასი 55 კაპიკიდან 1 მანეთამდე გაიზარდა. 1989-1990 წლებში საქართველოს მთავრობამ საკავშირო ორგანოების კუთვნილი თანხა ადგილზე განსაკუთრებული მნიშვნელობის ღონისძიებების დაფინანსებას მოახმარა. მაგალითად, 1990 წელს მეცნიერებათა აკადემიას დამატებით გამოეყო 10 მლნ. მანეთი, ქართულ ფილმს – 9.5 მლნ., ახალი კინოსტუდიის შექმნისთვის – 3 მლნ. მანეთი. ინვალიდი ბავშვების სამკურნალო დაწესებულების მშენებლობისათვის 1 მლნ. მანეთი. საერთოდ, სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტს ზემოთ გამოყოფილი იყო 146 მლნ. მანეთი.

აჭარის მთიან ზონაში (კერძოდ, შუახევის რაიონში) სტიქიური მოვლენების შედეგად (მეწყერული პროცესები) ადამიანები დაიღუპნენ, ასეულობით ადამიანმა სახლ-კარი დაკარგა. საჭირო გახდა მოსახლეობის სხვადასხვა რეგიონებში ჩასახლება. ახალქალაქსა და ბოგდანოვკაში გადაწყდა 1000 ოჯახის დასახლება. (პერსპექტივაში გადაწყვეტილი იყო 5000 ოჯახის დასახლება, რაც მომავალში რეგიონში თვისებრივად შეცვლიდა დემოგრაფიულ სიტუაციას), ასევე, ლეჩხუმიდან ასეულობით ოჯახი ქვემო ქართლის ზონაში დასახლდა. განსახლების პრობლემა განსაკუთრებული სიფრთხილით წყდებოდა. ყველა მათ, ვინც სხვაგან ჩასახლდა, ადგილზე შეუნარჩუნდათ საკარმიდამო ნაკვეთები, სამეურნეო ნაკვეთები, რომელთა გამოყენება შეიძლებოდა. ასეთ მიდგომას არა მხოლოდ მორალური (ნათესაობითი კავშირების შენარჩუნება და სხვ.), არამედ სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობაც ჰქონდა (რეგიონთაშორისი კავშირების გაღრმავება) და სრულად შეესაბამებოდა მოსახლეობის გეგმაზომიერი გაადგილების მიზნებს.

1989 წელს რესპუბლიკაში კაპიტალურმა დაბანდებებმა (შესადარ ფასებში) შეადგინა 3 მლრდ მანეთი.<sup>3</sup> ექსპლუატაციაში გადაეცა 1771 ათასი მ<sup>2</sup> საცხოვრებელი ფართი, წარმოებულ იქნა 12 მლრდ 268 მლნ მანეთის სამრეწველო პროდუქცია (შესადარ ფასებში). სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებამ (შესადარ ფასებში) გადააჭარბა 3 მლრდ მანეთს. ელექტროენერჯის წარმოებამ მიაღწია 14.6 მლრდ კვსთ-ს, გაზის მოხმარებამ 5 მლრდ მ<sup>3</sup> შეადგინა. სახელმწიფო

3 საქართველოს სსრ სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტი, საქართველო ციფრებში 1988 წელს. თბ. 1989, გვ. 4, 94.

№2 აპრილი 2013

ბიუჯეტის შემოსავლებმა გადააჭარბა 4,5 მლრდ მანეთს. მოსახლეობის ანაზრებმა 7 მლრდ მანეთს მიაღწია. თუ გავითვალისწინებთ, რომ გაეროსა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ინფორმაციით მშპ დეფლირებით გაანგარიშებული პარიტეტი 2008-1990 წლებს შორის შეადგენდა: 100 მანეთი=225,4 ლარს,<sup>1</sup> მაშინ ანაზრების ზემოთ დასახელებული მოცულობა (7 მლრდ) ფაქტობრივად შეადგენდა 15,4 მლრდ ლარს, ანუ 2012 წლის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტზე 2,2-ჯერ მეტს. ხოლო მაშინდელი ინვესტიციების მოცულობა შეეფარებოდა 2008 წლის 6 მლრდ ლარს. 1990 წელს ქვეყნის ძირითადი ფონდების ღირებულებამ 40 მლრდ მანეთს გადააჭარბა, ნიშანდობლივია, რომ საქართველოში მიღწეული იყო განათლების, მეცნიერების, კულტურის განვითარების მაღალი დონე. 1989 წელს ფუნქციონირებდა 153 სამეცნიერო დაწესებულება, რომელშიც მოღვაწეობდა 30 ათასამდე კაცი. მათ შორის მეცნიერების 1387 დოქტორი. 1989 წელს ყოველ 1000 კაცზე უმაღლესი და საშუალო განათლება ჰქონდა 877, მათ შორის უმაღლესი განათლებით იყო 151 კაცი. 1989-90 სასწავლო წელს სწავლების ყველა სახეობის მიხედვით სწავლობდა 1445,2 ათასი კაცი. საინტერესოა ისიც, რომ ამავე წელს მუზეუმებში დამთვალიერებელთა რაოდენობამ 8 მლნ კაცი შეადგინა, ხოლო თეატრებში დასწრებათა რიცხვმა – 2 მლნ. 778 ათასი კაცი. ნიშანდობლივია, რომ 1989 წელს საშუალო დღიურმა მოხმარებამ შეადგინა 2669 კილოკალორია (ინგლისში – 2796, გერმანიაში – 2798, იაპონიაში – 2378, აშშ – 3080 კილოკალორია). ქართული ნიგნი მილიონობით ეგზემპლარობით გამოდიოდა. ყოველივე ეს ადასტურებს იმას, რომ საქართველო იმ პერიოდში საშუალო განვითარების დონის ქვეყნების ჯგუფს მიეკუთვნებოდა, ხოლო განათლების, მეცნიერებისა და კულტურის განვითარების თვალსაზრისით, თანამედროვე ყველაზე მეტად განვითარებულ ქვეყნებს.

ეს დიდი მარაგანაკეთი მოსალოდნელი პოლიტიკური და ეკონომიკური გარდაქმნების მყარი მატერიალური და ორგანიზაციული საფუძველი იყო.

**ეკონომიკის ტრანსფორმაციის ძირითადი ეტაპები და ტენდენციები**

1990 წლის 28 ოქტომბრის მრავალპარტიული არჩევნების შედეგად ქვეყანაში შეიქმნა ეიფორიული მდგომარეობა, რასაც, როგორც ობიექტური, ასევე სუბიექტური ფაქტორებიც განაპირობებდნენ. ერთი მხრივ, საზოგადოების საერთო ამალღებული განწყობა მიანიშნებდა, რომ შესაძლებელი იყო ერის კონსოლიდაციის რეალური წინაპირობების შექმნა. მეორე მხრივ, საქართველოს წინაშე პრაქტიკულად დადგა ურთულესი ამოცანა: საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და ორგანიზაციულ-მმართველობითი თვალსაზრისით, ახალი ტიპის დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნა და ადეკვატური ეკონომიკური სისტემის ფორმირება. ეს მოითხოვდა ერის მატერიალური და სულიერი პოტენციალის (რომელიც მთვლემარე მდგომარეობიდან გამოდიოდა) მაქსიმალური ეფექტიანობით ამოქმედ-

1 იოსებ არჩვაძე, ირაკლი არჩვაძე. მსყიდველობითი უნარიანობის პარიტეტი ქართულ ლარსა და საბჭოთა მანეთს შორის. თბ. 2010. გვ. 23.

ბას, ქვეყნის ინტერესების ერთიანი ნებისადმი დაქვემდებარებას, საზოგადოების სტრატეგიული მიზნების რელიზაციისთვის მობილიზებას, განსხვავებული შეხედულებების საზოგადოებრივ ძალებთან გონივრულ კომპრომისს, საგარეო პოლიტიკაში მთავარისა და მეორეხარისხოვანის (დროებითი კომპრომისის) სწორად განსაზღვრას, მეცნიერულად გააზრებული პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური სტრატეგიის (ტაქტიკის) სათანადო მექანიზმების ფორმირებას. ეს ურთულესი ამოცანა ახალი პოლიტიკური ძალისგან მოითხოვდა საზოგადოებრივი პროცესების ღრმა ცოდნას, დიდ გამჭრიახობას. რაც მთავარია, მოზღვავებული ეროვნული ენერჯის დროულად და სწორი კლასპოტით წარმართვას.

ზვიად გამსახურდიას (პიროვნულად) და ბუნებრივია, მის გუნდს (რომელსაც საზოგადოება არც იცნობდა), მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის მხარდაჭერა ჰქონდა. ეს დადასტურდა 1991 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე. სულ ცოტა ხანში კი განხეთქილება ჩამოვარდა ხელისუფლებაში მოსულ პოლიტიკურ ძალებს შორის, რამაც მომაკვდინებელი დარტყმა მიაყენა საქართველოს მომავალს. პირადად ამბიციებმა იმძლავრა. პოლიტიკურ ჯგუფებს შორის განხეთქილება დაპირისპირებაში გადაიზარდა, თანაც უკიდურესი ფორმებით. საზოგადოების ე.წ. აქტიური ნაწილი ზვიად გამსახურდიას მთავრობას კონფრონტაციისკენ აქეზებდა. ნაცვლად იმისა, რომ საზოგადოებაში ერთიანობა დაეცვათ, პროცესები კონსენსუსის გზით წარემართათ, ინტელიგენციის ყველაზე რადიკალური ჯგუფები მოითხოვდნენ რუსეთთან ომის ოფიციალურად გამოცხადებას, რუსეთისთვის ეკონომიკურ ბლოკადას, „ნითლებსა“ და „თეთრებს“ შორის შეურიგებელ ბრძოლას, კომუნისტებისთვის ნიურნბერგის პროცესის მოწყობას, საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური საფუძვლების „ბულდოზერით“ მოსწორებას და სხვ. ასეთი ზენოლა, რა თქმა უნდა, ხელს უწყობდა ესკალაციას, ამკვიდრებდა უნდობლობას, ამზადებდა ხელსაყრელ პირობებს „შადიმანიზმის“ აღზევებისთვის. ოპოზიციის ქმედების აგრესიული ხასიათი, რომელმაც მეტნაკლებად დააჩქარა ხელისუფლებაში მისი მოსვლა, ბუმერანგვით დაუბრუნდა მასვე და გამოუცდელი ხელისუფლება ყოველმხრივ ალყაშემორტყმული აღმოჩნდა. სამწუხაროდ იგი სასიკვდილოდ, უპირველესად თანაგუნდელებმა გაიმეტეს.

უზენაესმა საბჭომ მიიღო ყოველად გაუმართლებელი გადაწყვეტილება კომუნისტი დეპუტატების დათხოვნის შესახებ.<sup>2</sup> საზოგადოება გაიხლიჩა, ეროვნული ენერჯია

2 ამ ისტორიული გაკვეთილიდან (შეცდომიდან) შესაბამისი დასკვნები არ გაკეთებულა. უფრო მეტიც, 2011 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ე.წ. თავისუფლების ქარტია, რომელიც არა მხოლოდ არასამართლიანია, არამედ, ხელოვნურად შეითხზნო პრეტენზიებს ეყრდნობა, ბრმად ასრულებს „დამოკლეს მახვილის“ როლს და საქართველოს გამთლიანებას აბსოლუტურად გამორიცხავს. პარლამენტის საბედისწერო შეცდომა შემთხვევითი არ არის. სამწუხაროდ, „კლასობრივი ბრძოლის“ თეორიით ნასაზრდოები, მაგრამ რაფინირებული (დემოკრატიის შენიღბული ფორმით) „ბასრი იარაღი“ მოხერხებულად გამოიყენება ქვეყნის ინტერესების საზიანოდ.

№2 მაისი 2013

ცალკეული პოლიტიკური ჯგუფების ამბიციებში გაიფანტა, ქვეყნის დამოუკიდებლობის პათოსიც თითქმის ჩაკვდა, მერმისის ჯანსაღი მარცვლისთვის ნოყიერი ნიადაგი ვერ მომზადდა. ქვეყანა სარეველამორეულ ყანას დაემსგავსა. ასეთი რამ ერის ცხოვრებაში შეიძლება მოხდეს, მაგრამ იგი მხოლოდ დროებითი მოვლენა უნდა იყოს და არა ხანგრძლივი პერიოდის თავისებურება. ქვეყნის პრეზიდენტი მრავალმხრივ (როგორც გარედან, ასევე შიდა) იზოლაციაში აღმოჩნდა. საზოგადოებაში წონასწორობის აღდგენისთვის პროფესიონალების (მათ შორის კომუნისტების) მოწვევის მცდელობა ფაქტობრივად დაგვიანებული იყო. შეცდომა იყო ხელისუფლებაში მოსვლისთანავე არსებული სახელმწიფო სტრუქტურების გაუაზრებელი რეორგანიზაცია, კომპეტენტური კადრების მასობრივი დათხოვნა, საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებს შორის ხელოვნურად შექმნილი დაპირისპირება და სხვ. ეროვნული ფენომენის დაშლის, სამწუხაროდ, შეუქცევადი პროცესი დაიწყო.

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ზვიად გამსახურდიამ 1991 წელს წამოაყენა ქვეყნის (ეკონომიკის) განვითარებაში კონვერგენციული მიდგომის (პრინციპების) გამოყენების მიზანშეწონილობის საკითხი. ეს ფაქტობრივად ნიშნავდა თანამედროვე მიდგომებით და არა ცალკეული „იზმების“ გავლენით ჩამოყალიბებული დოგმებით ქვეყნის სტრატეგიულ განვითარებას. იმ დროისთვის ასეთი პოლიტიკურ-თეორიული მიდგომა (მსოფლმხედველობითი პოზიცია) ობიექტურიც იყო და პრინციპულიც. სამწუხაროდ, სამხედრო გადატრიალებით (მისი უკიდურესი ფორმით) ზვიად გამსახურდიას მთავრობა დაამხეს. საქართველომ ხელიდან გაუშვა ისტორიული შანსი და ობიექტურად ჩამოყალიბებული შესაძლებლობა კოალიციურ საწყისებზე (ეროვნული კომპრომისი – თანხმობა) ჩამოყალიბებულიყო სახელმწიფო და საზოგადოებრივი სტრუქტურები და თანდათანობით, ეტაპობრივად, გამკლავებოდა დროით ნაკარნახევ სიძნელეებს და წარმატებით აეშენებინა ქვეყნის მომავალი.

სამხედრო გადატრიალების შემდეგ მოსულმა „დროებითმა მთავრობამ“, სპონტანურად შექმნილ რევანშისტულ ძალებზე დაყრდნობით, დააჩქარა კერძო კაპიტალისტურ ეკონომიკაზე (ტრადიციული მოდელი) ეროვნული მეურნეობის გადასვლის პროცესი. სამინისტროები უფუნქციო სტრუქტურებად გარდაიქმნა. ტრანსფორმაციის რთული პროცესი თვითდინებით წარიმართა, სახელმწიფო და ეროვნული ინტერესების ჩანაცვლება მოხდა პირადული და ჯგუფური ინტერესებით, შეიქმნა ეროვნული სიმდიდრის ძარცვის, კულტურულ-ფასეულობათა დაკნინების, პიროვნულ ღირსებათა შელახვის (სიცოცხლის ხელყოფის, სიღატაკის) გარემო. ამას მოყვა ეთნოკრიზისები და ქვეყანა სამოქალაქო დაპირისპირებაში აღმოჩნდა. შეიქმნა ქვეყნის ტერიტორიის დაკარგვის წინაპირობებიც.

ამრიგად, საქართველოს ეკონომიკის განვითარების თვისებრივად ახალი ეტაპი საზოგადოების დაბნეულობის, სამოქალაქო დაპირისპირების, კრიმინალური აზროვნების აღზევების პროცესით დაიწყო. თუ როგორ განვითარდა იგი, როგორი მასშტაბები

მიიღო, ეკონომიკამ როგორი ტრანსფორმაცია განიცადა, როგორია ეროვნული ეკონომიკის ამჟამინდელი მდგომარეობა ობიექტურ ანალიზს საჭიროებს.

პოსტსოციალისტურ პერიოდში საქართველოს ეკონომიკის განვითარების (ტრანსფორმაციის) ერთმანეთისგან გარკვეულწილად განსხვავებული 4 ძირითადი ეტაპი შეიძლება გამოვყოთ: I ეტაპი – 1991-1995 წლები, II ეტაპი – 1996-2003 წლები, III ეტაპი – 2004-2012 წლები და IV ეტაპი – 2013 წლიდან.

განვიხილოთ ეტაპების სოციალურ-ეკონომიკური თავისებურებანი და ტრანსფორმაციული პროცესების ძირითადი მიმართულებები, ნიშნები და ტენდენციები.

I ეტაპზე მიზანმიმართულად დაიწყო მემკვიდრეობით მიღებული ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური და ორგანიზაციული სტრუქტურების (ინსტიტუტების) მყისიერი დაშლა-დანგრევა (და არა დემონტაჟი). ქაოსის პირობებში მკვეთრად დაეცა მშპ-ს მოცულობა. 1994 წელს მან შეადგინა რეფორმადელი პერიოდის მშპ-ს მხოლოდ 27,8%. ამავე პერიოდში კატასტროფულად დაეცა: სამრეწველო პროდუქციის წარმოება (85 პროცენტული პუნქტით), სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება (2-ჯერ), კაპიტალური დაბანდებები (97,2 პროცენტული პუნქტით), ტვირთბრუნვის მოცულობა (67 პროცენტული პუნქტით) და ა.შ.<sup>1</sup>

წარმოების მკვეთრად დაცემისას ე.წ. ლიბერალური ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელებამ საფინანსო მეურნეობის სრული მოშლა გამოიწვია. 1993 წლის მეორე ნახევრიდან 1994 წლის ოქტომბრამდე ინფლაციის ტემპი საშუალოდ თვეში შეადგენდა 60-70%-ს. გაუფასურდა ეროვნული ბანკის კუპონი, რომელიც 1993 წლის პირველ ნახევარში იყო შემოღებული.

1993-1994 წლებში ქვეყანას დამტკიცებული ბიუჯეტი არ ჰქონდა. 1994 წლის შემოდგომაზე 1 აშშ დოლარი ოფიციალურად 2,5 მლნ. კუპონი ღირდა. ამავე წელს ინფლაციის დონე 7380%-ს შეადგენდა. საშუალო ხელფასი თვეში 1,5 აშშ დოლარი, ხოლო პენსია – 10 აშშ ცენტის ეკვივალენტი იყო.<sup>2</sup>

სამომხმარებლო საქონელზე ფასები და ტარიფები გაიზარდა საშუალოდ წლების მიხედვით: 1992 წელს – 25-ჯერ, 1993 წელს – 92-ჯერ, 1994 წელს – 120-ჯერ, ხოლო 1995 წელს – 57%-ით. პარალელურად მოსახლეობის ფულადი შემოსავლები გაიზარდა 1992 წელს – 3,4-ჯერ, 1993 წელს – 16-ჯერ, 1994 წელს – 38,6-ჯერ, 1995 წელს – 4,5-ჯერ.<sup>3</sup>

1 ნ. ჭითანავა. გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. 1997. გვ. 47. ნიშანდობლივია, რომ 1994 წლის ეკონომიკური მაჩვენებლები საქართველოში პირველად მიღწეული იყო: მრეწველობაში – 40 წლის წინ (1954 წელს), სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებაში – 49 წლის წინ (1945 წელს), კაპიტალურ დაბანდებებში 35 წლის წინ (1959 წელს), ტვირთბრუნვაში (რკინიგზის ტრანსპორტით) 54 წლის წინ (1940 წელს).

2 რ. ასათიანი. საქართველოს ეკონომიკა. ახალი ეპოქა. თბ. 2009. გვ. 65.

3 საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების 1996-2000 წლების ინდიკატური გეგმა. 1995.

მძიმე შედეგები შეიქმნა ეთნიკური კონფლიქტების გამო. იმდროინდელი (არასრული) მონაცემებით, ნგრევის და ხანძრის შედეგად მიყენებული ზარალი დაახლოებით 3 მლრდ ლარს შეადგენდა. მარტო აფხაზეთში ომის შედეგად მიყენებული ზარალი თითქმის 2 მლრდ ლარია. ქ. თბილისში სამომარი მოქმედებების შედეგად ზარალის თანხა 33 მლნ ლარს შეადგენს. ქალაქში უზინაოდ დარჩა 311 ოჯახი. სამეგრელოში მიყენებული ზარალი 78 მლნ. ლარი.<sup>1</sup> ასევე დიდი ზიანი მიადგინა ეკონომიკას სტრუქტურულმა მოვლენებმა.

**საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში განსახელმწიფოებრიობა, პრივატიზაცია ცენტრალური პრობლემა იყო.** პრივატიზაცია პოსტ-სოციალისტურ ქვეყნებში მოიაზრებოდა როგორც ინსტიტუციური გარდაქმნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორმა, რომელსაც უნდა გამოეწვია საზოგადოებრივ ფასეულობათა ღრმა ცვლილებები, ხელი უნდა შეეწყოთ თვისებრივად ახალი ტიპის სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბებისთვის.

პრივატიზაცია საქართველოში დაიწყო 1993 წლის მარტიდან. „მეტად რთულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ვითარებაში. არ იყო სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზა. მძიმე კრიმინოგენური ვითარება და სამომარი მოქმედება, მრეწველობისა და ტრანსპორტის პარალიზება, მწვავე ენერგეტიკული კრიზისი, მოშლილი საფინანსო-საკრედიტო სისტემა, დაუძლეველი სირთულეები რესპუბლიკის გარეთ ანგარიშსწორების სფეროში საკუთარი ვალუტის არარსებობის პირობებში, ეროვნული კუპონის ჰიპერინფლაცია და ფულის ნიშნების მძაფრი ნაკლებობა, სათანადო გამოცდილებისა და კვალიფიციური კადრების დეფიციტი – ყოველივე ეს თითქმის გადაუჭრელ პრობლემებს აყენებდა რეფორმების გზაზე. ამ გარემოებებს არ შეიძლება თავისი უარყოფითი ზეგავლენა არ მოეხდინა პრივატიზების პროცესებზე, რამაც იჩინა კიდევ თავი იმ დარღვევებისა და ნაკლოვანებების სახით, რაც დაშვებულ იქნა ამ პერიოდში.<sup>2</sup>

პრივატიზაციის პირველ ეტაპზე (1992 წლიდან) განხორციელდა ე.წ. მცირე პრივატიზაცია. იგი მოიცავდა მომსახურების სფეროს მცირე საწარმოებს. 1992 წლიდან დაიწყო მცირე ჰესების პრივატიზაცია (დასრულდა 1995 წელს). სულ გაიყიდა 14 ჰესი. მათი საერთო სიმძლავრე შეადგენდა მთლიანი ენერგო სისტემის 2%-ს, გამოშუშავებული ელექტროენერგია – 1,85%, ძირითადი კაპიტალის ღირებულება – 1%-ს.<sup>3</sup>

**ამ ეტაპზე ქვეყანაში შეიქმნა ეკონომიკის კრიმინალიზაციის ხელშემწყობი პირობებიც,** მომძლავრდა გენეტიკური „შადიმანიზმი“, როგორც ლალაზზე აღმოცენებული მსოფლმხედველობა და ახალ სიტუაციაში იგი ძალმომრეობაზე დაყრდნობით ფაქტობრივად იქცა ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების „რეგულირების“ განმსაზღვრელ ძალად.

**ყოველივე ზემოთ აღნიშნულმა განაპირობა ეროვნული ეკონომიკის სისტემურ კრიზისში შესვლა. რაც ამ ეტაპის მკაფიოდ გამოკვეთილი თავისებურებაა.**

1 იქვე, გვ. 41.

2 საქართველოში სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის საკითხები. თბ. 1996. გვ. 16.

3 დემურ ჩიომახიძე. საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოება. თბ. 2003. გვ. 347.

1994 წელს ანტიკრიზისული პროგრამის მიღებით, 1995 წელს ეროვნული ვალუტის – ლარის ამოქმედებით, ინფლაციური პროცესების რეგულირებით, რაც მთავარია, 1995 წელს ქვეყნის ახალი კონსტიტუციის მიღებით, რომელმაც ეროვნული ეკონომიკის სოციალური ორიენტაცია სწორად განსაზღვრა, მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკით, ინდიკატური დაგეგმვით, როგორც განვითარების რეგულირების მეთოდის (ინსტრუმენტის) გამოყენებით, თავად ფორმირებადმა სახელმწიფომ ეკონომიკის გაჯანსაღების (უფრო სწორად გამოცოცხლების) გარკვეული პოზიტიური ფონი შექმნა. ეს მოვლენა (პროცესი) ქვეყნის განვითარების თავისებურებაცაა და ტენდენციაც.

**გარდაქმნების მეორე ეტაპისათვის (1996-2003 წლები) დამახასიათებელი იყო მშპ ზრდის შედარებით მაღალი ტემპები<sup>4</sup>, საბაზრო სისტემის მატერიალური და ორგანიზაციულ-სამართლებრივი საფუძვლების მომზადება, მსოფლიო ინტეგრაციულ პროცესებში ქვეყნის ეკონომიკის მონაწილეობის გაფართოება, საერთაშორისო ეკონომიკურ და ფინანსურ სტრუქტურებთან მჭიდრო ურთიერთობათა დამყარება, საქართველოს ვმო-ში მიღება (1999), ეროვნული ეკონომიკის სოციალური ორიენტაცია.**

1988 წლის მიმართ 1996 წელს სამრეწველო პროდუქციის წარმოებამ შეადგინა მხოლოდ 14,2%.

ეს მაშინ, როცა ამავე პერიოდში დსთ ქვეყნებში სამრეწველო პროდუქციის წარმოების მაჩვენებლები შეადგენდა: უზბეკეთში – 106%-ს, თურქმენეთში – 81%-ს, ბელორუსში – 63%-ს, უკრაინაში – 55%-ს, ყაზახეთში – 48%-ს, სომხეთში 48%-ს, რუსეთში – 47%-ს, მოლდოვაში – 44%-ს, აზერბაიჯანში – 41%-ს, ყირგიზეთში – 39%-ს, ტაჯიკეთში – 38%-ს.<sup>5</sup>

ამავე პერიოდში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებამ შეადგინა 1988 წლის 59%.<sup>6</sup>

**ამ პერიოდში საწარმოების 80% არ მუშაობდა. ძირითად კაპიტალში ინვესტიციების წილი შეადგენდა 9,6%-ს. ჩამოყალიბდა ქონებრივად მკვეთრად დიფერენცირებული საზოგადოება. სოციალური სამართლიანობის ლოზუნგზე აგებული საბჭოთა მონოპოლია შეიცვალა კლანურ ინტერესებზე აგებული კაპიტალისტური მონოპოლიით.<sup>7</sup>**

1996 წელს მოსახლეობის 1% ფლობდა ეროვნული სიმდიდრის 1/3 ნაწილს, დაგროვილი საშინაო ქონების 25-30%-ს, მოსახლეობის უმდიდრესი 10% წილად მოდიოდა ფარული პრივატიზების 9-10%, „ღია“ პრივატიზების 35-40%, მიმდინარე შემოსავლების 35%. კერძო და აქციონერულ საკუთრებაში გადასული ძი-

4 სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით დასტურდება, რომ მშპ ზრდის ტემპებმა შეადგინა წინა წელთან შედარებით 1996 წელს – 111,2%, 1997 წელს – 110,8%, 2000 წელს – 101,8%, 2001 წელს – 104,2%, 2002 წელს – 105,5%, 2003 წელს – 111,1%, 2003 წელს მშპ მოცულობამ 1990 წლის მაჩვენებლის 46,8% შეადგინა.

5 გაზეთი „ნეზავისიმია გაზეთი“. 1996 წლის 22 ნოემბერი.

6 ვრცლად ნ. ჭითანავა. გარდამავალი პერიოდის სოციალ-ეკონომიკური პრობლემები. თბ. 1997. გვ. 327-329.

7 რ. ასათიანი. საქართველოს ეკონომიკა. თბ. 2009.



რითადი ფონდების – 70-75%.<sup>1</sup> აღზევდა „ჩრდილოვანი ეკონომიკა და კორუფცია“.<sup>2</sup> აღსანიშნავია, რომ 1998 წლის მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა მნიშვნელოვნად შეაფერხა ეკონომიკური განვითარება (1998 წელს წინა წელთან შედარებით მშპ ზრდის ტემპი 3%-ით დაეცა).

**ოფიციალური სტატისტიკით, 1996 წლის ივლისში დასრულდა საწარმოთა პრივატიზაციის პირველი ეტაპი. მან მოიცვა სამი სფერო: ბინების პრივატიზაცია, მცირე პრივატიზაცია და სავაუჩერო პრივატიზაცია.**

1996 წლის 1 ნოემბრის მონაცემებით, შრომით კოლექტივებზე შეღავათების, ქვეყნის მოსახლეობაზე ვაუჩერების (30 აშშ დოლარის ეკვივალენტის ნომინალური ღირებულების ვაუჩერი მოსახლეობის ერთ სულზე) და საცხოვრებელი ბინების უფასო პროვატიზების სახით გაიცა 405,5 მლნ. აშშ დოლარის ეკვივალენტური აქციები, ვაუჩერები და ქონება (სულ დარიგებული იყო 4 264 541 საპრივატიზებო ბარათი).<sup>3</sup>

1997 წლის ჩათვლით სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის შედეგად მიღებული იყო 336,6 მლნ. აშშ დოლარის ეკვივალენტური თანხა, ხოლო 1998 წელს ნულოვან აუქციონზე პრივატიზებიდან შემოსულმა თანხებმა შეადგინა 26 მლნ. ლარი. 1998 წლის 9 თვეში სახელმწიფო სექტორში შეიქმნა მთლიანი სამრეწველო პროდუქციის 61,1%, ხოლო არასახელმწიფო სექტორში – 38,9%. ამ პერიოდში ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების (საბაზრო სუბიექტების) მიხედვით თანაფარდობა შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: სოლიდური პასუხისმგებლობის საზოგადოება – 0,3%, შპს – 30,7%, სააქციო საზოგადოება – 2,5%, კოოპერატივი – 1,2%, ინდივიდუალური საწარმო – 47,3%, ფონდი – 0,1%, სახაზინო საწარმო – 3,2%. სხვა დანარჩენი – 11,2%. პრივატიზაციის პროცესში მონაწილეობა მიიღო 50 უცხოურმა ფირმამ. მათი მონაწილეობით იმ პერიოდში ფუნქციონირებდა 150 საწარმო. აღსანიშნავია, რომ პრივატიზებული საწარმოები იმ პერიოდში იყენებდნენ სიმძლავრეების მხოლოდ 10-15%.<sup>4</sup>

1997 წლის აპრილისთვის კერძო საკუთრებაში გადაცემული იყო სასოფლო-სამეურნეო სავარგული 870 ათასი ჰა (29,5%), სახნავი – 750 (61,5%), მრავალწლიანი ნარგავები – 271 ათასი ჰა (81,5%), ნასვენ მიწები 10 ათასი (6%), სათიბი – 73 ათასი (54%), საძოვარი – 100 ათასი ჰა (6%).<sup>5</sup>

1998 წლის 1 აპრილის მდგომარეობით, სოფლად მცხოვრებ 693,4 ათას კომლს საკუთრებაში ჰქონდა

1 იოსებ არჩვაძე. ეკონომიკა და დრო. თბ. 2000. გვ. 63-64.

2 ფარულმა ეკონომიკამ 60%-ს გადააჭარბა. ჯანმრთელობის სფეროში 75-80%-ს მიაღწია. ვრცლად როზეტა ასათიანი. საქართველოს ეკონომიკა. თბ. 2009. გვ. 70

3 ვრცლად ნოდარ ჭითანავა. გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. თბ. 1997. გვ. 124-136.

4 ვრცლად ნოდარ ჭითანავა. გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. II ნაწილი. 1999. გვ. 12.

5 თ. კუნჭულია. საქართველოს სოფლის მეურნეობის საბაზრო ეკონომიკაზე გადაყვანის პრობლემები. 1997. გვ. 103.

717,3 ათასი მიწის ფართობი (საშუალოდ ერთ ჰა ცოტა მეტი), ხოლო ქალაქად მცხოვრებ 326,4 ათას ოჯახს – 72,4 ათასი ჰა (საშუალოდ 0,22 ჰა).

აღსანიშნავია, რომ 1992-1995 წლებში სახნავი ფართობი 36,1 ათასი ჰა-თი შემცირდა, მრავალწლიანი ნარგავები – 25,3 ათასით. ინტენსიური სასოფლო-სამეურნეო ბრუნვიდან გამოვიდა 61,4 ათასი ჰა დამუშავებაში მყოფი მიწა. 4,9 ათასი – დაჭაობდა, 2,4 ათასი – დაბუჩქდა.<sup>6</sup> აღნიშნულ პერიოდში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობის 97,6%, ძროხების თითქმის 100%, თხისა და ცხვრის – 89%, ღორის 99%, ფრინველის 99,3% შინამეურნეობების მფლობელობაში იყო. იმ პერიოდში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის 90% მეტი კერძო სექტორში ინარმოებოდა.

აქვე აღსანიშნავია, რომ საქართველოს სოციალისტურ მეურნეობრივ სისტემაშიც ინდივიდუალურ (არასახელმწიფო) სექტორის დიდი ხვედრითი წონა ჰქონდა. მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის 49-50%, ხილის, ციტრუსოვანთა ნაყოფის წარმოების – 80%, ყურძნის – 70%, ძროხების სულადობის – 75%, მრავალწლიანი ნარგავების თითქმის მესამედი ინდივიდუალურ (კერძო) სექტორს განეკუთვნებოდა.<sup>7</sup> სამსუხაროდ, ეს თავისებურება აგრარული სექტორის ტრასფორმაციის პროცესში გათვალისწინებული არ იყო.

ამრიგად, პრივატიზაციის შედეგად აგრარულ სექტორში მსხვილი წარმოება შეიცვალა წვრილი წარმოებით, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა გაჩანაგდა, პროდუქციის წარმოების ტექნოლოგიური, ეკონომიკური და ორგანიზაციული ერთიანობა დაირღვა. ამასთან, საკუთრებით ურთიერთობებში თვისებრივად ახალი მდგომარეობა შეიქმნა. ჩამოყალიბდა პოზიტიურ ფაქტორთა ერთობლიობა, რომლის ამოქმედებისათვის საჭირო იყო აქტიური აგრარული პოლიტიკა, რომელიც შემდგომშიც არ განხორციელებულა.

III ეტაპზე (2003-2012 წლები) ქვეყანაში მიზანმიმართულად განხორციელდა კორუფციასთან, ეკონომიკურ დანაშაულთან კომპლექსური ბრძოლა, გაღრმავდა საერთაშორისო სტრუქტურებთან კავშირები, პრიორიტეტული მნიშვნელობა მიეცა ინფრასტრუქტურის სწრაფი ტემპებით განვითარებას, რადიკალურად შეიცვალა სოციალური სფეროს ფუნქციონირების პრინციპები, მნიშვნელოვნად გაიზარდა უცხოური პირდაპირი ინვესტიციები.<sup>8</sup> 7-ჯერ გაიზარდა სახელმ-

6 საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების პრობლემები საბაზრო ურთიერთობების პირობებში. სამეცნიერო შრომების კრებული. ტ. 1, 1998, გვ. 60-62.

7 ნოდარ ჭითანავა. გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. II ნაწილი. 1999. გვ. 273-276.

8 პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა შეადგინა: 2000 წელს – 131,2, 2001 წელს – 109,8, 2002 წელს – 167,3, 2003 წელს – 430,1, 2004 წელს – 499,1, 2005 წელს – 449,8, 2006 წელს – 1,190 მლნ. აშშ დოლარი, 2007 წელს – 2014,8 მლნ, 2008 წელს – 1564 მლნ, 2009 წელს – 658,4 მლნ, 2010 წელს – 814,5 მლნ, 2011 წელს – 1117,2 მლნ, 2012 წელს – 865,2 მილიონი დოლარი.

ნიფო შემოსავლებიც განხორციელდა ე.წ. აგრესიული პრივატიზაცია. 2003-2008 წლებში პრივატიზაციიდან მიღებული თანხები მნიშვნელოვნად გაიზარდა.<sup>1</sup> ამ პერიოდში მშპ ზრდის ტემპებმა შეადგინა: 2004 წელს – 105,9%, 2005 წელს – 109,6%, 2006 წელს – 109,4%, 2007 წელს – 112,4%, 2008 წელს – 108,5%. ამ ეტაპზე რუსეთის ფედერაციის მთავრობის ინიციატივით საქართველოს ეკონომიკა მოწყდა მის ტრადიციულ ბაზარს. ხოლო 2008 წლის აგვისტოში რუსეთის აგრესიისა და ამასთან მსოფლიო ფინანსური კრიზისის გავლენით მნიშვნელოვნად შეფერხდა ეკონომიკის განვითარება. 2009 წელს მშპ წინა წელთან შედარებით 3,8%-ით შემცირდა. 2010 წელს ზრდამ შეადგინა 6,3%, 2011 წელს – 7,2%, 2012 წელს – 6,1%.<sup>2</sup>

მშპ ზრდასთან მიმართებაში ყურადღება უნდა მივაქციოთ შემდეგ თავისებურებას: განვილი პერიოდებში ეკონომიკური ზრდის ზემოთ მოცემული მაჩვენებლები თითქოს ერთობ წარმატებული, შთამბეჭდავითა და სტაბილურობის არგუმენტადაც გამოიყენება. რეალურად კი მათი პოზიტიური გავლენა მოსახლეობის ცხოვრების დონეზე (ზრდის მთავარი მიზანი) უმნიშვნელოა და ეროვნული ეკონომიკის საჭირო მასშტაბებით განვითარებას, უფრო სწორად სისტემური კრიზისიდან გამოსვლის დაჩქარებას ვერ უზრუნველყოფს. მშპ ზრდის შედარებით მაღალი მაჩვენებლები ფაქტობრივად ეროვნული ეკონომიკის აღდგენითი, საკომპენსაციო ზრდის პროცესს ასახავს და განისაზღვრება დაბალი საწყისი დონით. თუ მშპ ზრდის მონაცემებს შევუდარებთ რეფორმამდელი პერიოდის ანალოგიურ მაჩვენებლებს, ობიექტურად გამოჩნდება მიღწეული დონის რეალური მნიშვნელობა. მაგალითად, 1988 წლის მიმართ მშპ წარმოება შეადგენდა: 1994 წელს – 27,8%, 2000 წელს – 38,1%, 2003 წელს – 46,3%, 2007 წელს – 65%, 2008 წელს – 71,1%-ს,<sup>3</sup> 2011 წელს – 84,3%.

აქვე აღვნიშნავთ, რომ 2008 წლისთვის მშპ წარმოების რეფორმამდელი დონე (1990 წლის) დაძლეული ჰქონდათ რუსეთს, ბელარუსს, ყაზახეთს, თურქმენეთს, უზბეკეთს, ტაჯიკეთს, სომხეთს, აზერბაიჯანს, ლატვიას, ლიტვას, ესტონეთს.<sup>4</sup>

2012 წლის მშპ დარგობრივ სტრუქტურაში მრეწველობას უჭირავს – 17,2%, ვაჭრობას – 16%, ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობას – 10,6%, მშენებლობას – 7,3%, სოფლის მეურნეობას, მეთევზეობას – 8,4%, საფინანსო საქმიანობას – 3%. სტრუქტურაში დიდი ხვედრითი წილი აქვს სახელმწიფო მმართველობას

1 2003 წელს შეადგინა 23,6 მლნ ლარი, 2004 წელს – 72,6 მლნ, 2005 წელს – 419,4 მლნ, 2006 წელს – 564,9 მლნ. ლარი, 2007 წელი – 643,8 მლნ, ხოლო 2008 წელს – 551 მლნ. ლარი (სულ 2003-2008 წლებში – 2 მლრდ. 175 მლნ. 300 ათასი ლარი). მაშინ, როცა 2001 წელს შეადგენდა 5,6 მლნ, 2002 წელს – 8,7 მლნ. ლარს. საქართველოს სტატისტიკური წელიწადი – 2008. თბ. 2008. გვ. 148.

2 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები.

3 როზეტა ასათიანი. გლობალიზაცია: ეკონომიკური თეორია და საქართველო. თბ. 2010. გვ. 31.

4 იქვე, გვ. 32.

(11,2%). ასეთი სტრუქტურა არ იძლევა რეალურ სურათს ეროვნული ეკონომიკის განვითარების ტენდენციების ობიექტურად შეფასებისთვის. სახელმწიფო მმართველობის მნიშვნელოვანი წილი ძირითადად განპირობებულია სახელმწიფო სტრუქტურებში ხელფასის ზრდით (საშუალო ხელფასი 7-ჯერ აღემატება საშუალო პენსიას).<sup>5</sup> ვაჭრობის ხვედრითი წილის ზრდა გამოწვეულია იმპორტის მოცულობის ზრდით. შიდა ბაზარზე იმპორტით შემოტანილი საქონლის ხვედრითი წილი 70-80%-მდე მერყეობს. მრეწველობის მონაცემები გვიჩვენებს, რომ ქვეყანაში მიმდინარეობს დეინდუსტრიალიზაციის საშიში პროცესი.<sup>6</sup> სოფლის მეურნეობის მოკრძალებული წილი ადასტურებს, რომ დასაქმებულთა 54%-ის, რომელიც სოფლის მეურნეობაში თითქოს მუშაობს, შრომის მწარმოებლურობა მეტად დაბალია. აღსანიშნავია, რომ სოფლის მეურნეობაში მომუშავეთა ხვედრითი წილი შეადგენს: ესტონეთში – 5,3%, ლატვიაში – 12,1%, უკრაინაში – 19,4%, რუსეთში – 10,2%, აშშ – 1,5%... ასევე მეტად დაბალია შრომის მწარმოებლურობის მაჩვენებლები სოფლის მეურნეობაში. მაგალითად, ერთი ფერმერი კვებავს: ისრაელში – 97 კაცს, აშშ – 79, ევროპაში – 67, უკრაინაში – 17, რუსეთში – 14,7, საქართველოში – 0,85 კაცს.

2012 წელს მშპ-ს მოცულობამ მოსახლეობის ერთ სულზე შეადგინა 3519 აშშ დოლარი, რაც დაბალი მაჩვენებელია. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ევროკავშირში შემსვლელი კონკურენტი ქვეყნისათვის ეს მაჩვენებელი უნდა იყოს არანაკლებ 4900 ევროსი.

1988-2011 წლებში მკვეთრად შემცირდა სამრეწველო პროდუქციის ზოგიერთ უმნიშვნელოვანეს სახეობათა წარმოება. მაგალითად, ელექტროენერჯის წარმოება – 1,5-ჯერ, მანგანუმის – 9-ჯერ, ცემენტისა – 1,5-ჯერ, ქვანახშირის – 134-ჯერ, მინერალური წყლებისა – 2-ჯერ, ღვინოსი – 6,4-ჯერ, კონიაკის – 22-ჯერ, შამპანურისა – 13-ჯერ, ნატურალური ჩაისი – 68,2-ჯერ. თუ 1990 წელს მრეწველობაში დასაქმებული იყო 560 ათასი კაცი, ეს მაჩვენებელი 2011 წელს შეადგენდა 109.1 ათას კაცს, ანუ 19,5%-ს. უცხოელ პარტნიორებთან ერთად მრეწველობაში ფაქტობრივად არ გამოიყენება დივერსიფიკაციის შესაძლებლობანი. ეს მეთოდი ფართოდ არის გავრცელებული განვითარებულ ქვეყნებში, მაგალითად,

5 სახელმწიფო სტრუქტურებში 2010 წელს ხელფასი შეადგენდა 1000 ლარზე მეტს, ქვეყანაში კი – 614 ლარს. მასწავლებლის ხელფასი 348 ლარია, ექიმისა – 420, რაც ქვეყნის საშუალო მაჩვენებელზე ნაკლებია (გაზეთი „ასავალ-დასავალი“. 2012 წ. 9-15 იანვარი. №2). ექსპერტთა აზრით, საქართველოში მკურნალობის ხარჯების 80%-ს პაციენტი ფარავს. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემებით ჯანმრთელობაზე განეული სახელმწიფო ხარჯების მიხედვით 170 ქვეყანას შორის საქართველო 149-ე ადგილზეა (იქვე).

6 დარგის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა გაჩანაგდა, ორგანიზაციული და საკადრო პოტენციალი მოიშალა. მრეწველობამ ეროვნული ეკონომიკის „ხერხემლის“ ფუნქცია დაკარგა. 2011 წელს წარმოებულ იქნა 6428,3 მლნ. ლარის სამრეწველო პროდუქცია. აღსანიშნავია, რომ საკვები პროდუქტების წარმოებაზე მოდის 33,6%, ელექტროენერჯის, გაზისა და წყლის წარმოებაზე – 15,9%.

„ფონდმოტორზი“ საქმიანობს 8 დარგში. ინგლისში 100 ნამყვანი სამრეწველო ფირმიდან მრავალდარგიანია – 96, გერმანიაში – 78, საფრანგეთში – 84. არსებული სიმძლავრეების სხვადასხვა სახის პროდუქციის წარმოებისთვის გამოყენება, პირველ რიგში, იმ საწარმოების რენტაბელურ საქმიანობას ხელს შეუწყობს, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის (ნედლეულის) გადამამუშავებას ეწევიან და მკვეთრად გამოხატული სეზონურობით ხასიათდებიან (ციტრუსების, ჩაის, ეთერზეთოვანი კულტურების, ბოსტნეულის, ხილის, ყურძნის გადამამუშავება და ა.შ.). მრეწველობაში დიდი რეზერვია მსხვილი და მცირე საწარმოების კოოპერაციის შესაძლებლობათა გამოყენება.

**III ეტაპზე გამოიკვეთა** მშენებლობის (როგორც დარგის) განვითარების პოზიტიური ტენდენციები. ეს აიხსნება ბინათმშენებლობის მასშტაბების ზრდით, ტურიზმის განვითარების დაჩქარებით, საავტომობილო მაგისტრალებისა და ენერგობიექტების მოდერნიზაცია-რეაბილიტაციით, საერთოდ ინფრასტრუქტურის განვითარების მაღალი ტემპებით.

მშენებლობის შედარებით მაღალ ტემპებს გვიჩვენებს შემდეგი მონაცემები: მშენებლობაში ბრუნვის მაჩვენებელი 2004-2011 წლებში გაიზარდა **8,6-ჯერ**, გამოშვებული პროდუქციის მოცულობა – **8,8-ჯერ**, დამატებული ღირებულების მოცულობა – **9,2-ჯერ**, ნიშანდობლივია, რომ მშენებლობის სექტორი დასაქმების რეალურ სფეროს წარმოადგენს, მაგალითად, 2004-2011 წლებში დასაქმების მაჩვენებელი გაიზარდა **3-ჯერ** და შეადგინა 65.220 ათასი კაცი, **3-ჯერ** გადიდა დასაქმებულთა შრომის ანაზღაურების მაჩვენებელი და 2011 წელს შეადგინა 741,3 ლარი.<sup>1</sup>

მშენებლობის მაღალ ტემპებს მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელი იმან, რომ 2008 წელს ქვეყნისთვის გამოყოფილი კრედიტის (3 მლრდ აშშ დოლარი) დიდი ნაწილი გამოყენებულ იქნა ძირითადად ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის.

**განვლილ პერიოდში მნიშვნელოვანი პოზიტიური ცვლილებები განიცადა ტრანსპორტმა და კავშირგაბმულობამ.** 1996 წელს საერთო სარგებლობის ტრანსპორტით (სახეების მიხედვით) გადატანილ იქნა 14 მლნ 149 ათასი ტონა ტვირთი, ანუ 1988 წლის მაჩვენებელთან (492,2 ტონა) შედარებით 34-ჯერ ნაკლები. შესაბამისად, სარკინიგზო ტრანსპორტით – 7 მლნ და 36,2 მლნ ტონა (5-ჯერ ნაკლები), საავტომობილო ტრანსპორტით – 8 მლნ 800 ათასი ტონა და 451,7 მლნ ტონა (5-ჯერ ნაკლები), საჰაერო ტრანსპორტით – 3,5 ათასი ტონა და 200 ათასი ტონა (57-ჯერ ნაკლები). მკვეთრად დაეცა მგზავრთა გადაყვანის მაჩვენებლებიც. მაგალითად, 1996 წელს გადაყვანილ იქნა რკინიგზით 3 მლნ კაცი (ანუ 1988 წელთან შედარებით 7,3-ჯერ ნაკლები, ავტობუსებით – 5,8-ჯერ ნაკლები, საჰაერო ტრანსპორტით – 8,6-ჯერ ნაკლები).<sup>2</sup> შემდგომ პერიოდში (1996-2003

წწ.) დარგის განვითარებაში რაოდენობრივი ცვლილებები მოხდა. კერძოდ, აღნიშნულ პერიოდში ტვირთის გადატანამ შეადგინა 41 მლნ 81 ათასი ტონა (2,9-ჯერ მეტი), შესაბამისად, რკინიგზაზე – 3,5-ჯერ მეტი, საავტომობილო ტრანსპორტზე – 2,78-ჯერ მეტი. შემცირდა საზღვაო ტრანსპორტზე – 14-ჯერ, საჰაერო ტრანსპორტზე – 2,7-ჯერ.

ამავე პერიოდში მგზავრთა გადაყვანის მაჩვენებელი გაიზარდა – 1,2-ჯერ, მათ შორის ავტობუსებით – 1,4-ჯერ, რკინიგზითა და საჰაერო ტრანსპორტით გადაყვანილი მგზავრების რაოდენობა 1996 წელთან შედარებით შემცირდა (შესაბამისად რკინიგზით 800 ათასი, საჰაერო ტრანსპორტით 100 ათასი მგზავრით).

2004-2011 წლებში ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში (ერთად აღირიცხება) ბრუნვის მაჩვენებელი გაიზარდა 2,5-ჯერ და შეადგინა 4 მლრდ. ლარი. გამოშვებული პროდუქცია გაიზარდა 2,2-ჯერ (შეადგინა 2,7 მლრდ მანეთი). დამატებული ღირებულება გაიზარდა 2-ჯერ (შეადგინა 1 მლრდ 610 მლნ ლარი). ამ პერიოდში დასაქმებულთა რაოდენობა 60072 კაციდან 51347 კაცამდე შემცირდა. 4-ჯერ გაიზარდა დასაქმებულთა შრომის ანაზღაურება (შეადგინა 866,8 ლარი).

თვისებრივად შეიცვალა კავშირგაბმულობის, როგორც დარგის განვითარების მაჩვენებლები. თუ 1988 წელს ტელეფონის აპარატების საერთო რაოდენობა შეადგენდა 555,1 ათას ცალს,<sup>3</sup> ხოლო 1995 წელს სატელეფონო ქსელში ჩართული აბონენტების რაოდენობა განისაზღვრებოდა 626,3 ათასით (მათ შორის 512,5 ბინის აბონენტი), 1997 წლიდან დაფიქსირდა ფიჭური კავშირის აბონენტების რაოდენობა 34,4 ათასი კაცი. 2004 წელს ეს მაჩვენებელი შეადგენდა 800,4 ათასს.<sup>4</sup> აღსანიშნავია, რომ 2009-2012 წლებში საქართველოში შემოტანილ იქნა 442 მლნ დოლარის ღირებულების სატელეფონო აპარატები. 2008 წელს მობილური კავშირის აბონენტების რაოდენობამ მოსახლეობის 100 სულზე შეადგინა 70,2<sup>5</sup> ეს მაშინ, როცა 1990 წელს საერთოდ მობილური ტელეფონი არ გამოიყენებოდა.

**1990-2011 წლებში მკვეთრად დაეცა აგრარული სექტორის პოტენციალი.** ჩაის ფოთლის წარმოება შემცირდა 200-ჯერ, ყურძნისა – 4,3-ჯერ, ხილისა – 3-ჯერ, ციტრუსებისა – 5,4-ჯერ, ხორცისა – 5,4-ჯერ, რძისა – 1,2-ჯერ, კვერცხისა – 1,2-ჯერ. დაინგრა დარგის საწარმოო და ორგანიზაციული ბაზა. კატასტროფულად დაეცა მიწის ნაყოფიერება. ეროზიას განიცდის სავარგულების 40%, დამლაშებული და ბიცობიანია 218 ათასი ჰა. აღსანიშნავია, რომ 2011 წელს საქართველოში წარმოებულ იქნა 97 ათასი ტონა ხორბალი. მაშინ, როცა მისი წლიური მოხმარება 750-800 ათას ტონას შეადგენს. შემცირდა მეცხოველეობის სულადობა: მსხვილფეხარქოსანი პირუტყვისა – 1,4-ჯერ, ღორისა – 5,5-ჯერ,

**3 საქართველოს სსრ სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტი. საქართველო ციფრებში 1988 წელს, თბ., 1989. გვ. 138.**

**4 საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული 2006. თბ., 2007. გვ. 227.**

**5 ა. თვალჭრელიძე, ა. სილაგაძე... საქართველო სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამა, თბ., 2011, გვ. 100.**

1 სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები.

2 გაანგარიშებულია ჩვენს მიერ, საქართველოს სტატისტიკური წელიწდეულის (2006) გვ. 223 და საქართველოს სსრ სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის „საქართველო ციფრებში 1988 წელს“ მონაცემების (გვ. 136) მიხედვით.

ცხვრისა და თხისა – 2,4-ჯერ, ფრინველისა – 3,2-ჯერ. 2011 წლის მონაცემებით, თვითურუნველყოფის კოეფიციენტი შეადგენდა ხორბლისა – 13%, ბოსტნეულისა – 73%, ხორცისა – 41%, ფრინველის ხორცისა – 21%, რძისა – 93%, კვერცხისა – 98%, კარტოფილისა – 85%.

აგრარული სექტორი ნატურალური მეურნეობის პრინციპებზე ფუნქციონირებს. მან სავალუტო რესურსების ფორმირების ფუნქცია დაკარგა. ჩანასახობრივ მდგომარეობაშია საწარმოო კოოპერაცია. ფაქტობრივად თავიდან იქმნება ინფრასტრუქტურა.

**მატერიალური წარმოების დონის მკვეთრმა შემცირებამ, ბუნებრივია განაპირობა სოციალური სფეროს განვითარების დონის ადეკვატური შემცირებაც, რაც ლოგიკურად აისახა კონკრეტულ მაჩვენებლებსა და ტენდენციებზე.**

**განვილი პერიოდში დემოგრაფიული სიტუაცია გამწვავდა.** 2012 წელს მოსახლეობა შეადგენდა 4497,6 ათას კაცს, ანუ 1989 წელთან შედარებით შემცირდა 1,22-ჯერ. 2012 წელს ქვეყანაში მოსახლეობის მატებამ მხოლოდ 7683 კაცი შეადგინა (1,8 პრომილე), მოსახლეობის დაბერების პროცესი ღრმავდება. 65 წელზე ზევით ასაკის მოსახლეობა შეადგენს თითქმის 13%. შესაბამისად, მცირდება მოსახლეობის საშუალო ასაკი (ამჟამად შეადგენს 37,6 წელს).<sup>1</sup>

**ექსპერტთა გაანგარიშებით, მოსახლეობის ერთი წლით დაბერება იწვევს მშპ წარმოების პოტენციალის თითქმის 2,5%-ით შემცირებას. რას ნიშნავს ეს? ქვეყნის მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა ამჟამად 1990 წლის დონეზე რომ ყოფილიყო, შეიძლებოდა გვეწარმოებინა 3,2 მლრდ ლარით მეტი (15%) მშპ. დამატებით მიგველო ბიუჯეტის შემოსავლები 800 მლნ ლარით მეტი და ფაქტობრივად გაორმაგებულიყო საშუალო პენსია?<sup>2</sup>**

2002 წლის აღწერის მიხედვით, საქართველოში 3661 ათასი ქართველი ცხოვრობდა (83,6%). ყველაზე მეტი ბავშვი 1961 წელს დაიბადა – 104 ათასი, ხოლო 1960-1990 წლებში საშუალოდ 93 ათასი ბავშვი იბადებოდა. 1991-2010 წლებში კი – 56 ათასი (1,7-ჯერ ნაკლები). დემოგრაფიულ ანზორ თოთაძის აზრით<sup>3</sup>, დემოგრაფიულ ვითარებას, პირველ რიგში, ართულებს, შობადობის დონის მკვეთრი შემცირება, მაგალითად, 1980-1989 წლებში, საქართველოში 455 ათასი გოგონა დაიბადა, ხოლო 1990-1999 წლებში მხოლოდ 306 ათასი გოგონა, ბოლო ისევ 10 წელიწადში (2000-2009 წლებში) დაიბადა 236 ათასი გოგონა, ანუ 219 ათასით ნაკლები 1980-1989 წლებთან შედარებით<sup>4</sup>. ეს მონაცემი იმას გვეუბნება, რომ 2012-2030 წლებში შობადობა საგრძნობლად შემცირდება და პიკს დაახლოებით 2020 წლების პირველ ნახევარში მიაღწევს. ბოლო წლებშიც დაფიქსირდა შობადობის შემცირების ტენდენცია. მაგალითად, 2009 წელს თუ დაიბადა

63 ათასი ბავშვი, 2010 წელს – 62 ათასი, 2011 წელს – 58,104 ათასი, 2012 წელს 57,103 ათასი ბავშვი. მცირდება საქართველოს მოსახლეობის ხვედრითი წილი სამხრეთ კავკასიაში. მაგალითად, 1926 წელს საქართველოს მოსახლეობა სამხრეთკავკასიის მოსახლეობის 45,5%-ს შეადგენდა, აზერბაიჯანისა – 39,5%, სომხეთისა – 15%-ს. 2009 წელს საქართველოს მოსახლეობის ხვედრითი წილი შეადგენს 26,5%-ს, აზერბაიჯანისა – 53,9%, სომხეთისა – 19,6%-ს.

დემოგრაფიული ვითარება სერიოზულ დაფიქრებას და საერთოდ საგანგებო ღონისძიებათა განხორციელებას მოითხოვს.<sup>5</sup>

**მოსახლეობის ცხოვრების დონე.** საქართველოში სიღარიბის ზღვარი შეადგენდა 1994 წელს – 80%-ს, 1997 წელს – 44,2%-ს, 2000 წელს – 51,8%-ს, 2003 წელს – 54,5%-ს. 2004 წლიდან ქვეყანაში საარსებო მინიმუმის გაანგარიშების საყოველთაოდ მიღებული მეთოდიკა შეიცვალა. 2005 წლიდან საარსებო მინიმუმი იანგარიშება სტატისტიკური მეთოდით, რომელიც ემყარება მოსახლეობის ყველაზე უქონელი 10%-ის ფაქტობრივ მინიმალურ მოხმარებას. ასეთმა მიდგომამ სიღარიბის ადრინდელი მაჩვენებლების კორექტირება გამოიწვია. ოფიციალური ინფორმაციით ნაჩვენებია, რომ 2004 წელს საქართველოში სიღარიბის დონე თითქოს შეადგენდა 24,6%-ს, 2005 წელს – 24,1%-ს, 2006 წელს – 23,3%-ს, 2007 წელს – 21,3%-ს. ეს მაშინ, როცა მსოფლიო ბანკის მონაცემებით საქართველოში 2007 წელს მოსახლეობის 50% იყო ღარიბი, 17% – ლატაკი.

**სოციალური მომსახურების სააგენტოს 2011 წლის დეკემბრის მონაცემებით, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის ერთიან ბაზაში სულ 1 632 403 ადამიანია რეგისტრირებული, რაც მოსახლეობის 36,5%-ს შეადგენს. ექსპერტთა გათვლით, საქართველოში სიღარიბის დონე 50%-ს შეადგენს.<sup>6</sup>**

**სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით (2013 წლის იანვრისათვის)** შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმი 150,7 ლარია. საშუალო მომხმარებლის – 133,5, საშუალო ოჯახისა – 252,7, ოთხსულიანი ოჯახის – 266,9 ლარი, ექვსსულიანი და მეტი ოჯახის – 355 ლარი.

როგორია საარსებო მინიმუმის მონაცემები სხვა ქვეყნებში? 2011 წლის პირველ ნახევარში, (მაისში) ლარზე გადაყვანით საარსებო მინიმუმი საქართველოში 166,4 ლარი იყო, აზერბაიჯანში – 328 ლარი, უკრაინაში – 196 ლარი, რუსეთში – 390, ყირგიზეთში – 34 ლარი, ესტონეთში – 520 ევრო, ნორვეგიაში – 2100, სლოვენიაში – 830.<sup>7</sup>

**5 1254 წელს ჩატარებული აღწერის მიხედვით, საქართველოში 8 მლნ. კაცი ცხოვრობდა. 1770 წლისათვის 761 ათასამდე შემცირდა. 1800 წელს საქართველოს მოსახლეობამ შეადგინა 675 ათასი კაცი. 1897 წელს ჩატარებული აღწერის მიხედვით საქართველოს მოსახლეობამ 2.109 ათას კაცს მიაღწია. (გაზეთი „ასავალ-დასავალი“. 2012 წლის 30 იანვარი-5 თებერვალი. №5. გვ. 26). დემოგრაფიის პრობლემები ვრცლად განხილულია წინამდებარე ნაშრომში (გვ. 3) ბატონ ლეო ჩიქავას სტატიაში.**

6 გაზეთი „რეზონანსი“, 2012 წლის 7 თებერვალი. გვ. 10.

7 გაზეთი „ასავალ-დასავალი“, 2011. 3-9 ოქტომბერი, გვ. 27.

1 ი. არჩვაძე. საქართველო 1988-2010 წლებში. გაზ. „საქართველო და მსოფლიო“. 30 მარტი-5 აპრილი. 2011. №11. გვ. 16. ეს მაჩვენებელი სომხეთში გაიზარდა 27-დან 32 წლამდე, აზერბაიჯანში – 23,2-დან 28,4 წლამდე.

2 ი. არჩვაძე. დასახლებული წყარო.

3 გაზეთი „ასავალ-დასავალი“. 2012 წლის 30 იანვარი-5 თებერვალი. №5. გვ. 26.

4 იქვე.

ექსპერტების გათვლით სიღარიბის დასაძლევად საარსებო მინიმუმის ღირებულება სამჯერ მაინც უნდა გაიზარდოს. საქართველოში მაღალია კომუნალური ხარჯები. მაგალითად, ევროკავშირის ქვეყნებში იგი 8%-ია. საქართველოში კი (ოთხსულისანი ოჯახი, რომლის შემოსავალი 680 ლარია, კომუნალურ გადასახადებში იხდის 90 ლარს (13,2%). რაც შეეხება პენსიისა და საარსებო მინიმუმის თანაფარდობას, პარადოქსთან გვაქვს საქმე. მიუხედავად იმისა, რომ 2003-2010 წლებში პენსია 7-ჯერ გაიზარდა (14 ლარიდან 100 ლარამდე), იგი საარსებო მინიმუმის 70%-ს შეადგენდა.

ექსპერტ იოსებ არჩვაძის აზრით,<sup>1</sup> (2009 წელს) დაბალშემოსავლიანი ოჯახის ხარჯების 9/10-ზე მეტი, უპირველეს ყოვლისა, გამოყენებული იქნა სურსათის ხარჯებისა და სავალდებულო კომუნალური გადასახადების დასაფარად.

**დასაქმების (საერთოდ, უმუშევრობის) პრობლემა ყველაზე მწვავეა და მასშტაბურობით საშიშ ხასიათს იღებს.** 2010 წელს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა შეადგენდა 1944,9 ათას კაცს, დასაქმებული იყო 1628 ათასი (15,2 ათასით ნაკლები 2004 წელთან შედარებით). თვითდასაქმებული იყო 62%. უმუშევრობის დონემ შეადგინა 16,3% (აღსანიშნავია, რომ ეს მაჩვენებელი 1998 წელს შეადგენდა 12,4%). გამოკვლევების მიხედვით, დასაქმებულთა 17,4% 1,25 დოლარზე ნაკლებ თანხაზე ცხოვრობს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სოფლად დასაქმებულთა 80% თვითდასაქმებულია.

ქვეყანაში საშუალო პენსია 2010 წელს საშუალო ხელფასის 14%-ს შეადგენდა (1988 წელს – 41% იყო). მსყიდველობითუნარიანობით ამჟამინდელი პენსია 1988 წლის მაჩვენებლის მხოლოდ 36%-ია და ამჟამინდელი საარსებო მინიმუმის მხოლოდ 55% შეადგენს. თუ 1988 წელს პენსიონერთა დეპოზიტების მთლიანი თანხა ქვეყნის მშპ 20% აღემატებოდა, 2010 წელს ეს მაჩვენებელი 1,5%-ზე ნაკლებია. 2010 წელს ერთ შინამეურნეობაზე ფულადი შემოსავალი შეადგენდა 540 ლარს, რაც მსყიდველობითი უნარიანობით შეადგენს 1988 წლის მაჩვენებლის მხოლოდ 34,6%-ს მთლიანი შემოსავლების მიხედვით თანაფარდობა 42% შეადგენს<sup>2</sup>.

**განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს სოციალური დიფერენციაციის მაჩვენებელი.** ექსპერტთა გაანგარიშებით, თუ 1988 წელს დეცილური ჯგუფების მიხედვით (10% მდიდრის 10% ღარიბთან თანაფარდობა) შეადგენდა 4,5. 2010 წლისთვის ეს მაჩვენებელი 17-მდე გაიზარდა (რაც პოსტსაბჭოთა სივრცეში ერთ-ერთი უმაღლესი მაჩვენებელია).<sup>3</sup> ნიშანდობლივია, რომ ამჟამინდელი ყველაზე მაღალშემოსავლიანი მოსახლეობის 25% თავისი კეთილდღეობით უსწრებს 1980-იანი წლების ქართული საზოგადოების ყველაზე მაღალშემოსავლიანი მოსახლეობის მეოთხედს. დანარჩენი მოსახლეობის კეთილდღეობა, მატერიალური და არამატერიალური დოვლათით უზრუნ-

ველყოფის დონე თითქმის სამჯერ ჩამორჩება იმ პერიოდისას.

**გამოიკვეთა საგარეო-ეკონომიკური ფაქტორების მზარდი როლი.** უაღრესად პოზიტიურ მოვლენად უნდა ვაღიაროთ „ტრასეკასა“ და „ენერგეტიკული დერეფნის“ ფუნქციონირების პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა. ამ და მასთან დაკავშირებული სხვა ინფრასტრუქტურული ობიექტების ფუნქციონირებით ქვეყანამ შეიძინა გეოეკონომიკური სივრცის რეგულირების მნიშვნელოვანი ფუნქცია.

ამჟამად საქართველო ჩართულია გლობალურ პროცესებში. 2010 წელს მას სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობები ჰქონდა 128 ქვეყანასთან. ევროკავშირის ქვეყნებთან ურთიერთობები მზარდი ტენდენციით ხასიათდება. 1999 წლიდან საქართველო ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციისა და რიგი რეგიონული ალიანსების წევრია.

2012 წელს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 10220 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. აქედან ექსპორტზე 2377, ხოლო იმპორტზე 7058 მლნ მოდიოდა, ანუ 3-ჯერ მეტი. ქვეყნის უარყოფითი სავაჭრო ბალანსი 5465 მლნ. დოლარს შეადგენდა.

2012 წელს სურსათის იმპორტმა შეადგინა 1 მლრდ 50 მლნ დოლარი. მათ შორის ხორბალმა შეადგინა 240 მლნ (897,6 ათასი ტონა). ფრინველის ხორცმა (70 მლნ), მცენარეულმა ზეთმა – 58,2 მლნ, ბოსტნეულმა – 43,3 მლნ, ხილმა – 37 მლნ, კარტოფილმა – 7,5 მლნ. დოლარი. სასურსათო პროდუქციაში იმპორტსა და ექსპორტს შორის საღდომ შეადგინა – 838,8 მლნ დოლარი.

ეს მონაცემები ადასტურებენ, რომ ქვეყანა მინიმალურადაც ვერ იყენებს ბუნებრივ-სანარმოო და ინტელექტუალურ პოტენციალს.

საგარეო-სავაჭრო ბრუნვის მიხედვით, 2012 წლის უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნებია: **თურქეთი** (16,5%), **აზერბაიჯანი** (10,6%), **უკრაინა** (9,9%), **გერმანია** (5,4%), **ჩინეთი** (5,4%), **აშშ** (5,3%).

ექსპორტის სტრუქტურა შემდეგ სურათს იძლევა: **ფეროშენადნობები** – 16,7%, **მსუბუქი ავტომობილები** – 14,4%, **შავი ლითონების ჯართი** – 6,9%, **ოქრო და უმუშავებელი ან ნახევრად დამუშავებული** – 5,4%, **აზოტოვანი სასუქები** – 4,6%, **თხილი და სხვა კაკალი** – 4%, **სპილენძის ჯართი** – 2,6%, **ყურძნის ნატურალური ღვინოები** – 2,5%, **სხვა დანარჩენი** – 35%.

უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფებია: **ნავთობი და ნავთობპროდუქტები** – 13,6%, **მსუბუქი ავტომობილები** – 6,1%, **სამკურნალო საშუალებები** – 3,7%, **ხორბალი** – 3,4%, **ნავთობის აირები** – 2,6%, **სიგარეტი** – 1,6%, **შაქარი** – 1,5% და სხვ.

საქართველოში იმპორტირებული საქონლის 48,9%-ს (2010 წელი) სამომხმარებლო საქონელი შეადგენდა, 12,4%-ს – საინვესტიციო, ხოლო 38,4%-ს – შუალედური მოხმარების საქონელი. სამომხმარებლო საქონლის 27,9% მოდიოდა ნავთობპროდუქტებზე, 12,4% – ავტომობილებზე, 7,6% – სამკურნალო საშუალებებზე, 6,8% – ხორბალზე, 3,2% – თამბაქოს ნანარმზე, 1,9% – ხორცი და ხორცპროდუქტებზე.

**საგარეო ვალის დინამიკა საშიშ ტენდენციებზე მიუთითებს.** 1995 წელს საგარეო ვალმა შეადგინა

1 გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“, 16-22 მარტი, 2011, გვ. 8.

2 ი. არჩვაძე. საქართველო 1988-2010 წლებში. გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“. 30 მარტი-5 აპრილი. 2011 წ. №11, გვ. 21.

3 იქვე, გვ. 17.

1149,7 მლნ აშშ დოლარი, 2000 წელს – 1556,1, 2003 წელს – 1753,8 მლნ აშშ დოლარი, 2010 წელს (31 დეკემბრის მდგომარეობით) – 3.936,8 მლნ აშშ დოლარი, 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით – 13,5 მლრდ აშშ დოლარი.

ეროვნული ვალუტა შედარებით სტაბილურია, ინფლაცია გარკვეულწილად რეგულირებადი. თუმცა, ეს პოზიტიური მოვლენა ეფექტიანად და მიზანმიმართულად არ გამოიყენება ეკონომიკის რეალური სექტორის მალაღლი ტემპებით განვითარების პირობების შესაქმნელად.

**მრავალწობიანობა. განვლილ პერიოდში განხორციელებული გარდაქმნების შედეგად ჩამოყალიბდა და არაეფექტიანად ფუნქციონირებს საბაზრო ეკონომიკური სისტემა. იგი თავისი აგებულიებით მრავალწობიანია (მრავალსუბიექტიანია). პირობითად შეიძლება გამოვყოთ 3 ძირითადი წყობა:**

**კერძო კაპიტალისტური წყობა.** იგი მოიცავს ეკონომიკის მთავარი დარგების (მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, მომსახურების და სხვ.) საშუალო და მსხვილ საწარმოებს, ასევე შერეული ტიპის ეკონომიკურ სუბიექტებს.

2012 წელს, საქართველოში ბიზნეს სუბიექტთა სტრუქტურაში (395.144 სუბიექტი) 94,2%, გამოშვებული პროდუქციის მოცულობაში 92,5%, დასაქმებულთა 87,2% მოდიოდა კერძო სექტორზე. აღსანიშნავია, რომ პროდუქციის 80,2% ინარმოებოდა მსხვილ საწარმოებში. განსხვავებულია დასაქმებულთა საშუალო თვიური ანაზღაურების მოცულობაც. მაგალითად, იგი შეადგენს კერძო სექტორში 632,4 ლარს, სახელმწიფო სექტორში 558,4 ლარს. მსხვილში – 820,7 ლარს, მცირეში – 283,1 ლარს (3-ჯერ ნაკლებს). მრეწველობაში, სადაც ეკონომიკურ სუბიექტთა საერთო რაოდენობის 4,5% ფუნქციონირებს, წარმოებული პროდუქციის მოცულობის 96% კერძო სექტორზე მოდის. მათგან მსხვილ საწარმოებში გამოშვებულია 87,1%. კერძო საწარმოებში დასაქმებულია 92,6%. ანალოგიური მდგომარეობაა მშენებლობაში (სუბიექტთა რაოდენობის 1,8%, წარმოებულ პროდუქციაში კერძო საწარმოების ხვედრითი წილი 98,6%, დასაქმებაში – 99%, მსხვილ საწარმოებში 82%), ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში (შესაბამისად 2,3%, 73,4%, 55%, 92,8%), ვაჭრობაში (17%, 96,3%, 99,4%, 76,8%).<sup>1</sup>

ეს მონაცემები ადასტურებენ, რომ კერძო კაპიტალისტური წყობა შედგა. მას დომინირებადი მდგომარეობა უჭირავს.

**სახელმწიფო სექტორი.** მისი და მუნიციპალიტეტის ხვედრითი წილი, ეკონომიკურ სუბიექტთა სტრუქტურაში მხოლოდ 2,5% შეადგენს, პროდუქციის წარმოებაში – 7,5%, მაგრამ კვლავაც მნიშვნელოვანია დასაქმებაში – 12,7%.

**წერილსაქონლო წყობა.** მას ძირითადად მიეკუთვნება მცირე საწარმოები. 2011 წელს ბიზნეს სუბიექტთა მიერ წარმოებული პროდუქციის მოცულობაში მცირე საწარმოებზე მოდიოდა 8,9%, დასაქმებაში – 25,2%, საშუალო თვიური ანაზღაურება შეადგენდა 283,1 ლარს (თითქმის 3-ჯერ ნაკლები მსხვილ საწარმოსთან შედარებით). შესაბამისად, მრეწველობაში – წარმო-

ებაში 5,4%, დასაქმებაში – 18,4%, ანაზღაურებაში – 234 ლარი (მსხვილ საწარმოსთან შედარებით 3,5-ჯერ ნაკლები). მშენებლობაში – 5,8%, 16,6%, 368,4 ლარი (მსხვილ საწარმოსთან შედარებით 2,5-ჯერ ნაკლები), ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში – 3,2%, 8,1%, 332 ლარი (მსხვილ საწარმოსთან შედარებით 3-ჯერ ნაკლები), ვაჭრობაში – 11,7%, 37,8%. 182 ლარი (მსხვილ საწარმოსთან შედარებით 4,5-ჯერ ნაკლები).

ამ წყობაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმონაქმნია გლეხური (ფერმერული) მეურნეობები (სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის 98% მეტს იძლევიან). ასევე, ამ წყობაში იგულისხმება შინა მეურნეობები, მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც პროდუქციას (მომსახურებას) არა მხოლოდ თავისთვის აწარმოებს, არამედ აწვდის ბაზარსაც. ეს წყობა, მიუხედავად იმისა, რომ ჯერჯერობით დაბალი ეფექტიანობით ხასიათდება, სიცოცხლისუნარიანია. სათანადო მხარდაჭერის პირობებში, იგი საზოგადოების საშუალო ფენის ფორმირება-ფუნქციონირების რეალურ საფუძველს ქმნის. ამიტომ, მოითხოვს განსაკუთრებულ მხარდაჭერას.

**აღსანიშნავია, რომ მცირე ბიზნესმა, ეკონომიკის სტიქიურად განვითარების წინააღმდეგობრივ პროცესებშიც შეძლო სიცოცხლისუნარიანობის გამოვლენა.** განვლილ პერიოდში დადასტურდა, რომ მცირე და საშუალო მენარმეობა ასრულებს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ფუნქციას (საზოგადოების საშუალო ფენის ფორმირება), კონკურენტულ ფუნქციას (ბაზარზე მსხვილი სტრუქტურებისათვის კონკურენტის განწევა), სტრუქტურულ ფუნქციას (სხვადასხვა ტიპის საწარმოების მიერ წარმოებული პროდუქციისა და მოხმარებული საქონლის ოპტიმალური თანაფარდობა), – პოლიტიკურ ფუნქციას (ახალი სამუშაო ადგილების შექმნა).<sup>2</sup>

დადასტურდა ისიც, რომ საქართველოში რეალურად არსებობს მცირე მენარმეობის განვითარების ხელშემწყობი პირობები, ბუნებრივი რესურსების მრავალფეროვნება, ეკონომიკის რესურსული პოტენციალი, უნიკალური სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანისა და ადგილზე გადამამუშავების შესაძლებლობები, სამშენებლო მასალების წარმოების რეზერვები.<sup>3</sup> ანგარიშგასანევიანია, რომ საქართველოს, როგორც კლასიკურ მთიან ქვეყანას ახასიათებს წვრილი დასახლებული პუნქტების სიმრავლე, რაც მნიშვნელოვანწილად შეიცავს მცირე მენარმეობის განვითარების პოტენციალს.

**ამრიგად, ქვეყანაში გვაქვს ყველა წინაპირობა იმისთვის, რომ დაჩქარდეს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება, რაზეც მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საშუალო ფენის ჩამოყალიბება. სამწუხაროდ, ამ პრობლემას, რომელიც მრავალმხრივობით გამოირჩევა და განმსაზღვრელ როლს ასრულებს საზოგადოებრივ ურთიერთობების დაბალანსებაში (პოლიტიკური და სოციალური წონასწორობა) სათანადო ყურადღება არ ექცევა.** ეს მაშინ, როცა ეროვნული ეკონომიკის ტრანსფორმაციული პრო-

2 რ. გველესიანი. მცირე და საშუალო მენარმეობის წარმატების სტრატეგია და კულტურა. თბ. 1999. გვ. 10-12.

3 ვ. პაპავა. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის კონცეფცია. თბ. 1991. გვ. 92.

1 გაანგარიშებულია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე.

ცესების ცენტრალური ამოცანა ახალი ტიპის საშუალო ფენის ფორმირება უნდა ყოფილიყო. რეფორმატორთა ვარაუდი, რომ სახელმწიფო ქონების პრივატიზაცია (რომელიც, როგორც აღინიშნა, უხეში დარღვევებით განხორციელდა) ავტომატურად გამოიწვევდა საზოგადოების მასტაბილიზებული ფენის ჩამოყალიბებას, რბილად რომ ვთქვათ, ილუზია აღმოჩნდა. თუმცა, ეს მოულოდნელი არც ყოფილა. ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების „სტრატეგია“ საშუალო ფენის შესახებაც ეყრდნობოდა იმ სტერეოტიპებს, რომელიც განვითარებული ქვეყნების გამოცდილების ფონზე ჩამოყალიბდა (თითქმის 2 საუკუნის მანძილზე), და ფაქტობრივად, ქრესტომათიულ დოგმად იქცა. ამიტომ, „გარდაქმნებში“ ანგარიში არ გაენია თავად პროცესის ამოსავალ საწყისს – სოციალისტური მეურნეობრიობის ბუნებას (რომლის ტრანსფორმაციით დაიწყო საბაზრო ეკონომიკის ფორმირება). მივიღეთ უნიკალური შედეგები: საზოგადოების კრიმინალიზაციის გაღრმავებით და მის ფონზე გამდიდრებისკენ დაუოკებელი სწრაფით, რასაც ყოველმხრივ ასტიმულირებდა ადამიანის ეგოისტური საწყისის დომინირებული და განმსაზღვრელი როლი, ძალადობრივი გზით ეროვნული სიმდიდრის დატაცებით ჩამოყალიბდა „ახალი მდიდრების“ სოციალური ჯგუფი, რომელიც იმავდროულად შუამავლის როლს ასრულებდა (ასრულებს) კორუმპირებულ სახელმწიფო სტრუქტურებსა და აღზევებულ კრიმინალურ „საზოგადოებას“ შორის. მეორე მხარეზე აღმოჩნდა ადრინდელი საშუალო კლასის (ფენის) უკვე გალატაკებულ წარმომადგენელთა უდიდესი ნაწილი.<sup>1</sup>

საერთო აღიარებით საშუალო ფენის როლსა და ადგილს განსაზღვრავს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა: საკუთრება, მოტივაცია, ცოდნა, მენარმეობრივი უნარი. მისი ეკონომიკური ბაზაა მცირე და საშუალო ბიზნესი.

ქართველ ეკონომისტთა გათვლებით (იოსებ არჩვაძე და სხვები), საქართველოში საშუალო კლასს შეიძლება მიეკუთვნოს მოსახლეობის 8-9%, ანუ დაახლოებით 320-350 ათასი კაცი. საქართველოს შინამეურნეობათა 86% ღარიბია, 5% შეძლებულები და მდიდრები. ამავე დროს უმდიდრესი 5%-ის შემოსავლები 63-ჯერ აღემატება უღარიბესი 5%-ის შემოსავლებს. თუ გავითვალისწინებთ, რომ შინამეურნეობების საშუალო შემოსავალი დაახლოებით 400 ლარია, შემოსავლების სიდიდე კი, რომლის მიხედვით შინა მეურნეობა შეიძლება მიეკუთვნოს საშუალო კლასს, მასზე 3-ჯერ მეტია. საყურადღებოა ექსპერტთა შემდეგი მოსაზრება: ქ. თბილისში საშუალო კლასისადმი მისაკუთვნებლად

1 საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში სოციალისტური პერიოდის საშუალო კლასის შემადგენლობას დაახლოებით 1,5 მლნ კაცი გამოეთიშა, რომელთა 30%-ზე მეტი ქვეყნიდან გავიდა. დარჩენილთაგან კი ძველი სტატუსი (საშუალო კლასის) 10%-მა შეინარჩუნა. გამდიდრდა 5-6 პროცენტამდე. დანარჩენებმა კი ღარიბთა რიგები შეავსეს („საქართველოს ეკონომიკა“, №8, 2007. გვ. 16). ეს თავისებურება დამახასიათებელია თითქმის ყველა პოსტსოციალისტური ქვეყნისათვის.

2 ჟურნალი „საქართველოს ეკონომიკა“, №8, 2007. გვ. 36.

საშუალო (4 სულიან ოჯახს) უნდა გააჩნდეს ბინა (სახლი). დაახლოებით 90-100მ<sup>2</sup>, 4,5-9 ათასი აშშ დოლარის ეკვივალენტი წლიური მიმდინარე შემოსავალი და არანაკლებ 45-50 ათასი აშშ დოლარის დაგროვილი ქონება (ბინის გარდა), საიდანაც სულ ცოტა, 1/5 და 1/4 სავალუტო დანაზოგი, დეპოზიტი ან სხვა მაღალკვალიფიციური ქონებრივი ელემენტი.<sup>3</sup>

ამ და სხვა მოსაზრებების შეჯერებით ჩანს, რომ ქვეყანაში საშუალო კლასის ფორმირების პროცესი მტკივნეულად მიმდინარეობს. ამიტომ პირველ რიგში საჭიროა გაძლიერდეს ყურადღება მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისადმი. ეს გამართლებულია იმითაც, რომ საშუალო ფენას შეუძლია განსაკუთრებული ფუნქციის – ქვეყანაში ჩამოყალიბებული, სოციალური დიფერენციაციის პროცესის შერბილება-დაძლევის ფუნქციის შესრულება. ცნობილია, რომ საშუალო ფენა ერთმანეთთან აკავშირებს (დღეს განვითარებულ ქვეყნებში მასზე საშუალოდ მოდის მოსახლეობის 60-65%) მდიდარ და ღარიბ ფენებს და საკუთარი როლით (ფუნქციით) არეგულირებს მათ შორის წარმოქმნილ წინააღმდეგობებს. ამასთან, გარკვეულ ორიენტირსაც წარმოადგენს ორივე ფენისთვის. მხედველობაში უნდა მივიღოთ ღარიბების მოტივაცია – მიალწიონ საშუალო ფენაში გადასვლას, ხოლო საშუალო ფენის წარმომადგენლები, ბუნებრივია, უნდა ცდილობდნენ გადავიდნენ იერარქიულად მაღალ ფენაში. ეს რეალობა გვიჩვენებს, რომ დაბალი, საშუალო და მაღალი ფენების ინტერესების ერთობლიობა ურთიერთგანპირობებულობის მაღალი ხარისხით გამოირჩევა და ეკონომიკის განვითარების მუდმივად ცვალებად კონიუნქტურულ სიტუაციასთან ადეკვატურობის ხელშემწყობი ფაქტორი ხდება. ამრიგად, საშუალო ფენის ეფექტიანი ფუნქციონირება ქვეყნის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური სტაბილიზაციის უალტერნატივო ფაქტორია, რაც ლოგიკურად აყენებს სტრატეგიულ ამოცანას: ყოველმხრივ დავაჩქაროთ და მაღალი ტემპებით განვავითაროთ მცირე და საშუალო მენარმეობა.

აქვე შევხებით გარდამავალი პერიოდის ერთ-ერთ კონცეპტუალურ თავისებურებას. თუ კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალ პერიოდში მრავალწილობიანობა განიხილებოდა როგორც გარდამავალი ეკონომიკის თავისება, აუცილებელი წინაპირობა შემდგომში ერთწიობიან (სოციალისტურ) ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლისთვის, სოციალისტური ეკონომიკური სისტემიდან თანამედროვე პერიოდში ფორმირებული მრავალწილობიანობა (მრავალსუბიექტიანობა) უნდა განვიხილოთ, როგორც ახალი საბაზრო ეკონომიკური სისტემის მატერიალური, სამართლებრივი და ორგანიზაციული საფუძველი. მომავალში საკუთრების ერთ რომელიმე ფორმაზე საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირება საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარების ლოგიკით არარეალურია.

3 იქვე.

# ცვლილებები საბადასახადო კოდექსში ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა



სულიკო ფუტყარაძე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის აპარატის უფროსი, ბიზნესის ადმინისტრირების აკადემიური დოქტორი

*ახალმა ხელისუფლებამ წინასაარჩევნო დაპირებების შესაბამისად, საკანონმდებლო ბაზის, მათ შორის, რეოლუციურად მონათლული საგადასახადო კოდექსის დახვეწა და სრულყოფა დაიწყო. საგადასახადო კანონმდებლობას ცვლილებები და დამატებები არც ყოფილი ხელისუფლების დროს აკლდა, თუმცა ერთის მხრივ, უშუალოდ საგადასახადო კოდექსში შეტანილმა გაუაზრებელმა ცვლილებებმა, ხოლო მეორეს მხრივ, საქართველოს მთავრობის დადგენილებებმა, ფინანსთა სამინისტროსა და შემოსავლების სამსახურის მიერ მიღებულმა კანონქვემდებარე აქტებმა, რომლებიც ასევე მუდმივ ფერიცვალელებს განიცდიდა, უფრო გააუარესა, დაამძიმა და გაართულა გადამხდელის მდგომარეობა.*

ახალი ხელისუფლების მეცადინეობის პირველი შედეგი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ავტორობითა და ინიციატივით საქართველოს პარლამენტის მიერ 2012 წლის 20 და 28 დეკემბერს მიღებულ კანონებში (NN 118-ს; 189-რს) აისახა. აღნიშნულმა კანონებმა გარკვეულწილად დახვეწა მოქმედი საგადასახადო კოდექსით დადგენილი დაბეგვრისა და ანგარიშგების მექანიზმები; აღმოფხვრა სხვა სფეროს ნორმატიულ აქტებთან ტერმინოლოგიური შეუსაბამობები; საგრძნობლად შეარბილა საგადასახადო სამართალდარღვევებისთვის განსაზღვრული მეტად მკაცრი ნორმები; შეამცირა საერთაშორისო პრაქტიკით დამკვიდრებულ ნორმებთან შედარებით საგრძნობად მაღალი ფინანსური სანქციების შკალა და დაადგინა მათი ოპტიმალური, მისაღები ოდენობა; ცალკეული ჯარიმა/სანქცია გააუქმა კიდევ; რაც მთავარია, გაიმართა, გასაგები გახდა საგადასახადო კოდექსში არსებული ის ორაზროვანი და ბუნდოვანი დებულებები, რომლებიც მათი არასწორი ინტერპრეტირებისა და არამართლზომიერი კვალიფიკაციის საფუძველს ქმნიდა.

საგადასახადო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებებიდან ყველაზე შთამბეჭდავი დაუბეგრავე მინიმუმის შემოღებაა.

ამიერიდან, ფიზიკურ პირებს, რომელთა მიერაც ხელფასის სახით მიღებული დასაბეგრი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 6000 ლარს, უფლება ეძლევათ ამ შემოსავლიდან (წლის განმავლობაში) გამოქვითონ დაუბეგრავე მინიმუმში 1800 ლარის ოდენობით, რაც შესაბამისი გათვლით, თვეში 150 ლარს შეადგენს და იგი გავრცელდება იმ ფიზიკურ პირებზე, რომელთა თვიური ხელფასი 500 ლარს არ აღემატება. აქვე შევნიშნავთ, რომ ამ შეღავათით სარგებლობის უფლება აღნიშნულ ფიზიკურ პირებს ექნებათ არა უშუალოდ ხელფასის მიღების მომენტში, არამედ წლის შედეგებით (თუ ისინი დააკმაყოფილებენ ზემოთაღნიშნულ პირობას - მათი ხელფასი წლის განმავლობაში არ გადააჭარბებს 6000 ლარს).

აღნიშნული ფორმითა და შინაარსით დაუბეგრავე მინიმუმის შემოღებამ საზოგადოებაში, მათ შორის, ექსპერტთა და სპეციალისტთა წრეში, გარკვეული კითხვები დაბადა, კერძოდ: რატომ შეეხო შეღავათი მხოლოდ „ხელფასის სახით მიღებულ დასაბეგრ შემოსავალს“ და რატომ არ უნდა გავრცელდეს იგი იმ მენარმე, თუ გადამხდელად რეგისტრირებულ ფიზიკურ პირზე, რომელიც თვითდასაქმებული არიან და მათი შემოსავალი წლის განმავლობაში არ აჭარბებს დათქმულ - 6000 ლარიან

ზღვარს? ხომ არ არის ეს მორიგი სატყუარა, რასაც წინამორბედი ხელისუფლებაც PR-ისთვის იყენებდა? რამდენად რეალურია, ქმედითი თუ მკვდრადმობილი მუხლია და ა.შ.

საქმე იმაშია, რომ დაეჭვების, ყოველშემთხვევაში, კითხვის დასმის საფუძველი ნამდვილად არსებობს. **ჯერ ერთი**, ამ შეღავათით აქამდე არავის უსარგებლია, არც ფაქტობრივი მასშტაბებია ცნობილი და არც შეღავათით სარგებლობის პრაქტიკა გამოცდილი. ეს ყველაფერი წლის დასრულების შემდგომ გამოჩნდება. **მეორე**, შეღავათი ავტომატურ რეჟიმში კი არ იმოქმედებს, არამედ შეღავათით სარგებლობის მსურველმა (პრეტენდენტმა) პირებმა უნდა მიმართონ შესაბამის სტრუქტურას წერილობით (დეკლარირებით), ამტკიცონ, რომ სხვა წყაროებიდან შემოსავალი არ მიუღიათ და მოიპოვონ გადახდილი თანხის დაბრუნების უფლება. ცხადია, წლის განმავლობაში სახელმწიფო გამოიყენებს დასაქმებული პირიდან საშემოსავლო გადასახადის სახით მიღებულ თანხას და სარგებელს (ფულის ღირებულებას დროში) დაუბრუნებს მის გამომმუშავებელ პირს.

რა თქმა უნდა, ეს ჰგავს და არც ჰგავს შეღავათს, მაგრამ მისით მოსარგებლე პირი, ნებისმიერ შემთხვევაში, მატერიალურ მდგომარეობას გაიუმჯობესებს. აქ, სათუოდ მხოლოდ ისაა, რომ დასაქმებულთა



## გადასახადები და დაზღვევა

ის კატეგორია, რომლის ხელფასის სახით მიღებული წლიური შემოსავალი არ გადააჭარბებს 6000 ლარს, არ გამოირჩევა განსაკუთრებული აქტივობით, კვალიფიკაციით, გავლენით. მათი უმეტესობა ვერ ერკვევა საგადასახადო კანონმდებლობაში და შეიძლება ვერც კი გაიგოს ასეთი შეღავათის არსებობის შესახებ, ან თუ გაიგო, სათანადოდ ვერ განახორციელოს შემდგომი პროცედურები.

მოკლედ, სახელმწიფო არც ერთ შემთხვევაში არ იზარალებს.

კარგი და მთავარი ისაა, რომ ხელისუფლებამ დაიწყო მოქალაქეთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის ზრუნვა. ვიმედოვნებთ, მთავრობა ამ მიმართებით კვლავაც გააგრძელებს მუშაობას, შესაბამისად, ეს ნორმა მომავალში კიდევ უფრო დაიხვეწება და იგი უფრო სრულყოფილ სახეს მიიღებს.

საგადასახადო კოდექსში გადამხდელისთვის არასასიამოვნო ცვლილებაც განხორციელდა, კერძოდ, **საკითხი ეხება საშემოსავლო გადასახადის 20%-იანი განაკვეთის ძალაში დატოვებას, აგრეთვე დივიდენდებისა და პროცენტებიდან მიღებული შემოსავლების დასაბეგრი განაკვეთების შემცირების ნორმების ამოღებას (სსკ-ის გარდამავალი დებულებების ძველი რედაქციის თანახმად, საშემოსავლო გადასახადი მიმდინარე წლის 1 იანვრიდან 18%-მდე უნდა შემცირებულიყო, ხოლო დივიდენდებსა და პროცენტებზე განსაზღვრული განაკვეთი მთლიანად უნდა განულებულიყო), თუმცა ასეთი გადამხდელი უნდა იყოს მთლიანად უნდა განულებულიყო.**

კიდევ უფრო მასშტაბური და არსებითი ხასიათის ცვლილებები განხორციელდა საგადასახადო კოდექსში „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის (NN 189-რს) კანონით, აღნიშნული ცვლილებების მასშტაბურობიდან გამომდინარე, მკითხველის ყურადღებას გავამახვილებთ მათგან მხოლოდ ზოგიერთ მნიშვნელოვან და არსებით საკითხებზე.

ამ ცვლილებების შესაბამისად ახალი რედაქციით ყალიბდება სსკ-ის მე-4 მუხლი - „ხანდაზმულობის

ვადა“. აღნიშნული მუხლის ახალი რედაქცია მოქმედ რედაქციასთან შედარებით საკმაოდ ვრცელადაა წარმოდგენილი (იგი 11 პუნქტისგან შედგება, ყოფილი რედაქცია კი მხოლოდ 4 პუნქტს მოიცავდა), რომლის შესაბამისადაც **ზუსტდება საგადასახადო მოთხოვნის წარდგენის, გადასახადის დარიცხვის, სანქციის დაკისრების და გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის წარდგენის ხანდაზმულობის ვადის ათვლის მომენტი, დგინდება ხანდაზმულობის ვადები საგადასახადო შემონეშებასა და საგადასახადო ვალდებულების უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებაზე.** აღნიშნული მუხლის ახალი რედაქციის შესაბამისად, მინიშნება კეთდება იმაზე, რომ გადასახადის გადამხდელისათვის, მარეგისტრირებული ორგანოსათვის, ან საბანკო დაწესებულებებისთვის, გადასახადის გადამხდელის საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველსაყოფად ამ კოდექსით გათვალისწინებული ღონისძიებების გამოყენების შესახებ, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის წარდგენის ხანდაზმულობის ვადად განისაზღვრება 6 წელი, რომელიც აითვლება ამ დავალიანების წარმოშობის კალენდარული წლის დასრულებიდან (პუნქტი 9), ამასთან, აღნიშნული პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის წარდგენის ხანდაზმულობის ვადა ჩერდება (პუნქტი 10):

ა) პირის გადახდის უუნარობის შესახებ განაცხადების წარმოებაში მიღებაზე სასამართლო გადაწყვეტილების, აგრეთვე გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების, რეაბილიტაციის შესახებ გადაწყვეტილების/განჩინების კანონიერ ძალაში შესვლიდან, შესაბამისი რეჟიმის დასრულებამდე;

ბ) „საგადასახადო დავალიანებებისა და სახელმწიფო სესხების რესტრუქტურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული წესით, პირის საგადასახადო დავალიანების რესტრუქტურის პერიოდში;

გ) საგადასახადო დავის პერიოდში.

ამავე მუხლის ახალი - 11 პუნ-

ქტის შესაბამისად დგინდება აგრეთვე, რომ:

„11. საგადასახადო ორგანოს მიერ სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებისას ამ მუხლით განსაზღვრული ხანდაზმულობის ვადები არ გამოიყენება.“

აღნიშნული ცვლილებებიდან გამომდინარე უქმდება სსკ-ის 239-ე მუხლის მე-8 ნაწილი და მე-9 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტი, რომლებიც ზემოთაღნიშნულ ნორმებს არეგულირებდა და ახალი რედაქციით ყალიბდება საგადასახადო კოდექსის 241-ე მუხლის მე-9 ნაწილი. აღნიშნულის შესაბამისად ქონებაზე დადებული ყადაღა უქმდება ამ კოდექსის 239-ე მუხლის მე-9 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

„ადგილობრივი გადასახადის დაწესება, შემოღება, მისი გადახდის პირობების შეცვლა და გადასახადის გაუქმება“ სსკ-ის მე-7 მუხლის პირველი ნაწილის ყოფილი რედაქციის შესაბამისად - მინაზე ქონების გადასახადის წლიური საბაზისო ოდენობა დგინდებოდა კოდექსით დადგენილი ზღვრული მოცულობის ფარგლებში საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

საქართველოს კონსტიტუციის 94-ე მუხლის შესაბამისად, გადასახადის ოდენობას ადგენს მხოლოდ კანონი, აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონის საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობის მიზნით ცვლილებები შევიდა საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-7 და 204-ე მუხლის პირველ ნაწილებში, რითაც პრაქტიკულად აღმოიფხვრა ზემოთაღნიშნული საკანონმდებლო ხარვეზი.

„სააღსრულებლო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებდა სააღსრულებლო დაწესებულების განმარტებას, დღეის მდგომარეობით არ არსებობს „სააღსრულებლო დაწესებულების“ ცნება, თუმცა აღსრულება ხორციელდება აღსრულების ორგანოს მიერ. სსკ-ის მე-8 მუხლის 29-ე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტში ტერმინი „სააღსრულებლო დაწესებულება“ იცვლება ტერმინით „აღმასრულებელი ორგანო“.

მნიშვნელოვნად მიგვაჩნია კანონის შესაბამისად განხორციელებული დაზუსტება, რაც განხორციელდება საგადასახადო კოდექსის



99-ე მუხლის (იურიდიული პირების მოგების გადასახადისაგან განთავისუფლება) პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტებში, რომლის შესაბამისადაც, **მოგების გადასახადისგან განთავისუფლება ეხება, მიღებული მოგების საგადასახადო წლის დასრულებიდან 3 წლის განმავლობაში განხორციელებულ სასოფლო-სამეურნეო და სამედიცინო საქმიანობაში რეინვესტირებას.**

მოქმედ საგადასახადო კოდექსში კი აღნიშნულ ვადაზე საერთოდ არ კეთდებოდა მინიშნება, შესაბამისად ყველა, -მაკონტროლებლებიც და გადასახადებლებიც თვლიდნენ, რომ ეს შეღავათი იმ შემთხვევაში მოქმედებდა, თუ მიღებული მოგება იმავე წელს იქნებოდა გამოყენებული რეინვესტირებისთვის, რაც ცხადია გარკვეულ გაუგებრობას იწვევდა. საქმე იმაშია, რომ თუ არ დაასრულებს გადასახადი გადასახდელი საანგარიში წელს და არ დაადგენს რა მოცულობის მოგება ექნება მას, როგორ შეძლებს შესაბამისი თანხის მიმართვას რეინვესტირებაზე.

ცვლილებების შესაბამისად, ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა სსკ-ის 154-ე მუხლის პირველი ნაწილის „მ“ ქვეპუნქტი, რომლის მიხედვითაც, ზუსტდება, რომ ფიზიკური პირისთვის (რომელსაც არა აქვს გადასახადის გადასახდელის მოწმობა) ქონების უსასყიდლოდ გადაცემისას გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავების ვალდებულება არ წარმოეშობა, თუ ამ პირის მიერ ამავე ფიზიკური პირისთვის უსასყიდლოდ გადაცემული ქონების ღირებულება 1000 ლარს არ აღემატება.

კოდექსის ამავე მუხლის მე-3 ნაწილის ახალი რედაქციით სწორდება ის უხერხულობა, რაც აქამდე

არსებობდა მოქმედი კოდექსის აღნიშნულ დებულებაში, რომელიც გადასახადის გადასახდელის მიერ საგადასახადო ორგანოში დაქირავებულისთვის განაცემების გაცემის შესახებ ინფორმაციის წარდგენის ვადას მომდევნო თვის 14 რიცხვის ჩათვლით ითვალისწინებდა. არადა, განაცემების გაცემისა და საშემოსავლო გადასახადის დაკავების შესახებ შესაბამისი დეკლარაციის წარდგენის ვადად კოდექსი არაუგვიანეს მომდევნო თვის 15 რიცხვს ითვალისწინებდა.

ყველაზე მნიშვნელოვან ცვლილებად მიგვაჩნია იმ უსამართლობის აღმოფხვრა, რასაც ამჟამად მოქმედი საგადასახადო კოდექსის 254-ე მუხლის მე-4 ნაწილი ითვალისწინებდა, კერძოდ, სადავო საგადასახადო დავალიანების გადახდევინება ხორციელდებოდა საქალაქო (რაიონული) სასამართლოს გადაწყვეტილებით განსაზღვრულ ფარგლებში (არდაკმაყოფილებული სარჩელის ნაწილში) და გადახდევინების უზრუნველსაყოფად შესაძლებელი იყო გამოყენებულიყო მესამე პირზე გადახდევინების მოქცევა, საბანკო ანგარიშზე საინკასო დავალების წარდგენა, გადასახადის გადასახდელის სალაროდან ნაღდი ფულის ამოღება და ყადაღადადებული ქონების რეალიზაცია, ეს უკანასკნელი კი მესაკუთრის საუთრების უფლების ხელყოფის კლასიკურ მაგალითს წარმოადგენდა, იდენად, რამდენადაც მესაკუთრეს, რომელსაც პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ (არდაკმაყოფილებული სარჩელის ნაწილში) აუქციონის წესით გაუყიდდნენ ქონებას, შემდგომი ინსტანციის სასამართლოში გადა-

ხდელის მიერ სარჩელის მოგების შემთხვევაში მას ველარ უბრუნებდნენ, რადგან აუქციონზე შეძენილ ქონებას პატიოსანი მყიდველი უკან არ აბრუნებდა. ეს ყველაფერი კი, საკუთრების უფლების დარღვევის კლასიკური მაგალითია.

კანონის შესაბამისად, მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა საგადასახადო სამართალდარღვევათა ნორმებში, ამ მიმართულებით განხორციელებული ცვლილებებით ხელისუფლებამ დაპირებები გარკვეულად შეასრულა, თუმცა საზოგადოება ალბათ კიდევ უფრო მეტს მოითხოვს.

მოქმედი საგადასახადო კოდექსის 274-ე მუხლის - საგადასახადო დეკლარაციის/გაანგარიშების წარდგენის ვადის დარღვევისთვის ყოფილი რედაქცია 200 ლარზე ნაკლებ ჯარიმას არ ითვალისწინებდა. ახალი რედაქციით კი იგი ოთხჯერ შემცირდა და იგი ახლა მხოლოდ 50 ლარს შეადგენს.

ცვლილებების შესაბამისად 500 ლარიდან 200 ლარამდე შემცირდა ჯარიმები, რომლებსაც მოქმედი საგადასახადო კოდექსის 281-ე მუხლის პირველი ნაწილი - მომხმარებელთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას საკონტროლო-სალარო აპარატის გარეშე მუშაობა, აგრეთვე სსკ-ის ამავე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ჯარიმა - მომხმარებელთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას საკონტროლო-სალარო აპარატის გამოუყენებლობა და ამავე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული ჯარიმა გამყიდველის მიერ ჩეკში ფაქტობრივად გადახდილზე ნაკლები თანხის ჩვენება.

სსკ-ის 286-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ჯარიმა, რომელიც ყოფილი რედაქციით სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირებისათვის, მყიდველის მოთხოვნისას სასაქონლო ზედნადების გაუცემლობა ან საქონლის შეძენისას სასაქონლო ზედნადების მიღებაზე უარის თქმა 1000 ლარის ოდენობით ითვალისწინებდა, შემცირდა 500 ლარამდე. ამავე მუხლით გათვალისწინებული ჯარიმა (ნაწილი 3) აღნიშნული საგადასახადო სამართალდარღვევის მე-3 და ყოველ მომდევნო განმეორებაზე 15 000 ლარის ოდენობით ამოღებულია.

**გადასახადები და დაზღვევა**

ასევე მნიშვნელოვნად შემცირდა სსკ-ს 289-ე მუხლით - „საქართველოს ეკონომიკური საზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებული ჯარიმები“, კერძოდ კი:

საგადასახადო საგადასახადო კოდექსის ყოფილი რედაქციის შესაბამისად, პირის მიერ საქონლის ნარდგენის/ზოგადი დეკლარირების ვადის, ან სატრანსპორტო საშუალების გამოცხადების ვადის დარღვევა იწვევდა პირის დაჯარიმებას ყოველ დაგვიანებულ სრულ/არასრულ დღეზე 100 ლარის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს 1 500 ლარისა. (აღნიშნული ნორმა არ გამოიყენება, როდესაც საქონლის დეკლარირების ვადის დარღვევა იწვევს სასაქონლო ოპერაციის პირობების დარღვევას. პასუხისმგებლობის დაკისრების შემთხვევების უმეტესობა მოდის ავტოსატრანსპორტო საშუალებების იმპორტის განმხორციელებელ პირებზე მსუბუქი ავტოსატრანსპორტი საშუალებების მფლობელებზე), აღნიშნული ჯარიმები საბოლოო ჯამში, მათ ბიზნესს მძიმე ტვირთად აწვებოდა.

ცვლილებებით აღნიშნული ჯარიმები ასევე მნიშვნელოვნად შემცირდა, კერძოდ კი, პირის მიერ საქონლის ნარდგენის/ზოგადი დეკლარირების/დეკლარირების ვადის ან სატრანსპორტო საშუალების გამოცხადების ვადის დარღვევა საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის პირველი ნაწილის ახალი რედაქციის შესაბამისად გამოიწვევს პირის დაჯარიმებას ყოველ დაგვიანებულ სრულ/არასრულ დღეზე 50 ლარის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს 1 000 ლარისა.

ცვლილებებით ასევე გარკვეულად „გაკეთილშობილდა“ საგადასახადო კოდექსის ამავე მუხლის (289-ე) მე-10 და მე-11 ნაწილებიც, რომლებიც ყოფილი რედაქციის შესაბამისად - საბაჟო საზღვარზე საქონლის გადატანა, ან გადმოტანა საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით ან მისგან მალულად იწვევდა პირის დაჯარიმებას საბაჟო დეკლარაციაში შემცირებული იმპორტის/ექსპორტის გადასახდელების თანხის 100 პროცენტის ოდენობით, ან ამ საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების ჩამორთმევას, ან/და საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთის უფლების შეზღუდვას 1 წლის ვადით. აღნიშნული სა-

მართალდარღვევის განმეორებით ჩადენა კი იწვევდა ვალდებული პირის დაჯარიმებას საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების ჩამორთმევით, ან უამისოდ, ან/და საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთის უფლების შეზღუდვას 1 წლის ვადით.

სსკ-ის 289-ე მუხლის მე-14 ნაწილის ყოფილი რედაქციის თანახმად, საქართველოს საბაჟო საზღვრზე ფიზიკური პირის მიერ 3 000 ლარამდე ღირებულების საქონლის გადატანა, ან გადმოტანა საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით, ან მისგან მალულად - იწვევს ვალდებული პირის დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით, ან/და ამ საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების ჩამორთმევას, ან/და საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთის უფლების შეზღუდვას 1 წლის ვადით.

ცვლილების შესაბამისად, ისევე როგორც, სსკ-ის 289-ე მუხლის მე-10 - მე-11 ნაწილების შემთხვევაში, აღნიშნული სამართალდარღვევისთვის უქმდება საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთის უფლების შეზღუდვა, როგორც სანქციის ერთ-ერთი სახე.

ფინანსური სანქციების შერბილების კუთხით ყველაზე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია სსკ-ის 272-ე მუხლით გათვალისწინებული საურავის 2013 წლის 1 იანვრიდან 0,06 %-მდე შემცირება.

სსკ-ში შეტანილი ცვლილებებით მნიშვნელოვნად იცვლება **საგადასახადო შეთანხმების გაფორმების კოდექსით გათვალისწინებული რეგულირების ნორმები**, როგორც ნესი, ამ ნორმების შესაბამისად,

**P.S. თითქოს აქვე უნდა დაგვემთავრებინა ჩვენი სტატია, მაგრამ ვფიქრობთ უმადურობა გამოგვივდოდა ხაზგასმით, რომ არ აღვნიშნოთ ის დადებითი ძვრები რაც ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ შეინიშნება გადასახადის გადამხდელთა საგადასახადო ადმინისტრირებასა და განსაკუთრებით კი გადამხდელთა საგადასახადო დავების განხილვის საქმეში, როგორც ფინანსთა სამინისტროს გადამხდელთა საგადასახადო დავების განხილვის საბჭოს, ისე თვით შემოსავლების სამსახურის მხრიდან. პირდაპირ და ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ განსხვავება თვაშისაცემია, ხელისუფლება პრაქტიკულად ამართლებს გაცხადებულ კურსს, რომ გადამხდელსა და სახელმწიფოს შორის პარტნიორული ურთიერთობა უნდა ჩამოყალიბდეს. თუმცა, ხარვეზები ამ მიმართებით კვლავაც არსებობს და ჩვენ ცხადია, შორსა ვართ იმ მოსაზრებისგან, რომ საქმე გვაქვს იდეალურ საგადასახადო სისტემასთან, თუმცა ახალი ხელისუფლების მიერ ამ მიმართებით გადადგმული ნაბიჯები ოპტიმისტურად განწყობის შესაძლებლობას ნამდვილად იძლევა.**

საგადასახადო შეთანხმების გაფორმების შესახებ გადამწყვეტილებას, საქართველოს პრემიერ-მინისტრის ნაცვლად, ლებულობს საქართველოს მთავრობა.

ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა სსკ-ის 309-ე მუხლის 58-ე ნაწილი, რომლითაც **რეგულირდებოდა ფიზიკური პირებისთვის (გარდა შემოსავლების მიღების მომენტში დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული ფიზიკური პირებისა) ან არარეზიდენტი საწარმოებისთვის (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შესაბამისი შემოსავალი მიეკუთვნება საქართველოში არაზედიდენტის მუდმივ დაწესებულებას) 2012 წლის ბოლომდე აუნაზღაურებელი პროცენტები, რომლებიც ხარჯის სახით გამოქვითული იყო 2006-2010 წლების საგადასახადო პერიოდებში საგადასახადო მიზნებისთვის ანაზღაურებულად ჩაითვლება და შესაბამისად, საშემოსავლო გადასახადებით დაიბეგრებოდა 2012 წლის ბოლოსათვის, ისინი წლების მიხედვით 2012 წლიდან 2015 წლის ბოლომდე გადანაწილდა და გადამხდელს ეს ტვირთი ერთიანად 2012 წლის ბოლოს აღარ დააწვიათ.**

სსკ-ის 309-ე მუხლს ემატება 59-ე ნაწილი, რომლის თანახმად, საგადასახადო კოდექსის 123-ე მუხლით განსაზღვრული სუსტი კაპიტალიზაციის მარეგულირებელი დებულებები გავრცელდება 2013 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე (ყოფილი რედაქცია კი აღნიშნულს ითვალისწინებდა 2012 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე).

# დეფლაცია საქართველოში: სად ვეძებოთ დამნაშავე?!

**გაბრიელაბა (დასაწყისი იხილეთ: ჟურნალი „გიზნისი და კანონმდებლობის“ №1, 2013წ.)**



**ლია ელიასვა**

ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი

მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, გააჩნია თუ არა საქართველოს ეროვნულ ბანკს უნარი მართოს ინფლაციური და დეფლაციური პროცესები. სხვა სიტყვებით თუ ვიტყვით, არის თუ არა ეფექტური ეროვნული ბანკის მიერ გატარებული ფულად-საკრედიტო პოლიტიკა და, შესაბამისად, ანტიინფლაციური და ანტიდეფლაციური რეგულირება?

ეროვნული ბანკის ანტიინფლაციური პოლიტიკის ეფექტურობის შესაფასებლად მიზანშეწონილია გაანალიზდეს, თუ როგორ აღწედა დასახულ მიზნებს ეროვნული ბანკი და როგორია მის მიერ ინფლაციის პროგნოზების სიზუსტის ხარისხი.

ეროვნული ბანკის განცხადებით, 2009 წლიდან იგი შეუდგა ინფლაციის თარგეთირებას. ეროვნულმა ბანკმა განსაზღვრა „ეკონომიკისათვის სასურველი ინფლაციის დონე“, რომელმაც, მისი მოსაზრებით, 2009 წელს შეადგინა 9%. თარგეთირების მეთოდოლოგიას საფუძვლად დაედო ერთკვირიანი რეფინანსირების განაკვეთი.

ჯერ კიდევ 2007 წელს საქართველოში ინფლაციის თარგეთირებისთვის არ იყო შექმნილი შესაბამისი ნაწინამძღვრები. კერძოდ, უცხოური ვალუტის მნიშვნელოვანი შემოდინება, ფულზე მოთხოვნის ცვლილება დოლარიზაციის კონტექსტში და ფასიანი ქაღალდების განუვითარებელი ბაზარი არ იძლეოდა საიმედო ნომინალური ლუბის შერჩევის შესაძლებლობას. ინფლაციის თარგეთირება შეუძლებელია ისეთ ეკონომიკაში, რომელიც მონყვლადია ეკონომიკური შოკების მიმართ, არ არსებობს მჭიდრო და საიმედო კოორდინაცია ფისკალურ და მონეტარულ პოლიტიკებს შორის, განუვითარებელია საფინანსო სისტემა, ეროვნული ბანკი ინსტიტუციონალურად გა-

ნუვითარებელია და შეზღუდულია მისი ტექნიკური პოტენციალი. რა შეიცვალა ამ თვალსაზრისით 2009 წელს? პრაქტიკულად არაფერი. მიუხედავად ამისა, ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებით დაიწყო ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლის (თარგეთის) დაფიქსირებისა და მისი პოპულარიზაციის კამპანია.

მოყოლებული 2009 წლიდან დღემდე ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლის მიღწევის დეკლარირებული მიზანი დეკლარაციად დარჩა და ვერ იქნა რეალიზებული ეროვნული ბანკის პრაქტიკულ საქმიანობაში. ეს ნათლად ჩანს დიაგრამა 3-დან.

როგორც ვხედავთ, ეროვნულმა ბანკმა ვერ უზრუნველყო ინფლაციის დონის მიახლოება ინფლაციის მიზნობრივ მაჩვენებელთან. გამომდინარე აქედან, დღეისათვის ეროვნული ბანკის საქმიანობა ამ მიმართულებით არაეფექტურია, რაზეც მეტყველებს გადახრა ინფლაციის დაგეგმილ და რეალურ მაჩვენებლებს შორის. მიზეზი კი მარტივია - საქართველოში ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული შესაბამისი პირობები ამ სახის მონეტარული რეჟიმის განსახორციე-

ელეზად. კერძოდ, ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობა ჯერ კიდევ ფორმალური ხასიათისაა, ფულად-საკრედიტო პოლიტიკა არ არის ღია და გამჭვირვალე, ნდობა ეროვნული ბანკის მიმართ ჯერ კიდევ დაბალია; ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ინსტრუმენტარი არ არის ეფექტური ინფლაციის მოთოკვისთვის, ვინაიდან ეს უკანასკნელი ატარებს არამონეტარულ ხასიათს.

ინფლაციური თარგეთირების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა ეროვნული ბანკის მიერ ინფლაციის პროგნოზების შემუშავება და გასაჯაროება. ეროვნული ბანკის ინფორმაციით ინფლაციის პროგნოზირებისას (სანამ იგი მიმდინარე წლის დასაწყისში ამ საქმეში ინტელექტუალურ დახმარებას სთხოვდა ერთ-ერთ კერძო ჩეხურ ფირმას) იგი იყენებდა სამი სახის მეთოდოლოგიას: „მაკრო მოდელი, რომელსაც

**დიაგრამა 3.**  
ინფლაციის დონე მისი მიზნობრივი მაჩვენებლის მიმართ



საფუძვლად უდევს ახალი კეინზი-ანური მიდგომა; ეკონომეტრიკული მოდელი, რომელიც წარმოადგენს ცდომილების შესწორების ვექტორულ მოდელს; და სამომხმარებლო კალათის ცალკეული კომპონენტების ფასების ინდექსების შეფასებაზე დაფუძნებული მოდელი.“

სამივე მეთოდოლოგია დასახელების მიხედვით გამოიყურება საკმაოდ სოლიდურად. თუმცა, თუ გავანალიზებთ ეროვნული ბანკის ინფლაციის მიმოხილვებს 2009-2012 წლებისთვის, იმ პერიოდში გამოყენებული მეთოდოლოგიების არსი სულ სხვანაირად გამოიყურებოდა. კერძოდ, „ინფლაციის პროგნოზირებისათვის საქართველოს ეროვნული ბანკი იყენებდა ორ მეთოდოლოგიას: ერთი მხრივ, ბანკი აკვირდებოდა სამომხმარებლო კალათაში შემავალი ცალკეული პროდუქციის ინდექსებს და გარკვეული დაშვებებისა და პროგნოზების საფუძველზე ითვლიდა საპროგნოზო ინფლაციას, მეორე მხრივ კი, ბანკი ეყრდნობოდა ინფლაციის დინამიკის ეკონომეტრიკულ მოდელირებას. მოკლევადიან პერიოდში მოსალოდნელი ინფლაციის პროგნოზირებისათვის საქართველოს ეროვნული ბანკი ითვალისწინებდა სამომხმარებლო კალათისათვის ზოგიერთ მნიშვნელოვან პროდუქტზე მსოფლიო ფასების მოსალოდნელ დინამიკას.“

სამწუხაროდ, დღემდე არაა გასაჯაროებული ინფლაციის პროგნოზირებისთვის გამოყენებული მეთოდოლოგიების არსი, თუმცა ისედაც

ცხადი ხდება, რომ ცდომილების შესწორების ვექტორული ეკონომეტრიკული მოდელი სხვა არაფერია, თუ არა ინფლაციის დინამიკის ეკონომეტრიკული მოდელირება, ხოლო სამომხმარებლო კალათის ფასების ინდექსების შეფასება კი – დაკვირვებებისა და დაშვებების საშუალები. რაც შეეხება მაკრომოდელს ახალი კეინზიანური მიდგომის საფუძველზე, რომლის გამოყენებაც ეროვნულმა ბანკმა დაიწყო 2013 წლიდან, შეიძლება მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ საუბარია საფინანსო სექტორის როლის შეფასებაზე ეკონომიკურ დინამიკაში.

ეროვნული ბანკი ყოველკვარტალურად აქვეყნებს ინფლაციის მიმოხილვასა და მის პროგნოზებს. 2009-2011 წლებში გაკეთებული ინფლაციის პროგნოზების ანალიზისა და ინფლაციის ფაქტობრივ მონაცემებთან შედარების შედეგად (გათვლების გაგრძელება მომდევნო პერიოდისათვის მიზანშეუწონლად მივიჩნიეთ, ვინაიდან პროგნოზების ვერიფიკაციის ხარისხი აშკარად იქნა გამოკვეთილი) მივიღეთ არც თუ ისე სახარბიელო სურათი (იხ. ცხრილი 2).

როდესაც ეროვნულმა ბანკმა თავის თავზე აიღო „ფასების სტაბილურობის“ უზრუნველყოფის ვალდებულება, მან ფართო საზოგადოებას არ განუმარტა, თუ რას გულისხმობდა ამ საკრამენტალური ტერმინის ქვეშ. არა და ინფლაციის თარგეთირების საერთაშორისო პრაქტიკაში ფასების სტაბილურობა

გაიგება როგორც ფასების წლიური ცვლილება არა უმეტეს 2%-ისა.

როგორც ცხრილი 2-დან ნათლად ჩანს, უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ეროვნული ბანკის მიერ ინფლაციის საპროგნოზო სამუშაოები ვერ იძლეოდა მეტ-ნაკლებად მისაღებ შედეგს. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს პროგნოზების საკმაოდ დიდი დაშორება ფაქტიური მონაცემებისგან. რიგ შემთხვევაში ცდომილება აღწევს 250%-ს. გამომდინარე აქედან, პრაქტიკულად არც ერთი პროგნოზი არ შეიძლება მიჩნეული იქნას რეალისტურად. გარდა ამისა, ეს პროგნოზები არ არის ფორმალურად ვინაიდან ისინი წარმოადგენენ ან ერთრიცხვით მაჩვენებელს, ან რიცხვთა ინტერვალს. აღსანიშნავია, რომ ეროვნული ბანკის ინფლაციის მიმოხილვაში ხაზგასმულია პროგნოზების 10%-იანი ალბათობა. ასეთი დაბალი ალბათობით პროგნოზირებას კი საერთოდ ეკარგება აზრი.

ინფლაციის თარგეთირების არა-ეფექტურობას მეტწილად განაპირობებს ის, რომ ეროვნულ ბანკის რეფინანსირების განაკვეთი ვერ გახდა ფულის მასის მართვის ეფექტური ინსტრუმენტი. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული ბანკი პერიოდულად ახდენს რეფინანსირების განაკვეთის კორექტირებას, მყარი კორელაცია რეფინანსირების განაკვეთსა და ფულის მიწოდებას შორის პრაქტიკულად არ არსებობს. ფულის მიწოდება უფრო დამოკიდებულია კონიუნქტურული

ცხრილი 2.

საქართველოს ეროვნული ბანკის ინფლაციის პროგნოზები 2009-2011 წლებში

წელი	წლიური ინფლაცია კვარტალის ბოლოსათვის											
	I კვარტალი (%)			II კვარტალი (%)			III კვარტალი			IV კვარტალი		
	ფაქტ.	პროგნ.	გადახრა	ფაქტ.	პროგნ.	გადახრა	ფაქტ.	პროგნ.	გადახრა	ფაქტ.	პროგნ.	გადახრა
2009	1.6	4.3	168.8	2.3	1.6 3.8	-30.4 65.2	0.4	0.8 1.4	100 250	3.0	4 4.5	33.3 50
2010	5.8	5.5 4.5	-5.2 -22.4	3.7	1.5	-59.5	9.8	8.9	-9.2	11.2	8.8 10.6	-21.4 -5.4
2011	13.9	7-8 9.8	-49.6- (-42.5) -29.5	10.8	8.4 13-14	-22.2 20.4- 29.6	4.6	-	-	2.0	7 7.5 5.6 3.5	250 275 180 75
2012	-2.2	0.3	113.6	-	3.6	-	-	-	-	-	6	-

ხასიათის საგარეო ფაქტორებზე, როგორცაა უცხოური ვალუტის შემოდინება საქართველოში. ეს ეროვნულ ბანკს იძულებს შეისყიდოს უცხოური ვალუტა, რაც იწვევს როგორც სავალუტო რეზერვების, ასევე ფულის მასის ზრდას. გარდა ამისა, რეფინანსირების განაკვეთი ბევრად ჭარბობს ეკონომიკაში რენტაბელობის საშუალო განაკვეთს, რაც არ იძლევა ამ ინსტრუმენტის მექანიზმის გამოყენებას ფულის მიწოდების სამართავად. როგორც თვით ეროვნული ბანკი აღნიშნავს, მის მიერ შემოღებული ერთკვირიანი რეფინანსირების სესხით ხორციელდება საბანკო სექტორისათვის მოკლევადიანი ლიკვიდობის საჭიროებისამებრ მიწოდება. პრაქტიკულად, ეროვნულ ბანკს არ გააჩნია ფულის მიწოდების მართვის ეფექტიანი მექანიზმი, ანუ ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი. იმ სახით, როგორცაა ეროვნული ბანკი იყენებს რეფინანსირების სესხს და ადგენს მასზე განაკვეთს, იგი უზრუნველყოფს მხოლოდ კომერციული ბანკების ლიკვიდობის უკმარისობასთან დაკავშირებულ დროებითი პრობლემების გადაჭრას. ხოლო, თუ გავითვალისწინებთ რეფინანსირების სესხების მოცულობასა და გაცემის პერიოდულობას, ეს პროცესი აშკარად აღარ ატარებს დროებით ხასიათს.

ინფლაციის თარგეთირებაზე გადასვლას წინ უნდა უძღოდეს თავისუფლად მცურავ სავალუტო კურსის რეჟიმზე გადასვლა და საპროცენტო განაკვეთის მონეტარული პოლიტიკის მთავარ ინსტრუმენტად გადაქცევა. წინააღმდეგ შემთხვევაში ინფლაციის თარგეთირება იქცევა წარმოების მოცულობის შემცირებისა და ეკონომიკის განვითარების შემაფერხებელ ფაქტორად, როგორც ეს მოხდა საქართველოში.

ნებისმიერ ცივილიზებულ ქვეყანაში ცენტრალური ბანკის მიერ ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შემუშავების, პუბლიკაციისა და გატარების მიზანია ბაზრის მონაწილეებში გარკვეული მოლოდინების ჩამოყალიბება ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკასთან მიმართებაში უახლოესი წლისათვის ან წლებისათვის. ცენტრალური ბანკების მი-

ერ დამოუკიდებლად შემუშავებული ფულად-საკრედიტო პოლიტიკა ადგენს ძირითად ეკონომიკურ მაჩვენებლებს, რომლებიც იძლევიან სიგნალს ქვეყნის ეკონომიკური სტრატეგიისა და განვითარების პრიორიტეტების შესახებ.

იმისათვის, რომ მიღწეულ იქნას საქართველოს ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მიზნები, შენარჩუნებულ იქნას ქვეყნის ფინანსური სტაბილურობა და ფორმირებულ იქნას ეკონომიკური ზრდის ნანამძღვრები, აუცილებელია, რომ:

1. ფულად-საკრედიტო პოლიტიკა შემუშავებულ იქნას გონივრულად და იგი იყოს ეკონომიკური განვითარების მიმდინარე ან სამიზნე დონის ადეკვატური;

2. ცენტრალური ბანკის როგორც ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გამტარებელის ქცევა ბაზრისათვის უნდა იყოს გამჭვირვალე, პროგნოზირებადი და დასახული მიზნების შესაბამისი.

ამ პირობების დაცვა აუცილებელია ინვესტორების და სხვა ეკონომიკური სუბიექტების მოლოდინების ფორმირებისათვის. მათთვის მნიშვნელოვანია, თუ რამდენად თანმიმდევრულად და განუხრელად აღწევს ეროვნული ბანკი ფულად-საკრედიტო პოლიტიკით დასახულ მიზნებს, ვინაიდან ამის საფუძველზე ისინი აყალიბებენ საკუთარ საფინანსო-ეკონომიკურ პოლიტიკას მიკროდონეზე.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკის საკითხებში ეროვნული ბანკი სრულად ვერ იყენებს ამ სფეროში არსებულ საერთაშორისო პრინციპებსა და გამოცდილებას, რომელიც ეფუძნება არა მარტო თეორიულ პოსტულატებს, არამედ ეკონომიკური მონაცემების სტატისტიკურ დამუშავებასა და ანალიზს.

ეროვნული ბანკის როგორც ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გამტარებლის ქცევა არ არის პროგნოზირებადი და ადვილად გასაანალიზებელი. ეროვნულს ბანკს, წარმოადგენს რა უმსხვილეს მოთამაშეს ბაზარზე, არ გააჩნია ეკონომიკის ფულად-საკრედიტო მართვის განხორციელების შემუშავებული სტრატეგია. ეროვნული ბანკი ასევე არ ისახავს მიზნად ბაზრის სხვა

მონაწილეების სასურველი მოლოდინების ფორმირებას და არ ხელმძღვანელობს ამ პარამეტრით ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შემუშავებისა თუ განხორციელებისას. სამაგიეროდ იგი ცდილობს შექმნას თავისი დადებითი იმიჯი საერთაშორისო არენაზე, ვინაიდან ორიენტირებულია მის მიერ გატარებული ფულად-საკრედიტო პოლიტიკის აღქმაზე საერთაშორისო საინვესტიციო ფონდების, ბანკების, კლუბებისა და სხვა ეკონომიკური ორგანიზაციების მიერ.

შედეგად, ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკა გამიჯნულია როგორც საქართველოს ეკონომიკური ცხოვრებისაგან, ასევე მეცნიერული მიღწევებისაგან. იგი არ არის ორიენტირებული საქართველოს ბაზრის მონაწილეებზე, ამიტომაც არ არის თანმიმდევრული, ყოველთვის არ შეესაბამება მიზნებს, ხშირად უმოქმედო და არაეფექტურია და არ შეესაბამება საზოგადოების მიზნებს და განწყობებს.

ეროვნული ბანკის არათანმიმდევრულობა ვლინდება ფულად-საკრედიტო რეგულირების ყველა ასპექტში: სავალუტო პოლიტიკაში, ინფლაციის თარგეთირებაში, ფულის მიწოდების რეგულირებაში, საპროცენტო განაკვეთების რეგულირებაში.

ეროვნული ბანკის მიერ ფულად-საკრედიტო პოლიტიკის დეკლარირებული ერთადერთი მიზანია ინფლაციის თარგეთირება, ანუ ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლის დადგენა. ამ მაჩვენებლის დაცვის აუცილებლობაზე საერთოდ არაფერია ნათქვამი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებში. უფრო მეტიც, ეროვნულმა ბანკმა პრაქტიკულად ხელი დაიბანა ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლის დაცვისაგან იმ შემთხვევაში, თუ საქართველოში ინფლაციას ექნება არამონეტარული ხასიათი. ხოლო არამონეტარული ხასიათი ინფლაციას აქვს პრაქტიკულად მუდმივად, ვინაიდან მისი მონეტარული შემადგენელი ეროვნულმა ბანკმა ნულამდე დაიყვანა ეკონომიკიდან ფულის ამოღების მაქსიმალურად შესაძლებელი სიდიდით.

ეროვნულმა ბანკმა მიზანშე-

ნონილად ჩათვალა ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების ორ აბზაციანი დოკუმენტი შეემუშავებინა სამინისტროს, რაც, პრაქტიკულად ნიშნავს იმას, რომ მომდევნო სამინისტროს საქართველოში ბაზრის კონსოლიდაცია, ეროვნული ბანკის აზრით, უცვლელი იქნება. ეს მეტყველებს იმაზე, რომ ეროვნული ბანკი არ აკეთებს მაკროეკონომიკურ ანალიზს, არ ითვალისწინებს ბაზრის ცვლილებებს. როგორც შედეგი, ფულად-საკრედიტო პოლიტიკა არ შეიცავს მისი განხორციელების სტრატეგიას მაკროეკონომიკური ცვლილებების არსებობის შემთხვევაში. სხვა სიტყვებით, ეროვნული ბანკი არ არის მზად დაუპირისპირდეს ბაზრის არასასურველ მოვლენებს.

ყოველივე ეს გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკა უკანს სდევს ძირითად ეკონომიკურ მოვლენებს და არ იღებს მონაწილეობას მათ ფორმირებაში.

შეიძლება ითქვას, რომ ინფლაციის თარგეთირება პრაქტიკულად არ ხორციელდება. მიზნობრივი მაჩვენებლიდან გადახრა შეადგენს საშუალოდ +8 და -9 პროცენტულ პუნქტებს. წლიდან წლამდე ეროვნული ბანკი ისახავს ისეთ მიზანს, რომელსაც ვერ აღწევს, ანუ ეროვნული ბანკის მიერ გატარებული ფულად-საკრედიტო პოლიტიკა არის პასიური ხასიათის. სხვა სიტყვებით, ეს არის ინფლაციის კუდში დევნის პოლიტიკა, ლარის მდგრადი სუსტი ნომინალური დევალვაციის პოლიტიკა, ლარის ზედმეტად გამყარების თავიდან აცილების პოლიტიკა, მაგრამ მას ვერანაირად ვერ დავარქმევთ მიზნობრივი ინფლაციის პოლიტიკას.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკის რეალიზაციის ფარგლებში ეროვნული ბანკის მიერ მონეტარული ინსტრუმენტების გამოყენება ყოველთვის არ არის ლოგიკური და გამართლებული. სავალუტო ინტერვენციების განხორციელებისას არ ტარდება ეკონომიკის ფულით უზრუნველყოფის საკმარისობის ანალიზი. ინტერვენციები ატარებენ სპონტანურ ხასიათს. ფულის ემისიის მოცულობები არ იგეგმება, რის შედეგადაც ეკონომიკა მოითხოვს

სტერილიზაციის განხორციელებას. ეს კი დაკავშირებულია ეროვნული ბანკის ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის ხარჯებთან. ფულის ქარბი მოცულობა გროვდება კომერციული ბანკების ანგარიშებზე, რომელიც წარმოიქმნება რეფინანსირების სესხების უხვად გაცემის შედეგად, თუმცა ეს ლიკვიდობა არ ხვდება ეკონომიკაში. გარდა ამისა, არ ხორციელდება საკუთარი ფასიანი ქაღალდების ემისიის ზედა ზღვარის ანალიზი, რაც დაუშვებელია ეკონომიკაში რისკების მართვის სტრატეგიის თვალსაზრისით. სავალუტო რეზერვების სიდიდე ასევე მოითხოვს სტატისტიკურად შესწავლილ იქნა ის ირიბი დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია მათი ფორმირებისათვის ეკონომიკიდან ამოღებულ თანხებთან.

ეროვნული ბანკი არ იყენებს საბიუჯეტო დაგეგმვისა და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მსოფლიო ინსტრუმენტს, როგორცაა მის მიერ სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების შესყიდვა. დღეისათვის ეროვნულ ბანკს გააჩნია 90-იანი წლებიდან შემორჩენილი არალიკვიდური სამთავრობო ფასიანი ქაღალდები ბანკის ვალის სანაცვლოდ, რომელთა ეტაპობრივი გაყიდვა მან დაიწყო 2012 წლიდან. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი პერიოდულად განიცდის შემოსავლების უკმარისობას გაზრდილი ხარჯების დასაფინანსებლად. შემოსავლების გასაზრდელად იგი მიმართავს რამდენიმე გზას, რომელთა შორის უნდა აღინიშნოს საკუთარი ფასიანი ქაღალდების გაყიდვა საერთაშორისო ბაზარზე და კრედიტები აღება დონორი ორგანიზაციებიდან. ასეთ ვითარებაში ეროვნულ ბანკს შეეძლო შეესრულებინა სახელმწიფო ბიუჯეტის კრედიტორის ფუნქცია ბევრად უფრო შეღავათიანი პირობებით, რაც მძიმე საგადასახადო წნეხად არ დაანებოდა საქართველოს მოსახლეობასა და სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილს.

კომერციული ბანკების რეფინანსირება როგორც ფულის მიწოდების წყარო და საპროცენტო განაკვეთების სიდიდის ორიენტირი არაეფექტიანად მუშაობს. არა და წარმოადგენს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელების უმთავრეს ინსტრუმენტს მთელს მსოფლიოში. რეფინანსირების სესხის მოკლევადიანი ხასიათი მეტყველებს მხოლოდ იმაზე, რომ იგი კომერციული ბანკების მიერ გამოიყენება საკუთარი ლიკვიდური სახსრების უკმარისობისას, რაც ცხადყოფს საბანკო სექტორის მყიფე ფინანსურ მდგომარეობას. რეფინანსირების სესხის თანხები პრაქტიკულად არ ხვდება ეკონომიკაში, ამიტომაც იგი არ გამოიყენება როგორც მიმოქცევაში ფულის მასის ზრდის მექანიზმი. რეფინანსირების სესხის მოკლევადიანობის გამართლება არ შეიძლება არც საფინანსო ბაზრის განუვითარებლობით, არც ეკონომიკის დაფინანსებაში კრედიტის შეზღუდულობით, ვინაიდან საფინანსო განვითარება პირდაპირ არის დაკავშირებული კომერციული ბანკების დაფინანსებაზე ეროვნული ბანკის მიერ. გარდა ამისა, საპროცენტო განაკვეთის ჩართვა ფულად-საკრედიტო რეგულირებაში გამოიწვევს მისი როლის ამაღლებას და კომერციული ბანკების მიერ გაცემული კრედიტების საპროცენტო განაკვეთების დადგენისას შეასრულებს ორიენტირის ფუნქციას, ეს კი, თავის მხრივ, გააღრმავებს ბანკების ჩართულობას სანარმოების დაკრედიტების პროცესში.

ეროვნული ბანკის მიერ ეკონომიკაში ფულის ემისიის პროცესი მთლიანად არის დამოკიდებული მასში უცხოური ვალუტის შემოღებაზე. ეს კი ეროვნული ბანკის როგორც ფულის მიწოდების ორგანოს პოზიციებს მნიშვნელოვანწილად მონყვლადს ხდის, ვინაიდან ეკონომიკაში ფულის ზრდის სხვა წყაროები არ არსებობს. იმ შემთხვევაში, თუ შემცირდება ან უეცრად შეწყდება ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოსვლა, ამან შეიძლება გამოიწვიოს ფულზე მოთხოვნის ნახტომისებრი ზრდა, რის შედეგადაც ეკონომიკას დაემუქრება სტაგნაციის საფრთხე. დაბოლოს, საქართველოს ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობის შესახებ. წინა ხელისუფლების დროს არჩეულმა ეროვნული ბანკის დღევანდელმა ხელმძღვანელობამ ვერ დაძლია პარტიული მიკუთვნებულობის სინდრომი. ეს დოკუმენტურად დასტურდება ეროვნული

ბანკის მიერ შემუშავებული 2013 წლის თებერვლის თვის ინფლაციის მიმოხილვის შინაარსიდან, სადაც საქართველოს ახალი ხელისუფლება დადანიშნულებულია ყველა იმ პრობლემაში, რომელსაც ადგილი ჰქონდა მის მოსვლამდე დიდი ხნით ადრე.

ინფლაციის მიმოხილვაში ეროვნული ბანკი სახელისუფლებო ცვლილებასთან დაკავშირებით ხშირად იყენებს ტერმინს „გაურკვევლობა“. მინდა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ფინანსურ წრეში ტერმინი „გაურკვევლობა“ გაიგივებულია ტერმინთან „რისკი“. ქვემოთ მოყვანილია ციტატები „2013 წლის თებერვლის ინფლაციის მიმოხილვიდან“, რომლებითაც ეროვნული ბანკის მიერ ახალი ხელისუფლება დადანიშნულებულია შემდეგში:

1. „2012 წელს საქართველოს ეკონომიკური აქტივობა საერთო ჯამში დადებითად შეიძლება შეფასდეს, მიუხედავად წინასწარჩვენო პერიოდისა და შემდგომ ხელისუფლების ცვლილებასთან დაკავშირებული გაურკვევლობისა“ – ეროვნული ბანკის მოსაზრებით, ახალმა ხელისუფლებამ ხელი შეუწყო 2012 წელს ეკონომიკური აქტივობის შენელებას, თუმცა არჩევნებამდე არსებულმა ეკონომიკურმა აქტივობამ „საერთო ჯამში“ გამოასწორა მდგომარეობა და ეროვნული ბანკის მხრიდან დაიმსახურა დადებითი შეფასება.

2. „მეოთხე კვარტალში, სახელისუფლებო ცვლილებისათვის დამახასიათებელი გაურკვევლობის შედეგად ინვესტიციები და მოხმარება გარკვეულწილად შემცირდა“ – რაც შეეხება ინვესტიციების შემცირებას, ამისათვის ეროვნული ბანკი არ მიიჩნევს საკმარის გარემოებად უარყოფით ინფლაციას და მის თანმდევ შემოსავლების ვარდნას, ხოლო რაც შეეხება მოხმარებას, სწორედ მისი ვარდნა არის 2012 წლის დასაწყისში განვითარებული მძიმე დეფლაციის მიზეზი, რომელსაც ერთი წლის თავზეც კი ვერ მორია ეროვნული ბანკი.

3. „ეკონომიკური ზრდის პროგნოზი 2013-2014 წლებში მნიშვნელოვნად ვარიებს და დიდწილად დამოკიდებული ბიზნესისა და მოხმარებელთა ნდობის აღ-

დგენაზე, ასევე მთავრობის მიერ გაცხადებულ საინვესტიციო პროექტების ეფექტიანობაზე“ – სამწუხაროდ, ფართო საზოგადოებისათვის უცნობია, თუ როგორია ეროვნული ბანკის მიერ ეკონომიკური პროგნოზი 2013-2014 წლებისათვის. უფრო მეტიც, საზოგადოებისათვის საერთოდ უცნობია, აკეთებს თუ არა ეროვნული ბანკი ასეთი სახის პროგნოზებს. სამაგიეროდ საზოგადოებისათვის, შესაძლოა, ღიმილის მომგვრელი იყოს ბიზნესისა და მოხმარებლების ნდობა წინა ხელისუფლების მიმართ და მისი აღდგენის აუცილებლობა ახალ ხელისუფლებასთან მიმართებაში.

4. „აღნიშნული პროგნოზი შეიძლება ორმხრივად შეიცვალოს. ერთი მხრივ, ზრდის მიმართულებით, უფრო მაღალი საინვესტიციო აქტივობის ან წმინდა ექსპორტის მატების შედეგად; ხოლო, მეორე მხრივ, კლების მიმართულებით, არსებული გაურკვევლობის გაგრძელების ან ქვეყნის სავაჭრო პარტნიორების მხრიდან მოთხოვნის შემცირების შემთხვევაში“ – როგორც ვხედავთ, აქაც ეროვნული ბანკი ახალ ხელისუფლებას განიხილავს როგორც სერიოზულ რისკ-ფაქტორს საინვესტიციო აქტივობასა და ექსპორტის ზრდის სფეროში.

5. „ქვეყანაში ხელისუფლების ცვლილებისათვის დამახასიათებელმა გაურკვევლობამ ადგილობრივი მოთხოვნის შესუსტება გამოიწვია“ – კიდევ ერთხელ უნდა გავიმეორო, რომ ადგილობრივი მოხ-

მარების შემცირება, რომლის შედეგითაცა უარყოფითი ინფლაცია 2012 წლის დასაწყისიდან, გამოწვეულია არა ახალი ხელისუფლების რისკის, არამედ ეროვნული ბანკის მიერ გატარებული არაეფექტიანი ფულად-საქრედიტო პოლიტიკის მიერ.

6. „მოხმარებელთა ნდობის აღდგენის და გაურკვევლობის შემცირების პარალელურად, მოსალოდნელია ადგილობრივი მოთხოვნის თანდათანობითი ზრდა“ – შესაძლოა, ეროვნული ბანკი ელოდება, რომ დეფლაციის პრობლემა თავისით გაიწოვება?

ეს არის „2013 წლის თებერვლის თვის ინფლაციის მიმოხილვაში“ ციტატების არასრული ჩამონათვალი. თუ ამ დოკუმენტს საქართველოში არ ჰყავს მრავალრიცხოვანი მომხმარებელი, მისი ინგლისურ ენაზე თარგმანი აუცილებლად ექცევა უცხოელი ინვესტორებისა და საქართველოში დაინტერესებული პირების ინტერესების სფეროში, რომ აღარაფერი ვთქვათ საერთაშორისო საფინანსო და არასაფინანსო ორგანიზაციებზე. ახალი ხელისუფლების არაოპტიმისტური და ნეგატიური შეფასებით ეროვნული ბანკი აფრთხობს პოტენციურ ინვესტორებს, რითაც ხელს უშლის ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას.

ქვეყნის ეკონომიკა ვერ განვითარდება და მოსახლეობის ცხოვრების დონე ვერ ამაღლდება მანამ, სანამ იარსებებს ვინროპარტიული კონიუნქტურით მოაზროვნე მონეტარული ხელისუფლება.

**ЛИЯ ЭЛИАВА**  
**Доктор экономики, профессор**

**ДЕФЛЯЦИЯ В ГРУЗИИ: ГДЕ ИСКАТЬ ВИНОВОГО**  
**Резюме**

Дефляционные процессы, которые развились в Грузии со второй половины 2011 года, переросли в отрицательную дефляцию в 2012 году и в начале 2013 года. Развитие дефляции свидетельствует об экономической стагнации. Причиной дефляции стала неэффективная денежно-кредитная политика, проводимая Национальным банком Грузии. Сокращение денежной массы в экономике, в рамках борьбы с инфляцией, негативно сказалось на активности бизнес сектора – сократилось общее потребление. В следствии этого упали индексы потребительских цен и развилась дефляция. На протяжении последних лет монетарная власть страны не смогла создать эффективный механизм борьбы с инфляцией, что способствовало замедлению экономического роста и появлению угрозы развития дефляционной спирали.





საუბიოროთა, ხალაბართა და ფინანსარ მანაქართა ფადარაცია  
THE FEDERATION OF AUDITORS ACCOUNTANTS AND FINANCIAL MANAGERS

# კანონი დახვენას და ქველინებების განთავისუფლებას საჭიროებს!

საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტში განახლდა დისკუსიები „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით. როგორც ცნობილია, საქართველოს პარლამენტმა მიმდინარე წლის 1 ივლისამდე უნდა მიიღოს კანონის ახალი რედაქცია (ცვლილებებისა და დამატებების პროექტი გამოქვეყნებული იყო ჟურნალ „ბიზნესი და კანონმდებლობის“ წინა ნომერში).

პროფესიული ორგანიზაციების დამოკიდებულება აღნიშნული ცვლილებების მიმართ განსხვავებულია. კერძოდ: „აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციაში“ ფიქრობენ, რომ ცვლილებების მიღების შემთხვევაში გარკვეული ნიხსვლა იქნება. თუმცა, მისი ცალკეული დებულებები დახვენას საჭიროებს.

გთავაზობთ, კანონპროექტის მიმართ „აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციის“ პოზიციას და შენიშვნებს, რომელიც განხილვისათვის გადაეგზავნა საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს.

№ ად-1/5

26.04.2013 წ.

## საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარეს ბატონ დავით ონოფრიშვილს

ბატონო დავით,

გამოვხატავთ რა კმაყოფილებას საქართველოს პარლამენტში „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით განხილვების განახლების გამო, სრულად ვიზიარებთ თქვენს ინიციატივას კანონში შესატანმა ცვლილებებმა უზრუნველყონ საკანონმდებლო რეგულირების გაუმჯობესება, ხარვეზების გამოსწორება, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან დაახლოება და ევროკავშირის დირექტივების გათვალისწინება.

წარმოდგენილი კანონპროექტი შეიძლება განვიხილოთ, როგორც წინამორბედის რეამინაციის ცდა და მნიშვნელოვანი წინსვლა გაცხადებული მიზნისკენ, თუმცა მისი ცალკეული დებულებები კვლავაც საჭიროებენ დახვეწას, ფაქტობრივ გარემოებებთან ადაპტირებას, ქვედინებებისგან განთავისუფლებას. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს პროექტში თავი მოიყარა სხვადასხვა პირის მიერ შესრულებულმა ერთმანეთთან დაუკავშირებელმა დებულებების დამოუკიდებელმა რედაქციებმა, რომლებიც არ იკითხებიან ერთიან კონტექსტში.

ვფიქრობთ, აჯობებდა შექმნილიყო ახალი კანონი (ან კანონები) სრულიად განსხვავებული კონცეფციით. ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ერთ რეგულაციაში გაერთიანებამ, რბილად რომ ვთქვათ, ვერ მოგვცა ინტეგრირების საუკეთესო ვარიანტი. როგორც ჩანს, მათი თავმოყრა ერთ სივრცეში ხელოვნურად განხორციელდა. ბუღალტრული აღრიცხვა მაინც რჩება ცალკე რეგულაციის სფეროდ, ხოლო აუდიტური საქმიანობა სრულიად განსხვავებულ სამართლებრივ საფუძვლებს და ორგანიზაციულ სტრუქტურას ეყრდნობა. აღნიშნულის მართებულებას დრო წარმოაჩენს და შეიძლება საკითხი ხელახალ განხილვას დაექვემდებაროს.

ბუღალტრულ აღრიცხვასა და აუდიტურ საქმიანობაში შექმნილი საკანონმდებლო ვაკუუმის დროებითი ნეიტრალიზაციისა და უკვე მოქმედი კანონის გაკეთილშობილების მიზნით, აუცილებელია და ამდენად, როგორც გადაუდებელი ღონისძიება, დასაშვებად მიგვაჩნია საფუძვლად მივიღოთ წარმოდგენილი პროექტი და კანონი მთლიანობაში შემდეგი შენიშვნების გათვალისწინებით ჩასწორდეს:

№2 მაისი 2013

1. კანონს აქვს პრეტენზია მოიცვას აუდიტური საქმიანობა მთლიანად, თუმცა სათაურის მიხედვით, ის მხოლოდ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს ეხება. ფინანსური ანგარიშგების აუდიტი აუდიტორული საქმიანობის მხოლოდ ნაწილია. ამიტომ მიზანშეწონილად მოგვაჩნია კანონის სათაური შესაბამისობაში მოვიდეს მის შინაარსთან;

2. კანონის მე-3 მუხლის მე-10, მე-5 მუხლის მე-5, მე-8 მუხლის მე-4, მე-9 მუხლის მე-2 და შესაბამისად, მათი მომდევნო პუნქტებით გათვალისწინებულია, რომ ...საერთაშორისო სტანდარტების/პროფესიონალი ბუღალტრის ეთიკის კოდექსის საქართველოს სახელმწიფო ენაზე ხელმისაწვდომობის მიზნით ისინი ქართულ ენაზე უნდა თარგმნოს და გამოსცეს აკრედიტებულმა პროფესიულმა ორგანიზაციამ. აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაცია ქართულ ენაზე თარგმნილ საერთაშორისო სტანდარტებს (IFRS, IFRS for SME, ISA, ISQC, IESBA Code) რეგისტრაციაში გასატარებლად წარუდგენს სააგენტოს, რომელიც ამ სტანდარტებს აქვეყნებს რეგისტრაციაში გატარების შემდეგ.

ფაქტობრივად, იგივეს იმეორებს კანონის მე-12 მუხლის 1-ლი პუნქტი. ამდენად, ეს ნორმა უმჯობესია ერთ მუხლად (თუნდაც მე-12 მუხლში) ჩამოყალიბდეს. ამასთან, აქ „აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაცია ვალდებულია“ შეიცვალოს სიტყვებით: „აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაცია უფლებამოსილია“. პროფესიული ორგანიზაციისთვის ასეთი ვალდებულების იძულებით დაკისრება საჭირო (მიზანშეწონილი) არ არის. ეს მისი ინტერესებიდან უნდა გამომდინარეობდეს, თუმცა ასეთი ჩასწორების შემდგომაც აღნიშნული ნორმა კითხვებს მაინც ტოვებს. რა ნიშნავს „თარგმნოს და გამოსცეს აკრედიტებულმა პროფესიულმა ორგანიზაციამ“ ან როგორ უნდა გავიგოთ „რეგისტრაციაში გასატარებლად წარუდგენს სააგენტოს, რომელიც ამ სტანდარტებს აქვეყნებს რეგისტრაციაში გატარების შემდეგ“? ე.ი. სააგენტო აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციის მიერ ნათარგმნი სტანდარტების პასიური რეგისტრატორია და ამ სტანდარტებს აქვეყნებს რეგისტრაციაში გატარების შემდეგ? მაშ, რას ნიშნავს „ქართულ ენაზე უნდა თარგმნოს და გამოსცეს აკრედიტებულმა პროფესიულმა ორგანიზაციამ“? აშკარაა, რომ წინააღმდეგობრივი და ბუნდოვანია ეს ნორმა. გარდა ამისა, პროექტის თანახმად გამოდის, რომ სხვადასხვა აკრედიტებულმა პროფესიულმა ორგანიზაციებმა შეიძლება თარგმნონ და გამოსცენ საერთაშორისო სტანდარტები (IFRS, IFRS for SME, ISA, ISQC, IESBA Code), მაგრამ ვინ აგებს პასუხს მათ ავთენტურობაზე? სააგენტოს კომპეტენციაში არ ჩანს, რომ ის პასუხისმგებელია ნათარგმნის გამართუ-

ლობაზე და ავთენტურობაზე. ის „უფლებამოსილია დამტკიცოს და რეგისტრაციაში გაატაროს“ (იხ. მე-12<sup>4</sup> მუხლის „დ“ პუნქტი) ეს სტანდარტები. აღნიშნულთან წინააღმდეგობაში მოდის ამავე მუხლის მე-2 პუნქტი, რომლითაც განსაზღვრულია, რომ „სააგენტო ვალდებულია დააფინანსოს აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციის მიერ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS), მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS for SMEs) და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISA) თარგმნა“ (ამ ჩამონათვალიში ყველა სტანდარტი არაა შესული მაგალითად, ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტი (ISQC); პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსი (IESBA Code) და სხვა. ისინი ვინ უნდა თარგმნოს და დააფინანსოს?).

თუ სააგენტო ვალდებულია დააფინანსოს აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციის მიერ საერთაშორისო სტანდარტების თარგმნა, ცხადია, ის არის დამკვეთი და მაშინ ისეთნაირად უნდა გაიწეროს მისი კომპეტენცია, რომ ნათლად ჩანდეს: აკრედიტებულ პროფესიულ ორგანიზაციას სტანდარტების თარგმნას უკვეთავს, აფინანსებს და გამოსცემს სააგენტო.

ყველა შემთხვევაში, ნორმა დასახვეწია, ამასთან მეტი სიცხადე უნდა აისახოს მასში;

3. კანონის მე-6 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, რეესტრი არის 2 ტიპის:

ა) სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლების მქონე პირთა რეესტრი, რომელშიც რეგისტრირებული არიან ის აუდიტორები/ აუდიტორული ფირმები, რომლებსაც აქვთ სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლება;

ბ) სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლების არმქონე პირთა რეესტრი, რომელშიც რეგისტრირებული არიან ის აუდიტორები / აუდიტორული ფირმები, რომლებსაც არ აქვთ სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლება.

ჩვენი აზრით, ასეთი დაყოფა დისკრიმინაციულია, გარვეულ პირთა ინტერესებს ემსახურება, სხვა დაინიშნულება და ანალოგი მას არ გააჩნია. ჯერ ერთი, სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლების მქონე და სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლების არ მქონე პირებს შორის არსებითი განსხვავება ისაა, ყავთ თუ არ ყავთ მათ დასაქმებული „თუნდაც ერთი პროფესიონალი სერთიფიცირებული ბუღალტერი“, ხოლო „ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის გავლის შემდეგ“ ექნებათ პირველი ან მეორე კატეგორიის დასკვნა, პირობითია. ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის გავლის დროს პირმა „მცირე შენიშვნები“ მიიღო თუ „მნიშვნელოვანი შენიშვნები“ ძნელი

გასარჩევია და არც არის გადამწყვეტი დატვირთვის მატარებელი, რადგან ითვლება, რომ ამ კომპანიებს ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგი, ასევე თუ ისე, გავლი აქვთ.

**მეორეც**, პრაქტიკულ ასპექტში „თუნდაც ერთი პროფესიონალი სერთიფიცირებული ბუღალტრის“ ფორმალურ „დასაქმებას“, ბევრი უპრობლემოდ მოახერხებს.

ამდენად, რეესტრის ეს „ორი ტიპი“ მხოლოდ ხელოვნურ ბარიერად შეიძლება აღვიქვათ, იმათათვის, ვინც „გარკვეულ პირთა წრისათვის“ არ არის მისაღები. პირველი ტიპის რეესტრში თავს მოიყრიან „ელიტური“ ჯგუფის აუდიტორები/აუდიტორული ფირმები, ხოლო მეორე ჯგუფი ფაქტობრივად არავის დასჭირდება. ამიტომ, ჩვენი აზრით, უნდა არსებობდეს აუდიტორების/ აუდიტორული ფირმების ერთიანი რეესტრი (ქრონოლოგიის ან ალფავიტის მიხედვით), ყოველგვარი დაყოფის და გამორჩევის გარეშე (დაიზოგება რესურსიც და ენერჯაც). ამასთან, ეს სულაც არ შეუშლის ხელს სავალდებულო აუდის ჩასატარებლად დამკვეთმა გამოარჩიოს ისეთი სასურველი პირი რომელსაც შესაბამისი უფლებამოსილება ექნება;

**4.** მე-6 მუხლის მე-13 პუნქტი წინააღმდეგობაში მოდის ამავე მუხლის წინა პუნქტებით განსაზღვრულ დებულებებთან და პოლიტიკურ ელფერს უფრო ატარებს: „საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია დაადგინოს იმ სახელმწიფოთა ჩამონათვალი, რომელთა უფლებამოსილი ორგანოების მიერ სერტიფიცირებულ პირად აღიარებული ფიზიკური პირი სერტიფიცირებულ პირად უნდა აღიარონ აკრედიტებულმა პროფესიულმა ორგანიზაციებმა“. თუ ჩვენ ვაღიარებთ საერთაშორისო სტანდარტებს და ამ სტანდარტების შესაბამისად იქნება ფიზიკური პირი აღიარებული სერთიფიცირებულ პირად, მაშინ არ უნდა ქონდეს მნიშვნელობა მის ჩამომავლობას, ეთნიკურ ნიშანს ან ქვეყნის კუთვნილებას. აქედან გამომდინარე, საქართველოს მთავრობა არ უნდა ადგენდეს იმ სახელმწიფოთა ჩამონათვალს, რომელთა უფლებამოსილი ორგანოების მიერ სერტიფიცირებულ პირად აღიარებული ფიზიკური პირი სერტიფიცირებულ პირად უნდა ცნონ აკრედიტებულმა პროფესიულმა ორგანიზაციებმა. თუ ასეთი აუცილებლობა დადგა, საკითხი გადაწყვიტონ თვით პროფესიულმა ორგანიზაციებმა მათი კომპეტენციის ფარგლებში. ამდენად, მე-6 მუხლის მე-13 პუნქტი პროექტიდან ამოსაღებია ან მასში „საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია“ ჩაანაცვლოს შინაარსმა: „სააგენტო უფლებამოსილია“;

**5.** მე-6 მუხლის მე-16 პუნქტის თანახმად, „თუ აუდიტორი/აუდიტორული ფირმა აღარ აკმაყოფილებს შესაბამის რეესტრში რეგისტრაციის პირობებს,

ის ვალდებულია ამის შესახებ ინფორმაცია 5 სამუშაო დღის ვადაში მიაწოდოს სააგენტოს. ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას სააგენტო დააკისრებს დისციპლინურ პასუხისმგებლობას“. ოღონდაც კანონში არსად, მ/შ, სააგენტოს კომპეტენციაშიც არაა აღნიშნული რა დისციპლინარულ პასუხისმგებლობაზეა აქ საუბარი. არც ისაა აღნიშნული, რომ დისციპლინარული პასუხისმგებლობის ზომებისა და დაკისრების პირობები (წესი) განისაზღვრება სააგენტოს დებულებით ან რეგლამენტით. ამდენად, შესაბამისი ჩანაწერი კანონში უნდა დაფიქსირდეს;

**6.** კანონის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის თანახმად, აუდიტის ჩატარება სავალდებულოა: „იმ საწარმოებისათვის, რომლებიც აკმაყოფილებენ საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ კრიტერიუმებს“. თუმცა ეს კრიტერიუმები კანონში არსად იკითხება. ამავე კანონში სრულად უნდა იყოს მოცემული იმ საწარმოთა ჩამონათვალი, რომლებშიც ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარება სავალდებულოა;

**7.** კანონში ძირითადი ყურადღება ეთმობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტს და მხოლოდ ერთი (მე-7 მუხლის მე-9) პუნქტი ეთმობა საინიციატივო აუდიტს: „საინიციატივო აუდიტი ტარდება უფლებამოსილი პირის (პირების) გადაწყვეტილებით ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში“ - ეს არის სულ. ვფიქრობთ, საჭიროა უფრო მეტი დეტალიზაცია ან მითითება სტანდარტზე, რომელიც აწესრიგებს საინიციატივო აუდიტის სახეებს, ფორმებს, ჩატარების პროცედურებს და ა.შ.;

**8.** მე-8 მუხლის მე-12 მუხლის თანახმად, ხარისხის კონტროლის მონიტორინგის დასკვნა 4 კატეგორიად არის დაყოფილი, რაც ვფიქრობთ, ბევრია. უფრო რაციონალურია: 2 კატეგორია: აუდიტორი/აუდიტორული ფირმა ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგს გაივლის ან ვერ გაივლის. რთულია და ინტერპრეტაციის შესაძლებლობებს ქმნის მცირე და მნიშვნელოვანი შენიშვნების გარჩევა. ამიტომ აჯობებს ეს პუნქტი ასე ჩამოყალიბდეს:

**12. მონიტორინგის დასკვნა შეიძლება იყოს 2 კატეგორიის:**

ა) პირველი კატეგორიის – როდესაც აუდიტორი/აუდიტორული ფირმა ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგს გაივლის;

ბ) მეორე კატეგორიის – როდესაც აუდიტორი/აუდიტორული ფირმა ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგს ვერ გაივლის;

აღნიშნული შენიშვნის გაზიარების შემთხვევაში, შესაბამისად უნდა შეიცვალოს მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „დ“, მე-7 პუნქტის „დ“, მე-8 პუნქტის „ე“ და მე-9

პუნქტის „ე“ ქვეპუნქტები;

9. მე-8 მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად, „ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის განხორციელებიდან 2 თვის ვადაში ხარისხის კონტროლის შემმოწმებელი ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტის (ISQC) შესაბამისად ადგენს მონიტორინგის დასკვნას, რომლის თითო ეგზემპლარი გადაეცემა აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას, აკრედიტებულ პროფესიულ ორგანიზაციას და ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის საზედამხედველო სააგენტოს“. ჩვენი აზრით, მონიტორინგის დასკვნის შესადგენად სრულიად საკმარისია 1 თვე;

10. მე-8 მუხლის მე-14 პუნქტის თანახმად, „აუდიტორის ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის შემთხვევაში პასუხისმგებლობა ეკისრება აუდიტორს. აუდიტორული ფირმის ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის შემთხვევაში პასუხისმგებლობა ეკისრება აუდიტორულ ფირმას ან/და ყოველ კონკრეტულ აუდიტორულ დასკვნაზე – შესაბამის გარიგების პარტნიორს“. მაგრამ ამ ნორმიდან და არც კანონის სხვა დებულებებიდან არ ჩანს, რა პასუხისმგებლობა, ან რისთვის შეიძლება დაეკისროს აუდიტორულ ფირმას, თუ სხვადასხვა გარიგების პარტნიორებმა მიიღეს მონიტორინგის სხვადასხვა კატეგორიის დასკვნები. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, სიცხადე აუცილებელია აისახოს ამავე ნორმაში;

11. მე-9 მუხლის მე-8 პუნქტში აღნიშნულია, რომ „3 სამუშაო დღის ვადაში აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაცია ინფორმაციას აუდიტორისთვის/აუდიტორული ფირმისათვის დაკისრებული დისციპლინარული პასუხისმგებლობის შესახებ აცნობებს ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის საზედამხედველო საბჭოს, თუმცა ასეთი სტრუქტურა კანონში არსად მოიაზრება. სავარაუდოდ, იგულისხმება სააგენტო, თუმცა აქაც ის წარმოდგენილია, როგორც „ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის საზედამხედველო სააგენტო“ (იხ., თავი IV<sup>1</sup> ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის საზედამხედველო სააგენტო). საჭიროა ხარვეზის გასწორება და სააგენტოსთვის ერთი, გამართული სახელის მიკუთვნება;

12. კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტში შესატანი ცვლილების თანახმად, „ბუღალტერთა ან/და აუდიტორთა პროფესიული ორგანიზაციის აკრედიტაციას ახორციელებს სააგენტო“. ამავე მუხლის მე-10 პუნქტში კი აკრედიტაციის განმახორციელებელ პირად სულ სხვა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი – აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრი სახელდება, რაც აშკარა შეუსაბამობაა და აუცილებელია გასწორდეს. გარდა ამისა, ამავე

პუნქტის ბოლო წინადადების დასასრულს იკითხება, რომ აკრედიტაცია გაუქმებულ ბუღალტერთა ან/და აუდიტორთა პროფესიულ ორგანიზაციას „აკრედიტაციის მიღების მოთხოვნით მიმართვის უფლება აქვს რეგისტრაციიდან 3 წლის შემდეგ“ – რაც ბუნდოვანი, გაუმართავი ჩანაწერია. ალბათ იგულისხმება აკრედიტაციის გაუქმების რეგისტრაციიდან (ან აკრედიტაციის გაუქმებიდან) 3 წლის შემდეგ. ტექსტში უნდა აისახოს შესაბამისი კორექტივი;

13. მე-11 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულია, რომ „ბუღალტერთა ან/და აუდიტორთა პროფესიული ორგანიზაცია, აკრედიტაციას იღებს იმ შემთხვევაში, თუ მას აქვს ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) მოთხოვნების შესაბამისი შიგა პოლიტიკა და პროცედურები ქვემოთ ჩამოთვლილ საკითხებთან მიმართებით“. ჩვენი აზრით, უკეთესია ეს პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ბუღალტერთა ან/და აუდიტორთა პროფესიული ორგანიზაცია, აკრედიტაციას მიიღებს იმ შემთხვევაში, თუ მისი შიგა პოლიტიკა და პროცედურები ქვემოთ ჩამოთვლილ საკითხებთან მიმართებით არ ეწინააღმდეგება და იზიარებს ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) მოთხოვნებს“;

14. კანონის მე-11 მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრულია, რომ „აკრედიტაციის წესს, ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, ადგენს სააგენტო“. მეტი გამჭვირვალობისა და ქვედინებათა პრევენციის, აგრეთვე, პასუხისმგებლობის ამაღლების მიზნით, ვფიქრობთ, აკრედიტაციის წესი უნდა შეთანხმდეს საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან და შესაბამისი ჩანაწერი დაემატოს აღნიშნულ პუნქტს;

15. კანონში ბევრია ქართულ ენაზე გაუმართავი, შესაბამისად, გაუგებარი წინადადებებიც. აქედან გამომდინარე, აუცილებელია კომიტეტმა უნდა უზრუნველყოს მისი ენის ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანა.

შენიშვნების სიმრავლე, რასაც ჩვენ გაწვდით და ვფიქრობთ, სხვებსაც ექნებათ, მიანიშნებენ იმაზე, რომ კანონპროექტზე გულდასმით უნდა გაგრძელდეს მუშაობა.

იმედი გვაქვს გაიზიარებთ ჩვენს შენიშვნებს და საქართველოს ახალი პარლამენტი მიიღებს გამართულ, პროფესიული ინტერესების გამომხატველ კანონში შესატანი ცვლილებებს.

**ნიკო ბაკაშვილი**

საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციის გამგეობის თავმჯდომარე, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

# შესაძლებელია თუ არა ტარიფების უფრო მეტად შემსირება

(მაკრო და მიკროეკონომიკური შედეგები\*)

საქართველოს მთავრობამ მიმდინარე წლის დასაწყისიდან სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტებად გამოაცხადა:

– მოსახლეობის სოციალური დაცვის არსებული სისტემის გარდაქმნა-გაუმჯობესება, მისი ეფექტიანობის ამაღლება, სოციალური დახმარებების მოცულობის გადიდება (მიზანი: არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსახლეობის, განსაკუთრებით კი დაბალშემოსავლიანი ფენების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, მათთვის ჯანმრთელობის დაცვისა და ჟანსალი კვების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა);

– სამენარმო აქტივობის ამაღლებისთვის და სამამულო წარმოების აღორძინებისათვის აუცილებელი პირობების შექმნა (ინსტრუმენტები: კონკურენციული ურთიერთობების გაღრმავება, ბაზრების ეფექტიანობის ამაღლება, სათანადო სამართლებრივი, ინსტიტუციური, მატერიალური და ფინანსური მხარდაჭერა, საკონსულტაციო და ინფორმაციული მომსახურების უზრუნველყოფა. მიზანი: საშუალოვადიანი და გრძელვადიანი პერიოდებისათვის ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, დასაქმებულთა რაოდენობის გადიდება, ფარული უმუშევრობის შემცირება, მოსახლეობის შემოსავლების არსებითი ზრდა, პრიორიტეტული დარგების აღორძინება, სამამულო წარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლება როგორც შიდა, აგრეთვე საგარეო ბაზრებზე, ქვეყნის ეროვნულ-ეკონომიკური უსაფრთხოების ღირსეული სტანდარტის უზრუნველყოფა და ა. შ.).

აღნიშნული პრიორიტეტების პრიზმაში არსებითად ჯდება კომუნალური ტარიფების შემცირება,

ვინაიდან იგი იძლევა როგორც სოციალურ, აგრეთვე ეკონომიკურ ეფექტს, როგორც მოკლევადიანი (შემოსავლების ეფექტის საფუძველზე ერთობლივი მოთხოვნის წახალისება), აგრეთვე საშუალოვადიანი და გრძელვადიანი პერიოდისათვის (ერთობლივი მიზნების სტიმულირება - თუკი ტარიფების შემცირება გავრცელდება სამენარმო სექტორზე).

საქართველოს მთავრობის გადანყვეტილებით, მიმდინარე წლის დასაწყისიდან, ელექტროენერგიაზე ტარიფი მოსახლეობისათვის შემცირდა 3,5 თეთრით, ანუ დაახლოებით 21-27 %-ით, ხოლო ცოცხა მოგვიანებით მიღებულ იქნა გადანყვეტილება გაზის ტარიფის 5 თეთრით, ანუ დაახლოებით 10%-ით შემცირების შესახებ. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2013 წლის 3 აპრილის №3 დადგენილების თანახმად საყოფაცხოვრებო მომხმარებლებს (მოსახლეობა), რომლებიც მოიხმარენ 101 კვტ-ის ჩათვლით ელექტროენერგიას, ტარიფი დამატებით უმცირდებათ: 1. სს "თელასის" აბონენტებს 0,39 თეთრით (დღგ-ს გარეშე) - 2013 წლის პირველი აპრილიდან 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით; 2. სს "ენერგო პრო ჯორჯიას" აბონენტებს 0,37 თეთრით (დღგ-ს გარეშე) - 2013 წლის პირველი აპრილიდან 2014 წლის პირველ სექტემბრამდე. ე. ი. ამ დადგენილებით მოსახლეობისათვის ელექტროენერგიის ტარიფი (დღგ-ს ჩათვლით) დამატებით მცირდება დაახლოებით 0,5 თეთრით.

ტარიფების, განსაკუთრებით კი გაზის ტარიფის უფრო მკვეთრი შემცირება, რასთან დაკავშირებითაც საზოგადოებაში გარკვეული

მოლოდინები არსებობდა, ობიექტურ გარემოებათა გათვალისწინებით შეუძლებელი აღმოჩნდა, ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე მაინც.

აღნიშნული მცდარი მოლოდინების ფორმირებაში არსებითი როლი შეასრულა: **ბოლო წლების მანძილზე ენერგეტიკის სისტემაში არსებული სიტუაციის გაუმჭირვალობამ, სტატისტიკური ინფორმაციის არარსებობა-ხელმიუწვდომლობამ, შესაბამისი ხელშეკრულებებისა თუ მემორანდუმების გასაიდუმლოებამ, ხშირ შემთხვევაში ამ სფეროსათვის აუცილებელი სპეციფიკური ხასიათის ცოდნის დეფიციტურობამ, თეორიულ-ლოგიკურ ნიაღვრეებთან პრაქტიკის შეუსაბამობამ, რის შედეგადაც საზოგადოების მიერ გადამეტებით იქნა შეფასებული ტარიფების შემცირების შესაძლებლობები.** ამასთან, უარყოფითი როლი შეასრულა ტარიფების შემცირებასთან დაკავშირებით საინფორმაციო საშუალებების მიერ მოსახლეობისთვის სასურველი ინფორმაციის გადაჭარბებული დოზით მიწოდებამაც. აღნიშნული ცხადყოფს მწირი და ხშირად ერთმანეთთან შეუსაბამო ინფორმაციის უფრო ფრთხილი და კრიტიკული გააზრების აუცილებლობას.

უნდა აღინიშნოს, რომ ენერგეტიკული რესურსების, განსაკუთრებით კი ბუნებრივი აირის, წლიური მოხმარების მოცულობისა და სტრუქტურის შესახებ ოფიციალური ინფორმაცია საქართველოში პრაქტიკულად ხელმიუწვდომელია, ან წინააღმდეგობრივია. მაგალითად, ბუნებრივი აირის, როგორც წლიური მთლიანი მოხმარების, აგრეთვე მისი სტრუქტურის (მოსახლეობისათვის, ანუ გათბობისათვის, ინდუსტრიული მოხმარებლებისთვის, ელექტროგენერაციისთვის) შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია არც საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის და არც ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შესაბამის საიტზე არ

\* ეს სტატია წარმოადგენს საინფორმაციო ანალიტიკური სააგენტო "Iverioni"-ში გამოქვეყნებული სტატიის: "შესაძლებელია თუ არა გაზის ტარიფის არსებითი შემცირება?" (<http://iverioni.com.ge/3501-shesadzebelia-thu-ara-gazis-tarifis-arsebithi-shemcireba.html.2012წ>). მცირე-დით სახეცვლილ ვარიანტს, მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ტარიფების შემცირების გათვალისწინებით.

არის განთავსებული. ზუსტი ოფიციალური მონაცემები არ არსებობს საქართველოსთვის მონოდებული ბუნებრივი აირის ფასების შესახებაც. გაურკვეველია, ქვეყანა რა რაოდენობის გაზს იძენს კომერციულ-საბაზრო ფასად (გაურკვეველია ფასის ზუსტი სიდიდეც. პრესაში ხან 145, ხან 160, ხან კი 240 დოლარია მითითებული), რა რაოდენობისას შელავათიან ფასად (აღნიშნული ფასის ზუსტი სიდიდეც უცნობია) და რა რაოდენობა რჩება "უფასოდ" (ან თუ რჩება საერთოდ. რიგ შემთხვევაში ასეთი "უფასო" გაზის ფასად მითითებულია 110 დოლარი) - სატრანზიტო გადასახადის სახით. უცნობია გაზის ტარიფის გაანგარიშების ჩვენთან არსებული მეთოდის (ისევე როგორც ელექტროენერჯის შემთხვევაში), მისი სტრუქტურა, რაც დამატებით თავსატეხს წარმოადგენს ამ საკითხით დაინტერესებული ნებისმიერი მკვლევარისთვის. გაურკვეველია "უფასო" და შელავათიანი გაზის გამოყენების სფეროც, ანუ გაურკვეველია თუ სად გამოიყენება იგი: თბოსადგურებში თუ გათბობისათვის (თავისთავად ცხადია, რომ სამენარმეო მიზნებისათვის არ იქნება გამოყენებული). ეს მეტად მნიშვნელოვანი საკითხია, ვინაიდან "უფასო" და შელავათიანი გაზის გამოყენების სფეროს შესახებ ინფორმაცია არსებითია მოსახლეობისათვის მინოდებული გაზის ტარიფის გაანგარიშების მეთოდის დადგენისათვის.

აღნიშნულ მაჩვენებლებზე მიახლოებითი მსჯელობა შეიძლება ამ დარგის სპეციალისტების, ექსპერტებისა და სხვა დაინტერესებული პირების მიერ გამოქვეყნებულ სტატიებსა თუ ინტერვიუებში მითითებული და ხშირ შემთხვევაში ურთიერთგამომრიცხავი მონაცემების შეჯერების საფუძველზე. ქვემოთ, უახლოეს პერიოდში გაზის ტარიფის შემდგომი და თანაც არსებითი შემცირების შეუძლებლობის შესახებ მსჯელობისას, სამწუხაროდ, ასეთ მონაცემებზეც მოგვინევეს ძირითადად დაყრდნობა. თუმცა ეს დიდად არ შეცვლის მიღებული დასკვნების შინაარსს, ვინაიდან ამ სტატიის მიზანია ტარიფების, კონკრეტულად კი ბუნებრივ აირზე ფასის არსებითი შემცირების შეუძლებლობის ლოგიკური დასაბუთება

(იმედია ენერჯეტიკის სამინისტროს ახალი ხელმძღვანელობა სტატისტიკური ინფორმაციის სფეროში არსებულ ხარვეზებს სათანადო ყურადღებას მიაქცევს და უახლოეს მომავალში აღმოფხვრის მათ, რაც ხელს შეუწყობს ეკონომიკის ამ სფეროში მიმდინარე პროცესების გამჭვირვალობას და აამაღლებს საზოგადოების ნდობის ხარისხს დარგში მიმდინარე პროცესების მიმართ).

2006 წელს გაზის მოხმარებამ შეადგინა 1860 მლნ კუბური მეტრი, ხოლო 2010 წლისთვის 1094 მლნ კუბური მეტრი (1. გვ.: 186). 2006 წელთან შედარებით 2010 წლისათვის ბუნებრივი აირის მოხმარების ასეთი მკვეთრი შემცირების ძირითადი მიზეზი ისაა, რომ აღნიშნულ პერიოდში ბუნებრივ აირზე მოთხოვნა თბოსადგურების მხრიდან შემცირებულია 688 მლნ კუბური მეტრიდან 197 კუბურ მეტრამდე, რაც აისახა მათ მიერ წარმოებული ელექტროენერჯის 3,1-ჯერ შემცირებაშიც (იხ. ცხრ.1). 2006 წლისათვის გაზის მოხმარების მოცულობასთან დაკავშირების დაახლოებით ანალოგიური მაჩვენებელია (1800 მლნ კუბური მეტრი) მითითებული "საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს" მიერ განხორციელებულ კვლევაში: "საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა ენერჯეტიკის ეფექტიანი გამოყენების და ენერგოდამზოგვის მიმართულებით".

ენერჯეტიკის სფეროში დასაქმებული, ფრიად კომპეტენტური პიროვნების მიერ მონოდებული მონაცემების თანახმად 2011 წლისათვის ბუნებრივი აირის მოხმარების წლიურმა მოცულობამ შეადგინა 1750 მლნ. კუბური მეტრი (მ.შ. თბოსადგურების მიერ 629 მლნ. კუბური მეტრი). აღნიშნულ წელს 2010 წელთან შედარებით გაზის მოხმარების 1,6-ჯერ ზრდა, უპირველეს ყოვლისა, განაპირობა თბოელექტროსადგურების მიერ გამოიმუშავებული ელექტროენერჯის 3,2-ჯერ გადიდება, მეორეს მხრივ გასათვალისწინებელია 2011 წლის პირველ კვარტალში მეტად ცივი ამინდის არსებობაც.

იმავე შემოაღნიშნული წყაროს თანახმად, ბუნებრივი აირის მოხმარებამ 2012 წლისთვის შეადგინა 1933 მლნ კუბური მეტრი (მ.შ. თბოსადგურების მიერ 693 მლნ. კუბური მეტრი), ანუ წინა წელთან შედარე-

ბით 183 მლნ კუბური მეტრით მეტი. გაურკვეველია ის, თუ რის ხარჯზე მოხდა ასეთი არსებითი ზრდა. როგორც ცხრილიდან ჩანს, აღნიშნულ პერიოდში თბოსადგურების მიერ მოხმარებული ბუნებრივი აირის მოცულობა გაიზარდა მხოლოდ 64 მლნ კუბური მეტრით. გამოდის, რომ 2012 წელს, 2011 წელთან შედარებით, 119 მლნ კუბური მეტრით, ანუ 10,6%-ით გაზრდილა მოსახლეობის (აგრეთვე სხვადასხვა დაწესებულებების გათბობის მიზნით) და საწარმოების მიერ მოხმარებული ბუნებრივი აირის ერთობლივი მოცულობა.

2012 წელს, 6,1%-იანი ეკონომიკური ზრდის ტემპის პირობებში, სრულიად ლოგიკურია გაზზე მოთხოვნის ზრდა სამენარმეო მიზნებისათვის. ამასთან, გაზზე მოთხოვნის ზრდის მიზეზი შეიძლება იყოს მოსახლეობის მხრიდან მასზე მოთხოვნის ზრდაც<sup>1</sup>. არც თუ ცივი ზამთრის ფონზე, გათბობისათვის გამოყენებული ბუნებრივი აირის მოხმარების ზრდის ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება მივიჩნიოთ, 2012 წლის შემოდგომაზე განხორციელებული პოლიტიკური ცვლილებების შედეგად, მომავალ შემოსავლებთან დაკავშირებით მოსახლეობაში იმედიანი განწყობის ჩამოყალიბება (საუბარი შეეხება პოზიტიურ მოლოდინებს შემოსავლების ზრდასთან და მოსახლეობის სოციალურ დაცულობის ხარისხის ამაღლებასთან დაკავშირებით, რასაც შესაძლოა გამოენვი 2012 წლის მე-4 კვარტალში გაზის მოხმარების არსებითი ზრდა).

შემოაღნიშნული სტატისტიკური ინფორმაციის უტყუარობის შემ-

1 ვინაიდან შეცდომისგან არავინაა დაზღვეული, მ. შ. 2011-2012 წლებთან დაკავშირებით ჩვენი ინფორმაციის წყაროც, ამიტომ არც იმას გამოვრიცხავთ, რომ 2012 წლისათვის ბუნებრივი აირის მოხმარების ზრდა შეიძლება განპირობებული იყოს 2011-2012 წლებში ბუნებრივი აირის მოხმარების მაჩვენებლების გაანგარიშებისას დაშვებული უნებლიე შეცდომებითაც. ასეთი ხასიათის შეცდომების კორექტირება-დაზუსტებას, როგორც წესი, დრო სჭირდება. ასე მაგალითად, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიც წინა წლის ეკონომიკური შედეგებთან დაკავშირებით ყოველი წლის დასაწყისში აქვეყნებს წინასწარ შეფასებებს და შემდგომ მთელი წლის მანძილზე ახორციელებს მათ კორექტირება-დაზუსტებას - ახალი გარემოებების გამოვლენის გათვალისწინებით.

ცხრ.1. ელექტროენერჯის 2006-2011წწ ფაქტიური ბალანსი (მლნ კვტსთ) და ბუნებრივი აირის მოხმარება (მლნ კუბური მეტრი)<sup>1</sup>

		2006	2007	2008	2009	2010	2011	2012
<b>ელექტროენერჯის 2006–2011წწ ფაქტიური ბალანსი (მლნ კვტსთ)</b>								
1	ექსპორტი		-633,9	-679,4	-749,4	-1524	-930,6	- 528,2
2	იმპორტი		433,5	649,2	255,0	222,1	471	614,6
3	თბოსადგურები	2103,8	1514,6	1279,3	990,7	678,6	2215,9	2477,1
4	ჰესები	5321,6	6832	7162	7412	9368	7890,2	7220,5
<b>ბუნებრივი აირის მოხმარება (მლნ. კუბური მეტრი)</b>								
1	მთლიანი წლიური მოხმარება	1860	1684	1450	1200	1094	1750	1933
2	მათ შორის: თბოსადგურების მიერ	688,2				197	629	693
3	მოსახლეობისა და საწარმოების მიერ	1171,8				897	1121	1240

1 ელექტროენერჯის 2006–2011წწ ფაქტიური ბალანსის (მლნ კვტსთ) მონაცემები აღებულია "საქართველოს ენერჯეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს" საიტიდან, ხოლო 2006–2010წწ ბუნებრივი აირის მოხმარების (მლნ. კუბური მეტრი) მონაცემები აღებულია: "საქართველოს ეკონომიკა". სარედაქციო კოლეგია: ვლ. პაპავა, ლ. ჩიქავა, რ. აბესაძე, რ. ასათიანი, ი. მესხია, ვ. სართანია, ი. არჩვაძე. 2012წ, (გვ.: 186).

თხვევაში, მოსახლეობის, სამენარ-მეო სექტორისა და სხვადასხვა და-ნესეხეულებების მიერ მოხმარებული ბუნებრივი აირის წლიური მოცულობა 2012წელს შეადგენს დაახლოებით 1240 მლნ კუბურ მეტრს.

ქვემოთ განვიხილოთ კომუნალური ტარიფების შემცირების შედეგები:

ტარიფის შემცირება სოციალურ ეფექტთან ერთად მოგვცემს მნიშვნელოვან მიკროეკონომიკურ და მაკროეკონომიკურ ეფექტებს, რომელთა შედეგების ცალმხრივად, დადებითად შეფასება დაუშვებელია - იმ ობიექტური გარემოებების გათვალისწინებით, რომლებიც განაპირობებენ აღნიშნული დადებითი ეფექტების გარკვეულ გაუფრულებას-ნიველირებას.

ტარიფების შემცირების სოციალური ეფექტი გამოხატება მოსახლეობის, განსაკუთრებით კი დაბალ-შემოსავლიანი ფენების კეთილდღეობის ამაღლებაში. ასე მაგალითად, ტარიფის შემცირების შედეგად მცირდება გამოყენებული ბუნებრივი აირის ერთეულზე დანახარჯები, რაც განაპირობებს განსაზღვრული მოცულობის ბუნებრივი აირის შესაძენად განუვლი საერთო დანახარჯების

შემცირებას და მათ მიერ მოხმარებული ბუნებრივი აირის რაოდენობის ზრდას. ამასთან, იზრდება სამომხმარებლო დანახარჯის მოცულობაც, ანუ იზრდება "სხვაობა იმ თანხას, რომლის გადახდისთვისაც მყიდველები მზად არიან საქონლის შეძენის მიზნით, და იმ თანხას შორის, რომელსაც რეალურად იხდიან", რაც ასახავს "საქონლის შეძენის შედეგად მყიდველების მიერ მიღებულ სარგებლობას თვით მყიდველების აზრით" (2. გვ.: 139). ე.ი. ტარიფების შემცირება იწვევს სამომხმარებლო დანახარჯის ზრდას, რაც მიუთითებს მოსახლეობის ეკონომიკური კეთილდღეობის ამაღლებაზე.

ტარიფების შემცირების მაკროეკონომიკური ეფექტი გულისხმობს მოკლევადიანი პერიოდისთვის ერთობლივი მოთხოვნის წახალისებას (შემოსავლის ეფექტის ზეგავლენით), ხოლო თუკი ტარიფების შემცირება შეეხება სამენარმეო სექტორსაც, მაშინ შედარებით გრძელვადიანი პერიოდისათვის მოსალოდნელია ერთობლივი მიწოდების სტიმულირებაც.

ტარიფის შემცირების მიკროეკონომიკური ეფექტი დაკავშირებულია ბუნებრივი აირის მოხმარებელ-

თა მსყიდველობითუნარიანობის, ანუ რეალური შემოსავლის ზრდასთან, რაც განაპირობებს ბუნებრივ აირზე მოთხოვნის ამაღლებას. მაგალითად, ბუნებრივი აირის ტარიფის შემცირებისას დაახლოებით 10 %-ით, ანუ კუბურ მეტრზე 5 თეთრით, მოსახლეობა, სამენარმეო სექტორი და სხვადასხვა დაწესებულებები წლის მანძილზე დაზოგავენ დაახლოებით 62 მილიონ ლარს, იმ პირობით, რომ მათ მიერ ბუნებრივი აირის ერთობლივი წლიური მოხმარება დაახლოებით 1240 მლნ კუბური მეტრია, ანუ 2012 წლის დონეზეა და თანაც ტარიფების შემცირება შეეხება სამენარმეო სექტორსაც. გაზისა და ელექტროენერჯის მოხმარების სტრუქტურის (მოსახლეობის, სამენარმეო სექტორის, სხვა დაწესებულებების მიერ) შესახებ ინფორმაციის უქონლობა არ იძლევა ტარიფების შემცირების შედეგად ფორმირებული მოსახლეობის დანახარჯების მოცულობის დამოუკიდებლად გაანგარიშების საშუალებას.

როგორც წესი, ამა თუ იმ საქონელზე ფასების ცვლილებისას (სხვა საქონელზე ფასებისა და მოხმარებელთა ნომინალური შემოსავლების უცვლელიობისას) მოსალოდნელია

ჩანაცვლების ან შემოსავლის ეფექტი, ან ორივე ერთად (3. გვ.: გვ.: 110-112).

ჩანაცვლების მიკროეკონომიკური ეფექტის თანახმად, ბუნებრივ აირზე ფასის შემცირება გამოიწვევს შეფარდებითი ფასების ცვლილებას, რის შედეგადაც ბუნებრივ აირზე მოთხოვნა შეიძლება მკვეთრად გაიზარდოს, ხოლო სხვა საქონელზე მოთხოვნა კი შემცირდეს. მიუხედავად იმისა, რომ გათბობის მიზნით საოჯახო მეურნეობებისა და სხვა სუბიექტების მიერ გამოყოფილი ბიუჯეტი მეტნაკლებად ფიქსირებულია (მისი მოცულობა ძირითადად დამოკიდებულია ნომინალური შემოსავლის დონეზე), მოვლენების ასეთი განვითარება გამორიცხული არ არის. ბუნებრივ აირზე ფასების შემცირებამ შეიძლება მომხმარებელს უბიძგოს მისი მეტი მოცულობით მოხმარებისკენ, მ. შ. სხვა პროდუქციის ხარჯზე და გამოიწვიოს მის შესაძენად გამოყოფილი ბიუჯეტის მოცულობის ზრდა, რაც განაპირობებს ჩანაცვლების ეფექტს. ამ შემთხვევაში, ბუნებრივ აირზე ფასის მიმართ მოთხოვნის ელასტიკურობის კოეფიციენტი აუცილებლად 1-ზე მკვეთრად მეტი იქნება. იგივეს თქმა შეიძლება სამენარმეო სექტორზეც: გაზის გაიფებისას მენარმეთა მიერ ენერგეტიკულ რესურსებზე (სამენარმეო მიზნებისთვის) გამოყოფილი ბიუჯეტიც შეიძლება გაიზარდოს - ნარმოების სხვა კომპონენტებისთვის განკუთვნილი სახსრების შემცირების ხარჯზე.

ვინაიდან მოსახლეობის მხრიდან ბუნებრივ აირზე მოთხოვნა მეტნაკლებად გაჯერებულია, ამიტომ მიუხედავად თეორიული შესაძლებლობისა, შეუძლებლად მიგვაჩნია ფასის შემცირებამ (მითუმეტეს მცირე დოზებში, ვთქვათ 10 %-ით) ჩანაცვლების ეფექტი გამოიწვიოს.

შემოსავლის ეფექტის თანახმად, ბუნებრივ აირზე ფასის შემცირებისას გაიზრდება მომხმარებელთა რეალური შემოსავალი, რაც განაპირობებს მოთხოვნის ზრდას როგორც ბუნებრივ აირზე, აგრეთვე სხვა პროდუქტებზეც. პრობლემაა იმის განსაზღვრა, ბუნებრივ აირზე ფასის შემცირებით განპირობებული რეალური შემოსავლის ზრდა და ამით გამოწვეული ერთობლივი მოთხოვნის ამაღლება თუ როგორი პროპორციით გადანაწილება გაზსა და დანარჩენ პროდუქტებზე. ეს დამოკიდებულია ფასის მიმართ ბუნებრივ აირზე მოთხოვნის ელასტიკურობაზე. როცა ფასის მიმართ ბუნებრივ აირზე მოთხოვნის ელასტიკურობა შედარებით მაღალია (1-ის ტოლია, ან მცირედით ნაკლებია მასზე), მაშინ ბუნებრივ აირზე ფასის შემცირებით განპირობებული რეალური შემოსავლის ზრდის დიდი ნაწილი მოხმარდება მისი დამატებითი მოცულობის შეძენას და პირიქით, ფასის მიმართ ბუნებრივ აირზე მოთხოვნის შედარებით დაბალი ელასტიკურობისას (ანუ, როცა ელასტიკურობის კოეფიციენტი, მართალია 0-ზე მეტია, მაგრამ მკვეთრად ნაკლებია 1-ზე), მასზე ფასის შემცირებით განპირობებული

რეალური შემოსავლის ზრდის დიდი ნაწილი მოხმარდება სხვა საქონლის შეძენას.

**როგორც წესი, სათბობ-ენერგეტიკულ რესურსებზე, განსაკუთრებით ბენზინზე, ფასის მიხედვით მოთხოვნა საკმაოდ არაელასტიურია, განსაკუთრებით მოკლევადიანი პერიოდისთვის (ანუ მოთხოვნის მრუდი საკმაოდ ციცაბოა. ამით სარგებლობენ აღნიშნული რესურსების ექსპორტიორი ქვეყნები და ფასების ამაღლებას არც თუ იშვიათად მიმართავენ), ხოლო გრძელვადიანი პერიოდისათვის შედარებით ელასტიური. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ მომხმარებელთა სამომხმარებლო ჩვევების შესაცვლელად გარკვეული დროა საჭირო (3. გვ.: გვ.: 45).**

ფასის მიმართ ბუნებრივ აირზე მოთხოვნის ელასტიკურობასთან დაკავშირებით უნდა ვივარაუდოთ, რომ მისი დონე შედარებით მაღალი იქნება (ანუ გაზზე მოთხოვნის მრუდი ნაკლებად ციცაბო იქნება ბენზინზე მოთხოვნის მრუდთან შედარებით) როგორც მოკლევადიანი (ფასის შემცირების შესახებ გადანყვეტილების მიღებისას არსებული სეზონის გათვალისწინებით, ანუ ზამთარში ფასის შემცირებისას მოთხოვნის ელასტიკურობის კოეფიციენტი მოკლევადიან პერიოდში ბევრად უფრო მაღალი იქნება, ვიდრე წლის სხვა პერიოდში), აგრეთვე გრძელვადიანი პერიოდისთვის. ამის მიზეზად შეიძლება ის მივიჩნიოთ, რომ ბუნებრივი აირის მეტი მოცულობა მოსახლეობის-





**სატარიშო პოლიტიკა**

თვის უზრუნველყოფს ნორმალური არსებობისთვის აუცილებელ - უკეთეს ცხოვრების პირობებს და მეტ საყოფაცხოვრებო კომფორტს. ამიტომ, მათი სამომხმარებლო ჩვევები ბევრად უფრო სწრაფად და ბევრად უფრო მკვეთრად შეიცვლება, ვიდრე ბენზინის შემთხვევაში. შესაბამისად, ადამიანები დაუყოვნებლივ ისარგებლებენ ფასის შემცირებით და მეტ ბუნებრივ აირს შეიძენენ. ამასთან, ბუნებრივ აირზეც მოთხოვნის ელასტიურობის კოეფიციენტი ფასის მიმართ, სავარაუდოდ ნაკლები იქნება ერთზე, ყოველ შემთხვევაში მოკლევადიანი პერიოდისთვის, მაგრამ რამდენად, ეს დამოკიდებულია ფასის შემცირების მასშტაბზე. როდესაც ფასი მნიშვნელოვნად მცირდება, მაშინ მოთხოვნის ელასტიურობა ფასის მიმართ შედარებით მაღალია.

ახლა განვიხილოთ თუ რა შედეგებს მივიღებდით ბუნებრივი აირის ფასის კონკრეტული შემცირებისას. მოსახლეობის და სამენარმეო სექტორის მიერ ბუნებრივი აირის ცალ-ცალკე, დამოუკიდებლად მოხმარების დონეებთან დაკავშირებით სტატისტიკური ინფორმაციის უქონლობა გვაიძულებს, რომ ბუნებრივ აირზე ფასის შემცირების ეკონომიკური შედეგების ანალიზისას ისე მოვიქცეთ, თითქოსდა იგი მოსახლეობასთან ერთად შეეხებოდეს სამენარმეო სექტორსაც. აღნიშნულის შედეგად შეუძლებელია მოსახლეობისათვის გაზის ტარიფის შემცირების (ვთქვათ 5 თეთრით, როგორც ეს ჩვენთან მოხდა) ეკონომიკური შედეგების მეტნაკლებად ზუსტი რაოდენობრივი შეფასება, თუმცა შესაძლებელია ზოგადი ტენდენციებისა და კანონზომიერებების დადგენა. როგორც ზემოთ ვნახეთ, მოსახლეობისა და სამენარმეო სექტორის მხრიდან ბუნებრივი აირის წლიურმა მოხმარებამ 2012 წელს შეადგინა დაახლოებით 1240 მლნ კუბურ მეტრი. ჩავთვალოთ, რომ ბუნებრივი აირის მოხმარება 2013 წელსაც არ შეიცვლებოდა - სანყისი ფასის (0,506 ლარი/კუბურ მეტრ გაზზე) უცვლელად შენარჩუნების შემთხვევაში. აღნიშნული პირობების გათვალისწინებით, მოსახლეობისა და სამენარმეო სექტორისთვის განკუთვნილი ტარიფის დაახლოებით 10%-ით, ანუ 5 თეთრით შემცირე-

ბისას მათი ერთობლივი მსყიდველობითიუნარიანობა გაიზრდებოდა დაახლოებით 62 მილიონი ლარით (1240×0,05). თუ ჩავთვლით, რომ მთელი ეს თანხა წარიმართებოდა გაზის დამატებითი მოცულობის ახალ შემცირებულ ფასად შესაძენად (რაც ნაკლებად სავარაუდოდ მიგვაჩნია), მაშინ მოკლევადიანი პერიოდისთვის გაზზე დამატებითი მოთხოვნა იქნებოდა 136 მლნ კუბურ მეტრზე (62 მლნ ლარი/0,456 ლარი/კუბურ მეტრ გაზზე). ამ შემთხვევაში გაზზე ფასის შემცირება 10%-ით გამოიწვევდა მასზე მოთხოვნის ზრდას 11%-ით (136/1240=0,11), ანუ ელასტიურობის კოეფიციენტი იქნებოდა 1,1 (11%/10%), რაც მოკლევადიანი პერიოდისათვის მკვეთრად მაღალ და ამიტომ რეალურ ვითარებასთან შეუსაბამო სიდიდედ მიგვაჩნია. ერთეულოვანი ელასტიურობის შემთხვევაში ფასის შემცირება 10%-ით გამოიწვევდა გაზზე მოთხოვნის გადიდებას 10%-ით, ანუ 124 მილიონი კუბური მეტრით. თუკი ელასტიურობის კოეფიციენტი აღმოჩნდებოდა 0,5-ის ტოლი, რაც ალბათ უკიდურეს ქვედა საზღვრად უნდა მივიჩნიოთ ბუნებრივი აირისათვის (ვინაიდან ვთვლით, რომ მასზე, როგორც საყოფაცხოვრებო კომფორტის უზრუნველყოფ საქონელზე და მთელრიგ დარგებში, მაგალითად, კვების მრეწველობაში, სანარმოო პროცესის აუცილებელ კომპონენტზე, მოთხოვნა მეტად მგრძობიარეა ფასის შემცირების მიმართ), მაშინ ბუნებრივ აირზე ფასის 10%-ით შემცირება, გამოიწვევდა მასზე მოთხოვნის 5%-ით, ანუ 62 მლნ კუბური მეტრით გადიდებას. ჩვენი აზრით, ტარიფის 5 თეთრით შემცირებისას, მოკლევადიან პერიოდში გაზზე მოთხოვნის გადიდება მოსალოდნელი იყო სწორედ 62-124 მლნ კუბური მეტრის დიაპაზონში, ხოლო გრძელვადიანი პერიოდისთვის, მოსალოდნელი იყო აღნიშნული დიაპაზონის ქვედა დონის ამაღლება 80-90 მილიონ ლარამდე (ჩვენი ეს დასკვნები ემყარება თეორიულ ცოდნას და მასზე დამყარებულ ლოგიკურ შეფასებებს. იდეალურად ზუსტი დასკვნების განხორციელება მოითხოვს შესაბამის ემპირიულ მონაცემებზე დაკვირვებას. ჩვენთან ასეთი მონაცემების ბაზა მეტისმეტად მწირია, ხოლო

ამ სფეროში უცხოეთში არსებული გამოცდილებაზე, როგორც მონაცემების, აგრეთვე შესაბამისი კვლევების სფეროში, სამწუხაროდ ხელი არ მიგვიწვდება. შესაბამისად, არც ისაა გამორიცხული, რომ ელასტიურობის კოეფიციენტის მნიშვნელობასთან და სამომხმარებლო ჩვევების ცვლილების ხასიათთან დაკავშირებით ჩვენი ვარაუდები, გადაჭარბებული, ან პირიქით აღმოჩნდეს).

იმ შემთხვევაში, თუკი ბუნებრივ აირზე ფასები შემცირდებოდა 50%-ით, ანუ დაახლოებით 25 თეთრით კუბურ მეტრზე, მაშინ მის მოხმარებელთა (თბოსადგურების გარეშე, მოსახლეობისა და სამენარმეო სექტორის) რეალური შემოსავალი გაიზრდებოდა დაახლოებით 310 მილიონ ლარამდე (1240 მლნ კუბური მეტრი/0,25 ლარი/კუბურ მეტრზე). გაზის დამატებითი მოცულობის ახალ შემცირებულ ფასად (დაახლოებით 25,6 თეთრად) შესაძენად ამ თანხის, ანუ 310 მილიონი ლარის მთლიანად დახარჯვის შემთხვევაში, გაზზე მოთხოვნა გაიზრდებოდა 1211 მლნ კუბური მეტრით (310 მლნ ლარი/0,256 ლარი/კუბურ მეტრ გაზზე). ე.ი. გაზზე ფასის შემცირება 50%-ით გამოიწვევდა მასზე მოთხოვნის ზრდას 98%-ით (1211/1240=0,98), ანუ ელასტიურობის კოეფიციენტი გაუტოლდებოდა 1,96 (98%/50%), რაც ბუნებრივი აირის შემთხვევაში, თანაც მოკლევადიანი პერიოდისთვის, მეტისმეტად არაბუნებრივ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ. ერთეულოვანი ელასტიურობის შემთხვევაში ფასის შემცირება 50%-ით გამოიწვევდა გაზზე მოთხოვნის გადიდებას იმავე 50%-ით, ანუ 620 მილიონი კუბური მეტრით. 0,5-ის ტოლი ელასტიურობის კოეფიციენტის შემთხვევაში კი, ბუნებრივ აირზე ფასის 50%-ით შემცირება გამოიწვევდა მასზე მოთხოვნის 25 %-ით, ანუ 310 მლნ კუბური მეტრით გადიდებას. ამრიგად, მოკლევადიან პერიოდში, ტარიფის 25 თეთრით შემცირებისას გაზზე მოთხოვნის გადიდება მოსალოდნელი იქნებოდა დაახლოებით 310-620 მლნ კუბური მეტრის დიაპაზონში. ფასების ასეთი მნიშვნელოვანი შემცირებისას (განახევრებისას), გძელვადიანი პერიოდისთვის აღნიშნული დიაპაზონის როგორც ქვედა, აგრეთვე ზედა დონე მნიშვნელოვნად

ამაღლებოდა. ეს აუცილებლად მოხდებოდა, ვინაიდან ფასის ასეთი მკვეთრი შემცირება მოსახლეობას და სამენარმეო სექტორს აუცილებლად უზიდავდა გაზის მოხმარების არსებითი გადიდებისკენ. მოვლენები რომ აუცილებლად ასე განვითარდებოდა, ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ მე-20 საუკუნის 80-იანი წლების ბოლოსთვის, როცა გაზის ტარიფი დაბალი იყო, მისმა მთლიანმა მოხმარებამ საქართველოს მასშტაბით გადააჭარბა 6 მილიარდ კუბურ მეტრს (თბოსადგურების ჩათვლით. თუმცა, თუკი გავითვალისწინებთ აღნიშნულ პერიოდში თბოსადგურების მიერ გამოშვებული ელექტროენერჯის მაჩვენებელს, მაშინ მათზე შეუძლებელია 2-2,5 მლრდ კუბურ მეტრ გაზზე მეტი მოსულიყო).

ამრიგად, ბუნებრივ აირზე ტარიფის 10%-ით, ანუ 5 თეთრით შემცირების შემთხვევაში მასზე წლიური მოთხოვნა ამაღლებოდა მინიმუმ 62-124 მლნ კუბური მეტრით, ხოლო 50%-ით, ანუ 25 თეთრით შემცირების შემთხვევაში მოთხოვნა გაიზარდებოდა მინიმუმ 310-620 მილიონი კუბური მეტრით. ამ უკანასკნელ შემთხვევაში მოთხოვნის ბევრად უფრო არსებით ზრდას ექნებოდა ადგილი გრძელვადიანი პერიოდისათვის.

ელექტროენერჯის ტარიფის შემცირებაც 3,5-4 თეთრით აუცილებლად გამოიწვევს ელექტროენერჯიაზე მოთხოვნის ზრდას, რამაც თავის მხრივ შესაძლოა გამოიწვიოს თბოსადგურების მიერ წარმოებულ ელექტროენერჯიაზე მოთხოვნის გადიდება, რაც აუცილებლად გაზრდის ერთობლივ მოთხოვნას გაზზე.

ამრიგად, როგორც ანალიზი ცხადყოფს, ბუნებრივი აირის ტარიფის არსებითი შემცირება, მათ შორის სამენარმეო სფეროსთვისაც, აუცილებლად გამოიწვევს მნიშვნელოვან მაკროეკონომიკურ ეფექტს როგორც მოკლევადიანი, აგრეთვე გრძელვადიანი პერიოდისთვის. ამასთან, ტარიფის არსებითი შემცირება განაპირობებს გარკვეული პრობლემების წარმოქმნას, რომლებიც უკავშირდება გაზზე მოთხოვნის ზრდას შემოსავლების და/ან ჩანაცვლების ეფექტის მოქმედების შედეგად. სწორედ ამიტომ, ანუ ბუნებრივ აირზე მოთხოვნის მკვეთრი ზრდისა და მასთან დაკავშირებული პრობლემების



თავიდან ასააცილებლად, შეამცირა მთავრობამ გაზის ტარიფი მხოლოდ 10%-ით და ისიც მხოლოდ მოსახლეობისთვის. გაზის ტარიფის 50%-ით და თუნდაც 20-25 %-ით შემცირებისას, მ. შ. სამენარმეო სექტორისთვისაც, აუცილებლად წარმოიქმნებოდა სერიოზული პრობლემები:

**პრობლემა №1.** რამდენად იქნებოდა შესაძლებელი გაზზე გაზრდილი მოთხოვნის დაკმაყოფილება. უპირველეს ყოვლისა, საინტერესოა ის, თუ გაზის მომწოდებელ უცხოურ (აზერბაიჯანულ) კომპანიებთან დადებული ხელშეკრულებით რამდენს შეადგენს გაზის წლიური მოწოდების ლიმიტი, ანუ მისი მოწოდების მაქსიმალური მოცულობა თითოეული წლისთვის, ან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადისთვის მისი საშუალოწლიური მოცულობა. თუ ეს ლიმიტი მიღწეულია, მაშინ გაზის ნებისმიერი დამატებითი მოცულობაზე (მცირეზე თუ დიდზე) მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, აუცილებელია მეორე მხარის თანხმობა და ახალი ხელშეკრულების გაფორმება, ან ახალი მომწოდებლების მოძიება. ნებისმიერ შემთხვევაში, ასეთ შეთანხმებას დრო სჭირდება და მისი

მოგვარება ჩვენი ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, ეკონომიკურთან (მაგალითად, ხელსაყრელი ფასის შეთავაზება) ერთად დამოკიდებულია პოლიტიკურ ფაქტორებზეც.

**პრობლემა №2.** იმ შემთხვევაშიც კი, თუ ასეთი შეთანხმება მიიღწეოდა, გაზის დამატებითი მოცულობის შეძენას დასჭირდებოდა უცხოური ვალუტის დამატებითი მოცულობის მოძიება, რაც ადვილი ნამდვილად არ იქნებოდა იმის გათვალისწინებით, რომ ადრე აღებული უცხოური ვალდებულებების გასტუმრება არსებით ხარჯებთანაა დაკავშირებული. ამიტომ აუცილებელი გახდებოდა, ან დამატებითი უცხოური კრედიტების აღება, ან იმპორტულ პროდუქციაზე მოთხოვნის სტრუქტურის არსებითი შეცვლა.

**პრობლემა №3.** გასათვალისწინებელია ისიც, რომ საბაზრო ფასად გაზის დამატებითი მოცულობის შეძენა გამოწვევდა გაზის საშუალო შენონილი ღირებულების ამაღლებას, რაც გასათვალისწინებელი გახდებოდა ახალი შემცირებული ტარიფის დადგენისას. ამის შედეგად გართულდებოდა სასურველ დო-

## სატარიფო პოლიტიკა

ნემდე მისი შემცირება. თუმცა თუკი თბოსადგურებს დღესდღეობით უფასო ან შეღავათიანი გაზი მიენოდება, მაშინ არც ისაა გამორიცხული, რომ ტარიფის მატების აუცილებლობა არც წარმოქმნილიყო, ან ტარიფის ზრდა მეტად უმნიშვნელო ყოფილიყო, რადგან ამ შემთხვევაში უფასო-შეღავათიანი გაზი ისედაც არანაირ როლს არ ასრულებს (ნესით არ უნდა ასრულებდეს) სხვა დანარჩენი მომხმარებლებისათვის ტარიფის განსაზღვრაში.

ზემოაღნიშნულის შედეგად, ჩვენს წინა სტატიაში (5) მეტად საეჭვოდ მივიჩნიეთ მოკლევადიანი პერიოდისთვის (განვიღილ ზამთარში) გაზის ტარიფის არსებითი შემცირება 20-25%-ით, ხოლო 50%-ით შემცირებაზე საუბარიც კი ზედმეტად ჩავთვალეთ.

გაზის ტარიფის შემცირების საკითხის განხილვისას მეტად მნიშვნელოვანია ის, თუ რა დამატებითი ვალდებულებები აკისრია გაზის ადგილობრივ კომპანიებს საქართველოში. როგორც ნესი, ასეთი ვალ-

დებულებები არ უნდა არსებობდეს, მაგრამ მასმედიის საშუალებების მიერ გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით ცნობილი გახდა, რომ აღნიშნული კომპანიები, მაგალითად, „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“, რომელიც შვილობილი „გაზის ტრანსპორტირების კომპანიის“ მეშვეობით ახორციელებს გაზის ტრანსპორტირებას საქართველოში (მხოლოდ მას გააჩნია ამის ექსკლუზიური უფლება), გარდა ბიუჯეტის სასარგებლოდ მისთვის კუთვნილი გადასახადების გადახდისა, დამატებით მეტად ძვირადღირებულ საბიუჯეტო პროექტებსაც აფინანსებდა. მართალია აღნიშნული კომპანია სახელმწიფოს საკუთრებაა და მისი მოგება სახელმწიფოს შეუძლია საკუთარი შეხედულებისამებრ განკარგოს, მაგრამ ეს სახელმწიფოს არ აძლევს იმის უფლებას, რომ უმონყალო მონოპოლისტივით ხელოვნურად მეტისმეტად გაზარდოს ფასი და მოსახლეობის, მათ შორის, დაბალშემოსავლიანთა და სოციალურად

დაუცველთა ხარჯზე მიიღოს მონოპოლიური ზემოგება და ამ გზით მიღებული დამატებითი შემოსავლებით დააფინანსოს ბიუჯეტის დეფიციტი. აღნიშნული შემოსავლების გარეშე, სახელმწიფო ან ვერ დააფინანსებდა ზემოაღნიშნულ პროექტებს, ან მოუნევედა იმის აღიარება, რომ ბიუჯეტის დეფიციტი ბევრად მეტია ოფიციალურად გამოცხადებულზე. **იმედია, რომ ახალი მთავრობა ამ კურსს არ გააგრძელებს, ანუ იმედია რომ სახელმწიფოს მმართველობაში არსებული ბუნებრივი მონოპოლიები განთავისუფლდებიან ხელოვნურად მათთვის დაკისრებული საბიუჯეტო ვალდებულებებისგან** (თავისთავად არ ვგულისხმობთ საგასახადო ვალდებულებებს), რაც წარმოადგენს ბუნებრივი აირის ფასის რაღაც გარკვეული მინიმალური დონით შემცირებას წყაროს.

როგორც საქართველოს პრემიერ-მინისტრისადმი აზერბაიჯანელი ჟურნალისტის მიერ დასმული შეკითხვიდან გაირკვა, აზერბაიჯანის მხარე საქართველოს ათას კუბურ მეტრ გაზს ტრანსპორტირების ღირებულების ჩათვლით აწვდის 145 დოლარად, ანუ დაახლოებით 250 ლარად. უფასო და შეღავათიანი გაზი კიდევაც რომ გამოვრიცხოთ, ერთი კუბური მეტრის ღირებულება გამოდის 25 თეთრი. მართლაც საინტერესო თანაფარდობა აღნიშნულ 25 თეთრსა და მოსახლეობის მიერ გადახდილ 50,6 თეთრს შორის, რომ არაფერი ვთქვათ სამეწარმეო სექტორის მიერ გადახდილ 75 თეთრზე. როგორც ჩანს, ტარიფის უფრო მეტი შემცირების რაღაც რეზერვები ნამდვილად არსებობს. მიუხედავად ამისა, ტარიფის შემცირებისას გაზზე მოთხოვნის ზრდის, მასთან დაკავშირებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების მოძიების სირთულიდან გამომდინარე, გაზზე ტარიფის შემდგომი შემცირება უფრო გრძელვადიან პერსპექტივად მიგვაჩნია, თუმცა გამორიცხული არც ისაა, რომ ახალ ობიექტურ გარემოებათა გათვალისწინებით საერთოდ არ შემცირდეს.

ამრიგად, ზემოაღნიშნულ ობიექტურ გარემოებათა გათვალისწინებით, უახლოესი პერიოდისთვის შეუძლებლად მიგვაჩნია გაზის ტარიფის შემდგომი არსებითი შემცირება



(20-25 %-ის ფარგლებში). პრობლემას წარმოადგენს ამ საკითხთან დაკავშირებით მოსახლეობაში არსებული მოლოდინი, რომლის ჩამოყალიბებაში, როგორც ბოლო ერთი წლის მანძილზე განვითარებული მოვლენების ობიექტური ანალიზი ცხადყოფს, უმთავრესი როლი შეასრულა თავად მოსახლეობის შინაგანმა, ცნობიერმა, თუ ქვეცნობიერმა განწყობამ და დამოკიდებულებამ მოსალოდნელ ცვლილებებთან მიმართებაში. ამასთან, აღნიშნული განწყობა-მოლოდინის ფორმირება-განმტკიცებაში კატალიზატორის როლი შეასრულა საინფორმაციო საშუალებების მიერ ამ თემით აპელირებაში (როგორც ჩანს, ამ სფეროს წარმომადგენლებშიც შინაგანი განწყობა ანალოგიურად ჩამოყალიბდა). მიუხედავად იმისა, რომ „ქართული ოცნების“ ლიდერთა გამონათქვამებში იყო ცალკეული მინიშნებები ტარიფების შემცირების შესახებ, რაც მათ პრაქტიკულად შეასრულეს, შეუძლებელია არ დაეთანხმო ენერგეტიკის მინისტრის განცხადებას, რომ ტარიფების შემცირებასთან დაკავშირებით ინფორმაცია გადაჭარბებით იქნა მიწოდებული საინფორმაციო საშუალებების მიერ, მით უფრო, რომ ამის შესახებ არაფერი წერია „ქართული ოცნების“ პროგრამაში.

მიუხედავად იმისა, იყო თუ არა დაპირებები ტარიფის შემცირებაზე ფაქტი სახეზეა: **მოსახლეობაში არსებობდა მათი უფრო არსებითი შემცირების მოლოდინი. ამიტომ, ხელისუფლებამ საჭიროა, როგორც საკუთარი, აგრეთვე ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, ნათლად და მკაფიოდ აუხსნას საზოგადოებას თუ რა ობიექტური გარემოებები უშლის ხელს ტარიფების უფრო მკვეთრ შემცირებას, რათა მოსახლეობაში არ ჩამოყალიბდეს ნიჰილისტური დამოკიდებულება ყოველგვარი პოლიტიკური პროცესის მიმართ. ნებისმიერ შემთხვევაში, პოზიტიური ცვლილებების მოლოდინი არ უნდა გაქარწყლდეს, პირიქით, ქვეყნის კულტურულ-ეკონომიკური აღმშენებლობისაკენ მიმართულმა ხელისუფლების ენერგიულმა ნაბიჯებმა, მოვლენების არასასურველი მიმართულებით განვითარების შემთხვევაში**

**გულწრფელმა ახსნა-განმარტებებმა, ხელი უნდა შეუწყოს იმედიანი განწყობა-მოლოდინებისა და შესაბამისი ემოციური ფონის ჩამოყალიბებას, წინააღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნელია ხელისუფლების ავტორიტეტის ვარდნა და მოსახლეობაში ნიჰილისტური დამოკიდებულების ჩამოყალიბება ხელისუფლების, სახელმწიფოსა და მისი ინსტიტუტების მიმართ, რაც ნამდვილად არ წაადგება საერთო ქართულ საქმეს.**

დაბოლოს: ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური აღორძინების ტემპების ასამაღლებლად სასურველია

ელექტროენერგიაზე და ბუნებრივ აირზე ტარიფების შემცირება პირველივე შესაძლებლობისთანავე შეეხოს სამეწარმეო სექტორსაც. ტარიფების შემცირებით სამეწარმეო სექტორს მეტი სამუშაო ადგილების შექმნისა და მეტი პროდუქციის წარმოების შესაძლებლობა მიეცემა, რაც საბოლოო ანგარიშით გაზრდის მოსახლეობის შემოსავლებს და ამ გზით შეარბილებს შედარებით მაღალი ტარიფების არსებობით განპირობებულ სოციალურ პრობლემებს.

**დემნა კვარაცხელია,**  
ეკონომიკის დოქტორი

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. „საქართველოს ეკონომიკა“. სარედაქციო კოლეგია: ვლ. პაპავა, ლ. ჩიქავა, რ. აბესაძე, რ. ასათიანი, ი. მესხია, ვ. სართანია, ი. არჩვაძე. მთ. რედაქტორი: რ. ასათიანი. 2012წ.
2. მენქიუ გ. ეკონომიკის პრინციპები. 2008წ.
3. პინდაიკი რ., რუბინფელდი დ., მიკროეკონომიკა. 1998წ.
4. „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“. „საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა ენერჯის ეფექტიანი გამოყენების და ენერგოდანზოგვის მიმართულებით“. 2008წ.
5. დ. კვარაცხელია. „შესაძლებელია თუ არა გაზის ტარიფის არსებითი შემცირება?“ საინფორმაციო ანალიტიკური სააგენტო „ივერიონი“. <http://iverioni.com.ge/3501-shesadzlebelia-thu-ara-gazis-tarifiks-arsebithi-shemcireba.html> . 2012წ.

**MICRO AND MACROECONOMIC OUTCOMES OF TARIFFS REDUCTION FOR UTILITY SERVICES**

Demna Kvaratskhelia,  
Doctor of Economy

Article provides justification that reduction of tariffs for utility services is substantially within the context of priorities of socioeconomic policies. This provides social, as well as micro and macroeconomic effects – in short (stimulation of aggregate demand – on account of the incomes and/or replacement effects) and long (stimulation of aggregate supply – if tariffs reduction affects production sector as well) run.

Work provides discussion of the problems related to tariffs reduction, which, to certain extent, impair the positive outcomes expected from tariffs reduction. Hence, necessity of giving due consideration to this problem is reasoned – for the purpose of adjusting and exact evaluation of socioeconomic outcomes of tariffs reduction.

# როგორ სრულვით კომერსიული ბანკის აუდიტი

საქართველოში „აუდიტორული საქმიანობის შესახებ“ კანონის თანახმად „აუდიტორი არის ფიზიკური პირი, რომელსაც აქვს საქართველოს ტერიტორიაზე აუდიტორული საქმიანობის ლიცენზია“. აუდიტორული სტატუსის მიხედვით, იგი არის დამოუკიდებელი ექსპერტი და თავის საქმიანობას ახორციელებს საკუთარი პასუხისმგებლობით, ფაქტობრივი მასალების და მოქმედი ნორმატიული და საკანონმდებლო აქტების მიხედვით.

აუდიტს ახორციელებენ აუდიტორები და აუდიტორული ფირმები სამეურნეო სუბიექტის სამენარშეო საქმიანობის, საჯარო ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების, დაბეგვისა და სამეურნეო-საფინანსო საქმიანობისა და საწესდებო მოთხოვნების უტყუარობის, სისრულის, მოქმედ კანონმდებლობასთან და ნორმატივებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. აუდიტორულ მომსახურებაში შედის აგრეთვე ბუღალტრული მომსახურება, ექსპერტიზა და საკონსულტაციო მომსახურება საფინანსო, დაბეგვისა და სამეურნეო კანონმდებლობის სხვა დარგებში.

აუდიტორის მოვალეობაა ისეთი აუდიტორული პროცედურების ჩატარება, რომლებზეც შეთანხმდნენ აუდიტორი, სამეურნეო სუბიექტი და ნებისმიერი მესამე მხარე, აგრეთვე დასკვნის წარდგენა აღმოჩენილ ფაქტებზე დაყრდნობით. ფინანსური ანგარიშგების აუდიტის მიზანი კი იმაში მდგომარეობს, რომ შესაძლებლობა მიეცეს აუდიტორს გამოხატოს თავისი მოსაზრება იმის შესახებ, მომზადებულია თუ არა ფინანსური ანგარიშგება ანგარიშგების სტრუქტურული საფუძვლების შესაბამისად ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

გარკვეულ ინტერესს წარმოადგენს ნორმატიული რეგულირების სისტემაში აუდიტის სტანდარტების ადგილის განსაზღვრა, რაც დღეისათვის საკმაოდ ბუნდოვანია. ეროვნული სტანდარტების შემუშავებისას აუდიტორულ ფირმებს მიეცათ დავალება დაეწყოს მუშაობა



სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისად. წინააღმდეგ შემთხვევაში დამრღვევთა მიმართ გამოყენებული იქნება ყველა ღონისძიება (პირველ რიგში შემთხვევაში მათ უნდა მიეცეთ მკაცრი გაფრთხილება, შემდეგ კი ჩამოერთვათ ლიცენზია აუდიტორული საქმიანობისთვის).

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში თანამედროვე პერიოდში პროფესიული ორგანიზაციების მხრიდან საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებები და ეთიკური ნორმები არასაკმარისია, შესაძლოა. ბასს და ასს-ს სტანდარტები, მათი დაგეგმვის დანაწილებით მიჩნეულ იქნეს როგორც გამოსაქვეყნებლად სავალდებულო ხასიათის ნორმატიული დოკუმენტები.

დღეს საქართველოში აუდიტორული საქმიანობა რეგულირდება საქართველოს კანონით „აუდიტორული საქმიანობის შესახებ“, ხოლო მეთოდოლოგია აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით (ასს). აღსანიშნავია, ის ფაქტი, რომ სტანდარტები არ არის ეროვნულ ტრადიციებთან და თავისებურებებთან შესაბამისობაში.

ბანკების აუდიტორული შემოწმებისას ცალ-ცალკე უნდა შემოწმდეს მათი ეკონომიკური საქმიანობის სფეროები – როგორც თვითონ საკრედიტო სისტემა, ისე მომსახურე მუშაობა. ცხადია, აუდიტორულ ხელშეკრულებაში აუცილებლად უნდა იყოს იმ საკითხების ჩამონათვალი, რომლებიც ექვემდებარება შემოწმებას. აუდიტორის საქმიანობა შეიძლება განხორციელდეს შემდეგი

ძირითადი მიმართულებებით: საბანკო საქმიანობის წარმოებაზე კონტროლი კანონებთან და ნორმატიულ დოკუმენტებთან, ბანკის წესდებასთან, აქციონერთა და ბანკის გამგეობის საერთო კრების გადაწყვეტილებებთან შესაბამისობის თვალსაზრისით; კაპიტალის ფორმირებებისა და განლაგების ხარისხისა და მიზანშეწონილობის შეფასება; ბანკის საკრედიტო რესურსების, მატერიალური და შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენების შეფასება, საბანკო საქმიანობის სფეროს გაფართოების პერსპექტივების განსაზღვრა; ბანკის ფინანსური სიმყარისა და კონკურენტუნარიანობის გამოკვლევა მისი ბალანსის ლიკვიდურობის ხარისხისა და ჩატარებული ოპერაციების რენტაბელობის დონის განსაზღვრის მიზნით; ბანკის სააქციონერო საკუთრების დაცულობის უზრუნველყოფაზე კონტროლი.

აუდიტორი, შემოწმების დაწყებისთანავე, პირველ რიგში, უნდა დარწმუნდეს საბანკო ბალანსის უტყუარობაში. ამისათვის ერთმანეთს უნდა შეუდარდეს ანალიზური და სინთეზური აღრიცხვის მონაცემები, რათა დავრწმუნდეთ ნაშთების უტყუარობაში და ბუღალტრული ოპერაციების შესაბამის ანგარიშებში ასახვის სისწორეში. საბანკო სტაბილურობის ერთ-ერთი მთავარი მაჩვენებელია აქტივების ხარისხი. ამიტომ აუდიტორი უნდა დარწმუნდეს ბანკის აქტივებისა და სააქციონერო კაპიტალის სიდიდების განსაზღვ-

რის სიზუსტეში; მან უნდა გამოავლინოს უიმედო და საექვო ვალეები, დაადგინოს, თუ რამდენად უზრუნველყოფს აქტივების დაცულობას შიგა კონტროლი.

შემდგომი შემოწმება შეიძლება ჩატარდეს შემდეგი თანმიმდევრობით:

1. სალაროსა და სალაროს ოპერაციების აუდიტი.
2. სანესდებო ფონდის ფორმირების სისწორეზე კონტროლი.
3. საკორესპონდენტო ანგარიშებისა და ბუღალტრული ანგარიშგების მდგომარეობის შემოწმება;
4. საკრედიტო და საანგარიშობო ოპერაციების კონტროლი;
5. ბანკის შემოსავლებისა და გასავლების ანალიზი, გადასახადების გადახდის სისწორისა და დროულობის შემოწმება.

სალაროდან ნაშთების მოხსნის შემდეგ უნდა შედგეს აქტი ნალდი ფულის თანხისა და მისი შესაბამისობის შესახებ სალაროს ჟურნალისა და ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემებთან. უნდა შემოწმდეს ფულის შემოსავალში აღებისა და ჩამონერის სისრულე პირველადი დოკუმენტების მიხედვით, რომლებიც თან ერთვის სალაროს ანგარიშებს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბანკის სალაროს დაცვას, შესაბამის აღჭურვილობას და ბანკის სხვა ნაგებობების დაცვის ტექნიკურ საშუალებებს, ფულისა და ფასეულობების დაცულობის უზრუნველყოფას.

უნდა შემოწმდეს ბანკის სანესდებო ფონდის კანონიერება და დროულობა, რადგან იგი წარმოადგენს ბანკის საქმიანობის სადამფუძნებლო ბაზას, აგრეთვე **სარეზერვო, სადაზღვევო და სავალუტო ფონდების კანონიერება, რადგან ისინი ქმნიან ბანკის საკუთარ საშუალებებს**. შეისწავლება ფულადი საშუალებების მოზიდვისა და გამოყენების, რესურსების ყიდვა-გაყიდვის ოპერაციები, მოწმდება საპროცენტო განაკვეთებისა და საკომისიო გადასახადის დონეების დადგენის დასაბუთება. უნდა გამოვლინდეს, ხომ არ ცდილობს ბანკი წუთიერი შედეგების მიღებას მყარი შემოსავლების მიღების საზიანოდ.

საკორესპონდენტო ანგარიშის მდგომარეობის ანალიზი მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ იგი წარმოადგენს ბანკის გადახდის უნარიანობის სინთეზურ მაჩვენებელს. ამ ანგარიშის

უარყოფითი ნაშთი მოწმობს იმას, რომ ბანკი ოპერაციებს ახორციელებს მის განკარგულებაში არსებული საკრედიტო რესურსების ზემოთ. ამ ანგარიშზე უარყოფითი ნაშთის არსებობა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ამცირებს ბანკის მოგებას მაღალი საჯარიმო პროცენტის არსებობის გამო, რომელსაც ამოიღებს ეროვნული ბანკი. საკორესპონდენტო ანგარიშის შემოწმებასთან ერთად უნდა განხორციელდეს ბუღალტრული აღრიცხვის მდგომარეობის შემოწმება. ზოგჯერ ხდება ბალანსის მუხლების ნებაყოფლობითი დაჯგუფება, შეცდომების შესწორება ბუღალტრულ ჟურნალებში, სამეურნეო ორგანიზაციების მემორალურ ორდენებში ანგარიშების დებეტებისა და კრედიტების არასწორად მითითება. შემოწმებას ექვემდებარება სამეურნეო ორგანიზაციების მოქმედი ანგარიშების იურიდიული გაფორმების სისწორე და მათზე ოპერაციების დასაბუთება. მიზანშეწონილია ჩატარდეს აგრეთვე აღნიშნულ ორგანიზაციებში იმ საკითხების შემხვედრი შემოწმება, რომლებშიც შედის ბანკის კომპეტენციებში (კრედიტის მიზნობრივი გამოყენება და უზრუნველყოფა, სალაროს დისციპლინა) და მათი ფინანსური ხელმოკლეობის გამოვლენის შემთხვევაში, რაც ზარალს მიაყენებს ბანკს, აუდიტორმა უნდა მოითხოვოს საქმიანი ურთიერთობების შემოწმება ამგვარ კლიენტთან.

საკრედიტო რესურსების გამოყენების შემოწმებისას უნდა მიექცეს ყურადღება სანესდებო ფონდის მდგომარეობას, ბალანსის ლიკვიდურობას, აგრეთვე სავალდებულო რეზერვების ნორმების დაცვას. უნდა გაანალიზდეს დადებულ საკრედიტო ხელშეკრულებები მასში იმ ღონისძიებების ასახვის თვალსაზრისით, რომლებიც უზრუნველყოფს საშუალებების დროულ და სრულად დაბრუნებას სესხის დასაფარავად. ასეთი შეიძლება იყოს სხვადასხვა სახის გირაო, გარანტიები და სხვა ვალდებულებები, რომლებიც ამცირებს საკრედიტო რისკს. ამასთან, უნდა შეფასდეს კრედიტის საპროცენტო განაკვეთის სიდიდე, მისი გაცემის ტექნიკა და ფორმები.

უნდა შეფასდეს ბანკის მიერ გრძელვადიანი კრედიტების ლიზინგური და ფაქტორინგული ოპერაციების გამოყენების შესაძლებლობები.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ეკონომიკური ზღვრული ნორმატივების დაცვას, რომლებიც უზრუნველყოფს საბანკო სისტემის სტაბილურ ფუნქციონირებას. ეს ნორმატივებია:

კაპიტალის საკმარისობის ნორმატივი, რომელიც განისაზღვრება ბანკის მთელი კაპიტალის შეფარდებითი აქტივების ჯამთან, რომელიც შეწონილია რისკის გათვალისწინებასთან;

**ბალანსის ლიკვიდურობის ნორმატივი**, რომელიც იანგარიშება მთელი კაპიტალის შეფარდებით ბანკის ვალდებულებებთან;

**სავალდებულო რეზერვების და სხვა ფონდების მინიმალური სიდიდე**, რომლებიც დეპონირდება ცენტრალურ ბანკში;

**რისკის მაქსიმალური ზომა** ერთ მსესხებელზე გაანგარიშებით.

ბანკის მუშაკებმა სესხის გაცემისას უნდა შეამოწმონ მსესხებლის ფინანსური მდგომარეობა, გაანალიზონ მათი საკუთარი და ნასესხები საშუალებების თანაფარდობა, სანესდებო ფონდის სიდიდე.

აუდიტორებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ბანკის ლიკვიდურობას, ანუ მის უნარს, დროულად, სრულად და შეუფერხებლად განახორციელოს თავისი ვალდებულებების დაფარვა.

ცენტრალური (ეროვნული) ბანკი განსაზღვრავს კომერციული ბანკების საქმიანობის რეგულირების ნესებს მათი ლიკვიდურობის მხარდასაჭერად, ადგენს ეკონომიკური ნორმატივების სიდიდეს. ეს ნორმატივებია: **სავალდებულო რეზერვების სიდიდე, რომლებიც განლაგებულია ცენტრალურ ბანკში, სანესდებო ფონდის მინიმალური სიდიდე, ბანკის საკუთარი საშუალებებისა და მისი აქტივების თანაფარდობის ზღვრული სიდიდე და სხვ.**

კომერციული ბანკები ლიკვიდურობის ასამაღლებლად, აგრეთვე მენაბრეთა, მეპაიეთა, აქციონერთა ინტერესების დასაცავად ქმნიან სავალდებულო ფონდებს. აუდიტის დროს უნდა შემოწმდეს სავალდებულო რეზერვების, დეპოზიტების სადაზღვევო ფონდების, გაკოტრებისგან დასაზღვევი ფონდების შექმნის სისრულე.

საანგარიშობო ურთიერთობების აუდიტი საშუალებას იძლევა გამოვლინდეს ანგარიშსწორების

**აუდიტი**

დაჩქარების გზები. კერძოდ, გადასახადების კალენდარული თანმიმდევრობის შეცვლა საწარმოსთან შეთანხმებით, ბანკის პასუხისმგებლობის მოხსნა გადასახადების დაგვიანებისთვის ჯარიმების დარიცხვასა და გადახდევინებაზე, საგადასახადო მოთხოვნით ანგარიშსწორების შეზღუდვა.

მიზანშეწონილია, ყურადღება მიექცეს ბანკის დაცვაზე განეული დანახარჯებისა და შენობის საიჯარო გადასახადის, ფულადი ანაბრების ინდექსაციისა და დანახარჯებისა და სამეურნეო-ანგარიშობრივი გამოთვლითი ცენტრების მომსახურებაზე დანახარჯების ზრდის ტენდენციის შესწავლას.

მოგების დარიცხვისა და გამოყენების კანონიერების აუდიტის დროს გამოვლინდება მოგების განაწილებაში არსებული შესაძლო შეცდომები, განსაკუთრებით იმ შედეგათების განგარიშებისას, რომლებიც დადგენილია დაბეგვრისთვის. აუდიტორმა აუცილებლად უნდა იხელმძღვანელოს სათანადო კანონმდებლობით და ნორმატიული აქტებით.

ამის შემდეგ აუდიტორმა უნდა გაანალიზოს საბანკო საქმიანობის მომგებიანობა. მსოფლიო პრაქტიკაში იგი განისაზღვრება საბალანსო მოგების შეფარდებით სანესდებო კაპიტალთან. თუმცა, ჩვენი ეკონომიკის პირობებში, არასტაბილური ეკონომიკური პროცესებისა და ჰიპერინფლაციის გამო, ამ მიზნით შეიძლება გამოყენებული იქნას აბსოლუტური მაჩვენებლებიც: საბალანსო მოგება, ბრუტო-ბალანსის აქტივების ჯამი. გარდა ამისა, ზოგიერთი ეკონომისტი გვთავაზობს ამ მაჩვენებლებთან ერთად დამატებითი მაჩვენებლების გაანგარიშებას: **საბალანსო მოგებისა და ბანკის საკუთარი კაპიტალის თანაფარდობა, აგრეთვე წმინდა მოგებისა და ბანკის საკუთარი კაპიტალის თანაფარდობა.**

ამრიგად, ბანკები ცენტრალურ როლს თამაშობენ ეკონომიკის განვითარებაში. იმისათვის, რომ საიმედოდ და ეფექტურად განახორციელონ თავიანთი ფუნქციები, ბანკები უნდა იმსახურებდნენ საზოგადოებისა იმ მხარეების ნდობას, რომლებთანაც საქმიანი ურთიერთობები აქვთ. ამდენად, ეროვნული თუ საერთაშორისო საბანკო სისტემის სტაბილურობა საერთო საზოგადოებრივი ინტერესის საგანია. ეს საზოგადოებრივი

ინტერესი აისახება იმ გზებში, რომლებითაც ბანკები, სხვა კომერციული კომპანიებისგან განსხვავებით, ყველა ქვეყანაში ექვემდებარებიან ცენტრალური ბანკებისა და სხვა ოფიციალური ორგანოების ზედამხედველობას. ბანკების ფინანსურ ანგარიშგებას ამონებენ აგრეთვე გარე აუდიტორული კომპანიები. აუდიტორული დასკვნა ამაღლებს ასეთი ანგარიშგების საიმედოობას და ამგვარად ხელს უწყობს საბანკო სისტემის მიმართ ნდობის ზრდასაც. იმის გამო, რომ იზრდება საბანკო საქმიანობის მრავალფეროვნება როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო მასშტაბით, ბანკის ზედამხედველებისა და გარე აუდიტორების ამოცანები სულ უფრო მომთხოვნი ხდება. მრავალ საკითხში ბანკის ზედამხედველები და გარე აუდიტორები ერთი და იმავე სირთულეების წინაშე დგანან და მათი ფუნქციებიც ურთიერთშემავსებელ ფუნქციებად მიიჩნევა. ზედამხედველები არა მარტო ეყრდნობიან აუდიტორების

მუშაობის შედეგებს, არამედ სულ უფრო მეტად მიმართავენ ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიას. მათი საზედამხედველო მოვალეობების შესრულების ხელშეწყობი დამატებითი ამოცანების განსახორციელებლად. იმავე დროს, აუდიტორები მათი ფუნქციების განხორციელებისას მიმართავენ ზედამხედველებს იმ ინფორმაციისათვის, რომელიც ამ ფუნქციების რაც შეიძლება ეფექტიანად განხორციელებას უწყობს ხელს.

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ საფინანსო ზედამხედველობის სააგენტომ ისე უნდა წარმართოს თავისი საქმიანობა კომერციულ ბანკებთან მიმართებაში, რომ მათ მიერ განხორციელებული საფინანსო ანგარიშგება შეესაბამებოდეს გარე აუდიტორების მოთხოვნებს.

**ქეთევან ლუღუშაური**  
**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი**

**კომერციული ბანკის აუდიტის სრულყოფის საკითხები საქართველოში თანამედროვე პირობაში**

**რეზიუმე** **ქეთევან ლუღუშაური**

სტატიაში ავტორი განიხილავს კომერციული ბანკის აუდიტის საკითხებს ზოგადად და კონკრეტულად საქართველოში. ბანკები ცენტრალურ როლს თამაშობენ ეკონომიკის განვითარებაში. იმისათვის, რომ საიმედოდ და ეფექტურად განახორციელონ თავიანთი ფუნქციები, ბანკები უნდა იმსახურებდნენ საზოგადოებისა იმ მხარეების ნდობას, რომლებთანაც საქმიანი ურთიერთობები აქვთ. ამდენად, ეროვნული თუ საერთაშორისო საბანკო სისტემის სტაბილურობა საერთო საზოგადოებრივი ინტერესის საგანია. ეს საზოგადოებრივი ინტერესი აისახება იმ გზებში, რომლებითაც ბანკები, სხვა კომერციული კომპანიებისგან განსხვავებით, ყველა ქვეყანაში ექვემდებარებიან ცენტრალური ბანკებისა და სხვა ოფიციალური ორგანოების ზედამხედველობას. ბანკების ფინანსურ ანგარიშგებას ამონებენ აგრეთვე გარე აუდიტორული კომპანიები. აუდიტორული დასკვნა ამაღლებს ასეთი ანგარიშგების საიმედოობას და ამგვარად ხელს უწყობს საბანკო სისტემის მიმართ ნდობის ზრდასაც. იმის გამო, რომ იზრდება საბანკო საქმიანობის მრავალფეროვნება როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო მასშტაბით, ბანკის ზედამხედველებისა და გარე აუდიტორების ამოცანები სულ უფრო მომთხოვნი ხდება. მრავალ საკითხში ბანკის ზედამხედველები და გარე აუდიტორები ერთი და იმავე სირთულეების წინაშე დგანან და მათი ფუნქციებიც ურთიერთშემავსებელ ფუნქციებად მიიჩნევა. ზედამხედველები არა მარტო ეყრდნობიან აუდიტორების მუშაობის შედეგებს, არამედ სულ უფრო მეტად მიმართავენ ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიას. იმავე დროს აუდიტორები მათი ფუნქციების განხორციელებისას მიმართავენ ზედამხედველებს იმ ინფორმაციისათვის,

რომელიც ამ ფუნქციების რაც შეიძლება ეფექტიანად განხორციელებას უწყობს ხელს.



## რეგიონალიზმი და თვითმმართველობა

რეგიონალიზმის იდეის გააქტიურება და თვითმმართველობის სისტემის დამკვიდრებისკენ სწრაფვა ის სტრატეგიული მიზანია, რაც თვისობრივად გვახლოვებს დემოკრატიულ მსოფლიოსთან და შესაძლებელს ხდის გაიზარდოს სახელმწიფოს მართვის ეფექტიანობის ხარისხი. ეს არის ფუნდამენტური რეფორმის დასაწყისი, რომელიც არსებითად განსაზღვრავს სახელმწიფო მონაცემების სტრატეგიულ მოდელს და ქვეყნის დემოკრატიული განვითარების პერსპექტივებს.

რეგიონალიზმისა და თვითმმართველობის იდეის ინიცირება რამდენიმე უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს მოიცავს. ესაა:

- მართვის ტერიტორიული სტრუქტურის გაჯანსაღება და ტერიტორიული სისტემების გააქტიურება;
- უფლებამოსილებებისა და ვალდებულებების დეცენტრალიზაცია;
- რეგიონებში რეალური თვითმმართველობის მიღწევა და დამკვიდრება;
- რეგიონების (და ქვეყნის) ბუნებრივი, შეუზღუდავი ეკონომიკური განვითარების სტიმულირება;
- როგორც შედეგი: ქვეყნის მასშტაბით სახელმწიფო მმართველობის დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრება.

რეგიონალურ ასპექტში, სახელმწიფოს მშენებლობის ეს ფუძემდებლური პრიორიტეტები, ისტორიულად, საქართველოში დღემდე საგნობრივად, მეცნიერულად არ განხილულა და ამ პრობლემისადმი, ქართულ წიაღში ჩასახული ეროვნული პოლიტიკური ნება რეალურად არ დადასტურებულა. ამდენად, საქმე გვაქვს საქართველოს უახლეს ისტორიაში უმნიშვნელოვანესი რეფორმის დაწყებასთან.

რამი მდგომარეობს სახელმწიფოს მონაცემებში რეგიონალიზმის ფუნდამენტური ფორმის მნიშვნელობა და როგორ განსაზღვრავს ის თვითმმართველობის შინაარსს?

ფორმულა ასეთია: რეგიონალიზმი აყალიბებს სახელმწიფოს სხეულს, მის ფორმას. ხოლო თვითმმართველობა ამ სხეულს ანიჭებს სიცოცხლეს, რაც ეფექტიანი მმართველობის შინაარსში გამოიხატება. ის მთელ სახელმწიფოზე აისახება. დემოკრატიული მსოფლიოს უმთავრესი მოთხოვნა და მოლოდინი ჩვენი ქვეყნის და ახალი ხელისუფლების მიმართ, სწორედ ეფექტიანი მმართველობაა.

რა გვაქვს დღეს, რითი ვინწყებთ?! ე.წ. დეცენტრალიზაციისა და თვითმმართველობის განვითარების სამთავრობო დოკუმენტი პრინციპების დონეზეა შემუშავებული და ის მოქმედების სტრატეგიას განსაზღვრავს მხოლოდ 2013-2014 წლებისათვის. ასეთი გალობალური რეფორმა კი დროში განვრცობადი იქნება. მაგრამ არ არსებობს თავად სტრატეგიის განმსაზღვრელი, რეფორმის მთლიანი ციკლის მომცველი ძირითადი კონცეფცია მომდევნო 50-10 წლისთვის. ეს თითქოს პარადოქსული გარემოება მე ბუნებრივად და გასაგებად მიმაჩნია. ფუძემდებლური კონცეფციის შემუშავებას თანმიმდევრული, აუჩქარებელი მეცნიერული კვლევა და შესაბამისი დრო სჭირდება. პრინციპების და აზრის ჩამოყალიბებას კი სურვილი, ნება და მონდომება განაპირობებს.

დროს ვერც შევანელებთ და ვერც დავაჩქარებთ. ამდენად, ჩვენ ვერ ვხედავთ მიზნის განმსაზღვრელ ერთიან სურათს, მაგრამ ვიცით რა გვინდა ზოგადად, ფრაგმენტულად. ასეთი წერტილოვან-ფრაგმენტული რეფორმის დაწყება მხოლოდ დროის დეფიციტით და საკითხის აქტუალობით შეიძლება იყოს განპირობებული, რაც მთავრობაში ჯანსაღი აზრის, პოლიტიკური ნების არსებობას ადასტურებს და მხოლოდ. მეორე



**კანონმდებლობა**

საკითხია, გვაქვს თუ არა საამისოდ პოტენციალი, პროფესიული ბაზა და საკადრო რესურსი ზოგადად. რამდენად ადეკვატურად ვინყვებთ რეფორმას, რამდენად ვაცნობიერებთ საკითხის მნიშვნელობას?!

ამ უმნიშვნელოვანეს თემას უფრო მეტად ჩაუვლრმავდეთ. წარმოვიდგინოთ ჩვენი თავი რეფორმის პროცესში და დროის ფაქტორის წნეხის ქვეშ, რაც რეფორმის ავტორს - რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს უდიდეს პასუხისმგებლობას, გლობალურ ფუნქციას და სახელმწიფო აპარატში წამყვან როლს ანიჭებს. პრობლემა მართლაც მასშტაბურია. ასეთ ვითარებაში, საქმე რომ გამოვივიდეს, ეს საქმე უნდა გიყვარდეს. უფრო მეტიც - გაცნობიერებული უნდა გქონდეს, რომ შენ გიყვარს შენი სახელმწიფო და ამ სახელმწიფოს აშენება შენი საქმეა!

რა უნდა ვიცოდეთ ჩვენი ისტორიული გამოცდილებიდან და რა უნდა ვისწავლოთ დემოკრატიული ევროპისგან?! აქ მცირე სალექციო ექსკურსს შემოგთავაზებთ.

რეგიონული მოდელირება სახელმწიფოს მონყობის და მშენებლობის ერთ-ერთი საფუძველია, ისევე, როგორც ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური მონყობის მოდელი თუ პარადიგმა. ეს, ამასთან, საზოგადოებრივი განვითარების ამა თუ იმ ფორმაციის განმსაზღვრელი ძირითადი ქვაკუთხედი. აღსანიშნავია, რომ რეგიონალიზმის იდეა, მისი თეორია და პრაქტიკა მეცნიერული კვლევის საგანს წარმოადგენს და ის თავად არის ცალკე ალბუმი მეცნიერება - რეგიონალთმცოდნეობა.

**რეგიონალთმცოდნეობა** - მეცნიერული ცოდნის სრულიად ახალი დარგია, რომლის განვითარებაც მსოფლიოში XX საუკუნის ბოლოს დაიწყო. ზოგიერთ ქვეყანაში ის მხოლოდ ბოლო 10 წლის მანძილზე განვითარდა (რუსეთი, აღმოსავლეთ ევროპის და პოსტსაბჭოთა ქვეყნები).

საქართველოში რეგიონალთმცოდნეობა, როგორც კვლევის საგანი, ჩამოყალიბდა გასული საუკუნის 70 - ანი წლებიდან და ამ კვლევის ერთ-ერთი ცენტრი ეკონომიკის, დაგეგმვისა და მართვის ს/კ ინსტიტუტში შეიქმნა. თუმცა, ამ ინსტიტუტში რეგიონალიზმის ცალკეული

ასპექტების კვლევა ადრეული წლებიდანაც მიმდინარეობდა. ამ ახალი მეცნიერების კვლევის ძირითად სფეროს წარმოადგენს **ეკონომიკური განვითარების ტერიტორიული ორგანიზაცია, საწარმოო ძალების ოპტიმალური განლაგება, ეკონომიკის რეგიონული სტრუქტურის ორგანიზაცია, ქვეყნის დარაიონება, ადმინისტრაციული რაიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროგრამების შემუშავება, სამეურნეო პრიორიტეტების განსაზღვრა და ეკონომიკის რეგიონული სტრუქტურის სხვა ასპექტების შესწავლა**. კვლევის ეს სფეროები უშუალოდ უკავშირდება მოსახლეობის განსახლებას, შრომითი რესურსების და ბუნებრივი რესურსების დახასიათებას, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სამეურნეო კომპლექსების შექმნა-მოდელირებას და სხვ.

ამდენად, რეგიონალთმცოდნეობა სამეცნიერო ცოდნის ის სფეროა, რომელიც ქვეყნის **მართვისა და ეკონომიკური განვითარების ტერიტორიულ ორგანიზაციას** შეისწავლის, მის მომცველ ყველა ასპექტთან ერთად. არსებულ ვითარებაში, მოსალოდნელი რეფორმის კონტექსტში, ტერიტორიულ ორგანიზაციაში უნდა ვიგულისხმოთ: რეგიონული მონყობის ოპტიმიზაცია, რაიონში და რაიონთაშორის ეკონომიკური კავშირების დაზუსტება, ეკონომიკური რეფორმების კოორდინაცია, ეკონომიკური აქტივობების ხორცშესხმა, საფინანსო, შრომითი და საკადრო რესურსების მობილიზაცია და აქტიური ჩართულობა ქვეყნის მშენებლობაში, ეკონომიკური რაიონების დაზუსტება, შესწავლა და მათი ტრანსფორმაცია, რაიონების (მხარეების) სამეურნეო პროპორციების რაციონალიზაცია. რეგიონალთმცოდნეობის კვლევის უშუალო საგანია ყველა დონის ეკონომიკური რაიონი - მცირე და დიდი ეკონომიკური რაიონი, ან ზონა, სამრეწველო ცენტრი, აგლომერაცია, სამრეწველო და სასოფლო სამეურნეო კომპლექსი, თავისუფალი ეკონომიკური ზონა.

რა განაპირობებს რეგიონალიზმის ფორმას და შინაარსს?! ქვეყნის რეგიონული მოდელირება თვითგანვითარებადი ფენომენია. ტრადიციული კულტურის და განვითარებული

დემოკრატიის ქვეყნებში რეგიონული მონყობა ეროვნულ კულტურასთან ერთად ვითარდებოდა და ასწლეულების მანძილზე ქვეყნის ეროვნული თავისებურებების კვალობაზე ფორმირდებოდა, როგორც ერის ხასიათის განმსაზღვრელი ნიშანი.

რეგიონული მოდელის ამა თუ იმ ფორმის ბუნებრივი თვითდამკვიდრება სახელმწიფოს მართვის შესაძლებლობას განაპირობებს. შეუძლებელია ქვეყნის მართვა მხოლოდ ერთი ცენტრალური სტრუქტურით - **ვერტიკალურად, ერთმართველობით**. ალტერნატივა რეგიონული თვითმმართველობაა. განვითარებული დემოკრატიისა და თავისუფალი ეკონომიკის ქვეყნებში თავისთავად წარმოიშობა როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური დეცენტრალიზაციის საჭიროება, რაც ეფექტიანს და ბუნებრივთან მიახლოებულს ხდის ზოგადად მმართველობას და შესაბამისად, იძლევა განვითარების შესაძლებლობას. წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური მმართველობის სისტემა იქნება არაბუნებრივი, არადემოკრატიული და არაეფექტური, რომლის მაგალითებსაც თანამედროვე მსოფლიო კარგად იცნობს.

ამდენად, ვფიქრობ, უდავოა სახელმწიფოს ეფექტიანი მმართველობის ის მთავარი პრინციპი, რომ ქვეყნის განვითარების პოტენციალი თვითონ შობს მისთვის ორგანულ და ბუნებრივ რეგიონალიზმს, ანუ რეგიონალური მმართველობის მოდელს, რაც ამა თუ იმ ეტაპზე ამ ქვეყნის სპეციფიკურ მდგომარეობას ასახავს და ამდენად, მისი კულტურის შემადგენელი ნაწილი ხდება. გამომდინარე აქედან, რეგიონალური მონყობისა და მართვის ამა თუ იმ „აპრობირებული“ მოდელის ხელოვნური გადმოღება სხვა ქვეყნისგან, არაბუნებრივი, უცხო და არაეფექტური იქნება.

საქართველოში ფეოდალური მონყობის რეგიონალიზმი განუვითარებელ მოდელად დარჩა. ფეოდალური საქართველოდან დღევანდელ - ახალი დემოკრატიის ქვეყანამდე სახელმწიფოს მშენებლობის პროცესი ფაქტობრივად შეწყვეტილი იყო და მისი ბუნებრივი განვითარება ამ მხრივ არ მომხდარა. ამიტომ, ჩვენი მიზანი უნდა იყოს აღნიშნული ვაკუუმის შევსება, 200 წლიანი შესაძლო ისტო-



რიული განვითარების მოდელირება და ამ კვლევის შემდეგ შესაბამისი დასკვნების გაკეთება. მხოლოდ ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი რეგიონული მონაცემების კონცეფციის შემუშავება და რეფორმის სტრატეგიული მიმართულებების განსაზღვრა.

რა გვაქვს დღეს? რა გვინდა? რას ვაკეთებთ?

დღეს ჩვენ გვაქვს დროის, როგორც სახელმწიფოს თავისუფალი განვითარების შესაძლო ფაქტორის დანაკარგი და მისი დეფიციტი. გვაქვს განუვითარებელი, დამოუკიდებელი სახელმწიფოსთვის არაოპტიმალური რეგიონული დაყოფის და თვითმმართველობის სისტემა, რომელიც ძირითადად საბჭოთა პერიოდში ჩამოყალიბდა. ამასთან, ვიცით რა გვინდა - გვაქვს დემოკრატიული მმართველობის და რეგიონების დონეზე თვითმმართველობის რეალური დამკვიდრების სურვილი და პოლიტიკური ნება. რას ვაკეთებთ? - ვდგამთ პირველ ნაბიჯებს პრინციპების დონეზე და ვხელმძღვანელობთ თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის მოთხოვნებით, რომელიც განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპულ

კონცეფციას და თვითმმართველობის უმთავრეს პრინციპებს. როგორია რეალობა? - თუნდაც „უმთავრეს ევროპულ პრინციპებზე“ დაყრდნობით, შიგაეროვნული ძალისხმევის და მეცნიერულად დასაბუთებული კვლევის შედეგის - ქართული სახელმწიფოსთვის ორგანული რეგიონალური მოდელის გარეშე ეფექტიანი თვითმმართველობა ვერ განხორციელდება. დღემდე, არანაირი თვითმმართველობის სისტემა საქართველოში არ მოქმედებდა. ის არ მოქმედებდა ადგილობრივი საბჭოების ფორმით სოციალისტური სისტემის დროს და არც დამოუკიდებელი საქართველოს ბოლო 20 წლის მანძილზე.

მაგრამ, ვიყოთ ოპტიმისტები. მხოლოდ მისასალმებელია, რომ ხელისუფლება რეალურად და ობიექტურად (გაცნობიერებული აუცილებლობის შეგნებით) დაინტერესდა ეფექტიანი რეგიონული თვითმმართველობის იდეით, როგორც დემოკრატიული განვითარების წინაპირობით და ამ იდეის იმპლემენტაციით. ეს ძალზე მნიშვნელოვანია. ეს არის პირველი ფუძემდებლური ნაბიჯი და ყველა შემდგომი რეფორმის საფუძველი, თუ გვსურს, რომ სისტემამ

იმუშაოს ეფექტიანად და ლალად. ამ მიმართულებით ეს პირველი ნაბიჯი კი, სწორი სამოქმედო რუქის შექმნით, ადამიანებისთვის იქნება სტიმული და გარანტია თვითშემოქმედებისთვის ყველა დონის რეგიონულ სისტემაში. აქ მხოლოდ რეფორმის ცალკეული ეტაპების თანმიმდევრულ ამოქმედებაზე შეიძლება აქცენტების გამახვილება, რაც ერთიან სტრატეგიულ ჩარჩოში მის პროგრამულ განერაში აისახება.

რეფორმამ უნდა უზრუნველყოს არა ევროპული მოდელის მყისიერი, მექანიკური დანერგვა ქართულ სინამდვილეში, არამედ არსებული მოდელის ტრანსფორმაცია და დაახლოება ევროპულ თვითმმართველობებთან. ეს უნდა იყოს მოძრაობა ევროპული გამოცდილებისკენ საკუთარი ენერჯით და ამ ენერჯის შესატყვისი სიჩქარით.

უნდა გვახსოვდეს, რომ ჯანსაღი თვითმმართველობა დემოკრატიის არა თუ შემადგენელი ნაწილი, არამედ მისი მწვერვალია!

**ნუპრი მისანაშვილი**  
ეკონომიკის  
აკადემიური დოქტორი

# როგორი უნდა გავხადოთ ადგილობრივი თვითმმართველობები

**საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოს ეკონომიკური პოტენციალი მნიშვნელოვნად შემცირდა, რამაც თავისებურად იმოქმედა რაიონებზე (ამჟამად ადგილობრივი თვითმმართველობები) - შემცირდა ადგილობრივი სამრეწველო ობიექტების სიმძლავრეები და ფაქტიურად შეწყდა სანარმოთა ძირითადი ფონდების განახლება, აღნიშნული ძირითადად გამოწვეული იყო ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან ეკონომიკური კავშირების მყისიერი მოშლით და დასავლეთის ქვეყნებთან ახალი კავშირების არარსებობით, სანარმოთა სიმძლავრეების დაცემა და მეზობელ ქვეყნებთან ეკონომიკური კავშირების არარსებობა პირდაპირ კავშირში იყო წარმოებული პროდუქციის გასაღების შემცირებასთან, რაც მთლიანობაში ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუარესებას იწვევდა, ამას ემატებოდა ასევე ადგილობრივი რაიონების (ამჟამად თვითმმართველობები) ეკოლოგიური მდგომარეობის მკვეთრად გაუარესება და კრიმინოგენური სიტუაციის დამძიმება.**

**ცენტრალური ხელისუფლების (ზოგჯერ არალეგიტიმური) მიერ მიღებული უნიათო კანონები კიდევ უფრო ამწვავებდა ადგილებზე ეკონომიკურ მდგომარეობას და ხელს უწყობდა გარკვეულ პირთა ჯგუფს თავისი ვინრო-კლანური ინტერესების დაკმაყოფილებაში.**

1990 წლიდან, ანუ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ განსაკუთრებით დამძიმდა (მაშინ როცა მდგომარეობა პირიქით უნდა გაუმჯობესებულიყო, რადგან საქართველომ მოიპოვა ე.წ. „დამოუკიდებლობა“ და ჩვენი თავის პატრონები ჩვენ გავხდით) და აუტანელი გახდებოდა სოციალური მდგომარეობა ისეთ რაიონებშიც კი, რომელიც მდიდარი ბუნებრივი რესურსებით, სასარგებლო წიაღისეულითა და მძლავრი სამრეწველო პოტენციალით გამოირჩეოდა. სოციალური მდგომარეობის დამძიმება ხშირ შემთხვევაში გამოწვეული იყო იმით, რომ აღნიშნულ რაიონებს მიაშურეს ყოფილმა ფუნქციონერებმა (როგორც ადგილობრივმა, ასევე სხვა რაიონებიდან ჩამოსულებმა) და არაკეთილსინდისიერმა პირებმა და დაიწყეს საერთო-სახალხო სიმდიდრეების ხელში ჩაგდება, რამაც მნიშვნელოვნად შეცვალა ადგილებზე სოციალური ფონი და რაიონებში ველური საბაზრო ეკონომიკის დაწყებას ჩაუყარა საფუძველი. საწყის ეტაპზე სოფელ ადგილებში ასეთი სწრაფი ცვლილებები არ განხორციელებულა, რადგან სოფელი ხშირად მალე ვერ უწყობს ფეხს სწრაფ ნოვაციებს და ეკონომიკის მოდერნიზაციას. ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ სოფლები მდიდარია წყლის, ტყის და მინერალური რესურსებით, რომელიც ხშირად შეუფასებელია და მთელი დატვირთვით არ გამოიყენებია. ამას ემატება ასევე ისიც, რომ სოფელ ად-

გილებში შეინიშნება კვალიფიციური კადრების ნაკლებობა და ინფრასტრუქტურული, საგანმანათლებლო, ინოვაციური და სამრეწველო პოტენციალის განუვითარებლობა.

რაიონების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში ყოველთვის არსებობდა მკვეთრი განსხვავებები, რაც ხშირ შემთხვევაში გამოწვეული იყო იმით, რომ ზოგი რაიონები მდიდარია ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობით და განვითარებული ინფრასტრუქტურით, ზოგში კი შეინიშნება აღნიშნული კუთხით მკვეთრი ჩამორჩენა. მიუხედავად იმისა, რომ ცენტრალური ხელისუფლება სიტყვით ყოველთვის ცდილობდა ყოველნაირად შეენყო ხელი ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის, რათა ადგილებზე გაუმჯობესებულიყო ეკონომიკური, სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური მდგომარეობა, სიტუაცია მაინც მძიმდებოდა და ადგილობრივ თვითმმართველობები საკუთარი პრობლემების წინაშე მარტო რჩებოდნენ.

საქართველოს იმდროინდელი რაიონების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზით ირკვევა, რომ არსებობდნენ ერთის მხრივ ისეთი რაიონები (ამჟამად მუნიციპალიტეტები), რომლებსაც გააჩნდათ დიდი საექსპორტო პოტენციალი და დივერსიფიცირებული ეკონომიკა, მეორეს მხრივ არსებობდნენ ისეთი მუნიციპალიტეტებიც, რომლებიც ზემოდაღნიშნული კუთხით მზარდ დეფიციტს განიც-

დიდნენ და ცენტრის ამარა იყვნენ დარჩენილნი. ასეთი ნაკლებად უზრუნველყოფილნი რაიონები ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან სისტემატურ ფინანსურ დახმარებებს საჭიროებდნენ, რათა მინიმალურად მაინც შეესრულებინათ მათ წინაშე მდგარი ვალდებულებები.

ცნობილია, რომ ფინანსთა სამინისტროს კანონმდებლობით ევალება მოახდინოს ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში ერთ სულ მოსახლეზე საშუალო ყოველწლიური საბიუჯეტო შემოსავლების დადგენა და უთანაბრობის შემთხვევაში მოახდინოს მისი გამოთანაბრება. აღნიშნულ გამოთანაბრებას ფინანსთა სამინისტრო ახდენს ტრანსფერების საშუალებით. გამომდინარე იქედან, რომ მუნიციპალიტეტების სოციალურ-ეკონომიკური, ეკოლოგიური და საინვესტიციო მდგომარეობა განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან, ამიტომ ცენტრიდან მისაღები ტრანსფერების ოდენობაც განსხვავებული იყო. ასეთი სატრანსფერო პოლიტიკა ხშირ შემთხვევაში ადგილებზე მხოლოდ პასიურად უწყობდა ხელს მდგომარეობის გაუმჯობესებას და ვერანაირად ვერ ახდენდა ადგილობრივი მუნიციპალიტეტების თვითგანვითარების სტიმულირებას. ადგილობრივი მუნიციპალიტეტები ვერ იჩენდნენ ადგილებზე ინიციატივას, ასეთი პასიურობა კი მთლიანობაში მუნიციპალიტეტების სოციალურ-ეკოლოგიურ-ეკონომიკური მდგომარეობის კიდევ უფრო

გართულებას ინვესტა. ამიტომ, დღის წესრიგში დგებოდა ის, რომ თავად ადგილობრივ თვითმმართველობებს გამოეჩინათ პრინციპულობა და არსებული რესურსების პირობებში დაეწყათ გადაჭრის გზების ძიება საკითხების პრიორიტეტულობიდან გამომდინარე.

სახელმწიფო პოლიტიკის არარსებობა ადგილობრივი თვითმმართველობების დამოუკიდებლობის გაზრდის მიმართულებით, კიდევ უფრო აუტანელს ხდიდა ადგილობრივი მუნიციპალიტეტების სოციალურ ყოფას და განვითარების სამომავლო პერსპექტივის ბუნდოვანებას ინვესტა.

**მიუხედავად იმისა, რომ ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან მრავალჯერ იყო მცდელობა ადგილობრივი თვითმმართველობების საფინანსო-ეკონომიკური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის მიმართულებით, რეალურად არაფერი არ კეთდებოდა და ადგილობრივი თვითმმართველობები ცენტრალურ ხელისუფლებაზე კიდევ უფრო დამოკიდებულნი ხდებოდნენ. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს საქართველოს მუნიციპალიტეტების საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის შემდგომი განვითარებისთვის საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან ჯერ-ჯერობით არანაირი კანონი მიღებული არ არის, მაშინ როცა ჰაერით აუცილებელია ისეთი კანონების მიღება, რომელიც მნიშვნელოვნად უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობების ეკონომიკურ განვითარებას და მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლებას.** (საკითხის გადადებამ შეიძლება ადგილობრივი თვითმმართველობების სრული პარალიზება გამოიწვიოს, რაც უდიდესი დარტყმა იქნება თავად ცენტრალური ხელისუფლებისთვის, რაც გამოიწვევს ასევე უცხოეთის გარკვეულ წრეებში საქართველოს იმიჯის შელახვას). ადგილობრივი თვითმმართველობების კონკურენტუნარიანობის ამაღლება არის სწორედ საწინდარი მუნიციპალიტეტების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და დასავლეთის განვითარებული ქვეყნების ადგილობრივ თვითმმართველობებთან მიხლოებისა.

ადგილობრივი მუნიციპალიტეტების შემდგომი განვითარება წარმოუდგენელია ცენტრალური ხელისუფლების მხარდაჭერის გარეშე, აღნიშნული მხარდაჭერა უნდა გამომდინარეობდეს ადგილობრივი თვითმმართველობების სპეციფიკიდან და მაქსიმალურად უნდა უზრუნველყოფდეს ადგილობრივი მუნიციპალიტეტების საფინანსო-საბიუჯეტო დამოუკიდებლობის ზრდას, აღნიშნულმა მხარდაჭერამ საბოლოო ჯამში უნდა უზრუნველყოს ადგილებზე ერთ სულ მოსახლეზე საბიუჯეტო შემოსავლების გამოთანაბრება და ცენტრსა და ადგილობრივი თვითმმართველობების უფლებამოსილებათა კომპეტენციების მკვეთრი გამოიჯვანა და არა ისე, როგორც დღესაა, ამჟამად არსებობს გარკვეული ვალდებულებები, რომელიც შედის როგორც ცენტრალური ასევე ადგილობრივი ხელისუფლების კომპეტენციაში, რეალურად კი ასეთ ვალდებულებას ხელისუფლების არცერთი შტო (ცენტრალური და ადგილობრივი) არ ასრულებს.

ადგილობრივი თვითმმართველობების განვითარების ერთ-ერთ ძირითად შემაფერხებელ ფაქტორად შეგვიძლია განვიხილოთ ის, რომ ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ ფაქტიურად არ არის გამოყენებული აღნიშნულ სფეროში თანამედროვე მეცნიერული (მათ შორის რეგიონული ინსტიტუტების და უნივერსიტეტების მკვლევარების ნაშრომები ადგილობრივი თვითმმართველობების განვითარების კუთხით) მიღწევები. სწორედ მეცნიერული მიღწევები და აღმოჩენები წარმოადგენს ქვეყნის მთლიანი ეკონომიკის და მათ შორის ადგილობრივი თვითმმართველობების განვითარების ძირითად ფაქტორს, საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ კი ამჟამად ფაქტიურად უგულვებელყოფილია აღნიშნული მეცნიერული მიდგომები, რაც მათ მუშაობას ქაოტურ ელფერს სძენს და მუშაობის მარგი ქმედების კოეფიციენტს მნიშვნელოვნად ამცირებს. საჭიროა აღნიშნოს, რომ მეცნიერული მიდგომების გამოყენებისას აუცილებელია მხედველობაში იქნეს მიღებული მართმადიდებლური სარწმუნოების საწყისები, ამის შესახებ ამბობდა სწორედ დიდი ილია ჭავ-

ჭავაძე, ის ამბობდა, რომ „საჭიროა გამეცნიერებული სარწმუნოება და გასარწმუნოებელი მეცნიერება“. ადგილობრივი თვითმმართველობების განვითარება ფაქტიურად წარმოუდგენელია ასევე სახელმწიფოს და ეკლესიის მჭიდრო ურთიერთობის გარეშე, აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება ადგილობრივი თვითმმართველობების ფუნქციონირება ეფექტური და შედეგზე ორიენტირებული, თუ თვითმმართველობების გადაწყვეტილებები იქნება მეცნიერულად დასაბუთებული და ქრისტიანულ მართმადიდებლურ პრინციპებით ნასაზრდოები.

მაინც რა უშლის ხელს მუნიციპალიტეტების განვითარებას? მთავარი მაინც ცენტრსა და მუნიციპალიტეტებს შორის არაჰარმონიული დამოკიდებულებაა. ეს ინვესტ ცენტრში დიდძალი კაპიტალის თავმოყრას, რაც ძირითადად გამოიხატება იმაში, რომ „საბიუჯეტო კოდექსის“ შესაბამისად თითქმის ყველა ადგილად ამოღებული გადასახადი (დღგ, აქციზი, მოგების, საშემოსავლო, იმპორტის) გარდა ქონების (მათ შორის მიწისა) გადასახადისა, რომელიც ძალიან მიზეზულია, ირიცხება ცენტრალურ ბიუჯეტში. ეს ინვესტ ადგილებზე ფინანსური სახსრების ქრონიკულ დეფიციტს, რაც ხელს უშლის თვითმმართველობების ეკონომიკურ განვითარებას. **ადგილობრივი თვითმმართველობების ეკონომიკური სტაგნაცია გამოწვეულია ასევე დაუხვეწავი საკანონმდებლო ბაზით, არასრულყოფილი ადგილობრივი ფინანსური რესურსებით და მუნიციპალიტეტებში მცხოვრებ ხალხთან ანგარიშვალდებულების ფაქტიურად არ-არსებობით (რადგანაც თითქმის ყველა მუნიციპალიტეტში ირღვევა „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნები ამომრჩევლებთან ანგარიშვალდებულობის შესახებ) რაც შედეგ ინვესტ სახელმწიფოსა და მოქალაქეებს შორის წინააღმდეგობის წარმოშობას, რომელიც უნდობლობაში გადაიზრდება.**

წლების განმავლობაში ადგილობრივ თვითმმართველობებში ჩატარებულმა კვლევებმა ცხადყო, რომ თითქმის ყველა მთავრობა ად-



გილობრივი თვითმმართველობების მიმართ ყოველთვის დიდ უნდობლობას იჩენდა, გამომდინარე აქედან ცენტრალური ხელისუფლება მაქსიმალურად ცდილობდა არ მიეღო ისეთი კანონები, რომელიც გამოიწვევდა ადგილობრივი თვითმმართველობების ფინანსურ-ეკონომიკური დამოუკიდებლობის გაზრდას, **ეს ძირითად გამოწვეული იყო იმით, რომ ცენტრალურ ხელისუფლებას სურდა ადგილობრივი თვითმმართველობები სრულ დაქვემდებარებაში ჰყოლოდა, რაც მინიმუმამდე დაიყვანდა ადგილობრივი თვითმმართველობების დამოუკიდებლობის ხარისხს და თვითმმართველობების ყოველწლიურ საკანონმდებლო ინიციატივებს ძირშივე მოსპობდა. ცენტრის მხრიდან ასეთი მიდგომები კი მნიშვნელოვნად ლახავდა ადგილობრივი თვითმმართველობების კანონიერ უფლებებს.** (იმედია ცენტრის მხრიდან ასეთი მიდგომები აღარ გაგრძელდება).

ამჟამად მოქმედი საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ბევრი ბუნდოვანებით გამოირჩევა და ვერანაირად ვერ უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას (ხშირ შემთხვევაში აღნიშნული კანონი თვითმმართველობების განვითარების შეფერხებას უწყობს ხელს), მაშინ როცა ადგილობრივი თვითმმართველობის „ვეროპული ქარტიით“ პირდაპირაა განსაზღვრული, რომ ცენტრალური ხელისუფლე-

ბის მიერ მიღებული უნდა იყოს ისეთი კანონები, რომელიც მაქსიმალურად უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობების ფინანსურ და ქონებრივ დამოუკიდებლობას.

იმედისმოცემ მოვლენად შეიძლება მივიჩნიოთ 2013 წლის 1 მარტს საქართველოს მთავრობის №223 განკარგულებით დამტკიცებული სტრატეგია, რომლის სათაურია; „საქართველოს მთავრობის დეცენტრალიზაციისა და თვითმმართველობის განვითარების სტრატეგიის ძირითადი პრინციპები 2013-2014 წლებისათვის“, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ სტრატეგიასთან დაკავშირებით არსებობს გარკვეული კითხვები, ის შეიძლება თამამად მივიჩნიოთ თვითმმართველობების განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან სტრატეგიულ გეგმად. (აღნიშნული სტრატეგიის დადებით და უარყოფით მხარეებზე შემდგომ მოგახსენებთ).

მთავრობის 1 მარტის განკარგულებაში აღნიშნულია, რომ განსახორციელებელი რეფორმის ამოსავალი პრინციპია მოქალაქეების მაქსიმალური გააქტიურება და უშუალო ჩართულობა მართვის პროცესში, საქართველოს მთავრობა დეცენტრალიზაციის პროცესს განიხილავს ქვეყანაში დემოკრატიისა და მისი შესაბამისი ინსტიტუტების დამკვიდრების საკვანძო ასპექტად. პროექტში აღნიშნულია, რომ საჭიროა გაძლიერდეს ადგილობრივი თვითმმართველობები ფუნქციური და მატერიალური თვალსაზრისით,

რაც ადგილობრივი თვითმმართველობების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის განვითარებას უზრუნველყოფს.

პროექტში აღნიშნულია, რომ სრულყოფილი და ეფექტური თვითმმართველობის განსახორციელებლად უნდა მოხდეს;

ა) საზოგადოებრივი თვითმმართველობის ფორმირება თითოეულ დასახლებაში;

ბ) მუნიციპალური თვითმმართველობის ტერიტორიული ოპტიმიზაცია და გაძლიერება;

გ) სამხარეო ხელისუფლებაში თვითმმართველობის ელემენტების დამკვიდრება;

დ) სახელმწიფო ზედამხედველობის ეფექტური მექანიზმების შექმნა;

ე) რეფორმირების პროცესის სამართლებრივი, ტექნიკური და რესურსული უზრუნველყოფა.

ადგილობრივი თვითმმართველობების ფინანსურ-ეკონომიკურ-ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიმართულებით იგეგმება მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები მომავალი (2014 წლის მაისში) ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ჩატარების შემდეგ, რაც მისასაღებელია და ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა.

ზემოაღნიშნულიდან მთავარია შემუშავებულ იქნას ადგილობრივი თვითმმართველობების განვითარების ისეთი სტრატეგია, რომელიც მორგებული იქნება ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ინტერესებზე, მაქსიმალურად შეუწყობს ხელს ცენტრსა და ადგილობრივ თვითმმართველობებს შორის კომპეტენციების მაქსიმალურად გამიჯვნას, უზრუნველყოფს თვითმმართველობების ფინანსურ დამოუკიდებლობას, ადგილობრივი თვითმმართველობების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებას, რაც მთლიანობაში ადგილობრივი თვითმმართველობების სოციალურ-ეკონომიკურ-ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების საწინდარი იქნება.

**ბორის ჭიჭინაძე,**  
ქუთაისის აკაკი  
ნერეთლის სახელობის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის  
დოქტორანტი

# როგორ ავიცილოთ საწარმოს გაკოტრება



გაკოტრება კრიზისული მდგომარეობის უკიდურესი ფორმაა, როდესაც საწარმოს არა აქვს თავისი ვალდებულებების დაფარვისა და საკუთარი შემოსავლების ხარჯზე გადახდისუნარიანობის აღდგენის უნარი.

სპეციალურ ეკონომიკურ ლიტერატურაში გაკოტრების რამდენიმე სახეს გამოყოფენ:

- **საწარმოს რეალური გაკოტრება**, ანუ საწარმოს უუნარობა, აღადგინოს თავისი გადახდისუნარიანობა, საკუთარი და ნასესხები კაპიტალის რეალური დანაკარგების გამო. კაპიტალის დანაკარგების მაღალი დონე, დიდი ოდენობის კრედიტორული დავალიანებები საწარმოს არ აძლევს ნორმალური საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის განხორციელების საშუალებას. ამ შემთხვევაში ხდება საწარმოს ლიკვიდაცია ან რეორგანიზაცია.

- **დროებითი (პირობითი) გაკოტრება**, საწარმოს გადახდისუნარობაა, რომელიც გამოწვეულია კრედიტორული დავალიანებების მნიშვნელოვანი ვადაგადაცილებით, ასევე დიდი ოდენობის დებიტორული დავალიანებებითა და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობებით. ამავე დროს საწარმოს აქტივების ღირებულება აღემატება მისი ვალების ოდენობას.

- **წინასწარ განზრახული გაკოტრება** საწარმოს ხელმძღვანელებისა და მესაკუთრეების მიერ მისი გადახდისუნარობის მდგომარეობის შექმნა მისთვის ეკონომიკური ზიანის მიყენების მიზნით, პირადი ან მესამე პირის ინტერესებისათვის.

- **ფიქტიური (ცრუ) გაკოტრება** - საწარმოს მიერ ცრუ განცხადების გაკეთება მისი გადახდისუნარობის შესახებ კრედიტორებისთვის თვალის ახვევის მიზნით, რათა მიღწეულ იქნეს მათგან ვალების გადახდის გადავადება, ან დათმობების მიღება, ან ბაზარზე მოთხოვნის არმქონე მზა პროდუქციის ან საქონლის გადაცემა ვალის დასაფარავად.

საწარმოს გაკოტრება წარმოიქმნება მრავალი შიდა და გარე ფაქტორის ნეგატიური ზემოქმედების შედეგად.

საწარმო აბსოლუტურად გადამხდელუნარიანად ითვლება მაშინ, როდესაც მისი საკუთარი კაპიტალით სრულად იფარება ვალდებულებები. გარდა ამისა, ზოგჯერ საწარმოს საკუთარი კაპიტალი გააჩნია, მაგრამ ეფექტურად მხოლოდ ნასესხები წყაროებით ფუნქციონირებს. ასეთ შემთხვევაში იგი გადახდისუნარიანი თავისი შემოსავლების წყალობითაა. კრედიტორები კი კმაყოფილდებიან პროდუქციაზე და მომსახურებაზე დადგენილ ვადაში ანგარიშსწორებით.

გაკოტრების მრავალი წინაპირობა არსებობს. მათ შორის გამოყოფენ: **შიდა, ანუ საწარმოზე დამოკიდებულ და გარე, ანუ მისგან დამოუკიდებელ ფაქტორებს.**

**დამოუკიდებელი ფაქტორებია:**

- **ეკონომიკური:** ქვეყნის კრიზისული მდგომარეობა, წარმოების ტემპების ზოგადი ვარდნა, ინფლაცია, ფინანსური სისტემის არასტაბილურობა, რესურსე-

ბზე ფასების ზრდა, ბაზრის კონიუნქტურის ცვლილება, პარტნიორთა გადახდისუნარობა და გაკოტრება, ქვეყნის ფისკალური პოლიტიკა, გადასახადების მაღალი დონე.

- **პოლიტიკური** : საზოგადოების პოლიტიკური არასტაბილურობა, სახელმწიფოს საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკა, ეკონომიკური კავშირების განწყვეტა, გასაღების ბაზრების დაკარგვა, ექსპორტ-იმპორტის პირობების შეცვლა, პოლიტიკური რეჟიმის შეცვლა, არასრულყოფილი კანონმდებლობა სამეურნეო სამართლის სფეროში და ა.შ;

- **საერთაშორისო კონკურენციის გაძლიერება** მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განვითარების შედეგად, სწრაფვა ბაზარზე წილის გაზრდისკენ, ახალი პროდუქციის ათვისება.

- **დემოგრაფიული:** მოსახლეობის შემადგენლობა და რიცხოვნება, მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობა, მოსახლეობის გადახდისუნარიანი მოთხოვნა ამა თუ იმ სახის საქონელსა და მომსახურებაზე

**საწარმოზე დამოკიდებული ფაქტორებია:**

- საკუთარი საბრუნავი სახსრების დეფიციტი;
- წარმოების ორგანიზაციის, ტექნიკის და ტექნოლოგიების დაბალი დონე;

- რესურსების გამოყენების ეფექტიანობის შემცირება, და აქედან გამომდინარე ჰოვითლირებულების ზრდა და ზარალის წარმოშობა და ა.შ;

- მზა პროდუქციის, დაუმთავრებელი წარმოების, საწარმოო მარაგების დიდი და ძნელად სარეალიზაციო ნაშთების არსებობა, რაც დასაქონლიანებას და ბრუნვადობის შენელებას იწვევს.

## კრიზისის თერაპია

- სესხების მოზიდვა არახელსაყრელი პირობებით, რაც ხარჯების ზრდას იწვევს;
- საწარმოს საქმიანობის სწრაფი და არაკონტროლირებადი გაფართოება, რის გამოც იზრდება მარაგები, დანახარჯები, ხოლო დებიტორული დავალიანებები რეალიზაციის მოცულობაზე უფრო სწრაფად იზრდება.
- მართვის ეფექტური სისტემის არარსებობა;
- საწარმოს განვითარების მკვეთრი ფინანსური სტრატეგიის არ არსებობა;

თუ საწარმოს ჰყავს კლიენტები, რომლებიც დაგვიანებით იხდიან, ან ვერ იხდიან გადახდის უუნარობის გამო, მაშინ, აქედან გამომდინარე, საწარმო თვითონაც ვერ იხდის ვალებს, და **ჯაჭვურ გაკოტრებასთან** გვაქვს საქმე.

გაკოტრება, როგორც წესი, შიდა და გარე ფაქტორების ერთობლივი მოქმედების შედეგია.

საწარმოს პოტენციური გაკოტრების შეფასება შესაძლებელია მთელი რიგი რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების საფუძველზე.

**რაოდენობრივ მაჩვენებლებს მიეკუთვნება:** ვალდებულებების სააქციო კაპიტალთან და აქტივებთან თანაფარდობის მაღალი მაჩვენებელი; ფულადი საშუალებების მთელ ვალდებულებებთან თანაფარდობის დაბალი დონე; დაბალი რენტაბელობა; საბრუნავი კაპიტალის აქტივების მთლიან თანხასთან თანაფარდობის დაბალი დონე; მოგების, აქციების ფასის, ობლიგაციების ფასების მკვეთრი შემცირება; მუდმივი დანახარჯების საერთო დანახარჯებთან თანაფარდობის მაღალი მაჩვენებელი.

**ხარისხობრივ მაჩვენებლებს მიეკუთვნება:** ფინანსური ანგარიშგების მომზადების ცუდი სისტემა და ხარჯების კონტროლირების უუნარობა; საწარმოს

გამოუცდებლობა; არაკვალიფიციური მართვა, კომერციული რისკის მაღალი დონე,

თაღლითობები, სავალო და საინჟინო ხელშეკრულებების გადასინჯვა.

იზადება კითხვა: რა ნიშნებით ფასდება საწარმოს გაუარესებული ფინანსური მდგომარეობა და როგორ ვინინასწარმეტყველოთ გაკოტრება?

გაკოტრების ადრეული ნიშნები, რომლებიც ერთდროულად წარმოადგენენ საწარმოს ზოგადი უუნარობის ეკონომიკურ, ფინანსურ, იურიდიულ და ფსიქოლოგიურ ასპექტებს, შეიძლება გაკოტრების კონკრეტულ მიზეზებად იქცნენ.

სპეციალისტები განასხვავებენ გაკოტრების **ფორმალურ** და **არაფორმალურ** ნიშნებს, რომლებიც განიხილებიან კომპლექსურად. შესაძლო გაკოტრების არაფორმალური ნიშნების არსებობისას საწარმოს ხელმძღვანელობისა და ანალიტიკური სტრუქტურების მიერ ხდება საწარმოს ფინანსური მდგომარეობის დეტალური შესწავლა.

გაკოტრების არაფორმალური ნიშნები შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს:

**ნიშნები, რომელთა შეფასება შესაძლებელია და ბალანსში აისახებიან და ნიშნები, რომელთა შეფასება შეუძლებელია.** ასეთია, მაგალითად, ანგარიშგების მომზადების დაბალი დონე და დაგვიანებით წარდგენა. ასეთი სახის დაგვიანებები მიუთითებს ფინანსური სამსახურების არაეფექტურ მუშაობასა და საინფორმაციო

სისტემის ხარვეზებზე, რის შედეგადაც იზრდება არაეფექტური გადაწყვეტილებების მიღების ალბათობა.

ფინანსური მდგომარეობის გაუარესებაზე მიუთითებს მკვეთრი ცვლილება ბალანსის მუხლებში, კერძოდ აქტივებსა და ვალდებულებებში. ნეგატიურ ფაქტს წარმოადგენს ფულადი საშუალებების შემცირება საბანკო ანგარიშებზე.

**საგანგაშო საწარმოს აქტივების შემადგენლობაში დებიტორული დავალია ნებების ხვედრითი წილის ზრდა, ხანდაზმული დებიტორული დავალიანებების არსებობა.** ეს მიუთითებს საწარმოს მიერ მყიდველებთან მიმართებაში არაგონივრული პოლიტიკის გატარებაზე ან თვით მყიდველების მიერ გადახდების დაგვიანებაზე. მეორეს მხრივ, დებიტორული დავალიანებების მკვეთრ შემცირება შეიძლება ადგილი ჰქონდეს მაშინ, როდესაც საწარმო იძულებულია შეამციროს კრედიტით გაყიდვები, ან იმიტომ, რომ საწარმოს კლიენტები სასწრაფო წესით ფარავენ ბოლო ვალდებულებებს, რათა განეციონ საწარმოსთან ურთიერთობა.

მრავალი საწარმოს პრობლემები იწყება კონფლიქტებით საწარმოს ხელმძღვანელობასთან, საწარმოს პერსონალთან, კრედიტორებთან და დებიტორებთან.

არასტაბილური მდგომარეობის მიზეზი შეიძლება გახდეს საწარმოს საქონელსა და მომსახურებაზე არარეალური ფასების დანესება, სიახლეების სარისკო დანერგვა, ახალი ბაზრების ათვისება, საწარმოს მიერ სტრატეგიის მკვეთრი შეცვლა.

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის დიაგნოსტიკის მიზანია სამეურნეო საქმიანობის არსებითი პრობლემების გამოვლენა და მათი წარმოშობის მიზეზების დადგენა.

ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ რაც უფრო ადრე გამოვლინდება საწარმოს გაკოტრებისკენ მიმართული ტენდენცია და რაც უფრო ადრე იქნება მიღებული ზომები საწარმოს გადასარჩენად, მით მეტია საწარმოს კრიზისიდან გამოსვლის ალბათობა. ამიტომ აუცილებელია იმ მაჩვენებელთა შერჩევა, რომელთა საშუალებითაც გაკვეთდება გაკოტრების დიაგნოსტიკა გაკოტრების გამოწვევი მოვლენების განვითარების ადრეულ სტადიაში.

საწარმოთა გაკოტრების პრობლემა საქართველოში არც თუ ისე დიდი ხანია აქტუალურ საკითხს წარმოადგენს, რადგანაც საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბებამდე არსებული სისტემა არ უშვებდა გაკოტრების შესაძლებლობას და შესაბამისად არც მისი დიაგნოსტიკა ხდებოდა.

საწარმოს გაკოტრების შესაძლებლობის დადგენას მრავალი ნაშრომი მიეძღვნა. კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შესწავლის პირველი ცდები ჯერ

კიდევ მე-19 საუკუნეში განხორციელდა. ამ მზნით გამოყენებულ იქნა კრედიტუნარიანობის მაჩვენებელი, ხოლო ფინანსური კოეფიციენტების გამოყენება მე-20 საუკუნიდან დაიწყო.

ფინანსური კოეფიციენტების თანაფარდობის ანალიზი, როგორც გაკოტრების დადგენის მეთოდი, პირველად 1966 წელს გამოიყენა ვ.პ ბივერმა (Beaver). თავის გამოკვლევებში იგი სათითაოდ ადარებდა არაგადახდისუნარიანი საწარმოების მაჩვენებლებს ნორმალურად მომუშავე საწარმოების იგივე კოეფიციენტებთან და

დაადგინა, რომ გაკოტრებამდე ბევრად ადრე, კერძოდ 5 წლით ადრე შეიმჩნევა ნიშნები, რომლებიც გაკოტრების მოახლოების დადგენის საშუალებას იძლევა. ბივერის მოდელი გაკოტრების დასადგენად საჭირო კოეფიციენტების შერჩევისა და მათ საფუძველზე სათანადო დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლეოდა, მაგრამ ვერ ხერხდებოდა ფინანსური კრახის ალბათობის დადგენა, რადგანაც ერთი ან ორი კოეფიციენტის დახმარებით პრობლემის გადაჭრის ცდები ხშირად ყალბ და სანინალმდეგო შედეგებს იძლეოდა.

გარდა ამისა, გაკოტრების რისკის დიაგნოსტიკისთვის და სანარმოს კრედიტუნარიანობის შეფასებისთვის საერთაშორისო პრაქტიკაში გამოიყენება **ე.ალტმანის, ლისის, ტაფლერის ფულმერის, სპრინგეიტისა** და სხვათა მოდელები, რომლებიც შემუშავებულია მრავალგანზომილებიანი ფაქტორული ანალიზისთვის.

გაკოტრების რისკის დიაგნოსტიკისთვის **ე. ალტმანის** მიერ თავდაპირველად შემოთავაზებულ იქნა ორფაქტორიანი მოდელი. მისთვის შეირჩა ორი მაჩვენებელი, რომელზეც, ალტმანის აზრით დამოკიდებულია სანარმოს გაკოტრების ალბათობა. კერძოდ, მიმდინარე ლიკვიდურობისა და ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტები. ამ მოდელს ასეთი სახე ჰქონდა:

$$Z = -0,3877 - 1,0736 * K_1 + 0,0579 * K_2 \text{ სადაც}$$

$K_1$  - მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი;  
 $K_2$  - ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი ამ მოდელის მიხედვით,

1. თუ  $Z=0$ , მაშინ გაკოტრების ალბათობა 50%-ის ტოლია
2. თუ  $Z < 0$ , მაშინ გაკოტრების ალბათობა 50%-ზე ნაკლებია
3. თუ  $Z \geq 0$ , მაშინ გაკოტრების ალბათობა 50%-ზე მეტია და იზრდება Z-ის ზრდასთან ერთად.

მოგვიანებით ფართოდ გავრცელდა **ე.ალტმანის** ხუთფაქტორიანი მოდელი რომელიც წარმოადგენს ლიკვიდურობის, ფინანსური მდგრადობის, რენტაბელობის, საკუთარი კაპიტალის დაფარვის მაჩვენებლების მიხედვით შედგენილ ფუნქციას, ახასიათებს სანარმოს ეკონომიკურ პოტენციალს და გასულ პერიოდში მისი საქმიანობის შედეგებს. ზოგადად კრედიტუნარიანობის ინდექსს აქვს შემდეგი სახე:

$$Z = 3.3 * K_1 + 1.0 * K_2 + 0.6 * K_3 + 1.4 * K_4 + 1.2 * K_5$$

სადაც,

- $K_1$  - პროცენტების და გადასახადების გადახდამდე მოგების თანაფარდობა აქტივების ჯამთან;
- $K_2$  - რეალიზაციიდან მიღებული მოგების თანაფარდობა აქტივების ჯამთან;
- $K_3$  - საკუთარი და მოზიდული კაპიტალის თანაფარდობა;
- $K_4$  - რეინვესტირებული მოგებისა და აქტივების ჯამის თანაფარდობა;
- $K_5$  - საბრუნავი სახსრებისა და აქტივების ჯამის თანაფარდობა.

აღნიშნული ინდექსის კრიტიკული მნიშვნელობა ალტმანის მიერ გაანგარიშებულ იქნა სტატისტიკური შერჩევის საფუძველზე და შეადგინა 2,675. კონკრეტული სანარმოს კრედიტუნარიანობის შეფასებისას გაანგარიშებული აღნიშნული მაჩვენებელი უნდა შეუდარდეს

ზემოაღნიშნულ მნიშვნელობას.

ინდექსის მნიშვნელობიდან გამომდინარე შესაძლებელია გაკოტრების შესახებ შემდეგი პროგნოზების გაკეთება:

კრედიტუნარიანობის მაჩვენებელი	გაკოტრების რისკი
$Z < 1,81$	გაკოტრების მაღალი რისკი
$1,81 \leq Z \leq 2,675$	გაკოტრების საშუალო რისკი
$2,675 \leq Z \leq 2,9$	გაკოტრების მცირე რისკი
$Z \geq 3$	გაკოტრების ძალიან მცირე რისკი

კრედიტუნარიანობის ინდექსი სრულყოფილი მაჩვენებელია, თუ მას იყენებს კომპანია, რომლის აქციები კოტირებულია საფონდობირჟებზე. ამავე დროს, დაყრდნობა ერთ მაჩვენებელზე, რომელიც ძალიან მიმზიდველია თეორიის თვალსაზრისით, ყოველთვის არ არის გამართლებული პრაქტიკაში. ამიტომ დიაგნოსტიკისათვის მიზანშეწონილია კრიტერიუმების სისტემის გამოყენება. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ უკანასკნელს თავისი ნაკლოვანებებიც გააჩნია. კერძოდ ბევრად უფრო ადვილია გადაწყვეტილების მიღება ერთი კრიტერიუმის პირობებში, ვიდრე მრავალი კრიტერიუმის გამოყენებისას. ამავე დროს მსგავსი საპროგნოზო გადაწყვეტილება კრიტერიუმების რიცხვის მიუხედავად სუბიექტურია, ხოლო გაანგარიშებულ მაჩვენებლებს გააჩნიათ განსჯისათვის ინფორმაციის ხასიათი.

მე-20 საუკუნის 80-იანი წლებიდან პოპულარული გახდა ლოგიკური რეგრესიის მეთოდი (**logit**) და დისკრიმინანტული ანალიზი. ამ მეთოდების გამოყენებამ შესაძლებელი გახადა პასუხების გაცემა ისეთ კითხვებზე, რომელთა წინაშე ტრადიციული მეთოდები უძლური იყო. კერძოდ,

- რომელი ფინანსური კოეფიციენტებია უფრო მნიშვნელოვანი სანარმოს გაკოტრების დადგენის პროცესში?
- როგორი პროპორციებით უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში მოცემული კოეფიციენტები?
- რომელი მეთოდებით შეიძლება გამოვლინდეს მოცემული კოეფიციენტები და მათი თანაფარდობა ერთმანეთთან?

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამ კითხვებზე ავტორებს განსხვავებული პასუხები გააჩნიათ. ამის მიზეზია ის, რომ ამ ავტორთა გამოკვლევები სხვადასხვა დროს, განსხვავებულ საბაზრო გარემოში, სანარმოთა განსხვავებული არჩევანისა და სხვადასხვა მეთოდების პირობებში ხდებოდა. ლოგიკური რეგრესიის მეთოდებიდან აღსანიშნავია **ფულმერის მოდელი**. ეს მოდელი შექმნილი იყო 60 სანარმოს მაგალითზე, რომელთაგან 30 ნორმალურად საქმიანობდა, ხოლო 30 გაკოტრდა. მოდელის სანყისი ვარიანტი მოიცავდა 40 სხვადასხვა კოეფიციენტს, მაგრამ საბოლოოდ ავტორი შეჩერდა 9 კოეფიციენტზე.



$$H=5,528X_1+0,212X_2+0,073X_3+1,270X_4-0,120X_5+2,335X_6+0,575X_7+1,083X_8+0,894X_9-3,075$$

ამ მოდელის კომპონენტებია: გასული წლების განწინააღმდეგელები მოგებისა და ბალანსის ვალუტის თანაფარდობა, რეალიზაციიდან მიღებული მოგებისა და ბალანსის ვალუტის თანაფარდობა, დაბეგვრამდე მოგებისა და საკუთარი კაპიტალის თანაფარდობა, ფულის ნაკადისა (მოგება დაბეგვრის შემდეგ + ამორტიზაცია) და ვალდებულებების თანაფარდობა, გრძელვადიანი ვალდებულებებისა და ბალანსის ვალუტის თანაფარდობა, მოკლევადიანი ვალდებულებებისა და ბალანსის ვალუტის თანაფარდობა, Log მატერიალური აქტივები, საბრუნავი კაპიტალისა და ვალდებულებების თანაფარდობა და Log დაბეგვრამდე მოგებისა და გადასახდელი პროცენტების ჯამის გადასახდელ პროცენტებთან თანაფარდობა.

ამ მოდელით გაკეთებული პროგნოზის სიზუსტე ერთი წლით ადრე-98%, ორი წლით ადრე 81%.ს შეადგენს.

1978 წელს სიმონ ფრეიზერის უნივერსიტეტში ე. ალტმანის მოდელის საფუძველზე შეიქმნა გორდონ ლ. ვ. Bსპრინგეიტის მოდელი. მისი შექმნისას გამოყენებული, საუკეთესოდ მიჩნეული 19 ფინანსური კოეფიციენტიდან საბოლოო ვარიანტში დატოვებულია მხოლოდ 4 კოეფიციენტი და ასეთი სახისაა:

$$Z=1,03X_1+3,07X_2+0,66X_3+0,4X_4$$

მოდელის კომპონენტებია: **საბრუნავი კაპიტალისა და ბალანსის ვალუტის თანაფარდობა, დაბეგვრამდე მოგებისა და გადასახდელი პროცენტების ბალანსის ვალუტასთან თანაფარდობა, დაბეგვრამდე მოგებისა და ბალანსის ვალუტის თანაფარდობა, დაბეგვრამდე მოგებისა და მოკლევადიანი ვალდებულებების თანაფარდობა, რეალიზაციიდან ამონაგებისა და ბალანსის ვალუტის თანაფარდობა.**

ამ მოდელის მიხედვით, თუ  $Z < 0,862$ , სანარმო გარდაუვალი კრახის წინაშეა. მოდელის შექმნისას

სპრინგეიტმა გამოიყენა 40 სანარმოს მონაცემები და ფინანსური კრახის პროგნოზირებამ რომელიც შესრულებულია ერთი წლით ადრე, შეადგინა 92,5%-იანი სიზუსტე.

არსებობს გაკოტრების რისკის თავიდან აცილების სხვა მოდელებიც, თუმცა განხილული მოდელები შეიძლება გამოვიყენოთ, როგორც ანალიზის დამხმარე ინსტრუმენტი. მათ შედეგებზე სრულად დაყრდნობა გონივრული არაა. უცხოური პრაქტიკის ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში მექანიკურმა გადმოტანამ შეიძლება გამოიწვიოს გაკოტრების დიაგნოსტიკის მნიშვნელოვანი განსხვავება რეალურისაგან. ვერცერთი მოდელი და მათ შორის ყველაზე გავრცელებული ალტმანის მოდელიც ვერ უზრუნველყოფენ გაკოტრების ალბათობის ანალიზის სათანადო სიზუსტეს. ამიტომ, საჭიროა მათი შედარება სანარმოს ფინანსური მდგომარეობის სხვა მაჩვენებლებთან (ბალანსის ლიკვიდურობის, ლიკვიდურობის კოეფიციენტების, გადახდისუნარიანობის აღდგენის, ფინანსური მდგრადობის, საბრუნავი აქტივებით უზრუნველყოფის, ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტებთან) და აშკარა, მნიშვნელოვანი განსხვავების არარსებობისას ე. ალტმანის ან სხვა ზემოთ განხილული მოდელები ჩათვალოს მოცემული სიტუაციისათვის მისაღებად.

ჩვენ შევეცადეთ კრედიტუნარიანობის მაჩვენებელი გაგვეანგარიშებინა ალტმანის მოდელის მიხედვით და გაგვეკეთებინა გაკოტრების პროგნოზირება ჩვენი საანალიზო სანარმოს ს.ს. "A რამდენიმე წლის მონაცემების საფუძველზე (იხ. ცხრილი № 1) და შეგვედარებინა ფინანსური მდგომარეობის ანალიზის მეთოდით შემოთავაზებულ მაჩვენებლებთან. ანალიზის შედეგები მიუთითებს იმაზე, რომ 2006 წელს ს.ს. "A" კრედიტუნარიანობის მაჩვენებელი 3-ზე მეტია, რაც გაკოტრების ძალზე მცირე რისკის არსებობაზე მიუთითებს, 2007 წელს ეს მაჩვენებელი თავსდება დიაპაზონში  $1,81 \leq Z \leq 2,675$ , 2008 წელს კი - კრიტიკულზე დაბალია და 0,611

ცხრილი 1. სს "A" ლიკვიდურობის მაჩვენებელთა ანალიზი

№	მაჩვენებლები	2006 წ. 31 დეკემბ.	2007 წ. 31 დეკემბ.	2008 წ. 31 დეკემბ.	2009 წ. 31 დეკემბ.	2010 წ. 31 დეკემბ.	ცვლილება			
							2007	2008	2009	2010
1	ფულადი საშუალებები (ათასი ლარი)	33,733	67,16	196,834	3,142	87,122	33,43	129,67	- 193,69	83,98
2	სწრაფად რეალიზებადი აქტივები - დებიტორული დაფაქციანებები (ათასი ლარი)	3119,632	9076,826	6382,693	11410,887	4839,536	5957,19	-2694,13	5 028,19	4 839,54
3	ნელა რეალიზებადი აქტივები - მარაგები (ათასი ლარი)	10113,934	9543,638	4492,775	2291,732	1694,791	-570,30	-5 050,86	- 2 201,04	- 596,94
4	ნაკლებად რეალიზებადი აქტივები - გრძელვადიანი აქტივები (ათასი ლარი)	6843,459	7101,701	6433,26	5940,654	4742,675	258,24	- 668,44	- 492,61	- 1 197,98
5	სასწრაფო ვალდებულებები (ათასი ლარი)	4214,61	6141,765	4343,12	8814,766	2196,318	1927,16	- 1 798,65	4 471,65	- 6 618,45
6	მოკლევადიანი ვალდებულებები (ათასი ლარი)	7749,701	6174,702	6432,277	16235,88	10330,366	-1575,00	257,58	9 803,60	- 5 905,51
7	გრძელვადიანი ვალდებულებები (ათასი ლარი)	0	7061,171	6468,41	0	0	7061,17	592,76	- 6 468,41	-
8	საკუთარი კაპიტალი (ათასი ლარი)	12361,057	12553,452	4598,875	3410,535	1033,758	192,39	- 7 954,58	- 1 188,34	- 2 376,78
9	საკუთარ საბრუნავ საშუალებათა ოდენობა (ათასი ლარი)	5517,598	12512,912	4640,025	-2530,119	-3708,917	6995,31	- 7 872,89	- 7 170,14	- 1 178,80
10	აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი	0,004	0,011	0,031	0,0002	0,008	0,01	0,02	- 0,03	0,01
11	მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი	1,71	3,02	1,72	0,84	0,64	1,31	-1,3	- 0,88	- 0,20
12	სასწრაფო ლიკვიდურობის კოეფიციენტი	0,41	1,48	1,02	0,7	0,48	1,07	- 0,46	- 0,32	- 0,22
13	პერსპექტიული ლიკვიდურობის მაჩვენებელი	0	1,28	0,99	0	0	1,28	-	- 0,99	-

**ცხრილი 2. ს.ს „A“-ის ფინანსური კოეფიციენტები**

№	მაჩვენებლები	2006 წ. 31 დეკემბ.	2007 წ. 31 დეკემბ.	2008 წ. 31 დეკემბ.	2009 წ. 31 დეკემბ.	2010 წ. 31 დეკემბ.	ცვლილება			
							2007	2008	2009	2010
1	აქტივები (ათასი ლარი)	20110,758	25789,325	17505,562	19646,415	11364,124	5678,567	-8283,763	2140,853	-8282,29
2	გრძელვადიანი აქტივები (ათასი ლარი)	6843,459	7101,701	6433,26	5940,654	4742,675	258,242	-668,441	-492,606	-1197,98
3	მიმდინარე აქტივები (ათასი ლარი)	13267,299	18687,624	11072,302	13705,761	6621,449	5420,325	-7615,322	2633,459	-7084,31
4	საკუთარი კაპიტალი (ათასი ლარი)	12361,057	12553,452	4598,875	3410,535	1033,758	192,395	-7954,577	-1188,34	-2376,78
5	გრძელვადიანი ვალდებულებები (ათასი ლარი)	0	7061,171	6468,41	0	0	7061,171	-592,761	-6468,41	0
6	მიმდინარე ვალდებულებები (ათასი ლარი)	7749,701	6174,702	6438,277	16235,88	10330,366	-1574,999	263,575	9797,603	-5905,51
7	საკუთარი საბრუნავი სახსრები (ათასი ლარი)	5517,607	12512,912	4640,025	-2530,119	-3708,917	6995,305	-7878,887	-7170,14	-1178,8
8	საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი (4:1)	0,614	0,487	0,263	0,174	0,09	-0,128	-0,224	-0,089	-0,084
9	ნასესხები სახსრების კონცენტრაციის კოეფიციენტი (5+6:1)	0,385	0,513	0,737	0,826	0,909	0,128	0,224	0,089	0,083
10	სახსრების მობილურობის კოეფიციენტი (3:2)	1,939	2,631	1,721	2,307	1,396	0,692	-0,91	0,586	-0,911
11	საკუთარი და ნასესხები სახსრების თანაფარდობის კოეფიციენტი(4/5+6/)	1,595	0,948	0,356	0,21	0,1	-0,647	-0,592	-0,146	-0,11
12	ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტი (5/4+5)	0	0,36	0,584	0	0	0,36	0,224	-0,584	0
13	საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფის კოეფიციენტი(7/3)	0,415	0,669	0,339	-0,184	-0,560	0,254	-0,33	-0,523	-0,376
14	ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი: 1 /4:	1,63	2,054	3,608	5,761	10,993	0,427	1,752	2,153	5,232
15	საკუთარი კაპიტალის მანევრირების კოეფიციენტი (7 : 4)	0,446	0,996	1,007	-0,742	-3,587	0,55	0,011	-1,749	-2,845
16	სახსრების მანევრირების კოეფიციენტი (3 – 6):3	0,415	0,669	0,419	-0,184	-0,56	0,254	-0,25	-0,603	-0,376
16	გრძელვადიან დაბანდებათა (5/2)სტრუქტურის კოეფიციენტი	----	0,994	1,005	0	0	0,994	0,011	-1,005	0

-ს შეადგენს. იგი თავსდება დიაპაზონში  $z < 1,81$  ალტმანის მოდელის მიხედვით ასეთ შემთხვევაში საწარმოს გაკოტრების მაღალი რისკი არსებობს. 2009 წელსაც საწარმო გაკოტრების მაღალი რისკით ხასიათდება ( $0,307 < 1,81$ ) და 2010 წელს ეს მაჩვენებელი გაკოტრების უკიდურესად მაღალ რისკზე მიუთითებს ( $-1,012 < 1,81$ ). ანალიზის შედეგები მიუთითებს იმაზე, რომ 2006 წელს ს.ს. "A" კრედიტუნარიანობის მაჩვენებელი 3-ზე მეტია, რაც გაკოტრების ძალზე მცირე რისკის არსებობაზე მიუთითებს, 2007 წელს ეს მაჩვენებელი თავსდება დიაპაზონში  $1,81 \leq Z \leq 2,675$ , 2008 წელს კი - კრიტიკულზე დაბალია და 0,611 -ს შეადგენს. იგი თავსდება დიაპაზონში

$z < 1,81$  ალტმანის მოდელის მიხედვით ასეთ შემთხვევაში საწარმოს გაკოტრების მაღალი რისკი არსებობს. 2009 წელსაც საწარმო გაკოტრების მაღალი რისკით ხასიათდება ( $0,307 < 1,81$ ) და 2010 წელს ეს მაჩვენებელი გაკოტრების უკიდურესად მაღალ რისკზე მიუთითებს ( $-1,012 < 1,81$ ).

**ანა ჩეჩელაშვილი**

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის აღრიცხვის, ანალიზისა და აუდიტის კათედრის დოქტორანტი

# ИНТЕРНЕТ-СМИ: ПОДХОДЫ И ПРИНЦИПЫ РЕГУЛИРОВАНИЯ ДЕЯТЕЛЬНОСТИ В МЕЖДУНАРОДНЫХ И ВНУТРИГОСУДАРСТВЕННЫХ НОРМАТИВНО-ПРАВОВЫХ АКТАХ

**КОНАХ ВИКТОРИЯ КОНСТАНТИНОВНА,**  
к.полит.н.,  
главный консультант  
Национального института стратегических исследований при Президенте Украины

До недавнего времени Интернет не мог рассматриваться в качестве общедоступного средства массовой информации наравне с традиционными радио, телевидением и печатными СМИ. Однако, во всем мире сейчас наблюдается тенденция падения тиражей ежедневных печатных СМИ и роста популярности Интернет-СМИ, что связано с очевидными преимуществами этих изданий по сравнению с традиционными, в частности: трансграничностью, высокой скоростью и оперативностью подачи информации, отсутствием «дедлайна», интерактивностью, отсутствием цензуры и т.д. Однако, наряду с позитивными последствиями развития Интернет-СМИ глобальная компьютерная сеть формирует ряд новейших вызовов и угроз, среди которых: распространение конфиденциальной информации государств; случаи пропаганды насилия, жестокости, расовой, религиозной вражды, неофашизма, порнографии; нарушение авторских прав; манипулирование общественным сознанием и т.п. Вышеназванные и другие проблемы обуславливают необходимость нормативно-правового регулирования деятельности Интернет-СМИ как на международном, так и внутригосударственном уровнях, а также потребность в дальнейшем изучении проблемы.

**Целью данной статьи** является анализ действующих международных и национальных нормативно-правовых актов в сфере СМИ, для определения в них статуса Интернет-СМИ и основных тенденций по регулированию их деятельности.

Анализ современных междуна-

родных правовых норм и рекомендаций, относящихся к деятельности Интернет-СМИ, позволяет констатировать, что они прежде всего основываются на принципах стимулирования саморегуляции их деятельности и минимизации государственного контроля и ограничений на распространении информации в Интернете, невозможности установления ограничений для контента в Интернете, больших, чем ограничения для других медиа. В частности, на этом сосредоточено ряд документов, принятых Советом Европы - Резолюция № 1120 «О влиянии новых коммуникативных и информационных технологий на демократию» (1997 г.), «Декларация о Европейской политике в области новых информационных технологий» (1999 г.), «Декларация о свободе коммуникаций в Интернете» (2003 г.), «Декларации о правах человека в сети Интернет» (2005 г.).

Так, в Резолюции № 1120 «О влиянии новых коммуникативных и информационных технологий на демократию» подчеркивается позитивная роль развития новых технологий и отмечается целесообразность поиска способов «избежания таких рисков, как уменьшение политического выбора, манипуляции с сознанием, коммерциализация и фрагментация политических сообщений, избыточное количество общественных опросов, маргинализация парламентских процедур, социальная дискриминация, контроль за гражданами и тенденция к немедленной, однако девальвированной форме демократии» (ст. 3)[1] и т.п.

В «Декларации о Европейской политике в области новых информа-

ционных технологий» признаются современные возможности информационных технологий по повышению открытости и транспарентности обмена информацией, укрепления демократической стабильности, а также – потенциальные вызовы и угрозы от использования этих технологий, как для отдельных лиц, так и для демократического общества в целом. Также в декларации делается акцент на необходимости государствам-членам СЕ способствовать созданию условий для максимального широкого доступа к новым информационным и коммуникационным услугам, обеспечению беспрепятственного доступа к использованию новых информационных технологий, содействию свободному обмену информацией; обеспечению уважения прав человека, в частности свободы слова[2].

«Декларация о свободе коммуникаций в Интернете» устанавливает важнейшие условия его использования в странах Европы, среди которых [3]: невозможность установления ограничений для контента в Интернете, больших, чем ограничения для других медиа; поощрение по саморегулированию контента в Интернете; невозможность запрета доступа (блокировки или фильтрации) к ресурсам в Интернете, независимо от границ (за исключением ограничений для детей и ограничений, установленных законными решениями компетентных государственных органов); невозможность лицензирования или других ограничений при создании веб-сайтов; поощрение свободного рынка Интернет-услуг, невозможность установления для Интернет

сервис-провайдеров специальных разрешительных ограничений или ограничений их доступа к телекоммуникационным сетям; невозможность наложения на Интернет сервис-провайдеров ответственности за контент и обязательств по мониторингу контента, к которому они предоставляют доступ, передают или хранят; сохранение анонимности пользователей Интернета, при наличии прав компетентных государственных органов отслеживать обвиняемых в уголовных преступлениях.

В «Декларации о правах человека в сети Интернет» говорится, что новейшие ИКТ создают множество вызовов, в частности такие как государственная и частная цензура, именно поэтому «свобода мысли, информации и общения должна соблюдаться как в цифровой, так и нецифровой среде и не должна подпадать под другие ограничения, кроме тех, которые установлены статьей 10 Европейской конвенции по правам человека, только на основании того, что общение осуществляется в цифровом формате[4]».

В то же время, в международных правовых нормах значительное внимание уделяется противодействию распространению противозаконного контента в сети Интернет. В частности, в принятом Европейским Союзом «Плане мероприятий по обеспечению безопасного пользования Интернетом» (от 01 января 1998 года) предоставляется толкование понятий «материалы противозаконного содержания» и «материалы предосудительного содержания». Под материалами противозаконного содержания понимаются относящиеся: к национальной безопасности (инструкции по изготовлению взрывных устройств, по незаконному производству наркотиков, инструкции по проведению террористических акций); к защите несовершеннолетних (оскорбительные формы маркетинга, сцены насилия, порнография); к защите человеческого достоинства (подстрекательства к расовой ненависти или расовой дискриминации); к экономической безопасности (мошенничество, инструкции по пиратскому использованию кредитных карточек);

დიდი მნიშვნელობა აქვს პროცესების ფსიქოლოგიურ თავისებურებებსაც, რადგან კონფლიქტური სიტუაციები და კომუნიკაციის ნეგატიური, დესტრუქციული ფორმები, ზოგჯერ მიზანმიმართულად გამოიყენება გამომდინარე იქიდან, თუ რა მიზნებს ისახავს კონფლიქტური სიტუაციის მონაწილე სუბიექტები.

კონსტრუქციული ურთიერთობების ფორმების განხილვისას ჩვენ

ამოვდივართ მოცემულობიდან, რომ პრობლემური სიტუაციის მონაწილეები მათ მოგვარებას ესწრაფვიან და არა გაღრმავებას.

**1. ისაუბრეთ პარტნიორის ენაზე** – ურთიერთობის სუბიექტებს უნდა ესმოდეთ ერთმანეთის ენა. ამ უკანასკნელს მნიშვნელოვანი როლი აქვს არა მარტო ურთიერთობისთვის, არამედ მეორე ადამიანისთვის აღქმის პროცესის გასაიოლებლად. შესაძლებელია ბევრი პროფესიული ტერმინოლოგია გამოვიყენოთ, მაგრამ მიზანი, გავაგებინოთ პარტნიორს, რაზე ვსაუბრობთ, მიუღწეველი დარჩეს. ხშირად, სახელმძღვანელოებში გამოყენებული ენა მოსწავლეებისთვის გაუგებარია, რაც მათ დამატებით პრობლემებს უქმნით.

**2. გამოვხატოთ პარტნიორისადმი პატივისცემა, ხაზი გავუსვათ მის მნიშვნელობას.** აქ შეგვიძლია მასლოუს მოთხოვნილებების კონცეფცია გავიხსენოთ.

**მასლოუ** დაფასების მოთხოვნილებას ორ ტიპად ჰყოფს: თვითდაფასება და სხვების მიერ დაფასება. პირველში კომპეტენტურობა, თავდაჯერებულობა, დამოუკიდებლობა და თავისუფლება მოიაზრება. ადამიანმა უნდა იცოდეს, რომ ღირსეული პიროვნებაა, შეუძლია ცხოვრებისეულ ამოცანებთან და მოთხოვნებთან გამკლავება. სხვების მიერ დაფასება საკუთარ თავში ისეთ ცნებებს მოიცავს, როგორიცაა: **პრესტიჟი, აღიარება, რეპუტაცია, სტატუსი, დაფასება და მიღება.** ადამიანმა უნდა იცოდეს, რომ იმას, რასაც აკეთებს აღიარებული და დაფასებულია. ამ მოთხოვნილებების დაკმაყოფილება მასში თავდაჯერებულობას, ღირსების შეგრძნებას აღძრავს და აჩვენებს, რომ პარტნიორისთვის სასარგებლო და აუცილებელია.

მაგალითისთვის, შეიძლება ასეთი ფრაზა მოვიყვანოთ - **„გადავწყვიტე თქვენთვის მომემართა, რადგან ამ საკითხის გადაჭრისას თქვენი პროფესიული გამოცდილება ძალზე მნიშვნელოვანი იქნება...“**

ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს ხაზი გაესვას, როგორ მოვემზადეთ ამ შეხვედრისთვის (წინასწარი სამუშაო ჩანაწერები, მონიშნული საკითხები, რომლებიც საჭიროებს განხილვას და ა.შ.). აქვე გასათვალისწინებელია ბოლომდე აუხსნელი ფსიქოლოგიური მოვლენა – რამდენად გულწრფელები ვიქნებით ამ დროს. ჯერ კიდევ

აუხსნელი მექანიზმებით ადამიანები ხშირად ხვდებიან პარტნიორისადმი ასეთი მიდგომა გულწრფელია თუ მხოლოდ ფორმალურია. აქ შეიძლება საინტერესო ფრაზა რელიგიიდანაც გავისხენოთ - „გული გულს გრძნობს“.

**3. ერთობის დემონსტრაცია** – ფართო გაგებით. მაგალითისთვის შეიძლება შემდეგი ფრაზები გამოვიყენოთ - „როგორ ვგავართ ერთმანეთს ამ საკითხში... ჩვენ ამ პრობლემას ერთნაირად ვუყურებთ... საერთო პრობლემები გვაქვს... მესმის თქვენი, ხშირად მეც ასევე ვგრძნობ თავს...“

როდესაც აქცენტს განსხვავებებზე ვაკეთებთ, სრულიად სანინააღმდეგო ეფექტს ვიღებთ. ხშირად ეს შეიძლება გაუაზრებლად გამოვივიდეს. მაგალითად: „მე გამოცდილი პედაგოგი ვარ და თქვენ მასწავლით, ბავშვებს როგორ უნდა ვასწავლო?...“, „თქვენ გყავთ შვილები? თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ ეს რას ნიშნავს...“. ასეთი დამოკიდებულება პარტნიორებს შორის გადაულახავ ზღუდეს წარმოშობს, რაც კიდევ უფრო რთულს ხდის პრობლემის გადაჭრას.

ერთობის დემონსტრაციაზე საუბრისას საინტერესო იქნება **რედიარდ კიპლინგის** ცნობილი ზღაპარი „მაუგლი“ გავისხენოთ, სადაც ჯუნგლებში გადარჩენის ძირითადი კანონი მთავარი გმირისთვის შემდეგ სიტყვებში გამოიხატა - **„მე და შენ ერთი სისხლისა ვართ“**. ასე მიმართავს ცხოველებს პატარა მაუგლი, როცა მათ დახმარება უნდა სთხოვოს. ამით ხაზს უსვამს ერთობაზე, რომელიც ადამიანებს შორის არსებობს.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ასევე გვინდა შევეხებოთ სოციალური ფსიქოლოგიის ფენომენს, რომელიც კონფლიქტური სიტუაციების გაღრმავებას იწვევს: შიდა ფავორიტიზმი ან დისკრიმინაცია – გარკვეული ჯგუფის წევრები, რომლებიც გუნდის ზოგიერთ წარმომადგენელს თავისიანებად მოიაზრებენ, მათ ე.წ. ფსიქოლოგიურ პროტექციას უწევენ. თუ არსებობს არჩევანი ვის დაეხმარონ, ისინი თავისიანებს ირჩევენ. იგივე ვლინდება საქციელის ინტერპრეტირებისას – ერთი და იმავე საქციელზე „თავისიანის“ ქმედება არ იწვევს გაკიცხვას ან შეუშინებელი რჩება. ამავე დროს, „უცხოის“ საქციელი ხმამაღალი გარჩევის საგანი ხდება ხოლმე. სამწუხაროდ, ასეთი

მოვლენები ხშირია როგორც სკოლების პედაგოგიურ კოლექტივებში, ასევე საკლასო ოთახებში მოსწავლეებთან მიმართებაში.

**პარტნიორის პრობლემებით დაინტერესება** – გამოხატეთ მისი პრობლემებისადმი თანაგრძნობა. სთხოვეთ, თუ სურვილი აქვს მათ შესახებ მოგიხსროთ. ეცადეთ, გაერკვეთ მისი წარმოშობის მიზეზებში. სამწუხაროდ, ხშირად თავად ვართ იმდენად დამძიმებული საკუთარი პრობლემებით, რომ არანერვნი ვახერხებთ გამოვანახოთ დრო სხვების დასახმარებლად. ასეთი სიტუაციების გადაჭრისას კი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სხვებისადმი გაგება და ემპათიაა.

**4. შემდგომში ჩვენ განვიხილავთ** რამდენიმე ნაბიჯს, თუ როგორ შეიძლება განვმუხტოთ დაძაბულობა, რომელიც პარტნიორებს შორის პრობლემური სიტუაციების განხილვისას არსებობს. დაძაბულობა უშუალო ურთიერთობის პროცესში წარმოიშობა ხოლმე ან უკვე შეხვედრამდე არსებობს.

– პარტნიორს მიეცით საშუალება თავისი შეხედულებები გამოთქვას. არ არის აუცილებელი ადამიანს ყველაფერი შეუსრულოთ, რომელთანაც კონფლიქტურ ურთიერთობაში ხართ, ზოგჯერ საკმარისია, მას საშუალება მიეცეს, თქვენი თანდასწრებით საკუთარი მოსაზრებები გამოთქვას. ცუდია, როდესაც სათქმელს განყვეტინებენ ან არ გისმენენ;

– ემოციური მდგომარეობის ვერბალიზაცია – ამ ტექნოლოგიის ორი ვარიანტი არსებობს: **1. საკუთარი ემოციური მდგომარეობის ვერბალიზაცია; 2. პარტნიორის ემოციური მდგომარეობის ვერბალიზაცია**; მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ ფრაზები: **„თქვენ არ იცით როგორ მენყინა, როცა ეს გავიგე...“ ან „მე ხომ ვხედავ, თქვენ რა დღეში ხართ...“**. ეს ადამიანების შინაგან ემოციურ განმუხტვას იწვევს. მეორე მხრივ, საშუალება გეძლევათ პარტნიორი მიახვედროთ, თუ რა ემოციას იწვევს თქვენში მისი მოსაზრებები. თუმცა, ამას შენიშვნის ფორმით არაკეთებთ, რაც მსმენელისთვის მიუღებელია ხოლმე.

– ყოველთვის მიანოდეთ პარტნიორს კონკრეტული გამოსავალი. საუბრის დროს გამოუვალი მდგომარეობის განცდა არ უნდა შეიქმნათ. შეეცადეთ გამოსავლის თქვენეულ

ვარიანტში რაღაცა ფორმით პარტნიორის რომელიმე მოსაზრება გაითვალისწინოთ;

– საუბრისას ყოველთვის ისაუბრეთ როგორც თანასწორებმა. – როდესაც ადამიანი გრძნობს, რომ „ზემოდან“ უყურებენ, მას სურვილიც კი არ უჩნდება ურთიერთგაგების საფუძველზე კონფლიქტის გადაწყვეტის. ამ დროს ის დაკავებულია საკუთარი „მე“-ს დაცვით, ზოგჯერ მისთვის სასურველი შედეგის ხარჯზეც კი.

– აქტიური მოსმენა – ამ დროს, საუბარში საკუთარი დაინტერესებულობის წარმოჩენა ხდება. მნიშვნელოვანია, პარტნიორმა დაინახოს, რომ მას არა მარტო მოუსმინეს, არამედ გაუგეს კიდევაც.

**1. საუბრის დროს პერიოდულად მსმენელისადმი ყურადღებას შემდეგი ფორმით გამოვხატავთ: „დიახ, ... დიახ...“, „მესმის...“, „გასაგებია, გასაგებია...“**. ეს არ ნიშნავს, რომ პარტნიორის პოზიციას ვეთანხმებით ან ვატყუებთ. ჩვენ ვახდენთ დემონსტრირებას, რომ ყურადღებით ვუსმენთ.

**2. უფრო მაღალი დონის აქტიური მოსმენის ფორმაა პერიოდულად, საუბრის პროცესში პარტნიორის სიტყვების პერიფრაზი ან რეზუმირება. მაგალითად: „როგორც გავიგე, თქვენ ამტკიცებთ, რომ...“ ან „მაშასადამე, თქვენი პოზიცია გამოიხატება იმაში, რომ...“**. მნიშვნელოვანია, თუ პარტნიორი მიხვდება, რომ თქვენ გაიცემთ მისი საუბრის ნამდვილი შინაარსი, ის კვლავ საკითხის ახსნას დაუბრუნდება.

შეიძლება, ასევე დაისვას კონკრეტული კითხვები, რომლითაც ცდილობთ, დააზუსტოთ, რამდენად სწორად გესმით საუბრის შინაარსი. მაგალითად: „როგორც მესმის, თქვენ ამას ამტკიცებთ?“ ან „სწორად გავიგე, რომ ...?“

კიდევ უფრო მაღალი დონის აქტიური მოსმენის ფორმაა პარტნიორის მიერ გამოთქმული მოსაზრებების საფუძველზე მათი განვითარება და ახლის შეთავაზება – მაგალითად: **„გამომდინარე იქიდან, რაც თქვენ თქვით შეიძლება დავასკვნათ, რომ თქვენ გინდათ...“ ან „ახლა კარგად გავიგე, რომ თუ ... თქვენ დაკმაყოფილებული იქნებით“**.

ამ დროს კარგი იქნება, ჩვენს მიერ გახმოვანებულ ვარიანტში პოზიცია პარტნიორის რომელიმე



**განათლება**

მოთხოვნილებასთან ერთად იყოს გაერთიანებული. ასეთ ვითარებაში შესაძლებელია, გადავდგათ ერთი ნაბიჯი პრობლემის რეალური მოგვარებისაკენ.

**გთავაზობთ ნეგატიური ურთიერთობის ფორმებს, რომლებსაც უნდა მოვერიდოთ კომუნიკაციის პროცესში:**

- საუბრის დროს წინადადება „არა“-თი არ დაიწყოს. ამ სიტყვის მოსმენის შემდეგ პარტნიორი თქვენს არგუმენტებს არც კი მოუსმენს;

- თქვენს პარტნიორს დამაზუსტებელი კითხვები არ უნდა აღიზიანებდეს- მაგალითად, „ვერაფრით გამიგია, რა გნებავთ?...“

გვინდა მოვიყვანოთ მაგალითი ამერიკის ერთ-ერთი პირველი პრეზიდენტისა და მეცნიერის, **ბენჯამენ ფრანკლინის** დიპლომატიური გამოცდილებიდან, თუ როგორ ახერხებდა ის მწვავე პოლიტიკურ დისკუსიებში გამარჯვებასა და საკუთარი ინტერესების ეფექტურ დაცვას.

**ბენჯამენ ფრანკლინის პრინციპები:**


- დიალოგის პროცესში ყოველთვის პასუხი უნდა დავიწყოთ თანხმობის გამომხატველი სიტყვებით: „დიახ, კი ბატონო და ა.შ.“;

- აუცილებელია, საპირისპირო პოზიციის დადებითი მხარეების წარმოჩენა. ყურადღებით მოუსმინეთ პარტნიორს და აუცილებლად რომელიმე მისი წინადადება დადებითად შეაფასეთ;

- სანამ პრობლემის მოგვარების თქვენს ვარიანტს გამოთქვამთ, აუცილებლად აღწერეთ, თუ რა პირობებში იქნებოდა შესაძლებელი მონინაალმდევის იდეების განხორციელება. შესაძლებელია, ასეთი სიტუაცია არარეალური იყოს ან მიუღწევადი, მაგრამ ასეთი ნაბიჯით თქვენ განაიარაღებთ ოპონენტს;

- სინამდვილეში არსებული, რეალური სიტუაცია უფრო დეტალურად განიხილეთ. განხილვის დროს გამოყავით ფაქტორები, რაც ოპონენტის იდეების განხორციელებას არსებულ რეალობაში შეუძლებელს ხდის;

- მხოლოდ ზემოთ ჩამოთვლილი ნაბიჯების შემდეგ გამოთქვით საკუთარი პოზიცია და გადანყვეტილებები. წარმოაჩინეთ ისინი, როგორც მონინაალმდევის იდეების გაუმჯობესებული ვარიანტი, რომელიც რეალური პირობების გათვალისწინებით არის შეცვლილი.



**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. დამხმარე სახელმძღვანელო სკოლის დირექტორებისთვის, გოგლიჩიძე ა., კობახიძე მ., ლაცაბიძე გ., „მშობლებთან და საზოგადოებასთან ურთიერთობა“, გვ. 165-166, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, თბ., 2010წ.;
2. დალაქიშვილი ნ., სწავლება და შეფასება, დამხმარე სახელმძღვანელო, ნაწილი II, „კომუნიკაცია, კომუნიკაციის საშუალებები“, გვ. 127-149, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, თბ., 2008წ.;
3. Ben Franklin`s Success Strategies . (<http://www.pryor.com/seminars/desc/BF.asp#Communication>);
4. А.А.Реш. Я.Л.Коломинский. Социальная педагогическая психология.2000

**COMMUNICATION, ITS KINDS (VERBAL AND UNVERBAL SPECIFICS)  
THE ROLE OF COMMUNICATION IN AN EDUCATIONAL PROCESS**

**Res u m e**

**ASMAT SHAMUGIA**  
**Doctorate of Sukhumi State University**

In this given article there is examining: effective using of communication components in the class-room, the meaning of informational transmission and effective communication ways with parents.

Hence, communication is not independently existent phenomenon. In each concrete case it goes clear in concrete context and the lastest has the greatest influence on it. To choose communication context rightly, also to use its conditions in this process, is effective growth of the most important fore conditions. In that way, communication is the most important component of effective educational process. General education system establishes on it, that makes modern teachers inevitability to develop this ability for modern teaching and to rise its value in agenda.

№2 აპრილი 2013

# ანგარიშგება ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ

ფულადი სახსრები შედგება ნაღდი ფულისაგან და ბანკებში ანგარიშგებაზე არსებული ფულადი საშუალებებისაგან. მათ უთანაბრდება ფულადი ექვივალენტები - მოკლევადიანი, მაღალლიკვიდური ინვესტიციები, რომლებიც თავისუფლად გარდაიქმნებიან ნაღდ ფულად და რომელთა ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა.

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით, ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი სავალდებულო ელემენტია ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტისა. ამ დოკუმენტის ძირითადი მიზანია წარმოაჩინოს საანგარიშგებო პერიოდში ფულადი სახსრების მიღება და გაცემა. ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისში ასახული ინფორმაცია აუცილებელია როგორც მენეჯერების, ისე გარე მომხმარებლებისთვის - ინვესტორებისა და კრედიტორებისთვის.



**ნათო ბაგიაშვილი**  
ეკონომიკის აკადემიური  
დოქტორი

## ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი იძლევა პასუხს შემდეგ მნიშვნელოვან შეკითხვებზე:

- აქვს თუ არა კომპანიას საკმარისი ფულადი სახსრები, რათა სიცოცხლისუნარიანი დარჩეს?
  - შეძლებს თუ არა კომპანია თავისი ფინანსური ვალდებულებების დაფარვას კრედიტორების წინაშე?
  - რატომ არის სხვაობა წლის წმინდა შემოსავლებსა და წმინდა ფულის მოძრაობას შორის?
  - შეძლებს თუ არა კომპანია დივიდენდების გადახდას?
  - რამდენად არის საჭირო, რომ კომპანიამ ფული ისესხოს საჭირო ინვესტიციების განსახორციელებლად?
- ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება ადრე ჩვენთან ფართოდ არ გამოიყენებოდა, მაგრამ იგი აუცილებელია ბიზნესისთვის. ანგარიშგების გარდადება ფულადი სახსრების მოძრაობის პროგნოზი, რაც საშუალებას იძლევა:
- განისაზღვროს ფულადი სახსრების აუცილებელი მოცულობა;
  - მოხდეს გაყიდვების მოცულობის პროგნოზირება;
  - ფულადი საშუალებების მიღების პროგნოზირება;
  - ფულადი საშუალებების გასვლის პროგნოზირება;
  - განისაზღვროს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს თავისუფალი ფუ-

ლადი სახსრების რაოდენობა.


- თავიდან ააცილოს სანარმოს ანგარიშზე გამოუყენებელი ფულადი სახსრების დიდი მარაგის არსებობა.
- ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისში ფულის მოძრაობა დაყოფილია სამ კატეგორიად:
  - საოპერაციო;
  - საინვესტიციო;

• საფინანსო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები.

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით (კერძოდ ბასს 7) მიღებულია შემდეგი განმარტებები:

საოპერაციო საქმიანობა არის სანარმოს ძირითადი შემოსავლების მომტანი და სხვა საქმიანობა, რო-

## ფულადი სახსრების მიღების და გაცემის კლასიფიკაცია



**პირის სხვა-ანგარიშგება**

მელიც არ არის საინვესტიციო ან საფინანსო საქმიანობა.

საინვესტიციო საქმიანობა არის გრძელვადიანი აქტივებისა და სხვა ინვესტიციათა შექმნა და რეალიზაცია, რომლებსაც არ მოიცავს ფულადი სახსრების ექვივალენტები.

საფინანსო საქმიანობა არის ისეთი საქმიანობა, რომლის შედეგად რაოდენობრივად და სტრუქტურულად იცვლება საწარმოს საკუთარი კაპიტალი და ნასესხები საშუალებები.

საწარმოს სიცოცხლისუნარიანობა განისაზღვრება არა მხოლოდ მომგებიანობით, არამედ მისი უნარით თავისდროულად დაფაროს ვალეები. ახლად შექმნილ საწარმოთა უმეტესობა კოტრდება პირველსავე წელს არა იმიტომ, რომ არ შეუძლიათ მომგებიანად მუშაობა, არამედ მხოლოდ ერთი მიზეზით – არ ჰყოფნით ფულადი სახსრები მიმდინარე ხარჯებზე, ვალეების დაფარვაზე, ბანკის კრედიტის პროცენტების გადახდაზე. სამწუხაროდ, ფულადი სიძნელეების წინასწარ განსაზღვრა არაა ყოველთვის ადვილი. ანგარიშმა მოგების შესახებ შეიძლება შეცდომაში შეგვიყვანოს, რადგან მოგების სიდიდე არ იძლევა რეალურ სურათს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე და მის შესაძლებლობებზე. მაგალითად, საწარმოს მფლობელებს შეუძლიათ ჩათვალონ, რომ რადგან საწარმოს აქვს მოგება შეიძლება მისი დივიდენდების სახით გაცემა, მაგრამ თუ საწარმოს არა აქვს რეალური ფულადი სახსრები, მაშინ დივიდენდების გაცემა გამოიწვევს საწარმოსთვის მძიმე ფინანსურ შედეგებს.

იმისათვის რომ შეგვექმნას ნათელი წარმოდგენა საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე, აუცილებელია საწარმოს ლიკვიდურობის გაანალიზება. ლიკვიდურობა ნიშნავს:

1) ფულადი სახსრების აუცილებელი მარაგის ქონას ანგარიშების დროული გადახდისთვის (დაფარვისთვის).

2) ფულადი სახსრების მოულოდნელად წარმოქმნილი მოთხოვნილების დაკმაყოფილების უნარი.


ზოგადად ფულადი სახსრების მოძრაობა შეიძლება ასეთი სქემის სახით წარმოვიდგინოთ (იხ. სქემა).

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება შეიძლება შედგეს პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდით.

ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისმა ასევე უნდა მოიცავს საბრუნავი კაპიტალის ცვლილების ამ-

სხნელი დანართი. განსაკუთრებით ეს შეეხება დებიტორული დავალიანების, სასაქონლო-მატერიალური მარაგებისა და კრედიტორული დავალიანების ანგარიშების გაზრდას (ან შემცირებას).

ფულადი სახსრების მოძრაობა



არაპირდაპირი მეთოდი

საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები:	
წმინდა მოგება	Xლ
პერიოდის განმავლობაში დარიცხული ამორტიზაცია	X
(მიმდინარე აქტივების* ანგარიშების ნაშთის გადიდება)	(X)
მიმდინარე აქტივების ანგარიშების ნაშთის შემცირება	X
მიმდინარე ვალდებულებების ანგარიშების ნაშთის ზრდა	X
(მიმდინარე ვალდებულებების ანგარიშების ნაშთის შემცირება)	(X)
<b>1. სულ საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები</b>	<b>X</b>
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები:	
ძირითადი საშუალებებისა და აქტივების გაყიდვა	X
(ძირითადი საშუალებებისა და აქტივების შექმნა)	(X)
ობლიგაციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების გაყიდვა	X
(ობლიგაციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების შექმნა)	(X)
<b>2. სულ საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები</b>	<b>X</b>
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები:	
აქციების გამოშვება	X
(აქციების გამოსყიდვა)	(X)
ვალის დაბრუნება (კომპანიისათვის)	X
(კომპანიის მიერ ვალის გადახდა)	(X)
(დივიდენდების გაცემა)	(X)
<b>3. სულ საფინანსო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები</b>	<b>X</b>
<b>სულ ფულის ბრუნვა პერიოდის განმავლობაში (1+2+3)**</b>	<b>XX</b>

\* ამ ფორმაში მიმდინარე აქტივებში არ შედის ანგარიში „ფული“;  
\*\* უწყისის სისწორე შემდეგნაირად მონმდება: საწყისი ფულის ნაშთი პერიოდის დასაწყისისათვის (ბალანსში) + ფულის ბრუნვა პერიოდის განმავლობაში = ფულის ნაშთი პერიოდის ბოლოსათვის (ბალანსში).

# სამოგზაურო დაზღვევის ფინანსური მდგრადობის მაჩვენებლები

საქართველოს სადაზღვევო კომპანიები ისეთ მნიშვნელოვან სადაზღვევო პროდუქტს გვთავაზობენ, როგორცაა **სამოგზაურო დაზღვევა**, რომელიც სადაზღვევო ბაზარზე უფრო მეტად მოთხოვნადი ხდება. სამოგზაურო დაზღვევის აქტუალობას განაპირობებს ისიც, რომ შესაძლებელია მოგზაურობისას ერთმა პატარა უსიამოვნებამ გამოიწვიოს მოგზაურობასთან დაკავშირებული სასიამოვნო გეგმების შეცვლა.

სამოგზაურო დაზღვევა ეფექტური საშუალებაა მოგზაურობისას გაუთვალისწინებელი მსხვილი ხარჯების თავიდან ასაცილებლად. ტურისტი თითქმის ყოველთვის ხდება ექსტრემალურ სიტუაციაში, ამიტომ უსაფრთხოებისათვის აუცილებელია სამოგზაურო დაზღვევა. აღნიშნული პროდუქტის შეძენა შესაძლებელია თითქმის ყველა სადაზღვევო კომპანიაში. თუმცა, მგზავრების არცთუ თუ ისე დიდი ნაწილი სარგებლობს მისით.

მგზავრი უნდა იყოს დარწმუნებული, რომ მისი სადაზღვევო პოლისი მთლიანად დაფარავს შესაბამისი ქვეყნის სამედიცინო მომსახურებას, რადგან ზოგ ქვეყანაში იგი განსაკუთრებით ძვირია.<sup>1</sup>

სადაზღვევო კომპანიები ადამიანებს სხვადასხვა სახის დაზღვევას სთავაზობენ. კერძოდ: **სამოგზაურო დაზღვევა სტუდენტის მოგზაურობისას, დასასვენებლად მოგზაურობისას, საერთაშორისო მოგზაურობისას და ბიზნეს მოგზაურობისას.**<sup>2</sup>

საქართველოში ტურიზმისა და საკურორტო საქმიანობის სფეროში არსებულ ურთიერთობებს არეგულირებს საქართველოს კანონი „ტურიზმისა და კურორტების შესახებ“. აღნიშნული კანონით ტურისტის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაზღვევა ან დაზღვეული ქონებისთვის მიყენებული ზარალი კომპენსირდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ტურისტს აზღვევს ტურისტული საქმიანობის სუბიექტი სადაზღვევო კომპანიასთან დადებული კონტრაქტითა და კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საქართველოში ტურიზმის განვითარებაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ 2011 წელს საქართველო 39 %-ით მეტმა უცხოელმა ტურისტმა მოინახულა 2010 წელთან შედარებით. ტურიზმის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, 2011 წელს საქართველოს სტუმრობდა 2 მლნ 820 ათას 185 უცხოელი მოგზაური.

ტურიზმის დაზღვევის ობიექტებად ითვლებიან როგორც ტურისტები, ასევე ტურისტული ფირმებიც. ტურისტული ფირმა აზღვევს თავის ქონებას, სატრანსპორტო საშუალებებს, ფინანსურ ბაზრებს. ტურიზმის დაზღვევა ეხება უშუალოდ ტურისტების დაზღვევას საფრთხისგან, რომელიც დაკავშირებულია ტურისტების მოგზაურობასთან. საზღვარგარეთ გამგზავრებისას, ტურისტი ყველა შემთხვევაში ხვდება ექსტრემალურ სიტუაციაში: კლიმატის ცვლილება, წყლის ქიმიური შემადგენლობა, კვების სხვა რეჟიმი და ბევრი სხვა ცვლილებები, რომლებიც თავისთავად იწვევს გარკვეულ სირთულეებს.

1 [http://ka.wikipedia.org/wiki/ტურიზმის\\_ინდუსტრია](http://ka.wikipedia.org/wiki/ტურიზმის_ინდუსტრია)  
2 <http://www.travelinsurancereview.net>

ტურიზმის დაზღვევაში გამოიყოფა შემდეგი სახეები:

- ტურისტებისა და მათი ქონების დაზღვევა;
  - ტურისტული ფირმების დაზღვევა რისკებისგან;
  - ტურისტების დაზღვევა საზღვარგარეთ მოგზაურობისას;
  - უცხოური ტურისტების დაზღვევა;
  - პასუხისმგებლობის დაზღვევა;
  - ავტოსატრანსპორტო საშუალებების მფლობელთა პასუხისმგებლობის დაზღვევა;
  - უბედური შემთხვევისგან დაზღვევა სამედიცინო ხარჯების დაფარვით
- ტურისტების დაზღვევა საზღვარგარეთ მოგზაურობისას მოიცავს:
- საზღვარგარეთ მოგზაურობის დროს მოულოდნელი დაავადებისას და შემთხვევისას სამედიცინო მომსახურების გაწევას;
  - ტრანსპორტირებას უახლოეს საავადმყოფოში, სადაც შესაძლებელია ექნება გაიაროს ხარისხიანი მკურნალობა სამედიცინო კონტროლის ქვეშ;
  - სამედიცინო პრეპარატებით უზრუნველყოფას, თუ არ არსებობს ადგილზე;
  - ავადმყოფი ტურისტის დაბრუნებას მის საცხოვრებელ ადგილას და ყველა ხარჯის გაწევას;
  - იურიდიულ დახმარებას ტურისტის საჭიროების შემთხვევაში.

უფრო გავრცელებულია ტურისტების პირადი დაზღვევა. ტურისტების პირადი დაზღვევისას სადაზღვევო შემთხვევებია: გაუთვალისწინებელი ავადმყოფობა, სიკვდილი, უბედური შემთხვევები და სხვა. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ დაზღვევას არ ექნება ადგილი იმ შემთხვევაში, თუ ზემოთ ჩამოთვლილი შემთხვევები მოხდება ისეთ ადგილებში, რაც არ იყო გათვალისწინებული სადაზღვევო ხელშეკრულებაში. ტურისტს შეუძლია მიიღოს დაზღვევა ნებისმიერ სადაზღვევო კომპანიაში, რომელსაც აქვს ეს პროდუქტი. აუცილებელია რომ დაზღვევამდე ტურისტი კარგად გაეცნოს პირობებს, რომელსაც სთავაზობს სადაზღვევო კომპანია, რადგან იცოდეს რა შემთხვევებში მოხდება დაზღვევა. თუ ტურისტი დაარღვევს ან არ შეასრულებს თუნდაც პირობების ერთ-ერთ ნაწილს, მზღვეველი იტოვებს ვალდებულებას არ დაუბრუნოს გადახდილი თანხა ტურისტს.

ტურისტების ქონების დაზღვევა გულისხმობს იმ ყველა საგნის დაზღვევას, რაც აქვს მას თან, გადააქვს ან უბრალოდ აცვია ( კინოკამერა, ფოტოაპარატი, ტანსაცმელი და სხვა). ზოგიერთ ქვეყანაში გამგზავრების წინ სამოგზაურო დაზღვევა სავალდებულოა. შეიძლება სამოგზაურო დაზღვევა შესული იყოს ტურის ფასში, ან მოხდეს ნებისმიერი სადაზღვევო კომპანიისგან აღება.

ტურფირმების პასუხისმგებლობის დაზღვევა მოიცავს ქონების დაზღვევას, ტრანსპორტის, ფინანსური რისკების და ტურისტების დავების დაზღვევას. სადაზღვევო პასუხისმგებლობა მოიცავს ასევე მესამე პირებისთვის ინტერესების დაცვას ზიანის მიყენებისას და გულის-

**დაზღვევა**

ხმობს ზარალის ანაზღაურებას. მესამე პირად შეიძლება გამოვიდეს ნებისმიერი ადამიანი, რომლის წინაშეც წარმოიქმნება ანაზღაურების ვალდებულება.

ზოგიერთ ქვეყანაში ასევე გავრცელებულია, ტურისტების დაზღვევა „ცუდი ამინდის შემთხვევაში“. ასეთ დროს მზღვეველი იღებს თავის თავზე ვალდებულებას, რომ მოგზაურობის დროს, თუ ვერ მოხერხდება თვის დროზე გამოფრენა უამინდობის გამო ყველა ხარჯს და სხვა პირობებს აანაზღაურებს სადაზღვევო კომპანია.

დამზღვევის დაცვის ინტერესებს უზრუნველყოფს ფინანსები. მზღვეველი ქმნის და გამოიყენებს რეზერვსა და ფონდებს დამზღვევების, როგორც დანაკარგების დასაფარავად, ისე სადაზღვევო კომპანიის საქმიანობასა და წარმართვაზე, საკუთარი დანახარჯების დაფინანსებაზე. ამის გარდა, საბაზრო ეკონომიკის პირობებში მზღვეველები აწარმოებენ საინვესტიციო საქმიანობას, ჰეჯირებას (სავალუტო რისკების დაცვა) და ამასთან გამოიყენებს სადაზღვევო ფონდის საშუალებების ნაწილს და საკუთარ სახსრებს. ამიტომ სადაზღვევო კომპანიის ფულადი ბრუნვა შედარებით რთულია ვიდრე სხვა სამეურნეო სუბიექტების.

მზღვეველის ფინანსები აერთიანებს ორ დამოუკიდებელ ნაკადს:

- ფულადი საშუალებების ბრუნვა, რომლებიც უზრუნველყოფენ დამზღვევთა და დაზღვეულთა სადაზღვევო დაცვას;
- საბრუნავი საშუალებები, რომლებიც დაკავშირებულია სადაზღვევო პროცესის ორგანიზაციასა და მართვასთან.

სადაზღვევო ოპერაციების ფინანსური მდგრადობის ქვეშ იგულისხმება შემოსავლების თანაბრობა ან მეტობა სადაზღვევო ფულად ფონდებზე, დანახარჯებთან შედარებით, რომლებიც ფორმირდება დაზღვეულთა მიერ შენატანების საფუძველზე, მზღვეველთა ფინანსური მდგრადობის საფუძველია მათ განკარგულებაში არსებული გადახდილი საწესდებო კაპიტალი, სადაზღვევო რეზერვები და ა. შ.

ტურისტული საქმიანობის დაზღვევისას ფინანსური მდგრადობის მაჩვენებლები შეიძლება განსაზღვრულ იქნას საბრუნავი საშუალებების სავარაუდო დეფიციტის განსაზღვრითა და სატარიფო პერიოდის დანახარჯებთან შემოსავლების შეფარდებით. საბრუნავი საშუალებების დეფიციტის სავარაუდო ხარისხზე დიდ გავლენას ახდენს კომპანიის სადაზღვევო პორტფელის სიდიდე. აღნიშნული ხარისხის განსაზღვრისთვის გამოიყენება პროფ. ფ. ვ. კონშინის

(K) კოეფიციენტი.

$$K = \frac{1-T}{H \cdot T}$$

სადაც-T- არის მთელი სადაზღვევო პორტფელის საშუალო სატარიფო სარგო;

H- არის დაზღვეული ობიექტების რაოდენობა

რაც უფრო დაბალია კოეფიციენტი მით უფრო მაღალია მზღვეველის მდგრადობა. შესაბამისად ტურისტული საქმიანობის დაზღვევისას სადაზღვევო ოპერაციების ფინანსური მდგრადობის პირობებია დაზღვეული ობიექტების გაზრდა და იმ სადაზღვევო ტარიფების გამოთანაბრება, რომლებზეც დაზღვეულ იქნენ სხვადასხვა ობიექტები ან ტურისტები. ფინანსური მდგრადობის,

როგორც შემოსავლების შეფარდება სატარიფო პერიოდში დანახარჯებთან, შეფასებისათვის, შეიძლება გამოყენებულ იქნეს სადაზღვევო ფონდის ფინანსური მდგრადობის კოეფიციენტი(κcf)

$$\kappa cf = \frac{\Sigma D + \Sigma ZF}{\Sigma P}$$

სადაც EEF-არის სატარიფო პერიოდში შემოსავლების რაოდენობა;

ZF -არის სათადარიგო ფონდში საშუალებების თანხა;

ΣP -არის სატარიფო პერიოდისათვის დანახარჯების თანხა.

სადაზღვევო კომპანიის ფინანსური მდგრადობის დამახასიათებელ მნიშვნელოვან ფაქტორს, სარეზერვო ფონდებისა და სადაზღვევო კაპიტალის გარდა წარმოადგენს სადაზღვევო ოპერაციების რენტაბელობა, რომელიც გამოიხატება საბალანსო (მთლიანი) მოგების შეფარდებით საშემოსავლო ნაწილთან.

საბალანსო მოგება

$$P = \text{-----} \times 100\%$$

შემოსავლები

სადაზღვევო ოპერაციების რენტაბელობა განისაზღვრება, როგორც შემოსავლების დონის მაჩვენებელი. (D), ანუ განსაზღვრული პერიოდისათვის საერთო მოგების თანხის შეფარდება, იმავე პერიოდში გადასახადის ერთიან თანხასთან.

$$D = \frac{\Sigma BP}{\Sigma CB}$$

ΣBP-წლისგანმავლობაში საბალანსო თანხა(ლარი);  
ΣCB-წლის განმავლობაში სადაზღვევო შენატანთა მთლიანი თანხა (ლარი).

ტურისტული საქმიანობის სადაზღვევო ოპერაციების ანალიზი ხორციელდება სპეციფიკურ მაჩვენებელთა საფუძველზე, რომელთაც მიეკუთვნება სადაზღვევო თანხა, მისი ზარალიანობა და სადაზღვევო გადასახადების დონე.

ტურისტული საქმიანობის დაზღვევაში ფინანსური შედეგი განისაზღვრება სალდოს მეთოდით, შემოსავლისა და გასავლის შეფარდების გზით. ტურისტული დაზღვევისას შემოსავლების ძირითადი წყაროა სადაზღვევო შენატანები, აგრეთვე საინვესტიციო დაბანდებანი, რომლებსაც ახორციელებენ უცხოელი ინვესტორები.

საქართველოში მოქმედ სადაზღვევო კომპანიებს გააჩნიათ პროდუქტი „სამოგზაურო დაზღვევა“. აღნიშნულ პროდუქტზე მოთხოვნის ზრდასთან ერთად იხვეწება სადაზღვევო პოლისებიც.

**დაზღვევა საქართველოში მოგზაურობისას** - პოლისი ანაზღაურებს ისეთ შემთხვევებს, როდესაც საქართველოში ჩამოსული უცხოელი ტურისტის ჯანმრთელობის მდგომარეობა უეცარი ავადმყოფობის ან უბედური შემთხვევის გამო გაუარესდება, რის გამო დაზღვეულს სასწრაფო სამედიცინო მომსახურების მიღება ესაჭიროება. ასეთ დროს დაზღვეულის მკურნალობის ხარჯებს სადაზღვევო კომპანია აანაზღაურებს. დაზღვეულის გარდაცვალების შემთხვევაში პოლისის ითვალისწინებს გარდაცვლილის აეროპორტამდე ტრანსპორტირების

ხარჯების ანაზღაურებას.

თუმცა არსებობს გამონაკლისები, როდესაც სადაზღვევო კომპანია არ ანაზღაურებს შემთხვევებს:

- მოგზაურობამდე არსებული ავადმყოფობები ან მისი შემდეგი გართულებების შედეგად გამოწვეული სამედიცინო ხარჯების ანაზღაურება.
- თვითმფრინავში ასვლის, ჩამოსვლის ან მასში ყოფნის დროს მიღებული დაზიანებების მკურნალობა.
- თვითმკვლელობის მცდელობით, ნარკოტიკული ზემოქმედების ან ალკოჰოლის შედეგად ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებით გამოწვეული სამედიცინო მომსახურების ხარჯების ანაზღაურება.
- გარემოს დაზიანებით ან სტიქიური უბედურებით გამოწვეული ყველა სახის დაზიანებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება.
- ტერორისტული აქტის, ომის ან ამბოხებით გამოწვეული დაზიანებები.

დაზღვევა საზღვარგარეთ მოგზაურობისას - პოლისი ვრცელდება ნებისმიერ ქვეყანაში, რომელიც გეოგრაფიულად მიეკუთვნება ევროპას. მათ შორის დიდი ბრიტანეთი, რუსეთის მთელი ტერიტორია, აზერბაიჯანი, სომხეთი, თურქეთი, ყაზახეთი, ტაჯიკეთი, ყირგიზეთი, თურქმენეთი. სამოგზაურო პოლისი ანაზღაურებს ჰოსპიტალური მომსახურების ხარჯებს. თუ დაზღვეულის ჯანმრთელობის მდგომარეობა საზღვარგარეთ მოგზაურობის პერიოდში ისე გაუარესდა, რომ საჭიროებს საავადმყოფოში დაუყოვნებლივ მკურნალობას, სამოგზაურო დაზღვევის ფასი დამოკიდებულია მოგზაურის ასაკსა და გამგზავრების დღეების რაოდენობაზე:

საქართველოში სამოგზაურო დაზღვევა სადაზღვევო ბაზრის მხოლოდ 1%-ს შეადგენს, თუმცა დაზღვევის ეს ფორმა უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობა მიემგზავრება ევროპასა და ამერიკაში, სადაც დაზღვევის გარეშე გამგზავრება აკრძალულია.

ბაზრის ლიდერად სამოგზაურო დაზღვევის მიხედვით ლიდერობს სადაზღვევო კომპანია „ალდაგი ბისიაი“ (38%).

2011 წლის ბოლო 6 თვის მონაცემებით, სადაზღვევო კომპანიების მერ სამოგზაურო დაზღვევის მოზიდული პრემია არის 1 390 300 ლარი. ხოლო 2012 წლის 3 თვის

მონაცემების მიხედვით კი 1 149 720. როგორც ჩანს, პრემიები რაოდენობა გაზრდილია 240 580 ლარით. რაც მიუთითებს იმაზე, რომ გასულ წელთან შედარებით, უფრო მოთხოვნადი გახდა სამოგზაურო დაზღვევა. 2012 წლის პირველი კვარტლის მონაცემებით გაფორმებულია სამოგზაურო დაზღვევის 59 615 პოლისი. 2012 წლის 3 თვის მონაცემებით სამოგზაურო დაზღვევას უჭირავს 0,88 % ბაზარზე.

ტურისტების რაოდენობა იზრდება, შესაბამისად უფრო მეტად გაიზრდება მათი დაინტერესება სამოგზაურო დაზღვევის მიმართაც, ამიტომ აუცილებელია ამ პროდუქტის უფრო მეტად დახვეწა და შესწავლა. საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე მოქმედი სადაზღვევო კომპანიები მომხმარებლებს სთავაზობენ სამოგზაურო დაზღვევას. სამოგზაურო დაზღვევიდან მიღებულ სადაზღვევო პრემიების რაოდენობას და ასევე „სამოგზაურო დაზღვევის“ პოლისების რაოდენობას ზრდის ტენდენცია ახასიათებს, რაც მიუთითებს იმაზე, რომ სამოგზაურო დაზღვევაზე მოთხოვნა იზრდება.

სამოგზაურო დაზღვევის გარეშე მოგზაურობა უცხოელი ტურისტებისთვის თითქმის წარმოუდგენელია. საქართველოში ჩამოსულ ტურისტთა უმრავლესობა დაზღვეულია.

სამოგზაურო დაზღვევის – როგორც, სადაზღვევო პროდუქტის უკეთ განვითარებისათვის აუცილებელია:

- განვითარებული ქვეყნების სადაზღვევო კომპანიების მიერ „სამოგზაურო დაზღვევის“ პროდუქტის პირობების და სახეობების შესწავლა, მათი გამოცდილების დანერგვა;

- „სამოგზაურო დაზღვევის“ პროდუქტის პირობების რეკლამირება;

- შეღავათიანი სამოგზაურო პოლისების შეთავაზება, რაც ხელს შეუწყობს სამოგზაურო დაზღვევის გავრცელებას და განვითარებას. მსგავსი პროდუქტის გამოყენება ხელმისაწვდომი უნდა იყოს, როგორც ქართველი, ასევე უცხოელი ტურისტებისთვისაც.

**ნატო კაკაშვილი,**  
თსუ პროფესორი, ეკონომიკის  
აკადემიური დოქტორი

## TRAVEL INSURANCE AS FINANCIAL STABILITY INDICATORS (Abstract)

**N.Kakashvili - Professor of Tbilisi State University**

The insurance companies are offering such important insurance products such as travel insurance, the insurance market is becoming increasingly in demand. Travel Insurance actuality caused by the fact that the trip could cause a little trip to a nice change of plans. Travel insurance is an effective way to avoid a trip to unforeseen large expenses. Tourists are almost always occurs in extreme situations, so it is necessary for the safety of travel insurance. This product can be purchased at almost all insurance companies, but not so much of a traveler enjoys it. Tourist activity in the financial stability of insurance rates can be estimated to determine the cash flow deficit spending time with definitely and tariff revenue ratio. Estimated cash flow deficit significantly affecting the quality of the company's insurance portfolio value



# გაყილეთ, გაყილეთ, გაყილეთ, გაყილეთ რაბე!

რუსთაველის თეატრის ეპოქა-ლური სპექტაკლი „კავკასიური ცარცის წრე“ სრულიად საპირისპირო მონოდებით იწყება - ალბათ ყველას ახსოვს.

ამ სპექტაკლის მრავალჯერ ხილვის მიუხედავად, ქართველები უფრო მეტად გაყიდვის მანიით არიან შეპყრობილი, ვიდრე ყიდვის.

საერთოდ ეკონომიკა ასეა აწყობილი - ვიღაც ყიდის ვიღაც ყიდულობს! მაგრამ ჭკვიანი ადამიანი ყოველთვის სვამს ერთ კითხვას: - რა უნდა გაყიდო (ან იყიდო) და რა ფასად იმისათვის, რომ მაქსიმალურად მოგებულ დარჩე?

ამ საკმაოდ რთულ და სერიოზულ შეკითხვას ბიზნესის ერთ-ერთმა კორიფემ ძალიან მარტივად უპასუხა: „უნდა გაყვიდოთ ყველაფერი, სინდისის და ნამუსის გარდა!

მაგრამ რატომ? - რა საჭიროა გაყიდვის ასეთი შიზოიუდურ-პარანოიდალური მანია? **იქნებ და ასე მანიაკალურად ყიდვა სჯობს?** ამ შეკითხვაზედაც მარტივი პასუხი არის მზად: - ინვესტიციების მოზიდვის მიზნით.

ისმება კითხვა: რატომ აქვთ ჩინელებს ან ინდოელებს საინვესტიციო კაპიტალი - ქართველებს კი არა?! **1990 წელს ჩინეთი ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით ხომ**

**უფრო ღარიბი ქვეყანა იყო, ვიდრე საქართველო?**

ქართველების დიდ ნაწილს ურჩევნიათ გაყიდონ ის, რაც ხელში მოხვდებათ - იმის ნაცვლად, რომ საქმე აკეთონ და ამით უფრო მეტი ფული იშოვონ!

**სამწუხაროდ, ბევრი ქართველისთვის ყველაზე ადვილად გასაყიდი საქონელი ეროვნული ინტერესები და სამშობლო - ქართული მინა-წყალია.**

ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში თავდაზნაურები თუ შარაგზის ყაჩაღები სტამბოლის ბაზარზე ჰყიდნენ ქართველ გლეხებს. თან საკმაოდ „ძვირად“ - დაახლოებით 5 ძროხის ფასად. მაგრამ იმას კი ვერ ანგარიშობდნენ, რომ ამით უფრო მეტს ზარალობდნენ, ვიდრე რომ სარგებლობდნენ. გაყიდულ გლეხს რომ საქართველოს მინაზე ეშრომა, გაცილებით მეტ მოგებას მოუტანდა თავის ბატონს ან თუნდაც მის მძრაცველ ყაჩაღებს. **ამიტომაც ღირდნენ ტყვეები ასე ძვირი - აზიელები ფულს მარტო ლამაზი თვალებისთვის კი არ იხდიდნენ!**

სამწუხაროდ, მაშინდელ ქართველებსაც დღევანდელი კვერცხი ერჩევნათ, ხვალინდელ ქათამს.

**ამიტომაც დღეს ის „ხვალადელი“ ქათამი თურქეთის ეკონომიკა-**

**ში დებს კვერცხებს, ქართველებს კი „დღევანდელი“ კვერცხები ჯერ კიდევ 200 წლის წინ შემოეჭამათ!**

რომ არა რუსეთის იმპერია - სამშობლოს გამყიდველი „კეთილშობილები“ საერთოდ ამოწყდებოდნენ, რადგან ისინი გლეხების სახით არა მხოლოდ მუშა ძალას, არამედ თანამებრძოლებსაც ჰყიდნენ!

რუსეთის იმპერიის მეშვეობით ქართველობის გადარჩენაში იგულისხმება ეროვნული თვითიდენტიფიკაციის „სულიერი“ შენარჩუნება, თორემ მეცნიერებს თუ დაფუჟერებთ, თანამედროვე ირანელთა 50% და თურქთა თუ ეგვიპტელთა 25% გენეტიკურად (ე.ი. სისხლით და ხორცით) ქართველია.

თუმცა, ირანში, ეგვიპტესა და თურქეთში გამცემლობის ქართული გენი დათრგუნულია, საქართველოში კი სამშობლოს გაყიდვის მანია ისევ მძვინვარებს!!!)

**ყოველგვარი მწარე გამოციდლების მიუხედავად ვერც რუსებისგან ისწავლეს ქართველებმა საქმის კეთება და მით უმეტეს, ტერიტორიების გაფართოება.**

როგორც ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძე აღნიშნავდა, ქართველები ნამდვილად არ ბრწყინავდნენ ვაჭრობის ან მეწარმეობის ნიჭით. ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში საქართვე-

№2 აპრილი 2013

ლოს ეკონომიკის უდიდესი ნაწილი არაქართველების ხელში იყო. თუ რომელიმე ქართველი „მარიფათს“ გამოიჩინდა - ეს ღვთის სასწაულად ითვლებოდა. მაგალითად, დავით სარაჯიშვილს დაახლოებით ისეთივე „ზეზუნებრივ“ არსებად მიიჩნევდნენ მაშინდელ საქართველოში, როგორც ილიას ან აკაკის.

**არადა ბევრ არაქართველ საშუალო ჩარჩს მასზე გაცილებით მეტი ფული ჰქონდა!**

სარაჯიშვილის დროსაც ქართული მიწები ისევე უაზროდ და უთავბოლოდ იყიდებოდა უცხოელებზე როგორც დღეს.

თუ სტატისტიკურ მონაცემებს დავუჯერებთ, 2010 წლისთვის პრივატიზაციის შედეგად კერძო პირების ხელში 850 000 ჰექტარზე მეტი მიწა გადავიდა.

აქედან 365 000 (!!!) ჰექტარი უკვე გაყიდულია უცხოელებზე - ძირითადად იმ აზიელებზე, რომელთა წინაპრებიც ადრე ხმლითა და მახვილით ცდილობდნენ ქართული მიწების მიტაცებას.

ერთი შეხედვით, ძალიან დიდი „პროგრესია“ – ადრე გადამითელები ქართველებს კლავდნენ და მიწებს ართმევდნენ, ხოლო ცოცხლად გადარჩენილებს ან ხარკს აკისრებდნენ ან ტყვედ მიჰყავდათ და იქაც მონური შრომით ხდიდნენ სულს.

დღეს კი მიწაში ფულს იხდიან, საშუალო ადგილებს ქმნიან და ასე თუ

ისე ნორმალურ ხელფასებს უხდიან ქართველებს.

**მაგრამ არის კი ეს ის საოცნებო მაქსიმუმი, რომლის მიღწევაც ქართველებს შეეძლოთ? შრომის ანაზღაურებაზე ხომ მოგების სულ რაღაც 20-30% იხარჯება - დანარჩენი 70% უცხოელების ჯიბეებში გადაინაცვლებს.**

გარდა ამისა რამდენად საამაყოა, რომ დაქირავებული მუშა იყო საკუთარ მიწაზე და უცხოელი „ბატონის“ ნებართვის გარეშე ნაბიჯიც ვერ გადადგა!

როდესაც ამ თემაზე საუბრობენ - ოპონენტები იმ იდიოტ ბავშვს ემსგავსებიან, რომელიც „ემმაკური“ არგუმენტებით ცდილობს თავის გამართლებას. როგორც წესი, ასახელებენ მიზეზს რომ დიზელი გაძვირდა, მოსავალი ვერ გაიყიდა და ა.შ.

**მაგრამ ჯერ ერთი - მეცხოველეობის განვითარება დიზელის გარეშეც შეიძლება. მაგალითად ქართული ცხვარი ისეთი პოპულარული გახდა იგივე აზიურ ქვეყნებში, რომ ჩვენმა საპატენტო ბიურომ იგი დააპატენტა, როგორც ბრენდი.**

ერთ ჰექტარზე ალბათ 50 ცხვარის გამოკვება მაინც შეიძლება - ელდარის საძოვრების გარეშე .... ერთის ფასი 100 ლარზე მეტია. ყოველწლიურად რომ 15-20 სული გაყიდო - ეს 1500 - 2000 ლარია. ამ დროს კი ერთ ჰექტარ მიწას კერძო პირები 200 დოლარად ჰყიდიან.

**რა ასეთი „კვერცხი“ უნდა იყიდოდეს 200 დოლარად, რომ უარი თქვა 1500 ლარზე ყოველწლიურად?**

მეორეც - ჩვენს წინაპრებს არათუ იაფი დიზელის სანავაი - რკინის გუთანიც კი ენატრებოდათ და ბევრი მათგანი ხის კავით ხნავდა მიწას. გასაყიდი მოსავალი კი არა - თავის საკმარისი ძლივს მოჰყავდათ, მაგრამ მიწის გაყიდვაზე არც კი ფიქრობდნენ. პირიქით, ამ მიწისთვის თავს აკლვდნენ მომხდურებს.

**დღევანდელი გლეხი კი ისე უდგება მიწას, როგორც ბანკს - თუ მიწის დამუშავებით მილიონერი ვერ გახდა - მაშინ გაბრაზებულ გულზე უნდა გაყიდოს და თან რაც შეიძლება იაფად.**

სამწუხაროდ, არავის მოსდის აზრად თავისი თავი დაადანაშაულოს წარუმატებლობაში. უმრავლესობა ისე ინყებს საქმეს, რომ წარმოდგენა არ აქვს აგროტექნიკაზე, დაავადებებზე და შესაბამის შხამქიმიკატებზე და ა.შ. არც იმას ფიქრობენ, რომ მცოდნე სპეციალისტებს დაეკითხოვნ. და როდესაც მოსავალი უფუჭდებათ - ამას მხოლოდ მთავრობის უნიათობას აბრალებენ და არა საკუთარ უცოდინრობას, ან სიზარმაცეს.

გარდა ამისა, წარმოდგენა არ აქვთ ბაზრის სამომავლო კონიუქტურაზე.

მხოლოდ ერთეულები თუ სარგებლობენ პროფესიონალი მარკეტოლოგების რჩევებით, თუ რომელი კულტურა მოიყვანონ და რა რაოდენობით. უმრავლესობა სხვების წამხედურობით მოქმედებს — „ჯოგის ეფექტი“ კი ყველა სფეროში დესტრუქციულია, ისევე როგორც საფონდო ბირჟებზე.

**ეს კიდევ არაფერი - მიწას ისე ადებენ ფასს, რომ არც კი კითხულობენ: - რა ღირს მიწა მსოფლიო ბაზარზე და რა მაქსიმალური ფასი შეიძლება „გამოსძალო“ ჩინელს, თუ ინდოელს! სიკვები გაკვირვებული არიან - რატომ ღირს საქართველოში მიწა 5-10 - ჯერ ნაკლები, ვიდრე სხვა ქვეყნებში !!!**

არადა, მსოფლიოში მიღებულია ასეთი წესი, რომ აქტივი ღირს იმდენი, რამდენი მოგების მიღებაც შეიძლება მისგან 5 წლის განმავლობაში. ე.ი. თუ ერთი ჰექტარ მიწას წელიწადში შეუძლია 1000 დოლარის სუფთა მოგების მოცემა, მაშინ მისი ფასი 5000 დოლარია.







ნუთუ ქართული მიწის ერთ ჰექტარს წელიწადში 40 დოლარზე მეტი მოგების მოტანა არ შეუძლია? - **თუ რა თქმა უნდა მას მეურნე კაცი გამოიყენებს!**

მიწა რომც არაფერს იძლეოდეს - იგი საციცოხლო სტრატეგიული რეზერვაა. სჯობს ნატურალური მეურნეობით იარსებო, ვიდრე რომ მიწა გაყიდო. რა იცი როდის როგორ დაგჭირდება და რაში გამოგადგება? - მით უმეტეს, რომ მსოფლიო ჭარბმოსახლეობის პრობლემის წინაშე დგას! **მეცნიერები თავგამოდებით პროგნოზირებენ, რომ კლიმატური ცვლილებების შედეგად მალე მსოფლიოში გვალვები და შიმშილი დაიწყება....**

ერთი შეხედვით, ახალი მთავრობის ახალი ინიციატივა ზემოთაღნიშნული პრობლემების გადაჭრას ისახავს მიზნად. იაფი კრედიტი საშუალებას მისცემს ფერმერებს, რომ მიწა დაამუშაონ, იმის ნაცვლად, რომ მის გაყიდვაზე **იოცნებონ!**

ამ პროგრამის წარმატება ისევ იმაზე დამოკიდებულია, თუ რამდენად გააზრებულად და მალალტექნოლოგიურად მოხდება კულტურების შერჩევა, მათი მოვლა-მოყვანა და შემდეგ კი გასაღება. თუმცა, **გარკვეულ ეჭვებს იწვევს აგრარული კრედიტების საკმაოდ მოკლე ვადები.** მაგალითად, სათბურის, თევზსაშენის თუ

სამაცივრე მეურნეობის ასაშენებლად კრედიტი მხოლოდ 24 თვით გაიცემა.

ასეთ მოკლე პერიოდში ძირითადი კაპიტალის ამოგება და პლუს კიდევ დამატებითი შემოსავლის მიღება საკმაოდ სათუთაა. ერთი კვადრატული მეტრი სათბურის მხოლოდ მშენებლობა-აღჭურვა 50 ლარამდე ჯდება. ამას ემატება სხვა მიმდინარე ხარჯებიც. თუ გამოცდილ მესათბურეებს დაუფერებთ - ერთი კვადრატული მეტრიდან მიღებული მაქსიმალური მოგება წელიწადში 25 ლარია. ე.ი. ფერმერს 2 წელი მხოლოდ იმისთვის დასჭირდება რომ მშენებლობის დანახარჯები ამოიღოს და ესეც მაქსიმალური წარმატების შემთხვევაში.

მაგრამ სათბურების მასობრივი მშენებლობა ისე დასცემს მოგების ნორმას, რომ აღნიშნული 25 ლარი უკვე საოცნებო იქნება და არა რეალური.

**შესაბამისად 2 წლის შემდეგ ფერმერი ვერ შეძლებს კრედიტის ძირითადი თანხის დაფარვას.**

იგივე შეიძლება ითქვას თევზსაშენზე. მხოლოდ აუზის მოწყობა ღირს 15 000 დოლარზე მეტი ჯდება. ამ აუზში ყოველწლიურად 10 ტონა კალმახიც რომ გაიზარდოს და გაიყიდოს - დანახარჯების დაფარვას 24 თვე ნამდვილად არ ეყოფა, რადგან თევზის კვება და მოვლა საკმაოდ ძვირი პროცედურაა. **ასე რომ, ადვილი შესაძლებელია, რომ 2 წლის შემდეგ**

**ისევ გაგრძელდეს საქართველოს გაყიდვის ეპოპეა.**

დღეს თუ ქართული მიწები იყიდება, - მომავალში სათბურები, თევზსაშენები და სხვა პროფილის მეურნეობები გაიყიდება, რადგან აღნიშნული კრედიტების მართვა კერძო ბანკებს აქვთ დავალებული. **„ბანკის ინტერესი“ კი ყბადაღებულ სინდისზე და ნამუსზე მეტია.** (ბანკების მესვეურები ყოველგვარი სინდისის ქეჯნის გარეშე ტოვებენ უსახლკაროდ მთელს ოჯახებს). **შესაბამისად უფრო მეტი უნამუსობით გაყიდვიან იმ სათბურებს, თევზსაშენებს თუ სამაცივრო მეურნეობებს, რომლებიც იაფი სესხის დაფარვას ვერ შეძლებენ.**

მყიდველები კი ისევ ჩვენი ისტორიული მტრების შთამომავლები იქნებიან. **ამიტომ, უმჯობესია, კრედიტი იყოს არა იაფი და სწრაფი, არამედ ცოტა ძვირი, მაგრამ გრძელვადიანი - ე.ი. საინვესტიციო.**

თუ ფერმერი ვერ შეძლებს საქმის გაძლოლას და უკვე ტრადიციად ქცეულ დოკლაპობას გამოავლენს, მაშინ, მის მართვაში მყოფი სათბური თუ მეურნეობა საინვესტიციო ფონდს უნდა გადაეცეს და შემდეგ ამ ფონდმა უნდა დანიშნოს ეფექტური მენეჯერები იმის ნაცვლად, რომ ეს ქონება უცხოელებს მიჰყიდოს.

კობა ბინაძე

# არომატული მარკეტინგი

ცნობილი ფაქტია, რომ ადამიანის ასოციაციური მეხსიერება დაკავშირებულია მის 5 გრძნობასთან - განსაკუთრებით კი ყნოსვასთან. სუნს შეუძლია გამოიწვიოს უფრო მძაფრი გრძნობები და მოგონებები, ვიდრე ეს ხმას ან გამოსახულებას ძალუძთ.

ასეთი უპირატესი სიძლიერე გენეტიკურადაა ჩადებული – ცხოველები ხომ სუნით ხვდებიან არის თუ არა მცენარე მომნამვლელი.

მარკეტოლოგებმაც არ დაახანეს და ცდილობენ რომ ადამიანის ეს გენეტიკური თვისება თავიანთ სტარტეგიებში გამოიყენონ!

იმისათვის, რომ კომპანიის იმიჯი დაკავშირებული იყოს სასიამოვნო მოგონებებთან, უაქცილებელია პროდუქტის დაკავშირება რომელიმე გამონახტულ არომატთან.

როდესაც ადამიანი პირველად აღიქვამს ახალ არომატს, იგი ქვეცნობიერად უკვამირებს მას იმ გარემოებას, ნივთებს ან ადამიანებს, რომლებიც მის გარშემო იმყოფებიან.

თუ როგორ უნდა დაკავშირდეს არომატი კომპანიის ბრენდთან – ამის 10 თვალსაჩინო მაგალითია ცნობილი მსოფლიოში.

## 10. პლასტიკის ნამდვილი არომატი

ალბათ ყველას ახსოვს თუ რა არასასიამოვნო სუნი ჰქონდა საბჭოთა კავშირში პალსტმასის პროდუქციას - ეს მისი ნამდვილი არომატი იყო.

მაგრამ ასეთი ბუნებრივი სურნელი მიუღებელი აღმოჩნდა იმ „კაპიტალისტური“ სანარმოებისთვის, რომლებიც კლიენტების კეთილგანწყობაზე ზრუნავდნენ!

ამიტომ მათ დაიწყეს პლასტიკის ბუნებრივი სუნის გაკეთილშობილება ხელოვნური არომატებით. ამ საქმეში ხელოვნების მწვერვალებს მიაღწია კარგად ცნობილი „აი-ფონმა“.



კომპანია «Air Aroma»-მ სპეციალურად დაამზადა არომატი «Apple Mac», კარტონის, მელნის და სხვა საიდუმლო ინგრედიენტების გამოყენებით.

ეს არომატი იმდენად მოეწონათ მომხმარებლებს, რომ მათ მოითხოვეს გამოეშვათ სპეციალური სუნამო ძველი კომპიუტერებისათვის.

## 9. «Holiday»-ს არომატი

სასტუმროთა ქსელი «Holiday Inn» იყენებს არომატებს სასიამოვნო მუსიკასთან ერთად იმ მიზნით, რომ კლიენტებმა უფრო მეტი დრო გაატარონ მათ ბარებში და ნომრებში.



სასტუმროს ნომრებში გაშვებული არომატები დამოკიდებულია კლიენტების სტატუსზე. ახლადდაქორწინებულებს ვარდის სურნელით აბრუებენ. საქმიან შეხვედრაზე მისულ ბიზნესმენებს კი ნატურალური ტყავის დამეტალის არომატებს „უკმევენ“. დაბადების დღეზე მოქეიფე სტუმრებს კი ხილის არომატებს აფრქვევენ.

ამ ტიპის მარკეტინგს უკვე სასტუმროების მრავალი ქსელი მიმართავს, მაგრამ „ჰოლიდაი ინ“-ის დონე მათთვის ჯერ მიუწვდომელია.

## 8. კარტოფილი ფრი – არომატული გზა

„მაკდონალდსი“ კი უფრო შორს წავიდა და ყნოსვასთან ერთად კლიენტების სმენაზე დაიწყო ზემოქმედება.

სადილის პერიოდში ავტომობილების რადიომიმღებებში გადის რეკლამა, რომელშიდაც ისმის ხმა თუ როგორ ეხამება ერთმანეთს კონდიციონერის და კარტოფილის შეწვის პროცესის – შიშინის ხმები. მას თან სდევს დიქტორის კომენტარი – რომ აი ეხლა თქვენ იგრძნობთ კარტოფილის არომატს თქვენს ავტომობილში.




## მარკეტინგული სტრატეგია

რა თქმა უნდა, ყველა ხვდება, რომ ეს უკბილო ხუმრობაა, მაგრამ ძალიან ბევრს უჩნდება სურვილი, რომ „მაკდონალდსში“ შეიაროს და მაკ-ბურგერი მაინც შეუკვითოს ავტომობილიდან გადმოუსვლილად – ასე უფრო მოსახერხებელია და თან სადილის დროა!

### 7. ფეხსაცმელი და ყვავილაზი

«Nike»-ის მაღაზიები იყენებენ ყვავილების არომატს იმისათვის, რომ კლიენტების ყურადღება მიაპყრონ იმ სტენდებისკენ, სადაც უფრო ძვირი მოდელები დევს.

„ნაიკის“ მენეჯერებს ეს იდეა მას შემდეგ მოუვიდათ, რაც კლიენტებმა პრეტენზია გამოთქვეს, რომ მათ ბოტასებს პირველივე გარბენის შემდეგ ცუდი სუნი ასდის და თან ხელოვნური პლასტიკების და არა ოფლის.



ფირმის მესვეურებმა ჩაატარეს გამოკვლევა და დაადგინეს, რომ კლიენტი მზადაა გადაიხადოს 10 დოლარით მეტი, თუ ფეხსაცმელს სასიმოვნო სუნი უდის.

ეს ფაქტი ფეხსაცმელების რიგით გამყიდველებსაც გამოადგებათ. ერთი ნყვილი ფეხსაცმლის სუნამოთი გაფორმება 10 თეთრიც არ დაჯდება – ეფექტი კი მთელი 10 ლარის იქნება!

მაგრამ არომატი უნდა იყოს შერჩეული ისეთი, რომ კლიენტი არ დააფრთხოს თავის უჩვეულობით და არა-ბუნებრივობით. ტყავის სურნელს ყველაზე მეტად ალბათ იასამნის არომატი უხდება!

### 6. «M&M»-ს სუნი არ ასდის

«M&M»-ის საფირმო მაღაზიებში თუ შეხვალთ, მაშინვე იგრძნობთ შოკოლადის ძლიერ არომატს. მაგრამ კარგად



თუ დააკვირდებით – ყველა შოკოლადი შეფუთულია ჰერმეტიკულად და მათ ასეთი სუნის გამოყოფა ა-პრიორი არ შეუძლიათ. ...

მაღაზიის მარკეტოლოგები სპეციალურად აფრქვევენ შოკოლადის არომატებს ფლაკონებიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში კლიენტი დაკარგავს წარმოდგენას შოკოლადებზე, თუ მაღაზიაში შესვლისას შესაფუთი ცელოფნების სუნს იგრძნობს.

### 5. მუშკის არომატი ფულის ხარჯვას გაიკულავთ

არომატები არამხოლოდ დადებით ან უარყოფით ემოციებს იწვევენ. მათ თურმე შეუძლიათ შეცვალონ აზროვნების სტილიც. მაგალითად რა უნდა იყოს იმაზე უაზრო, რომ მთელი თვის ხელფასი კაზინოებში წააგო. ბევრი ამას



თავისი ბუნებრივი აზარტულობით ახერხებს, მაგრამ ზოგიერთი კაზინო ზუსტად რომ არომატებით ურევს ტვინს თავის ანგარიშიან და ძუნწ კლიენტებს.

კომპანია «Aromasy» ზუსტად ისეთ არომატებს ქმნის, რომელიც ახდენს კლიენტის სასურველი თვისების აკტივაციას. მათი გამოკვლევებს თუ ვენდობით, მუშკის სუნის ზემოქმედებით ადამიანი კარგავს ანგარიშიანობის გრძნობას და ფულის ხარჯვას აღარ ერიდება. შესამაბისად ამ არომატს კაზინოებში აფრქვევენ.

„არომასისმა“ შეიმუშავა ისეთი არომატებიც, რომლებიც უბიძგებენ კლიენტებს, რომ უფრო მეტი დალიონ, ან უფრო მეტი კერძები შეუკვითონ რესტორნებში თუ სასტუმროებში.

### 4. არომატული ღიჯა

თუ თქვენ თვლით, რომ ადამიანები იმიტომ სუქდებიან, რომ ბევრს ჭამენ, ან ნივთიერებათა ცვლა აქვთ დარღვეული – ძალიან ცდებით. თურმე მათი გასუქების მიზეზი ისაა, რომ ისინი ყნოსავენ არა იმას, რაც საჭიროა.

გემრიელი საჭმლის სუნი რა თქმა უნდა მადას აღძრავს ნებისმიერ ნორმალურ ადამიანში. მაგრამ ხილის არომატს თურმე სრულიად საპირისპირო თვისება აქვს – იგი აღძრავს არა უზომოდ ჩანთქმის, არამედ უბრალოდ გასინჯვის სურვილს.

და ეს ნამდვილად ასეა – იშვიათად თუ იპოვით ისეთ ადამიანს, რომელსაც ხილით გაძლომის სურვილი აქვს!

შესაბამისად კომპანიები «Slimscents», «Aromapatch» და «Prends-Moi» მოუწოდებენ თავიანთ კლიენტებს, რომ შეიძინონ მათ მიერ წარმოებული ხილის არომატები და კალორიული საკვების, მაგალითად ქაბაბის ან ხინკალის ჭამის დროს ყნოსონ.



როგორც კომპანიის მესვეურები ამტკიცებენ – ვაშლის, ან მარწყვის სუნით გაბრუნებული ადამიანი არაფრით არ მიირთმევს უფრო მეტ მწვადებს ან ტორტის ნაჭრებს, ვიდრე ნორმალურად დანაყრებას სჭირდება.

**3. „პური ჩვენი არსობისა“**

მაღაზია «Net Cost» ბრუკლინში არომატების საშუალებებით უბიძგებს კლიენტებს, რომ მათ მეტი პროდუქტი



შეიძინონ. როგორც მარკეტოლოგებმა გაარკვეეს პურის და შოკოლადის სუნით სიმშვიდის და მომავლის რწმენის გრძნობებს აძლიერებს. შესაბამისად კლიენტი უფრო ნაკლებად ცდილობს ეკონომია გააკეთოს და დაზოგილი ფული „შავი დღისთვის“ შეინახოს. შესაბამისად ამ მაღაზიის ვენტილაციის სისტემაში ჰაერს პურის და შოკოლადის არმოატებს ურევენ.

**2. დარიჩინი გვამავისათვის**

დამკრძალავი ბიურო არავისთვისაა მიმზიდველი – მათი რეკლამირება ჩვეულებრივი მეთოდებით უფრო მეტად უკურეაქციებს იწვევს ვიდრე რომ ნდობას.

მაგრამ „ხარონის“ მსახურებმა მაინც მიაგნეს რეკლამირების ფარულ მეთოდს. რა თქმა უნდა დამკრძალავი ბიუროს სპეციფიკური სუნი დამრთველად მოქმედებს,



მაგრამ თუ ამ სუნს დარიჩინის არომატს დაუმატებთ – უარყოფითი განწყობა თურმე სუსტდება და ადამიანს ბედისადმი მორჩილების თუ შემეგუებლობის გრძნობა უღვივდება.

კლიენტი ქვეცნობიერად იმახსოვრებს ამ განწყობას და შემდგომი ახლობელის გარდაცვალების შემთხვევაში ისევე დამკრძალავ ბიუროს მიმართავს, რომელმაც მასზე ასეთი „კარგი“ შთაბეჭდილება მოახდინა.



**1. თვითფრინავი „ყარს“**

თუნდაც კომფორტული ავიალაინერით ხანგძლივი გადაფრენები მომქანცველი და მომბებრებელია. მგზავრების გასართობად ავიაკომპანიები სხვადასხვა მეთოდებს მიმართავენ – ინდივიდუალური ეკრანი ინტერნეტით, ტელევიზიით ან კიდევ რამდენიმე აბი – ღრმა ძილისათვის.

სინგაპურის ავიაკომპაიამ „გართობების“ აღნიშნულ არსენალს დაუმატა არომატი «Stefan Florida Waters». ასეთი სუნი ასდით პირსახოცებს, ხელსახოცებს და სტიურადესებსაც კი.

მაგრამ ჯერ არავის გამოუთქვამს პრეტენზია – რომ „თვითფრინავი რატომ ყარსო“, რადგან ამ არომატს აქვს ოკეანის ბრიზის სიჯანსაღე და სიმსუბუქე.

შესაბამისად კლიენტი თავს გრძნობს მხნედ და ძილის სურვილიც კი არ უჩნდება იმისათვის, რომ ხანგლივი ჯდომის „უაზრობა“ დაივწყოს.